ანატოლი ვარშავსკი

# ქალაქები სამშობლოს გვიმხელენ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
თბილისი 1976

902.6(5)
3 219

თარგმნა ნინო მამისაშვილმა

**Анатолий Семенович Варшавский**

ГОРОДА РАСКРЫВАЮТ ТАЙНЫ

(На грузинском языке)

Издательство „Сабчота сакартвело“
Тбилиси, 1 9 7 6.

3 $\frac{10602-200}{М601(08)-76}$ 406—76




# ინდის უძველეს მიწაზე



ბაბილონის კუნძულები... სპარსეთის ყურე... დაახლოებით შუა გზა ტიგროსისა და ევფრატის შესართავიდან მდინარე ინდის ველამდე. ამ რამდენიმე წლის წინათ არქეოლოგებმა სწორედ აქ ჩაატარეს გათხრები.

მაინც რამ მიიზიდა ისინი? იმისათვის ხომ არ მოიყარეს თავი, რომ უკვე დიდი ხნის წინათ ცნობილი ბაბილონის „ასი ათასი" საფლავისათვის კიდევ ერთი ათასი მიემატებინათ? ყორღანები დიდი ხანია დაცარიელებულია და ყვითელი ქვიშა აქვს მოყრილი. ისინი ჯერ კიდევ უძველეს ხანაში გაძარცვეს, სულ ცოტა, ორი ათასი წლის წინათ. იქნებ ჯერაც გაურკვეველია სამარხების საიდუმლო? დიახ, მაგრამ რა სიახლის ნახვა შეიძლება ამ ქარების სანავარდო, უდაბურ კუნძულებზე, რომლებიც გამოფიტული კირქვის კლდეებისა და ხრეშის სამეფოდ ქცეულა?

# I.

უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად რატომღაც დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია თვალის ერთი გადავლებით ნახული წერილისათვის, ერთ-ერთ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში რომ დაიბეჭდა. წერილში ლაპარაკი იყო ბაჰრეინის კუნძულებზე რაღაც არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

განა გასაკვირია დღეს არქეოლოგიური გათხრები?

მაგრამ შემდეგ ჩავუფიქრდი. და როდესაც ხელმეორედ წავიკითხე წერილი, ძალაუფლილი დავრჩი. წერილი იუწყებოდა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო არქეოლოგიურ აღმოჩენას. ის გარემოება, რომ იქ მომუშავე არქეოლოგები არ ჩქარობდნენ თავისი შრომის შედეგის გამოქვეყნებას და თანაც გულდასმით და მოფიქრებულად ააგეს ჰიპოთეზა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ფანტასტიკური მოგვეჩვენებოდა, მათი დასკვნებისადმი პატივისცემასა და ნდობას მინერგავდა.

დასკვნები კი ასეთი იყო: მსოფლიოს ორ უძველეს ცივილიზაციასთან — შუმერულთან შუამდინარეთში და მისგან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ ინდის ველის ცივილიზაციასთან დაკავშირებული იყო სხვა ცივილიზაცია, რომელიც ბაჰრეინზე ყვაოდა. არქეოლოგებმა მიაგნეს მის კვალს. კუნძულებზე, უდაბნოს ქვიშის ქვეშ, მათ აღმოაჩინეს დიდი ქალაქის ნანგრევები, დიდებული ტაძრის ნაშთი და რამდენიმე პატარა დასახლებული პუნქტი. ეს ქალაქები ხუთი ათასი წლის წინათ არის აშენებული. დაახლოებით იმ დროს, როდესაც შუმერთა ლეგენდარული გმირი გილგამეში გაემართა ხანგრძლივ სამოგზაუროდ დედამიწის სამ სამეფოში.

დიდი ხანი არ არის, რაც სპეციალისტები დაობდნენ, თუ რამდენად შეესაბამება მითი სინამდვილეს. ახლა მათ გულდასმით გაანალიზების შემდეგ ეპვი შეეპარათ — გილგამეშის ეპოსში მოხსენებული ქალაქი თუ სამეფო დილმუნი ხომ არ წარმოადგენს იმ სამეფოს, რომლის კვალსაც მიაგნეს ბაჰრეინზე.

და თითქოს მართლაც ეპვი არ იყო, რომ საიდუმლოებით მოცული

დილმუნი სწორედ ის სამეფოა, რომ ზოგიერთი ცნობა დედამიწაზე გილგამეშის მოგზაურობის შესახებ გამოგონილი არ არის.

გამოდიოდა, რომ კუნძულ ბაჰრეინის სამარხები არ ეკუთვნოდა უცნობ ხალხს, რომელიც ცხოვრობდა თანამედროვე არაბეთის მიწაწყალზე, მაგრამ რატომღაც თავის მიცვალებულებს კუნძულ ბაჰრეინზე მარხავდა, როგორც ამას თავგამოდებით ამტკიცებდა ზოგიერთი მკვლევარი. სულაც არა! ბაჰრეინი თურმე უძველეს დროში იყო დასახლებული და მისი საიდუმლოებით მოცული სამარხები დღეს არაფრით არ შეიძლება მიეწეროს მეზობელ ხალხებს.

ბუნდოვანი ვარაუდი იმის შესახებ, თუ სად გადიოდა შუამდინარეთიდან ინდოეთისაკენ მიმავალი უძველესი გზა, საკმაოდ დამაჯერებლად დამტკიცდა: გზა გადიოდა ბაჰრეინზე.

და სწორედ ბაჰრეინს ეკუთვნოდა, როგორც აღმოჩნდა, ის მრგვალი ქვის ბეჭდები, რომლებიც ჩიხში იმწყვდევდნენ არქეოლოგებს შუმერში (იქ სულ რვა ცალი იყო ნაპოვნი) და ინდოეთში გათხრების დროს. დიდ კუნძულზე უძველესი ქალაქისა და ტაძრის გათხრების დროს ასობით ასეთი ბეჭედი იქნა აღმოჩენილი.

მაშ ასე, გაიდო ხიდი ორ ცივილიზაციას — შუმერისა და ინდის ველის ცივილიზაციებს შორის.

ესეც ის რგოლი, რომელიც აკლდა მსოფლიოს უძველესი კულტურის ჯაჭვს.

დანიელ არქეოლოგებს, რომლებმაც შვიდ წელიწადს იშრომეს ბაჰრეინის კუნძულებზე, მართლაც რომ ჰქონდათ საამაყო.

აი, როგორ შეტრიალდა საქმე.

1921 წელს კი...

## 2.

1921 წელს იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილმა ახალგაზრდა ინდოელმა არქეოლოგმა რაი ბაჰადურ დაია რამ სახნიმ ხარაპაში (დღეს ეს ტერიტორია პაკისტანს ეკუთვნის) აღმოაჩინა ყველასთვის უცნობი, მაგრამ, ყოველგვარი ნიშნების მიხედვით, უძველესი ცივილიზაციის ნაშთები.

თუმცა რას ნიშნავს აღმოაჩინა? უბრალოდ სწორედ მას მოუვიდა პირველად აზრი გულდასმით გაეთხარა ის ადგილები, სადაც გათხრების დაწყებაში სხვებს სიზარმაცე, დაუინტერესებლობა, სპეციალური ცოდნის უქონლობა თუ უფულობა უშლიდა ხელს.

...ხდება ასე: ადამიანებმა უბრალოდ არ იციან, რომ მათ ფეხქვეშ, სწორედ მათ ფეხქვეშ იმყოფება რაღაც საინტერესო სიძველეები. აქ კი საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. რასაკვირველია, ხარაპაშიც არავის მოსვლია აზრად, რომ ის უძველესი აგურები, რომლებიც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ინგლისელი მოიჯარეების მადლიანი ხელის წყალობით იმ ადგილებში რკინიგზის გაყვანისას ბალასტად იყო გამოყენებული, აგურები, რომლებითაც აგებულია თითქმის ყველა სახლი იმ ოლქში, ინახავენ დიდ საიდუმლოს. მაგრამ თვით აგურები დიდი ხანია ცნობილი იყო. მათ პოულობდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მდინარე რავის ძველი კალაპოტის ახლოს. ეს გახლდათ დიდი, კარგად გამომწვარი აგურები, ზოგიერთ მათგანზე რაღაც ცხოველების გამოსახულება შეიმჩნეოდა, ზოგი უცნაური წარწერებით იყო დაფარული. ჯერ კიდევ კენინგჰემმა, ინდოეთში არქეოლოგიის პირველმა ინგლისელმა ინსპექტორმა, 1877 წელს გამოაქვეყნა ასეთი აგურის დაწვრილებითი აღწერილობა.

ხოლო კენინგჰემამდე ორმოცდასამი წლით ადრე ალექსანდრე ბერნსი, რომელიც ინდოეთში მოგზაურობდა, თავის მოგზაურობის ჩანაწერებში წერდა: „ტოოლუმბიდან დაახლოებით ორმოცდაათ მილზე შორი გზა მოვიარე, რათა დამეთვალიერებინა ძველი ქალაქის, ხარაპის, ნანგრევები. ეს ადგილი სიგრძით დაახლოებით სამი მილია. ნაპირზე დანგრეული ციხესიმაგრეა, მთლიანად ხარაპა კი ქაოსის სამეფოა, იქ ვერ ნახავთ მთელ შენობას; უძველეს ნაგებობათა აგურები დღეს გამოუყენებიათ პატარა დაბის ასაშენებლად, რომელიც ძველ სახელს ატარებს. გადმოცემის თანახმად, ხარაპის დაღუპვა დაახლოებით იმ დროს მოხდა, როდესაც დაიღუპა შარკოტა (1300 წლის წინათ) და ხალხში შემორჩენილია ცრურწმენა, თითქოს ქალაქს, ქალაქს კი არა, მის მმართველს თავს დაატყდა ღმერთის რისხვა“...

კენინგჰემმა რატომღაც თავის მიერ აღწერილი ხარაპის აგური, ე. ი. ხარაპის ყველა აგური, მიაკუთვნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეს, ასოითი წარწერა კი რაღაც მხოლოდ მისთვის ცნობილი ლოგიკით III საუკუნეს. ბერნსიც დაახლოებით იმავეს ამტკიცებდა, ხოლო უმეცარი და ხარბი მოიჯარეებისათვის, რომლებსაც გაჰყავდათ რკინიგზა ხარაპის ახლოს, სულერთი იყო, რომელ საუკუნეს მიეკუთვნებოდნენ აგურები და რას მოწმობდნენ ისინი.

ინდოეთის ტრადიციები და ისტორია ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ ინგლისელ კოლონიზატორებს, რომლებიც შეიჭრნენ იქ

XVIII საუკუნის შუახანებში და თითქმის ორი საუკუნე ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ეს თვითმყოფადი და მდიდარი ქვეყანა.

ფულის გაღება არქეოლოგიური გათხრებისათვის — ნიშნავს მის გაფლანგვას. ასე მიაჩნდათ ინგლისელ ვიცე-მეფეებს კენინგჰემის დროს. ასე მიიჩნევდნენ ისინი უფრო მოგვიანებითაც.

ამასთან იმ დროს, რომელზეც აქ არის ლაპარაკი, ინდოეთს თითქმის არ ჰყავდა საკუთარი სპეციალისტი — არქეოლოგები.

მადლობის ღირსია საჰნი. ის არა მარტო შეებრძოლა ტრადიციას, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ხარაპის ნანგრევებს მიაკუთვნებდა არც თუ ისე ადრინდელ პერიოდს, არამედ ინდოელ არქეოლოგებს შორის ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა აქაური ნანგრევებით.

ამრიგად მან დაიწყო გათხრები. შედეგები იმდენად საოცარი აღმოჩნდა, რომ ინდოეთის სიძველეთა გენერალური დირექტორი, ინგლისელი ჯონ მარშალი, რომელიც აქამდე თავს არ იწუხებდა მუშაობით, იძულებული გახდა მათთვის ანგარიში გაეწია.

ქალაქი აშენებული იყო შორეულ წარსულში, იმდენად შორეულში, რომ იმ ეპოქაში ინდოეთში ასეთი ქალაქებისა და შესაბამისად ასეთი ძველი ცივილიზაციის არსებობა თავისთავად ნამდვილ აღმოჩენას წარმოადგენდა. არავის აზრად არ მოსდიოდა ეს, არავის ოცნებაც არ შეეძლო ასეთ აღმოჩენაზე.

...ამ შემთხვევის სასარგებლოდ ლაპარაკობდა ის, რომ თითქმის იმავე დროს მეორე ინდოელმა არქეოლოგმა რ. დ. ბანერჯიმ სრულიად სხვა ადგილას ხარაპიდან ექვსასზე მეტი კილომეტრის დაშორებით, მისგან სამხრეთ-დასავლეთით აღმოაჩინა თითქმის იგივე სურათი, რაც საჰნიმ.

ბანერჯი ერთი ბუდისტური ტაძრის ნანგრევებს სწავლობდა და ვარაუდობდა, რომ ის ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეს ეკუთვნის. მაგრამ როდესაც გამოირკვა, კედლის მთელი წყობა შედგებოდა აგურებისაგან, რომლებიც სულაც არ იყო დამზადებული II საუკუნეში, როდესაც ნათელი გახდა, რომ ეს აგურები გარეგნულადაც და დამზადების წესითაც ძალიან ჰგავდნენ ხარაპის აგურებს, ბანერჯიმ მიიღო გადაწყვეტილება გარეშემო გადაეთხარა მთელი ტერიტორია.

იმ ადგილს, სადაც არსებობდა ტაძრის ნანგრევები, ძველთაგანვე უწოდებდნენ მოჰენჯო-დაროს, ანუ „მკვდართა ქალაქს“. უხსოვარი დროიდან აქ აღმართული იყო რამდენიმე ბორცვი: ღია წითელი ფერის ბორცვები, რომლებიც მკვეთრად გამოირჩეოდა ერთთავად ლურ-

ჯი ცისა და მოყვითალო-რუხი დაბლობის ფონზე, კარგი შესამჩნევი იყო. ამბობდნენ, რომ ოდესღაც აქ იყო ქალაქი, ის დაღუპა ბიწიერმა მმართველმა, რომელმაც თავისი უზნეო საქციელით აიმხედრა ზეციური ძალები. ახლა აქ მხოლოდ ბორცვებიღა აღმართულიყვნენ და მათგან ყველაზე დიდ ბორცვზე იყო ნაშთი ბუდისტური მონასტრისა, რომლის შესწავლამაც წააქეზა ბანერჯი, დაეწყო გათხრები.

აღმოჩნდა, რომ ეს ბორცვები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ხევებით. მაგრამ როდესაც არქეოლოგები გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს, უმალ დარწმუნდნენ, რომ ბორცვები ფარავენ უძველეს ნაგებობათა ნანგრევებს, ხევები კი — ძველი ქალაქის ქუჩებს.

ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ მოჰენჯო-დარო ხარაპაზე პატარა იყო, მაგრამ გაცილებით უკეთ შემონახული, თუ შეიძლება ლაპარაკი ქალაქის შემონახვაზე, სადაც არც ერთი შენობა მთელი არ არის.
ამან თავიდანვე უფრო დიდი ყურადღება მიიპყრო. ის უფრო პერსპექტიული აღმოჩნდა. განა გასაკვირია, რომ სწორედ მოჰენჯო-დარო გახდა გათხრების მთავარი ადგილი, და დღემდე, ისევე როგორც ხარაპაში, ყველაფერი მოწმობდა უძველესი და განვითარებული ცივილიზაციის არსებობას, ამ ადგილებში უძველეს მცხოვრებთა მნიშვნელოვან კულტურას.

და კიდევ ერთი რამ იყო ნათელი და თვალშისაცემი: ეს გახლდათ ერთი და იგივე ცივილიზაცია.

## 3.

თქვენ, ალბათ არასოდეს არ გაგივლიათ ხუთი ათასი წლის წინათ გაყვანილ ქუჩაში. ეს გასაკვირი როდია. არც ისე ბევრია ასეთი ქუჩა მთელ მსოფლიოში და ვერც ბევრ ქალაქს ნახავთ, რომლებიც ასეთი გრძელი გენეალოგიით დაიქადნიან.

თუმცა, ჩვენს დრომდე ქალაქს არ მოუღწევია, ის დიდი ხანია დაიღუპა — ალბათ ათას ხუთასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაგრამ მისი ქუჩების რაღაც ნაწილი შემორჩა. შემონახულია სახლების საძირკვლებიც, ზოგან ქვედა სართულების კედლებიც კი, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ქვაყორეც...

ეს ქალაქები — ხარაპაცა და მოჰენჯო-დაროც — შესანიშნავად იყო დაგეგმილი. ლარივით სწორი ქუჩები მართ კუთხეზე იკვეთებოდა. მოჰენჯო-დაროში ეს ქუჩები გადაჭიმული იყო ჩრდილოეთიდან სამ-

ხრეთისაკენ გარკვეული მოსაზრებით: ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარები, ქუჩებს, რომ დაუქროლებდნენ, შესანიშნავად ასუფთავებდნენ ჰაერს და თანაც კარგად გაჰქონდათ ნაგავი. თვალები ალბათ მტვრით ევსებოდათ, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქში სისუფთავე იყო და ჰაერიც იწმინდებოდა. შუკები და ქუჩაბანდები, რომლებიც ასე დამახასიათებელია ძველი ქალაქებისათვის დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, მსოფლიოს ამ უძველეს ქალაქებში სულ არ აღმოჩნდა. და (როგორც ჩანს, ასეთი წესი არსებობდა) არც ერთი სახლი არ სცილდებოდა შენობების საერთო ხაზს.

ასეთი ლარივით სწორი გახლდათ ეგრეთწოდებული პირველი ქუჩა მოჰენჯო-დაროში; მისი სიგრძე სულ მცირე რვაასი მეტრი იყო, თუ მეტი არა, და სიგანე — ათი მეტრი. ხოლო აღმოსავლეთის ქუჩა (ეს სახელები, რა თქმა უნდა, არქეოლოგების მოგონილია) უფრო განიერი აღმოჩნდა. მაგრამ განიერი ქუჩები ცუდად არის შემონახული — მათზე ხომ უხსოვარი დროიდან წვიმის ნიაღვრები მოედინებოდა და თიხას, ლამსა და ქვიშას ტოვებდა. მოჰენჯო-დაროს მცხოვრებლები, იძულებული იყვნენ ხან კოჭებამდე მტვერში ევლოთ, ხან ტალახში ჩაფლულიყვნენ. ერთხელ, როგორც ჩანს, მოთმინებიდან გამოვიდნენ და გადაწყვიტეს მოეკირწყლათ პირველი ქუჩა. მაგრამ სველ მიწაზე დაყრილი აგურისა და კრამიტის ნამტვრევები მათ მდგომარეობას ვერ უმსუბუქებდა.

დიახ, ქუჩების მოკირწყვლა მოჰენჯო-დაროს მცხოვრებლებმა არ იცოდნენ, რატომ — მთლად გასაგები ვერაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი ამზადებდნენ შესანიშნავ გამომწვარ აგურს და ამ აგურით სახლებს იშენებდნენ. თუ ქუჩებისათვის აგური არ არის კარგი მოსაკირწყლი მასალა, ის სწრაფად ამოვარდება ხოლმე და იფშვნება, რატომ არ იყენებდნენ მას სავალი ბილიკების მოსაკირწყლად? ეს მთლად გარკვეული არ გახლავთ.

მაგრამ ჩვენ მეტისმეტს ხომ არ მოვითხოვთ და ზოგიერთი გამოგონება უფრო ახლო დროს ხომ არ უნდა მივაწეროთ? მოჰენჯო-დაროს საკმაოდ ვრცელსა და მკვიდრად ნაგებ ქვის სახლებს ხომ ფანჯრებიც არ ჰქონდათ. მაგრამ სამაგიეროდ არსებობდა ვენტილაცია ისეთივე, როგორიც ჩვენს სახლებშია, ოღონდ უფრო გამარტივებული — თიხისა და ალებასტრის გისოსებიანი ხვრელები.

სახლებში შესასვლელი, ჩვეულებრივ, იყო შესახვევიდან (აღმოსავლეთის „ძველ“ ქალაქებში ახლაც ასეა) და ქუჩებს საკმაოდ სევდის

მამაკაცის თავი. მოჰენჯო დარო.

მომგვრელი შესახედაობა ჰქონდათ. მათ რამდენადმე აცოცხლებდა დუქნები და კარვები, რომლებიც აქ მრავლად იყო. მაგრამ მაინც ყრუ ყორეები და სახლების ყრუ კედლები არცთუ ისე სიამოვნებდა თვალს.

სახლები დაბალი იყო — შვიდი-რვა მეტრის სიმაღლის, ზოგჯერ ერთ-და არც თუ იშვიათად ორსართულიანიც. წარმოიდგინეთ, სამსართულიანიც კი.

ბრტყელ ბანზე მხუთვარე ღამით მთელ ჯალაბობას ეძინა.

რასაკვირველია, ყველა სახლი, ისევე როგორც თანამედროვე ქალაქებში, ერთნაირად არ გამოიყურებოდა. ერთ-ერთ განაპირა უბანში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მთელი კვარტალი, რომელსაც სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ჯურღმულებს. მდიდრულ სახლებში იატაკებზე ალბათ ჭილოფები ეფინა, ღარიბულ სადგომებს საქონლის ნაკელით გალესილი, მოტკეპნილი მიწის იატაკი ჰქონდა. ზოგიერთ დიდ სახლში მეცნიერებმა აღმოაჩინეს კედლის ღრმა ნიშები. მაგრამ ჩვეულებრივ კარადების მაგივრობას სწევდა დიდი კოკები. მოჰენჯო-დაროს მცხოვრებლებს ჰქონდათ ლოგინებიც.

და ყველგან, მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა სადგომების გამოკლებით, რომელთა კვალი არქეოლოგებმა ქალაქის ფარგლებს გარეთ აღმოაჩინეს, იყო სააბაზანე ოთახებიც. აბაზანებს აკეთებდნენ აგურისაგან. ასეთი აბაზანა ჰქონდა ყველა ბინას, მიუხედავად იმისა, როგორი იყო სახლი — ერთბინიანი თუ მრავალბინიანი.

აბაზანაში მჯდომ მოჰენჯო-დაროს მცხოვრებს შეეძლო წვერის გაპარსვაც. წვერის საპარსები გამძლე იყო. რა თქმა უნდა, დამზადებული გახლდათ არა ფოლადისაგან, არამედ ბრინჯაოსაგან და სულ ცოტა ოთხი სხვადასხვა სახისა იყო: უკან გადახრილი სახელურით, რომელიც წააგავდა რუსელ ასო Г-ს, უბრალოდ გრძელი და თხელი სწორი დანისპირი მომრგვალებული ბოლოებით და გრძელსახელურიანი ორი სხვადასხვა ფორმის დანისპირი. ქალაქელები ტანს იბანდნენ ხრალით, ხმარობდნენ პემზას და სარეცხ თიხას, კოჟიჟებსა და გაუხეშებულ კანს ფეხის გულებზე სპეციალური თიხის საფხეკებით იფხეკდნენ.

ჭუჭყიან წყალს ადვილად უძებნიდნენ გზას მოჰენჯო-დაროს მცხოვრებლები. მას ღვრიდნენ სპეციალურ სანარცხე ჭურჭელში — იატაკში ჩაფლულ თიხის ქვევრებში, რომლებსაც წყლის გასაჟონი პატარა ნახვრეტები ჰქონდა, ხოლო აბაზანიდან წყალი კედელში ჩატანებული თიხის წყალსადინარით პირდაპირ ჩადიოდა სანარცხე არხში, რომელიც ქუჩას გასდევდა. კანალიზაცია! მართალია, ყველგან არ იყო მილები, მაგრამ სავსებით შეესაბამებოდა დანიშნულებას. ის მოიცავდა მთელ ქალაქს. არ იფიქროთ, თითქოს ბინძური წყალი ყველას დასანახავად აგურის არხებში მიედინებოდა და ჰაერს ასნებოვნებდა. არხებს ზემოდან ფარავდა აგურები, რომლებიც ერთმანეთთან დამაგრებული არ იყო. ამ „ხუფებს“ დროდადრო ადვილად ახდიდნენ ან მისწევდნენ ხოლმე ლატნებით შეიარაღებული მწმენდავები. ბინძური წყალი ჩადიოდა შორს, ქალაქგარეთ, სანარცხე ორმოში.

ასეთი კანალიზაცია არ არსებობდა არც ეგვიპტეში, არც შუმერში. ხაზების სისადავე და სიზუსტე — აი რა ახასიათებს მოჰენჯო-დაროს შენობებს. არ არსებობდა არავითარი „ხუროთმოძღვრული ზედმეტობა“ გარდა იმისა, რომ ზოგჯერ, მრავალფეროვნებისათვის, სახლების კედლებსა და აგურის ღობეებში აგურებს აწყობდნენ ხან წაღმა, ხან გვერდულად. ასეთი წყობა ნაკლებ მტკიცეა, ვიდრე ჩვეულებრივი — სიგრძით და სიგანით დაწყობილი აგურების თანმიმდევრობა, — მაგრამ, უდაოდ, უფრო დეკორაციულია. მიუხედავად იმისა, რომ მოჰენჯო-დაროს მოქალაქეებს უყვარდათ სწორი, მკაცრი ხაზები, გზაჯვარედინ-

ზე მდგარი ბევრი შენობის კუთხეები მომრგვალებული იყო, რათა მოხვევის დროს საზიდრები არ წამოსდებოდნენ.

სახლში მეტწილად ღია ეზოდან შედიოდნენ; ერთ-ერთ მოჩარდახულ კუთხეში საჭმელს ამზადებდნენ. აქვე იყო პურის საცხობი მრგვალი ღუმელები. ალბათ მათ შეშით ახურებდნენ, ნაცარს გამოხვეტდნენ და ლავაშს შიგ აკრავდნენ.

საერთოდ ეზო წარმოადგენდა სამეურნეო ადგილს. აქვე ამზადებდნენ საჭმელს, კერავდნენ და ხარშავდნენ, აქვე თამაშობდნენ ბავშვებიც. ერთობოდნენ იმავე თამაშობებით, რითაც ათასპაპიდან თავს იქცევენ პატარები. მოჰენჯო-დაროს ბავშვების სათამაშოები, რომლებიც აღმოჩენილია წყალსადინარებში, დამაჯერებლად მოწმობენ ამას.

მოზრდილებსაც ჰქონდათ თავისი გასართობი. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გამომწვარი თიხის, ქვის, სპილოსძვლის ნახვრეტებიანი კამათლები, რომლებიც აღნიშნავდნენ ციფრებს ერთიდან ექვსამდე. ნაპოვნია თიხის და ქვის უხეშად ნაძერწი სათვალავები; აღმოაჩინეს დახაზული აგური — „სათამაშო დაფა", ბურთულები და თავისებური კეგლები.

260 ჰექტარი — ასეთია ამჟამად მოჰენჯო-დაროს დაზვერილი ფართობი. იმ უძველეს დროს ქალაქი, უეჭველად, უფრო დიდი იყო; როგორც გამოირკვა, მისი განაპირა უბნები დაფარულია მდინარე ინდის შლამიანი დანალექებით. ინდი და მიწისქვეშა წყლები საერთოდ ძალიან უშლიან ხელს არქეოლოგებს. ფულის უკმარისობაც აბრკოლებს საქმეს. ჯერაც ვერ შეძლეს მეცნიერებმა მოჰენჯო-დაროს უძველესი ფენების შესწავლა: საჭიროა წყლის ამოქაჩვა, ფული კი არ არის.

უძველეს ქალაქში შესანიშნავად იყო მოგვარებული წყლით მომარაგების საკითხი. არსებობდა აგურით ამოშენებული უამრავი ჭა. ჭების ახლოს იდგა აგურის სკამები. აქ შეეძლოთ აუჩქარებლად დალოდებოდნენ თავიანთ რიგს და წაეჭორავათ კიდეც მეზობლებთან, ან უბრალოდ დაესვენათ. ვედროებს, როგორც ჩანს, ხელით ეზიდებოდნენ — დღემდე ზოგიერთი ჭის გარე შემონაფენზე შემორჩენილია თოკით გახეხილი ღრმა ნაკვალევი.

საინტერესოა, რომ ბევრმა ჭამ შეინარჩუნა წამატების კვალი — თანდათან იზრდებოდა მათი აგურის გარსამოსი. და ეს გასაგებია. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ინდის შლამის შედეგად მისი კალაპოტის და მთელი ოლქის დონემ უკანასკნელი ხუთი ათასი წლის მანძილზე აიწია ოთხ, ხუთ, ზოგან კი მთელ ექვს მეტრზე.



მოჰენჯო-დაროში ნაპოვნი სათამაშო ურემი.

მაგრამ მარტო მდინარის შლამი იყო მიზეზი? ადამიანთა ყველა დასახლებაში, ასე ხდება წლითი წლობით, ნიადაგს ემატება ახალი ფენები. ნაგავი და ნაფოტი, დამტვრეული აგური და ნაკელი, ნაცარი და ნახშირი, მიწა, თიხა, ქვიშა — ყველაფერი ეს ბლომად გროვდებოდა მოჰენჯო-დაროში.

ამას ემატებოდა კიდევ ლამი, რომლითაც ამაგრებდნენ ყველა შენობას და ნაგებობას. მას თანდათან რეცხდა წვიმა კედლებიდან და სახურავებიდან.

ქალაქი ზევით მიიწევდა, ქვეშ იყოლებდა უვარგის საცხოვრებლებსა და სარდაფებს, სანაგვეებს. აგურის დაშენება მარტო ჭებზე როდი ხდებოდა საჭირო. საცხოვრებლების შიგა და გარეთა კედლებსაც „უმატებდნენ“. მოჰენჯო-დაროში არა ერთხელ წაუმატეს არხებისა და სადინარების კედლებს, ხოლო როდესაც ძველი არხი იმდენად ჩაღრმავდებოდა, რომ ძნელი იყო მისი გაწმენდა და შემოწმება, მის ზემოთ გაჰყავდათ ახალი არხი, რისთვისაც ხშირად იყენებდნენ ძველი არხის აგურებს.

## 4.

მეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენს ქალაქი, მიწის ტყვეობიდან რომ თავისუფლდება. მოჰენჯო-დარო ორმაგად საინტერესო იყო. აქაც, ისევე როგორც ხარაპაში, ბევრი რამ ვარაუდით იყო დასადგენი; ისევე როგორც ხარაპაში, აქაც ფაქტიურად არ არსებობდა წერილობითი წყაროები. ყველაფრის გაგება ამ ორი ქალაქისა და მათ მიერ შექმნილი ცივილიზაციის შესახებ შეიძლებოდა მხოლოდ შენობათა ნანგრევების, საგნების, საოჯახო ნივთებისა და შრომის იარაღების შესწავლით.

თუმცა მეცნიერებმა უკვე დასაწყისშივე აღმოაჩინეს შემკვრივებული თალკის მსგავსი რბილი თეთრი ქვის — სტეატიტის უამრავი სწორკუთხა ბეჭედი. მათზე გამოსახული იყო სცენები, რაღაც ცხოველები, მცენარეები, ჩანდა რაღაც ნიშნები, ასოები. მაგრამ ამ დამწერლობის ამოკითხვა მეცნიერებმა ვერ შეძლეს. როდესაც არ იცი ენა, ნიშნების სისტემა, მართლაც ძნელია ამოკითხვა.

რა ჰიპოთეზები არ წამოაყენეს, რა გამოცანებს არ გვთავაზობდნენ! ცდილობდნენ მოეძებნათ კავშირი ამ დამწერლობასა და გვიანდელი ინდური დამწერლობის სისტემებს შორის. ნაპოვნ წერილობით წყაროებს უდარებდნენ შუმერთა უძველეს დამწერლობას. ამტკიცებდნენ, რომ ჯვრები, რგოლები, У-ს მსგავსი კაუჭები, რომლებიც ახასიათებს ინდურ ბეჭდებს, ჰგავს აღდგომის კუნძულის საიდუმლო დამწერლობას. მათ ხეთურ და კრეტულ ნიშნებს უდარებდნენ. ამტკიცებდნენ, რომ ბეჭდებზე გამოყვანილი ნიშნები წაკითხულ უნდა იქნას მარჯვნიდან მარცხნივ ან „ბუსტროფედონის“ — „გუთნით მავალი ხარის“ მეთოდით, ესე იგი პირველი სტრიქონი წაკითხულ უნდა იქნეს მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო მეორე — მარჯვნიდან მარცხნივ.

დღემდე არც ერთი სიტყვა არ არის ამოკითხული, დანამდვილებით არ არის ამოცნობილი არც ერთი ნიშანი, და კვლავ ისევე, როგორც ორმოცი წლის წინათ, მოჰენჯო-დაროში აღმოჩენილ ბეჭდებზე წარწერილი სიტყვები საიდუმლოდ რჩება.

მხოლოდ საგნების მოწმობა: სახლების ნაშთები და ქალაქების ნანგრევები, კრამიტები, საოჯახო ნივთები, შრომისა და საბრძოლო იარაღები — თუმცა მრავლისმეტყველია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ არის საკმარისი ნივთიერი მტკიცებისათვის. ასეთი იყო საქმის ვითარება მოჰენჯო-დაროში. ასეთივე მდგომარეობა გახლდათ

ბეჭედი მარტორქის გამოსახულებით. მოჰენჯო-დარო.

ინდოეთის სხვა რაიონებშიც, სადაც აღმოჩენილი იყო ამ ცივილიზაციის კვალი. მეცნიერებმა მას „ინდური“ უწოდეს, იმიტომ რომ მოჰენჯო-დროც, ხარაპაცა და სხვა უფრო პატარა ქალაქები და დასახლებები ინდის ველზე მდებარეობდნენ.

მათზე არ არსებობს გადმოცემები, მათ შესახებ არაფერი არ თქმულა ქრონიკებში: უძველესი ხალხები, რომლებზეც არსებობს ცნობები, მიეკუთვნებიან ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულს და დაკავშირებული არიან ინდოეთში უცხო ტომების — არიელების — შეჭრასთან.

ინდური ცივილიზაცია ბევრად უძველესი აღმოჩნდა. ის სულ უფრო და უფრო იტაცებდა მეცნიერებს. აქ არა მარტო მაღალგანვითარებული დიდი ქალაქები იყო საუკეთესო სახლებით, განვითარებული ვაჭრობითა და ხელოსნობით, არამარტო კარგი წყალმომარაგება გახლდათ, არამედ აქ ჰქონდათ ზომა-წონის ერთიანი, საკმაოდ ორიგინალური სისტემაც, რის მიხედვითაც წონის მსხვილი ერთეული შეიცავდა თექვსმეტ უფრო მცირე ერთეულს (როგორ არ გავიხსენოთ, რომ დღეს რუპია, ინდური ვალუტის ერთეული, შეიცავს თექვსმეტ ანს!); რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ ბეჭდების მიხედვით, არსებობდა ერთიანი დამწერლობა.

აქ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებმაც უკვე ბევრი რამ იცოდნენ, მათ მაღალ სრულყოფას მიაღწიეს თავისთვის საჭირო იარაღის კეთებაში და, როგორც ჩანს, საკმაო რაოდენობითაც ამზადებდნენ. მართალია, ძირითადად ეს წარმოადგენდა ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღს, მაგრამ თავისი დროისათვის მრავალგვარი და საკმაოდ მკვიდრად ნაკეთები იყო. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ დეტალს. თევზსაჭერი კაუჭები ისეთია, რომ უყურებ, ძალაუნებურად გებადება აზრი, რომ წარმოების ამ დარგში უკანასკნელი ხუთი ათასი წლის მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა. როგორც ჩანს, უკვე მაშინაც (ხუთი ათასი წლის წინათ!) ქალები ტუჩის პომადასაც კი ხმარობდნენ. მსოფლიოში ეს ყველაზე ძველი პომადა აღმოაჩინეს ჯხუკარში სუნამოს შუშასა და თმის სამაგრებთან ერთად.

ახლა როგორი ოსტატები იყვნენ აქაური მეთუნეები! ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენგან ასე დაშორებულ უძველეს დროში შეიქმნა ეს გასაოცარი ქმნილებები. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ მათ ჯერ დამზადებული ბევრი კრიალა ქოთანი თუ დოქი, რომლებსაც ჟანგმიწის სქელი ფენა ჰფარავდა, წრეები და სხვადასხვა ფორმის მოწითალო-მოშავო სახეები ამკობდა, კერამიკის თანამედროვე სალონების მნახველთ ალბათ შურის გრძნობას აღუძრავდა. ძალიან ლამაზად, ხაირგვარად, გემოვნებით არის გაკეთებული ეს ქოთნები, ლარნაკები თუ სხვა ჭურჭელი. მშვენიერების გრძნობა, როგორც ჩანს, მეტისმეტად იყო განვითარებული ინდური ცივილიზაციის ხალხებში, რასაც მოწმობს უკვე ჩვენს მიერ მოხსენებული, პირველხარისხოვანი ნამუშევარი და ფაქიზი ჭედურობის ბეჭდები. ბეჭდებზე გვხვდება არა მარტო ფანტასტიკური, არამედ სრულიად რეალური ცხოველების გამოსახულებანი. აქ იცოდნენ ადამიანის გამოქანდაკებაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხარაპაში აღმოჩენილი ქვის ორი ქანდაკება (მათი ფოტო მსოფლიოს თითქმის ყველა ილუსტრირებულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა): მამაკაცისა და მოცეკვავე ქალის ტანი, აგრეთვე მოჰენჯო-დაროში აღმოჩენილი მოცეკვავე ქალის ქანდაკება.

ჯამები, ნიჟარებისაგან გაკეთებული კოვზები, დანები, მოხატული თიხის სარძევე ტოლჩები, ოთახის ღუმელები, რომლებიც შედგებოდა თიხის გადასატანი პატარა მილებისაგან უამრავი ხვრელებით, ქონის ჭრაქები...

ღარიბთა სახლებსა და რაიონებში კანალიზაცია უფრო ცუდი აღმოჩნდა, ოთახებიც უფრო პატარა და უბრალო იყო. ყველაზე ღატაკ-

ნი (იქნებ, მონები? ) როგორც ჩანს, თავს აფარებდნენ ქალაქგარეთ, თიხით შელესილ ლერწმის უბადრუკ ქოხებში; ლერწამიცა და თიხაც აქ ბევრი იყო.

თავდაპირველად მეცნიერები, რომლებიც მიჩვეული იყვნენ იმას, რომ შუამდინარეთსა და ძველ ეგვიპტეშიც უეჭველად იყო მთავრის სასახლეები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, რომ ქალაქებს გარს ერტყა უზარმაზარი კედლები, რამდენადმე გაოცებული დარჩნენ, ეს ჩვეულებრივი ნაგებობანი რომ ვერ აღმოაჩინეს.

მოჰენჯო-დაროში საჭირო გახდა უშუალოდ ბუდისტური ტაძრის მახლობლად მდებარე ბორცვის გათხრა (ამ საქმის ბოლომდე მიყვანა დღემდე ვერ შეძლეს მორწმუნეთათვის შეურაცხყოფის მიყენების შიშით), რათა აღმოეჩინათ რაღაც დიდი შენობის, შესაძლოა ძველი ტაძრის ნანგრევები. აღმოჩნდა, რომ არსებობს ციხესიმაგრის ნანგრევებიც. ხარაპაში ეს ნანგრევები — ბორცვზე ციხესიმაგრის მთელი წრე — ნახეს რამდენადმე უფრო ადრე; ხოლო მოჰენჯო-დაროში ბოგვიანებით კარგა ცხრა მეტრი სისქის ქალაქის კედლის ნაწილი და საგუშაგო კოშკების საძირკველი აღმოაჩინეს.

ნაპოვნი იყო საკმაოდ დიდი ზომის რამდენიმე ნაგებობა: სასახლეები თუ რაღაც ადმინისტრაციული შენობები.

აღმოჩნდა, რომ საერთოდ ინდის ველის ქალაქები ცოტათი ჩამოჰგავს შუმერის ძველ ქალაქებს. და, რაც ეჭვგარეშეა, შუმერსა და ინდს შორის, მიუხედავად მათ შორის უზარმაზარი მანძილისა, არსებობდა საკმაოდ რეალური სავაჭრო, და არა მარტო სავაჭრო კავშირი.

## 5.

ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ინდის ველზე ცივილიზაცია შექმნეს შუმერებმა. შუმერებმა თუ არა, მაშინ ვიღაც სხვა მოსულმა ხალხმა.

მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. უცბად, როგორც ათინა ზეუსის თავიდან, არ გაჩენილა ქვეყანაში ეს ცივილიზაცია. მან განვლო განვითარების ხანგრძლივი გზა. და მისი ფესვები, რომლებიც ათასწლეულის სიღრმეებში მიდიოდა, სწორედ აქ, ინდოეთში, მდებარეობდნენ. საქმე ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძიების გაგრძელებისას მეცნიერებმა ინდის ველზე აღმოაჩინეს უფრო ძველი ცივილიზაციების საკმაოდ მრავალი ნაკვალევი, ცივილიზაცი-

ებისა, რომლებიც აშკარად და უშუალოდ უსწრებდნენ ხარაპისა და მოჰენჯო-დაროს ცივილიზაციას.

ამრიგად არქეოლოგიურ რუკაზე აღმოჩნდა ადგილები და დასახლებები, რომლებიც ცნობილია მხოლოდ თანამედროვე სახელებით, ამრი, გაზი, შახი, ლოხრი, მაგრამ ოდესღაც მათ სხვა სახელები ერქვათ. ან შედარებით გვიან, 1958 წელს, დასავლეთ პაკისტანში ხაიპურის მახლობლად კოტ-დიჯიში აღმოჩენილი დასახლება. სწორედ იქ, კოტ-დიჯში, შეინიშნება საქალაქო ცხოვრების უფრო ძველი ფაზა, რომლის მარადიულ ძეგლებად დარჩნენ ინდის ველის ქალაქები.

მაგრამ მარტო ინდისა? საქმე ისაა, რომ თურმე უფრო ვრცელი იყო ის ტერიტორია, რომელზეც ყვაოდა მოულოდნელად აღმოჩენილი ცივილიზაცია, ვიდრე ამას ჯერ კიდევ ახლახან ვარაუდობდნენ.

„ინდის ველი შორსაა ინდოეთის ნამდვილი ცენტრიდან, მაგალითად, განგის ველიდან. არ შეიძლება ამ აღმოჩენების ჩართვა ინდოეთის წინა ისტორიაში". — დიდი ხანი არ არის, რაც ასე წერდნენ „მიგრაციული", „იმპორტული" თეორიის მიმდევრები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ინდოეთის ჭეშმარიტი ცივილიზაცია აღმოცენდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის შუა ხანებში, ე. წ. არიელთა დაპყრობის შედეგად.

და აი რამდენიმე წლის წინათ განგის ველზე აღმოჩნდა ზუსტად ისეთივე ქალაქებისა და დასახლებების ნანგრევები, როგორიც ინდის ველზე.

## 6.

ინდური ცივილიზაცია გადაჭიმული იყო ვრცელ ტერიტორიაზე 1250 კილომეტრზე ერთ მხარეს, 1000 კილომეტრზე მეორე მხარეს, 1 100 კილომეტრზე მესამე მხარეს.

ინდის ველი, სინდი, კატჰიავარის ნახევარკუნძული, მიწები განგის სათავეებამდე...

ხარაპა და მოჰენჯო-დარო, როგორც ჩანს, დედაქალაქები იყო. შესაძლოა თანაბარი უფლებებით — მსგავსი მაგალითები ცნობილია ისტორიაში. მათ გარდა უამრავი სხვა ქალაქი, სოფელი, დასახლებული ადგილი იყო ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ჩანხუ-დარო, ლოტხალი, რანგპური, რუპარი, ამრი ყველაზე მნიშვნელოვანი როდი გახლდათ. სულ რამდენიმე წლის წინათ არქეოლოგებმა იცოდნენ 62 დასახლე-

ბა, ხოლო კატჰიავარასა და მაჯუმ-დაროს მთისწინეთში ჩატარებული ექსპედიციების შემდეგ მათმა რიცხვმა ასს გადააჭარბა.

და ასეთი უზარმაზარი სახელმწიფო „გარედან არის შემოტანილი?!“ ასეთი მაღალგანვითარებული ერთიანი კულტურა „უცხო ქვეყნის“ ნაყოფია?!

სახელმწიფოები შიშველ ნიადაგზე როდი აღმოცენდებიან ხოლმე. ინდის ცივილიზაცია გაიფურჩქნა მაშინ, როდესაც საამისოდ შესაბამისი პირობები შეიქმნა. ეს პირობები კი იმ დროისათვის შეიქმნა, როდესაც სპილენძსა და ბრინჯაოს უკვე იცნობდნენ ადგილობრივი და ზოგიერთი მოსული ავღანური მიწათმოქმედი ტომები. მთაგორიანი ხეობებიდან ჩამოსულებმა საფუძველი ჩაუყარეს საქალაქო კულტურას. ეს იყო კანონზომიერი ფაზა ამ ტომების ევოლუციურ განვითარებაში. მაგრამ ქალაქები მხოლოდ ცენტრებს წარმოადგენდა. ირგვლივ ბამბის თესვას და ბრინჯის მოყვანას განაგრძობდნენ ძირითადი მწარმოებლები — გლეხები, თუმცა ამ ადრეულ ისტორიაში ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის ნათელი. აქ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი სამუშაოა. მაგრამ დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ აქ მცირე როლი როდი შეასრულა ინდის ველის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა: მოსავალს აქ წელიწადში ორჯერ იწევდნენ. მაღალმოსავლიანობა და სარწყავი სისტემა — აი რას ეყრდნობოდა ხარაპის სახელმწიფო.

მართლაც, როგორც გამოირკვა, შუმერისა და ინდის ქალაქებს შორის თურმე მსგავსება ყოფილა — ისინი ყველანი ქალაქი-სახელმწიფოები იყვნენ; მათ გარეგნულ სახეს, გეგმას, ქალაქურ კეთილმოწყობას რაღაც საერთო აქვს ერთმანეთთან. მაგრამ იმიტომ ხომ არა, რომ ექვსი-შვიდი ათასი წლის წინათ, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ინდური და შუმერული ცივილიზაციები გაჩნდებოდა, მჭიდრო კავშირი არსებობდა (დღეს ეს დამტკიცებულია) მესოპოტამიისა და პალესტინის, ირანისა და სირიის, ამიერკავკასიისა და ავღანეთის, ინდოეთისა და ტაჯიკეთის მიწათმოქმედ ტომებს შორის, იმ ტომებს შორის, რომელთა სამიწათმოქმედო და სამესაქონლეო მეურნეობა წინ უსწრებდა ამ ქვეყნებში საქალაქო ცივილიზაციის განვითარებას?

ეს ხომ ფაქტია, რომ არსებობს ურთიერთშეხების წერტილები, არსებობს პარალელები ადრე სამიწათმოქმედო კულტურებს შორის (იმ კულტურებს შორის, რომლებიც წინ უსწრებდნენ საქალაქო ცივილიზაციის განვითარებას, მაგალითად, იერიქონსა ერაყში და ჯერმოს შორის ჩრდილოეთ ირანში, სადაც რადიოაქტიური ანალიზების შედე-

გად ბინადარი ცხოვრება დაიწყო 6750 წელს ჩვენს ერამდე) და, დავუშვათ, ბელუჯისტანის, სინდისა და ჯეიტუნის (სამხრეთ თურქმენეთი) უძველეს კულტურებს შორის.

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, არსებობდა სიღრმისეული კავშირები. მაგრამ, როგორც ჩანს, თუმცა აქაც ბევრი რამ ჯერ კიდევ ნათელი არ არის, არსებობდა რაღაც კავშირები უფრო ახლო დროშიც. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ეს აიხსნება ბევრ რამეში ერთმანეთის მსგავსი ცხოვრებისეული პირობებით. როგორც ერთი, ისე მეორე სახელმწიფო და, რაღა თქმა უნდა, მათი შემქმნელი ტომები — იდგნენ განვითარების დაახლოებით ერთსა და იმავე საფეხურზე.

ვიმეორებ: საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არ არის. დარწმუნებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი რამ: ინდური ცივილიზაცია, ისევე როგორც შუმერული, შემოტანილი არ არის გარედან. თითოეული მათგანი დამოუკიდებლად ვითარდებოდა.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ხარაპის საქალაქო ცივილიზაცია სულაც არ გახლდათ ტომთა რომელიმე ჩაკეტილი ჯგუფის საქმიანობის შედეგი. ამ საკითხის მკვლევარი საბჭოთა მეცნიერი ვ. მ. მასონი აღნიშნავს: „ანთროპოლოგიური მასალა მოწმობს მოსახლეობის ჭრელ შემადგენლობას, რომლებიც ცხოვრობდნენ ძველი ინდოეთის ქალაქებში. სავარაუდოა, რომ ხარაპის კულტურულ მთლიანობაში შეირწყნენ ინდის ველის მონადირე ტომების შთამომავლებიც... გუჯარათის სადგომების მეთევზეებიცა და მონადირეებიც და ბელუჯისტანის მიწათმოქმედი ტომების სხვადასხვა ჯგუფები...“

## 7.

ინდური ცივილიზაცია იფურჩქნებოდა დაახლოებით 2500—2300 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ყოველ შემთხვევაში, სწორედ იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს მოჰენჯო-დაროს ერთ-ერთ უძველეს ფენაში რაღაც სასწაულით შემონახული მძივი კორნელიანადან. მისი ღვიძლი დები, რომლებიც მას გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან, აღმოჩენილ იქნა შუმერულ ქალაქ ურაში მეფეთა სამარხების გათხრების დროს. სამარხები (ასე მიიჩნევენ მეცნიერები) დათარიღებულია დაახლოებით 2500 წლით.

ჩვენ ვამბობთ „დაახლოებით“, „ალბათ“. რას იზამ! არც ასე ადვილი საქმეა დათარიღება, უძველესი ნივთების ასაკის გარკვევა. რასაკ-

ვირველია, არქეოლოგს, მიწის სიღრმეში რომ შედის, შეუცდომლად შეუძლია გამოიცნოს, თუ სად თავდება ერთი ფენა და სად იწყება მეორე. მან მტკიცედ იცის: რაც უფრო ღრმად დევს ფენა, როგორც წესი, მით უფრო, ძველია. მაგრამ როგორ შეეუფარდოთ ეს სიძველე ჩვენს დათარიღებას? როგორ დავათარიღოთ საერთოდ სიძველეები იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთ თარიღს, არც ერთ სახელს, თუ უტყვია როგორც ხარაპაში, ისე მოჰენჯო-დაროში აღმოჩენილი ბეჭდების საიდუმლოებით მოცული დამწერლობა?

...წარმოიდგინეთ, რა სიხარულს მიანიჭებს არქეოლოგებს პატარა, ციცქნა მძივი, თუ ის, როგორც ამ შემთხვევაში, ორმოცი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიწაში დამალული ცოდნის კარის გასაღები აღმოჩნდება.

ანდა ბეჭდები. გამოირკვა, რომ ზოგიერთ მათგანს რაღაც-რაღაცეების განდობა შეუძლია. დაგვეხმარა ის ამბავი, რომ მსგავსი ბეჭდები (შესაძლოა მდინარე ინდის ნაპირებზე დამზადებული) აღმოაჩინეს სამხრეთ შუამდინარეთში, ბაბილონის დასახლებაში. ერთ-ერთი ბეჭედი, უდავოდ, მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე XXV საუკუნეს.

მაგრამ, მაინც როდის შეწყდა მოჰენჯო-დაროსა და ხარაპაში არსებული ქალაქების მშენებლობის საუკუნოებრივი წესები? როდის დაიწყეს სახლების მშენებლობა არა ორი, არამედ ცალფა აგურით? როდის დაეცა საგარეო ვაჭრობა, შემცირდა შემოტანილი საგნების რიცხვი, შეწყდა ხელოსნური წარმოება?

მოკლედ, როდის დაეცა ინდური ცივილიზაცია? და რატომ?

ეს ჯერ კიდევ მთლად გარკვეული არ არის, მაგრამ მეცნიერებს ეს საკითხი მოსვენებას არ აძლევს. ერთნი ამტკიცებენ, რომ ყველაფრის მიზეზნი არიან არიელი დამპყრობლები, რომლებიც, როგორც გადმოცემულია „რიგვედში“ — ცნობილ ინდურ ძეგლებს შორის ყველაზე ძველ ძეგლში — ინდის ველზე გამოჩნდნენ დაახლოებით 1500 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მათ გაანადგურეს უძველესი ცენტრები. ზოგიერთი ფაქტი თითქოს ამას ემოწმება კიდეც.

მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც.

საბჭოთა მკვლევარი გ. ბონგარდ-ლევინი ფიქრობს, რომ ინდური სახელმწიფოს ძლიერებას ძირს უთხრიდა არა იმდენად უცხოქვეყნელთა თავდასხმები, რამდენადაც მიზეზები, რომლებიც თვით ქვეყნის შიგნით არსებობდა. რამდენადაც ინდოეთში ამ უძველეს მონათმფლო-

ბელურ სახელმწიფოს ასუსტებდა შინაგანი მიზეზები, იმდენად გარეგანი მიზეზებიც სახელმწიფოს დასუსტების ხელშემწყობი აღმოჩნდა.

ბონგარდ-ლევინი ამტკიცებს, რომ უშუალო კავშირი ინდური კულტურის დაცემასა და მომხდური ტომების თავდასხმას შორის არ არსებობდა. ამას, მისი აზრით, მოწმობს დროის დიდი შუალედი, ზოგჯერ სამასი, ოთხასი, ხუთასი, ექვსასი წელი, რომელიც შეინიშნება ინდური ქალაქების დაღუპვასა და ინდოეთში არიული ტომების გამოჩენას შორის. და მართლაც, უშუალო ქრონოლოგიური კავშირის დადგენა ინდის ველის ხარაპის მთელი რიგი ქალაქების დაღუპვასა და ინდოეთში ვედური არიელების გამოჩენას შორის არ შეიძლება.

თუ ის ვართალია, მაშინ დღეს ბევრ რამეში ახლებურად წარმოგვიდგება ხარაპისა და მოჰენჯო-დაროს ცივილიზაციის ისტორიის უკანასკნელი პერიოდი.

## 8.

თავის დროზე ვრცელი იყო ინდის ცივილიზაციის ქალაქების კავშირის ქსელი როგორც ერთმანეთთან, ისე ახლომდებარე და შორეულ ქვეყნებთან. პირველს ყველაზე კარგად მოწმობს თვით ცივილიზაციის ერთიანობა, მეორეს — აღმოჩენები და მასალა, რისგანაც აკეთებდნენ ამა თუ იმ საგნებს. ოქროს რეცხავდნენ პენჯაბის მდინარეებში და მოჰქონდათ ინდოეთისა და ავღანეთის სამხრეთი რაიონებიდან; ვერცხლს მეზობელ რაჯასტანიდან, სამხრეთ ინდოეთიდან და ავღანეთიდან. ეზიდებოდნენ, სპილენძს — ბელუჯისტანიდან და ავღანეთიდან; კალას — ბენგალიიდან და ავღანეთიდან; ფირუზს — ირანიდან; ნეფრიტს — პამირიდან. კავშირი ჰქონდათ ელამსა და ეგვიპტესთან, ტროასთან, შუმერთან, კავკასიასა და ევროპასთანაც კი. აი რა ვრცელი იყო მათი ვაჭრობის არე!

მაგრამ II ათასწლეულის შუა ხანებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მნიშვნელოვნად შეიცვალა ინდოეთის ბედი. გარკვეული გავლენა ხარაპის დასახლებების და, პირველ რიგში, სავაჭრო ქალაქების შინაგან მდგომარეობაზე, უეჭველად იქონია იმან, რომ შეიცვალა წინა აზიის პოლიტიკური რუკა; აღმოსავლეთიდან დაიძრნენ ინდოევროპული ტომები. რა შედეგები მოჰყვა ამას? პირველ ყოვლისა, ნორმალური

ვაჭრობის მოშლა, მოწყვეტა, განცალკევება, კავშირის დაკარგვა სხვა ქვეყნებთან.

ინდის სახელმწიფოს საფუძვლები შეერყა. მაინც რა ვითარების გამო მოხდა ყოველივე ეს? ჩვენ ჯერ არ ვიცით. ხომ არ ითამაშა აქ გარკვეული როლი კატასტროფულმა წყალდიდობამ, რაც, შესაძლოა დაკავშირებული იყო მდინარის კალაპოტის შეცვლასთან, ანდა ვთქვათ, ტყეთა განადგურებამ და ადგილის გაუდაბნოებამ? ხომ არ აღწევდნენ ინდოეთში ჯერ კიდევ არიელთა მასობრივ შემოსევამდე ხარაპუს მიმართ მტრულად განწყობილი ცალკეული ტომები? სიტყვამ მოიტანა და უნდა აღინიშნოს, რომ ინდის ცივილიზაციის ქალაქები სხვადასხვა მიზეზით იღუპებოდნენ და სხვადასხვა დროს აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა.

მაგრამ, იქნებ, მიზეზი მაინც, პირველ ყოვლისა, სოციალური იყო?

სამწუხაროდ, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით. არ ვიცით კარგად, რომელ გვარ-ტომს მიეკუთვნებოდნენ ადამიანები, რომლებმაც ააშენეს მოჰენჯო-დარო და სხვა დანარჩენი ქალაქები, როგორ გამოიყურებოდნენ ეს ადამიანები, რა საზრუნავი ჰქონდათ, რა რწმენა, რომელ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. არქეოლოგებმა ხარაპის ცივილიზაციის ადამიანების მხოლოდ რამდენიმე ჩონჩხი აღმოაჩინეს (შესაძლოა, III ათასწლეულში საერთოდ არ იყო ინდოეთში დასაფლავების წესი: მიცვალებულებს წვავდნენ, ფერფლს კი მდინარეში ყრიდნენ). ესენი მომცრო ტანის ადამიანები იყვნენ. ულვაშებს შეიძლება არ იყენებდნენ, მაგრამ ზოგჯერ წვერს უშვებდნენ: ჩვენამდე მოაღწია მამაკაცის ერთმა ქანდაკებამ გრძელი ცხვირით, სქელი ტუჩებით, დაბალი შუბლით, ერთმანეთთან ახლო მდებარე თვალებით, გრძელი წვერით...

და თუ ჩვენ, თუმცა ძალზე ზოგადად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ინდური ცივილიზაციის საზოგადოებრივი წყობა, თუ ვიცით ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა — იმ დროისათვის უკვე თითქმის ყველგან — მიწათმოქმედება იყო (თუმცა, ისევე როგორც სხვა ქალაქურ ცივილიზაციებში, მთავარ როლს ასრულებდა ვაჭრობა და ხელოსნობა), სამაგიეროდ პოლიტიკურ და სამოქალაქო ისტორიაზე ჯერ წარმოდგენა არა გვაქვს. ჯერ კიდევ გარკვეული არ არის ამ ქალაქებში პოლიტიკური წყობა ჰგავდა თუ არა შუმერის პოლიტიკურ წყობას (როგორც მიაჩნია აკადემიკოს ვ. ვ. სტრუვეს), აქაური მმართველნი ისევე როგორც ეგვიპტეში, შუამდინარეთში, აერთიანებდნენ თუ არა

სამოქალაქო და რელიგიურ უმაღლეს ხელისუფლებას? მაგრამ ის, რომ ეს ხელისუფლება ცენტრალიზებული იყო, უეჭველია. ამას მოწმობს ქალაქების კეთილმოწყობაც (წყალმომარაგება, კანალიზაცია) და საზოგადოებრივი შენობები.

ერთი რამ ნათელია: ამ ცივილიზაციის ისტორია, რომელიც ვითარდებოდა იმავე დროს, შუმერსა და ძველ ეგვიპტეში, და, უდავოდ, რაღაც გარკვეულად მსგავს ისტორიულ ნიადაგზე, რთული და აღსავსე იყო მოვლენებით.

მაგრამ ეს ცივილიზაცია საკმაოდ თავისთავადი და საკმაოდ ძლიერი იყო. მისი გავლენა, მისი კავშირი იმ დროის ბევრ მნიშვნელოვან სახელმწიფოსთან, პირველ ყოვლისა, შუამდინარეთთან, სულ უფრო მეტად შეინიშნება. და, როგორც ჩანს, შემდგომი გათხრები ინდოეთსა და პაკისტანში საკმაოდ ბევრ ახალ ფურცელს გადაშლის, აქ ხომ ძიება შეუნელებლად გრძელდება.

ჰო, მაგრამ მაინც როგორაა საქმე ბაჰრეინის კუნძულებზე? ნამდვილად აქ იმყოფებოდა ძველად ჩვენთვის უკვე ცნობილი სახელმწიფო დილმუნი?

ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. სულ ახლახან წამოაყენეს ახალი ჰიპოთეზა. მისი ავტორი გახლავთ ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, შუმერის ისტორიის უდიდესი სპეციალისტი ნ. კრამერი.

ის ეჭვქვეშ არ აყენებს იმ ფაქტს, რომ ძველი გზა შუამდინარეთიდან ინდოეთისაკენ ბაჰრეინზე გადიოდა. და რომ ბაჰრეინის კუნძულები ოდესღაც ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა ორ ცივილიზაციას — შუმერისა და ინდის ველის ცივილიზაციას შორის. ყოველაფერ ამას კრამერი სადაოდ არ ხდის. ის სხვა რამეს ამტკიცებს: არ შეიძლება ბაჰრეინის კუნძულების გაიგივება დილმუნთან, რომელიც გილგამეშის ეპოსის მიხედვით ცნობილია „მესამე სამეფოდ“.

მაშ სადღა ვეძიოთ დილმუნი?

— ინდოეთში, — უპასუხებს კრამერი. — ინდის ველის ცივილიზაცია, განთქმული მოჰენჯო-დარო და ხარაპა, ლოტჰალი და კოტ-დიჯი და ამ ცივილიზაციის სხვა ადრეული თუ გვიანი ცენტრები — ეს გახლავთ სწორედ დილმუნი.

მტკიცებანი?

ჩვენ მათ მოვიტანთ. მაგრამ ჯერ მოვიხსენიებთ კრამერის ერთ საერთო წინამძღვარს: რას უწოდებდნენ შუმერები, კითხულობს ის, ინდურ ცივილიზაციას?

ეს ჯერჯერობით არავინ იცის.

— სხვათა შორის, — უპასუხებს კრამერი, — არსებობს ერთი სახელი, რომელიც ხშირად იხსენიება შუმერულ ტექსტებში, როდესაც ლაპარაკია შორეულ ქვეყნებზე: დილმუნი!

ტექსტებში მის შესახებ ნათქვამია: „ქვეყანა, სადაც ამოდის მზე". მაგრამ ეს ტერმინი, ფიქრობს კრამერი, უფრო მიუდგებოდა ინდოეთს, ვიდრე ბაჰრეინის კუნძულებს. ბევრი თიხის დაფა, რომლებიც აღმოჩენილია უძველეს შუმერულ ქალაქ ურაში, მოწმობს: ურა სპილოს ძვალს ღებულობდა დილმუნიდან. საიდან მოხვდა ის ბაჰრეინის კუნძულებზე! რა თქმა უნდა, ტრანზიტით. მაგრამ განა აქაც ტექსტი კრამერის ვარაუდის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს?

და კიდევ დილუმუნის ცივილიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება — ეს გახლავთ ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც იქ ასრულებდა წყალი. ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტები ხაზს უსვამენ მცხოვრებთა განსაკუთრებულ სისუფთავეს. უამრავი აბაზანა, ჭები მეტყველებენ ქვეყნის დიდ სისუფთავეზე. მაგრამ არქეოლოგებმა უკვე დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ ყველაფერი ეს დამახასიათებელია ინდური ცივილიზაციისათვის!

აი კიდევ ვარაუდის აღმძვრელი ერთი ფაქტი. უკანასკნელ წლებში, გათხრების მიხედვით სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ინდური ცივილიზაციის ბევრი ქალაქი დიდ საზღვაო და სამდინარო ნავსადგურს წარმოადგენდა — საწყობის შენობებით, დოკებით, ნავმისადგომებით. შუმერულ ტექსტებს შორის გვხვდება ისეთი ტექსტები, სადაც მოხსენიებულია „ხომალდები დილმუნიდან" და ნათქვამია, რომ მათ მოაქვთ ლაგაშსა და აქადში ოქრო, ლაჟვარდი, ხის ძვირფასი ჯიშები.

მართალია თუ არა კრამერი? ძნელი სათქმელია. ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს ინდური ცივილიზაციის ძველ ისტორიაში. ჯერ კიდევ დაობენ მეცნიერები. საჭიროა ახალი მონაცემები. მხოლოდ შემდგომი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და, რა თქმა უნდა, შუმერული დაფების შემდგომი ამოკითხვის მერე გახდება ნათელი, სწორია თუ არა კრამერის ჰიპოთეზა!

ჯერჯერობით კი... ჯერჯერობით დილმუნი, ისევე როგორც ინდის ველის ქალაქები, მოსვენებას არ აძლევენ ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს.




# ᲮᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲚᲣᲛᲚᲝᲔᲑᲜᲘ



ანატოლია — დღევანდელი თურქეთის ნაწილი, შუამდინარეთის ჩრდილოეთი მეზობელი დიდიხანია უკვე, და სამართლიანადაც, არქეოლოგებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ოლქად ითვლება.

ძველთაგანვე აქაურ მიწაზე ცხოვრობდნენ ადამიანები. და თუ ბოლო შვიდი საუკუნის მანძილზე იქ ძირითადად თურქულად ლაპარაკობენ, მანამდე მთელი ათასი წლის განმავლობაში ერთმანეთს აგებინებდნენ ბერძნულად, ხოლო უფრო ადრე სპარსულად. სპარსელებამდე კი ცხოვრობდნენ ლიდიელები, ლიდიელებამდე — ფრიგიელები, ფრიგიელებამდე — ხეთები, რომელთა ენა და ისტორია ბოლო წლებში კვლავ იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას.

როდესაც 1879 წელს ინგლისელი ენათმეცნიერი არჩიბალდ ჰენრი სეისი ამტკიცებდა, რომ სწორედ ხეთებთან არის უშუალოდ დაკავშირებული სირიასა და ანატოლიაში საიდუმლოებით მოცული აღმოჩენები, რომ ხეთების სახელმწიფო დიდი სახელმწიფო იყო, ის სასაცილოდ აიგდეს.

— ის კი მართალი გახლდათ!

# I.

XVIII საუკუნის შუახანებში ჯერ ინგლისელმა მონდრელმა, შემდეგ ფრანგმა ლა როკმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე ხარანის — ევფრატის განტოტებაზე მდებარე პატარა ქალაქის — მახლობლად, ხვდებოდათ რაღაც უცნობი ნიშნებით აჭრელებული ქვები. აშკარა იყო, რომ ეს ქვები ძველი იყო, ხოლო დამწერლობა იეროგლიფური. მაგრამ ვის ეკუთვნოდა ეს დამწერლობა? რას აღნიშნავდა უცნაური ნიშნები, რომლებიც არ ჰგავდა ეგვიპტურ იეროგლიფებს?

იმ წლებში ეს არავინ იცოდა.

თუმცა იმ, ჩვენგან არც ისე შორეულ დროში, განსაკუთრებით არავინ წუხდა რაღაც უცნაური ნახატებიანი დაფების წაკითხვის შეუძლებლობით.

გავიდა 80 წელი, სანამ ფრანსუა შამპოლიონი შესძლებდა დაემტკიცებინა, რომ იეროგლიფების, კერძოდ ეგვიპტურის გაშიფვრა შეიძლება, თუ კაცი საქმეს ხელს მოკიდებს გონივრულად და მოთმინებით. ვთქვათ სიმართლე: ამ ორი თვისების გარდა, რომლებიც უხვად ჰქონდა მომადლებული შამპოლიონს, მის სამსახურში აღმოჩნდა კიდევ ნაპოლეონის სალდათების მიერ ნაპოვნი როზეტის ქვა, სწორედ ის ქვა, გასაღებად რომ გამოადგა სახელოვან გამშიფვრელს.

გახსოვთ: წარწერა იყო ენებზე, რომელთაგან ერთ-ერთი, საბედნიეროდ, ბერძნული აღმოჩნდა.

სირიაში აღმოჩენილი იეროგლიფების საქმე უფრო რთულად იყო. არავითარი ორენოვანი წარწერების კვალი აქ არ ჩანდა. გაურკვეველი იყო, კერძოდ, ვის ეკუთვნოდა ეს საიდუმლოებით მოცული წარწერები. ამ აღმოჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, იეროგლიფების შემქმნელებს ოდესღაც უნდა ეცხოვრათ ჩრდილოეთ სირიაში დაახლოებით იმ რაიონში, სადაც ევფრატი მკვეთრად უხვევს სამხრეთით. ეს გახლდათ ხარანისა და ქარხემიშის, ევფრატის ხვეულზე მდებარე ორი უძველესი ქალაქის რაიონი.

მეცნერები ასე მსჯელობდნენ: საჭიროა ამ ძველი ქალაქების ნანგრევების ძიება.

ხარანში ფიქრიც კი ზედმეტი იყო რაიმე ძიებასა და გათხრებზე. ალბათ მისი სახლების საძირკვლების, ქუჩებისა და ჩიხების ქვეშ ბევრი საიდუმლო იმალებოდა. მაგრამ სახლებში ადამიანები ცხოვრობდნენ.

ქარხემიშში?

პირველ ყოვლისა, საჭირო იყო მისი მოძებნა, რადგანაც თუ სად მდებარეობდა ეს ლეგენდარული ქალაქი, კარგად არავინ იცოდა. ის, მართალია, მოხსენიებულია ბიბლიაში, მაგრამ მეტად გაურკვევლად. მეცნიერებმა რაღაც მონაცემებს ასურულ დოკუმენტებშიც მიაგნეს. მათი საშუალებით შეიძლებოდა გაგებგოთ მხოლოდ ის, რომ ქარხემიში ოდესღაც დიდი ქალაქი იყო და მდებარეობდა სადღაც ევფრატზე. მაგრამ წარმოადგენდა თუ არა ის, როგორც ახლა ამტკიცებს ზოგიერთი მეცნიერი, ძველ დროს აქ მდებარე სახელმწიფოს დედაქალაქს?

1876 წელს ინგლისელი მეცნიერი ჯორჯ სმიტი შეუდგა მის ძებნას.

ზოგიერთი ასურული დოკუმენტის შემოწმების შემდეგ სმიტი მივიდა ალეპომდე და გაემართა ჯერაბლუსის ბორცვისაკენ ორმდინარეთში.

აქ ძველთაძველი დროიდან მოჩანდა რაღაც ძველი ნანგრევები. მაგრამ რა ნანგრევები იყო ეს — არავინ იცოდა. მათ მიაკუთვნებდნენ რომის ბატონობის ხანასაც და არაბთა დაპყრობის დროსაც.

„ეს სხვა არაფერია, თუ არა ქარხემიშის ნანგრევები", — განაცხადა სმიტმა და სათანადო მოხსენება გაგზავნა ლონდონში. მან დაწვრილებით აღწერა უზარმაზარი ნანგრევები და მოიხსენია საიდუმლოებით მოცული იეროგლიფებიც, რომლებიც აქ ნახა.

რამდენიმე თვის შემდეგ ჯორჯ სმიტი გარდაიცვალა ქოლერისაგან. ის მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლის იყო.

მაგრამ მის წერილს უკვალოდ არ ჩაუვლია. სამი წელი ზედიზედ — 1878—1881 წლებში — ჯერაბლუსში ბრიტანეთის მუზეუმის დავალებით გათხრებს აწარმოებდა კონსული პ. ჰენდერსონი.

შემდეგ დაიწყო ოცდაათწლიანი შესვენება. მხოლოდ 1911 წელს განახლდა აქ გათხრები.

რამდენიმე წლის განმავლობაში, პირველ მსოფლიო ომამდე და მის შემდეგაც, ინგლისელი მეცნიერები ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ ქარხემიშის (რადგანაც ეს სწორედ ქარხემიში გახლდათ — სმიტი არ



მჯდომარე ღმერთის ქანდაკება. ჯერაბლუსი (ქარხემიში)

შემცდარა) და ძველად იქ მცხოვრები ტომების დახლართულ ისტორიაში. მათ ბევრი მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინეს. მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ისინი ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გაეცვნენ აქაურ ნანგრევებს, სავსებით ნათელი გახდა, რომ ეს ქალაქი არასდროს არ ყოფილა ვისიმე დედაქალაქი. მაგრამ სამაგიეროდ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბუნდოვანი ვარაუდები იმის შესახებ, თუ ვის

ეკუთვნოდა საიდუმლოებით მოცული დამწერლობა, მტკიცე რწმენად იქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი იეროგლიფები იმ დროისათვის უკვე აღმოჩენილი იყო ქარხემიშის სამხრეთითაც, ხამათში. იპოვეს ისინი ანტიოქიის მახლობლადაც. იქ, ყველასთვის უცნობ პატარა სოფლის ზენჯირლის გვერდით, 1887 წელს მოულოდნელად იპოვეს კიდევ რაღაც რვა ძველი რელიეფი.

და თუმცა კვლავინდებურად ვერ შეძლეს ამ ტექსტების ვერც ერთი სტრიქონის წაკითხვა, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნათლად მოჩანდა მათთან დაკავშირებული ცივილიზაციის კონტურები.

გასაგები იყო, რომ ისინი შექმნეს ხეთებმა. სწორედ იმ ხეთებმა, რომელთა შესახებ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ, XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში, თითქმის არაფერი იყო ცნობილი მეცნიერებაში.

## 2.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ხეთები ხდებიან მნიშვნელოვან პრობლემად არქეოლოგიაში. ძიებაში ჩაებნენ არა მარტო არქეოლოგები, არამედ სხვა სფეროს სპეციალისტებიც, კერძოდ, ენათმეცნიერები.

ერთ-ერთი ასეთი ენათმეცნიერი იყო ინგლისელი პროფესორი სეისი. სწორედ მას ეკუთვნის წიგნი, რომელმაც თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია. ის გამოვიდა 1903 წელს და ეწოდებოდა „ხეთები, ანუ დავიწყებული ხალხის ისტორია". წიგნში სეისი აცხადებდა, ყველა, თითქმის ყველა ძველი ძეგლი და გარკვეული ხასიათის წარწერები წინა ათწლეულში აღმოჩენილი ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიაში, ხეთური წარმოშობისაა.

და სწორედ მაშინ სეისმა კვლავ მიაპყრო მეცნიერების ყურადღება თავისთავად უკვე დიდი ხნის ცნობილ ფაქტს, რომ ჩვენს მიერ მოხსენებული საიდუმლო იეროგლიფები გვხვდება არა მარტო სირიაში, არამედ მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებშიც, მათ რიცხვში იაზილიყაის კლდეებზე და თურქული სოფლის ბოღაზყიოის მახლობლად ძველ ქვებზე ამოკვეთილი ღმერთების ფიგურების გვერდით.



რელიეფი ხეთური საომარი ეტლის გამოსახულებით.
ჯერაბლუსი (ქარხემიში)

## 3.

ჯერ კიდევ 1834 წელს ფრანგი მოგზაური შარლ ფელიქს მარი ტექ-სიე, შიდა ანატოლიაში მოგზაურობისას, დღევანდელი ანკარიდან რამ-დენიმე დღე-ღამის სავალზე, შემთხვევით წააწყდა რაღაც უცნობი

ქალაქის ნანგრევებს. ეს მოხდა მდინარე ყიზილ-ირმაკის (რომელიც ძველი ბერძნების დროს ცნობილი იყო ჰალისის სახელწოდებით) მოსახვევში მდებარე პატარა სოფელ ბოღაზყიოის მახლობლად.

აქ, ძველი ჰალისის ნაპირებზე, ტექსიე ეძებდა ძველ ტავიუმს. თავდაპირველად დარწმუნებული იყო, რომ იპოვა სასურველი ქალაქი: ერთი შეხედვით ამას მოწმობდა გიგანტური ქვის ლოდები, კედლების ნაშთები.

მაგრამ ტექსიე საკმაოდ დაკვირვებული კაცი იყო და თავიდანვე შეამჩნია ზოგიერთი შეუთანხმებლობა. განსაკუთრებით გააოცა ის ბოღაზყიოიდან დაახლოებით ორი საათის სავალზე ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების დახმარებით აღმოჩენილმა იაზილიყაის „წარწერებიანმა კლდეებმა". ქვების გროვასა და ნაპრალებში მან ნახა ღმერთების, ფრთოსანი დემონების გამოსახულებანი. აღმოსავლური სამოსელითა და წოწოლა ქუდებით. და რაც მთავარია — ქვებზე ამოკვეთილი იყო რაღაც ნიშნები (ფრჩხილებში ვთქვათ — ჩვენთვის უკვე ცნობილი იეროგლიფები). ზოგიერთი ისე კვალწმინდად წაშლილიყო, რომ ძლივსღა ჩანდა, ზოგი კარგად იყო შენახული.

ტექსიემ ჩაიხატა ის ფიგურები, ნიშნები და ქვის ბლოკები, რომლებიც უფრო საინტერესოდ მიიჩნია და პარიზში დაბრუნების შემდეგ ყველაფერი ეს გამოაქვეყნა თავის წიგნში „მცირე აზიის აღწერა". ნაშრომში ის ლაპარაკობდა მეცნიერებისათვის უცნობ რომელიღაც ხალხზე, რომელსაც ბუნებრივი კლდის ქიმზე სახლები და სასახლეები ჰქონდა აშენებული.

მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ტექსიემ არ იცოდა, ისევე როგორც არ უწყოდა ეს ბოღაზყიოიში ერთი წლით გვიან ჩასულმა ინგლისელმა უილიამ ჰამილტონმა, რომელმაც სოფელ ალაია ჰიუიკის მახლობლად ახალი ნანგრევები აღმოაჩინა.

თითქმის მთელი ოცდაათი წლის შემდეგ, 1862 წელს, ორი ფრანგი მკვლევარი გიიომი და პერო ჩავიდნენ ბოღაზყიოიში და შეეცადნენ უფრო საფუძვლიანად გამოეკვლიათ ის. მათ მიაგნეს ბოღაზყიოის მახლობლად ფრიალო კლდეს, რომელიც მთლიანად დაფარული იყო ისეთივე ნიშნებით, როგორც იაზილიყაიში.

ანატოლიის საიდუმლოებით მოცული ძეგლები კვლავ საიდუმლოდ რჩებოდა. და თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი მთლად

მიივიწყეს, მაგრამ სულ მალე შლიმანის სენსაციურმა აღმოჩენებმა სხვა არქეოლოგიური ძიებანი უკანა პლანზე გადაიტანა.

1882 წელს ბოღაზყიოიში ჩამოვიდნენ გერმანელები. გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის მომავალმა ხელმძღვანელმა ოტო პუხშტეინმა და პერგამონის პირველაღმომჩენმა კარლ გუმანმა გეგმაზე დაიტანეს აქაური ნანგრევები. შემდეგ ექსპედიცია დაბრუნდა სირიაში. დაიწყო გათხრები ჩვენთვის უკვე ცნობილ ზენჯირლიში.

ამასობაში, სანამ არქეოლოგები განაგრძობდნენ სირიაში ხეთების ნაკვალევის ძებნას ( და ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც მაშინ ბევრი მეცნიერი დარწმუნებული იყო, რომ ხეთების სამეფო, — როგორც უკვე ვიცით, მას უკავშირებდნენ ნაპოვნ იეროგლიფებსაც, — მდებარეობდა მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოეთ სირიაში), მოხდა კიდევ ერთი გასაოცარი აღმოჩენა.

ნუ დაგავიწყდებათ: ის, რაც დღეს ჩვენთვის წარმოადგენს ურყევ ჭეშმარიტებას, იმ დროს ის-ის იყო გზას იკვალავდა. როდესაც არჩიბალდ ჰენრი სეისმა 1879 წელს დაიწყო მტკიცება, რომ სწორედ ხეთებთან არის დაკავშირებული ბოღაზყიოისა და მცირე აზიაში საიდუმლოებით მოცული აღმოჩენები, არავინ დაუჯერა. რატომ? იმიტომ, რომ იმ დროს ხეთებზე არსებული ცნობები ამოიწურებოდა ძირითადად ბიბლიით, მასზე დაყრდნობით კი ძნელი იყო ხეთებზე წარმოდგენის შექმნა. ბიბლია არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რომ ხეთები ცხოვრობდნენ მცირე აზიაშიც.

მაშინაც კი, როდესაც რამდენადმე მოგვიანებით, საიდუმლოებით მოცული ხალხით დაინტერესებული სეისი და სხვა მეცნიერები შეუდგნენ ხეთების შესახებ ცნობების ძებნას ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, სურათი მთლად ნათელი ვერ გახდა. საბუთები თითქოს ამტკიცებდნენ, რომ ხეთები არც ისე ცნობილი ხალხი იყო. განა იქ არ არის ნათქვამი, რომ ხეთები XV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ვალდებული იყვნენ ხარკი ეხადათ ფარაონ თუთმოსისათვის? განა არ გადმოგვცემდნენ ხეთების წინააღმდეგ სახელგანთქმული რამზეს II-ის ძლევამოსილ ომებზე? მართალია, ბოლოს და ბოლოს ეს ომები დამთავრდა საპატიო ზავით, მართალია, ფარაონმა ხეთების მეფის ასული შეირთო ცოლად, მაგრამ ყველაფერი ეს, ამტკიცებდნენ სკეპტიკოსები, ცოტაა იმისათვის, რომ ხეთები ჩაითვალოს ეგვიპტის ძლიერ მეტოქედ. ამასთან, ხაზს უსვამდნენ ისინი, ასურულ საბუთებში 400 წლის მანძილ-

ზე ხეთებზე ლაპარაკი იყო როგორც ხალხზე, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ პატარ-პატარა ქალაქი-სამეფოები.

მაგრამ 1887 წელს მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. საქმე ისაა, რომ იმ წელს ეგვიპტეში აღმოაჩინეს ეგრეთ წოდებული ტელ-ამარნის არქივი. დღეს ის ფართოდაა ცნობილი მეცნიერებაში, იმ დროს კი ოდესღაც აღმოჩენილი თიხის დაფების ეგვიპტის არქივებიდან ამ ყველაზე დიდი არქივის აღმოჩენა ის-ის იყო იწყებოდა.

„არქივი" ეკუთვნოდა ამენხოტეფ IV, რომელიც ეგვიპტეს მართავდა II ათასწლეულის შუა ხანებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დაფებზე დამწერლობა იყო ლურსმული, ენა გახლდათ აქადური (ბაბილონური) — მაშინდელი აღმოსავლეთის თავისებური „ლათინური" და ისიც კარგად იყო ცნობილი მეცნიერებისათვის. ამიტომ დაფების წაკითხვა, ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენის შექმნა ტექსტების შინაარსზე, არც ისე რთული აღმოჩნდა.

„ღვთისგარეგანი" ფარაონი, რომელიც ცდილობდა დაემხო ეგვიპტური ღმერთების მთელი კრებული და თაყვანი ეცა მხოლოდ ერთი ღმერთისათვის — მზის ღმერთისათვის, თვითონაც წერდა წერილებს, მაგრამ უფრო მეტს ღებულობდა. წერილები ბლომად იყო და მეცნიერებს საშუალება მიეცათ ამოეღოთ იქიდან საკმაოდ ბევრი ცნობა ამენხოტეფისდროინდელი ეგვიპტის საქმეებისა და წინა აზიის მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ აი რა გახლდათ სრული მოულოდნელობა. ტელ-ამარნში აღმოჩენილმა დაფებმა ნათელი მოჰფინეს... ხეთების პრობლემას! არქივში იპოვეს ხეთების ხელისუფალთა ორი წერილი ეგვიპტის ფარაონისადმი და უამრავი მოხსენება ხეთების სამხედრო რაზმების მოქმედების შესახებ ეგვიპტის საზღვრებზე. ამ წერილებიდან ნათლად ჩანდა, რომ ხეთები ძალგულოვანი ხალხი იყო, რომ მათი სახელმწიფო წარმოადგენდა ეგვიპტის ძლიერ მრისხანე მეტოქეს, რომ ეს სამეფო II ათასწლეულის შუახანებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ასეთი ცნობები თავისთავად უკვე საკმაოდ სენსაციური იყო. მაგრამ წერილები ტელ-ამარნიდან კიდევ ერთ რამეს მოწმობდა: შექმნილ მცდარ აზრს, რომ ხეთები ჩრდილოეთი სირიიდან მოსულები არიან. სირიაში ისინი, უდავოდ, ცხოვრობდნენ, მაგრამ ხეთების ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მდებარეობდა არა სირიაში, არამედ მცირე აზიაში!

წერილები ადასტურებდნენ იმას, რასაც ჯერ კიდევ მათ აღმოჩენამდე ამბობდა სეისი: ხეთების სამეფო დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა; ხეთები სირიაში მოვიდნენ ჩრდილოეთიდან.

ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ ხეთების სახელმწიფოს აყვავების ხანაში მისი დედაქალაქიც მცირე აზიაში იყო და არა სირიაში, სადაც მის ძებნას XX საუკუნის დასაწყისშიც აგრძელებდნენ?

XX საუკუნის დასაწყისში ეს არავინ იცოდა. ისევე როგორც არ იცოდნენ ხეთების სამეფოს საზღვრები, მისი ძირითადი ცენტრები და ხეთების ისტორიასთან დაკავშირებული ბევრი რამ.

მაგრამ ახალი აღმოჩენების ჟამი ახლოვდებოდა. და ამ აღმოჩენებში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა გერმანელმა ენათმეცნიერმა ჰუგო ვინკლერმა.

## 4.

XX საუკუნის დასაწყისია. ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ვინკლერი დღითი დღე სწავლობს მის წინაშე მდებარე ორ თიხის დაფას.

უთვალავი წლის არიან ეს დაფები, მათ ალბათ, ბევრი რამ აქვთ მოსაყოლი, რომ გამოჩნდებოდეს კაცი, რომელიც შესძლებდა მათი ენის გაგებას.

საბედნიეროდ, ასეთი არავინ ჩანს. ვერაფერს აკეთებს პრივატ-დოცენტი ვინკლერიც, თუმცა ის ისევე სწრაფად კითხულობს ტექსტებს ასურულ-ბაბილონურ ენაზე, როგორც მისი მეზობელი მოპირდაპირე ბინაში თავის ყოველდღიურ გაზეთს.

ვინკლერის წინაშე მდებარე დაფები ნაპოვნია ტელ-ამარნში თორმეტი წლის წინათ. მასზე ბაბილონური ლურსმული დამწერლობაა. ერთ-ერთ მათგანზე აღნიშნულია მიმღების, ვინმე მეფე არცავას სახელი, მეორეზე ვინმე მთავრისა, რომელიც მმართველად იყო ჩრდილოეთ ქანაანში II ათასწლეულის შუახანებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აი ყველაფერი, რისი გაგებაც მოხერხდა. ტექსტების ენა უცნობია.

ვინკლერმა იცის: აუცილებელია მოთმინება. გამორიცხული არ არის, რომ აღმოჩნდება კიდევ რამდენიმე ასეთი დაფა: ყოველ შემთხვევაში მეტი შესაძლებლობა იქნება შესწავლისათვის, შედარებისათვის, ბოლოს და ბოლოს გაშიფვრისათვის. ვინკლერს კი მათი გა-

შიფვრა ძალიან უნდა. სადღაც, რომელიმე ბორცვის ქვეშ, კედლის სამალავში, მიწაშიც კი დევს კიდევ ამის მსგავსი დაფები.

მაგრამ სად?

ათი წელია ელის ის ახალ დაფებს. დღეებს აღამებს საწერ მაგიდასთან. მაგრამ ამაოდ.

## 5.

გადის კიდევ ერთი წელი, ორი, სამი. ვინკლერს მოთმინება დაეკარგა და გადაწყვიტა თვითონ გაემგზავროს საძებნელად.

ქანაანის ჩრდილოეთით, ძველი ფინიკიის განაპირას 1903—1904 წლებში ეძებს ის არცავის ხალხის კვალს. მას ახლავს თურქეთის მუზეუმის თანამშრომელი ისტანბულიდან.

მაგრამ არცავის ენაზე დაწერილი არავითარი დაფა არ არის. ვინკლერი და მისი თანამგზავრი საერთოდ ვერავითარ საინტერესოს ვერ ნახულობენ.

იმედგაცრუებული და გაბრაზებული ვინკლერი ბრუნდება ბერლინში. რაში სჭირდება ეს არქეოლოგია! არა, რაც არ უნდა მოხდეს, ის, ჰუგო ვინკლერი, აღარ წავა ცხრა მთას იქით, კაცმა არ იცის, რის საძებნელად. დაე, სხვებმა ძებნონ. და როცა იპოვიან, დაუძახონ: ის გაშიფრავს.

## 6.

როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა ვეჩვენოთ, მას მართლაც დაუძახეს. დაუძახა იმან, რომელიც მასთან ერთად უშედეგოდ ეძებდა თიხის დაფებს სიდონში.

მაკრიდი-ბეი — ასე ერქვა მის გამყოლ თურქ მოხელეს.

მაკრიდი-ბეის ახსენდება ვინკლერი იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისტანბულის მუზეუმში მოაქვთ ლურსმული წარწერებით დაფარული თიხის დაფა. ვიღაც მდიდარმა მიწათმფლობელმა იპოვა ის თავის სამფლობელოში და გაგზავნა დედაქალაქში — დაე ბატონმა სწავლულებმა გაარკვიონ, რას წარმოადგენს ის.

მაკრიდი-ბეი გზავნის მას ბერლინში.

ასე ღებულობს ვინკლერი არცავის ენაზე დაწერილ ნანატრ მესამე დაფას.

მოუთმენლობისაგან ვინკლერს წერილის დაწერაც არ სურს. საჭიროა გამგზავრება. გამგზავრება დაუყოვნებლივ.

და პირველი, რაც მან ჰკითხა მაკრიდის მისალმების შემდეგ, იყო:

— საიდანაა დაფა?

— ბოღაზყიოიდან.

მეხუთე დღეს ის და მაკრიდი-ბეი ჩადიან ბოღაზყიოიში.

მათ უჩვენებენ აღმოჩენის ადგილს. სამი დღის შემდეგ ვინკლერი ხდება ოცდათოთხმეტი ხეთური თიხის დაფის ნამტვრევების მფლობელი.

## 7.

1906 წლის ივნისში ვინკლერი აქ იწყებს გათხრებს. მანამდე, ოცი წლის წინათ, ეგვიპტეში, კარნაკში აღმოჩენილ იქნა საინტერესო დოკუმენტი: ხელშეკრულება, რომელიც ხეთების მეფეს დაუდო ფარაონმა რაპზეს II-მ. მასზე გამარჯვების იმედი რომ დაკარგა. ეს ხელშეკრულება ზედ ტაძრის კედელზე იყო ამოკვეთილი.

და წარმოიდგინეთ ვინკლერის გაოცება, სიხარული, აღტაცება, როდესაც ის ბოღაზყიოში პოულობს ამ ხელშეკრულების თავისებურ ასლს: წერილობით ცნობას, ამჯერად გადატანილს დაფაზე.

ტექსტი დაწერილია ბაბილონურ ენაზე და ვინკლერი თავისუფლად კითხულობს მას. ეჭვი არ არის! მის წინაშეა რამზესის წერილი ხეთების მეფე ხატუსილუს II-დმი მათი ორმხრივი ხელშეკრულების შესახებ, ხელშეკრულებისა ეგვიპტესა და ხეთებს შორის, რომელიც დადებულ იქნა ჩრდილოეთ სირიაში კადეშთან ბრძოლის შემდეგ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბოღაზყიოის ქვეშ დამარხულია ხეთების სახელმწიფო არქივი? თუ ხელშეკრულება აქ შემთხვევით აღმოჩნდა?

ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. საჭიროა ახალი მტკიცებანი, ახალი დაფები.

ვინკლერი პოულობს მათ. ბოღაზყიოიში მართლაც ინახება არქივი. იმიტომ რომ ბოღაზყიოი — ეს მართლაც ხათუსასია. ასე ეწოდებოდა ძველად ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქს. ის მდებარეობდა ანატოლიაში, მთებში.

...დღითი დღე იზრდება ვინკლერის ექსპედიციის ნადავლი. კალათებით მოაქვთ მასთან თიხის დაფები. თავაუღებლად ზის ის თავის

კარავში და კითხულობს, კითხულობს, კითხულობს. მართალია, ბევრი რამ არ ესმის, რადგანაც დაფების საკმაოდ ბევრი რაოდენობა დაწერილია არცავის ენაზე. მაგრამ საკმაოდ ბევრია კარგ აქადურ ენაზე დაწერილიც. და თანდათან გვიამბობენ დაფები უხსოვარ დროში მომხდარ ამბებს, გვამცნობენ ხეთების მეფეთა სახელებს, თარიღებს...

ექსპედიციამ ათი ათასი დაფა აღმოაჩინა. ეს არის ცნობების მთელი კრებული ხეთებზე! მათ ცხოვრებაზე, ისტორიაზე, ყოფაზე. მათ მეფეებსა და ომებზე. მათ ქალაქებზე. მთელი მსოფლიოს პრესა ბეჭდავს ცნობებს ამის შესახებ. ბოღაზყიოი სახელგანთქმული ხდება. ვინკლერს უერთდება არქეოლოგიური ექსპედიცია პუხშტეინის ხელმძღვანელობით.

ასე იწყება გათხრები ბოღაზყიოიში, ხეთების დიდი სახელმწიფოს დედაქალაქში.

1913 წელს ვინკლერი გარდაიცვალა. ის ორმოცდაათი წლის იყო.

## 6.

გათხრები კი ბოღაზყიოიში გრძელდება. სიმართლე რომ ითქვას, ეს გათხრები დღესაც არ დამთავრებულა. მაგრამ უკვე მაშინ, ორმოცდაათი წლის წინათ, ნათელი იყო, რომ ხეთების უძველესი დედაქალაქი თავის დროზე წარმოადგენდა ვრცელ, მდიდარ ქალაქს.

იქ აღმოჩენილ იქნა ხუთი დიდი სასახლის ნანგრევები, კედლები და ქონგურებიანი ჭიშკარი, ნაპოვნი იქნა უამრავი კერამიკული ნაწარმი.

თხრობას თუ გავუსწრებთ, უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში გათხრები გაგრძელდა არა მარტო ბოღაზყიოიში. 1907 წელს ბოღაზყიოის ჩრდილოეთით, ეიუკის მახლობლად, აღმოჩენილ და დაზვერილ იქნა ხეთების კიდევ ერთი დიდი ქალაქის ნანგრევები, ხოლო ოცი წლის შემდეგ ალიშარის ბორცვზე მიგნებულ იქნა ციხესიმაგრე, რომელიც მიეკუთვნებოდა ეგრეთწოდებულ ახალხეთურ სამეფოს. ათი წლის შემდეგ გათხრები ჩატარდა იულიუკ-ტელეში, თანამედროვე ნავსადგურის მერსინის მახლობლად. სწორედ აქ აღმოაჩინეს ციხის კედლები, რომლებშიც, ისევე როგორც ბოღაზყიოიში, ჩაშენებული იყო ოთახები.

...ჰამათი, ქარხემიში, ზენჯირალი, ქიულთეფე, ხათუსასი, მერსინი — სირიისა და ანატოლიის რუკაზე ასე თანდათან ჩნდებოდა ხეთების სახელმწიფოს უძველესი ცენტრები. სიტყვამ მოიტანა და, ჩვ. წელ-



ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქის ხათუსასის ჭუჩა.
რეკონსტრუქცია

თაღრიცხვამდე III ათასწლეულში ჯერ კიდევ არ იყო ნათელი ხათუ-სასი, დღევანდელი ბოღაზყიოი, გახდებოდა თუ არა ხეთების სახელ-მწიფოს ცენტრი. იმ შორეულ წარსულში მცირე აზიაში წამყვანი იყო ქალაქი-სახელმწიფოები კანეში (დღევანდელი ქიულთეფე), ნესა და პურუშანდა; ეს უკანასკნელი დღემდე ვერ აღმოაჩინეს. მხოლოდ მას შემდეგ მოიკრიბა ძალები ხათუსასმა, რაც გაფართოვდა ქვეყნის საზ-ღვრები.

და ხეთების სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე ქარხემიში და ალეპო რჩებოდა ხეთების საყრდენ პუნქტებად, რომლებიც მათი სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ.

...დღეს სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში შეგვიძლია წა-

ვიკითხოთ, რომ ხეთები — ტომებისა და ხალხების საერთო სახელწოდებაა, რომლებიც ცხოვრობდნენ მცირე აზიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში და ჩრდილოეთ სირიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე II და I ათასწლეულის დასაწყისში. სახელწოდება „ხეთები" თავდაპირველად ეკუთვნოდა ტომებს თუ ხათის ტომს, ეგრეთწოდებულ პროტოხეთებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ყიზილ-ირმაკის მოსახვევში და მხოლოდ II ათასწლეულის შუახანებში ეწოდა ეს სახელი ხეთების სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას. ის დააარსეს ინდოევროპულმა ტომებმა, და თავდაპირველად იქ ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე — პროტოხეთურზე, ფალაურზე, ლუბიურსა და ნეხიტურზე. ხეთების უძველესი სახელმწიფოს შექმნა მიეკუთვნება XVIII საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეგოეთწოდებულ ახალი სამეფოს დასაწყისიდან შლის მთელ თავის ძალებს ხეთების სახელმწიფო, რომელმაც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დააშხო მიტანის სამეფო და დაიპყრო სირიის ქალაქი-სახელმწიფოები, შემდგომ საუკუნეებში კი თავისზე დამოკიდებული გახადა მთელი რიგი სამეფოები.

ვიცით, რომ ხეთების სახელმწიფო დაინგრა XII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ვიცით მათი მეფეების სახელები და გადახდილი ომების თარიღები, ხეთური კანონები, წარმოდგენილი გვაქვს ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობა.

აქ არ არის საჭირო თავისი დროისათვის ამ ძლიერი და ვრცელი სახელმწიფოს ისტორიის წვრილმანებში ჩაწვდომა. ისინი, ვინც ისტორიის ამ დეტალებით დაინტერესდებიან, შეუძლიათ ხეთების ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, მისი ეკონომიკის, მათი დღესასწაულების და მსხვერპლშეწირვის, ყოფისა და სარწმუნოების, შინაგანი ისტორიის შესახებ წაიკითხონ სხვა წიგნებში. ეს ცნობები ვრცელი და სარწმუნოა, რადგანაც ისინი დასაბუთებულია. მეფეთა წარწერები და ხეთების მეფეთა ხელშეკრულებები, საბუთები მიწების ჩუქების შესახებ და კადასტრული ჩანაწერები, შელოცვები და შეკითხვები ქურუმებისადმი არა მარტო ხეთურ, არამედ ასურულ, ეგვიპტურ ენებზეც, — ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს სერიოზულად გავიღრმაოთ ცოდნა ხეთების შესახებ.

მთავარი როლი აქ ითამაშა აღმოჩენებმა ბოღაზყიოიში. აღმოჩენილ იქნა უძველესი ხეთური ქალაქების ნანგრევები, ანატოლიის უძველეს მოსახლეთა შრომისა და საბრძოლო იარაღები, მორთულო-

პის საგნები, ძველი ხეთური ხელოვნების ძეგლები, შესწავლილ იქ-ნა დედაქალაქის ნაშთები.

...თუ ჩვენ ვიცით, რომ ხეთებს, ეგვიპტელების საპირისპიროდ, არ უყვარდათ თმის მოკლედ შეჭრა ან თავის გადაპარსვა და რომ სა-ხელმწიფოს გაფურჩქვნის პერიოდში ხეთების მეფეები ისევე გულ-მოდგინედ იპარსავდნენ თმასა და წვერს, როგორც დღეს ჩვენ, ხოლო მოგვიანებით იყენებდნენ წვერს, ისევე როგორც ჩვენი მამა-პაპანი; თუ ჩვენ ვიცით ისიც, რომ ხეთი ქალები იცვამდნენ განიერ, ალბათ, დაფენილ ქვედატანს, განიერი ქამრით და თავისებურ ბლუზებს, ზემო-დან კი იხურავდნენ მჭიდროდ ნაქსოვი მაუდის რაღაც მანტიის მაგვარს, ხოლო მამაკაცებს ეცვათ გრძელი უსახელოებო კამზოლები: თუ ისიც ცნობილია, ჩვენთვის, რომ პურეულის გარდა, ხეთები საკვებად იყენებ-დნენ ხორცს, თაფლს, რძეს, რძის პროდუქტებსა და ბოსტნეულს (ღვინო და სადღესასწაულო ღვეზელები ღმერთისთვის იყო განკუთვნილი); თუ დღეს ვიცით, რომ ხეთურ სახლებში არ იყო დარბაზი და შემოსასვლე-ლი ოთახი, რომ ისინი შედგებოდა ერთმანეთთან მიდგმული რამდენი-მე შენობისაგან, ხოლო ერთსართულიან და არაიშვიათად ორსართუ-ლიან სახლებს ჰქონდათ ხის ან თიხის ბრტყელი სახურავები, — თუ, ვიმეორებ, ჩვენთვის ცნობილია ყველაფერი ეს და ბევრი სხვა რამ წვრილმანი, საბოლოო ჯამში, სწორედ არქეოლოგებმა მოიპოვეს!

## 9.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ხეთების დამწერლობას. იმ საბუთე-ბის ენას, რომლებიც ვერ ამოიკითხა ვინკლერმა ვერც ბოღაზყიოიში, ვერც ბერლინში. და საიდუმლოებით მოცულ იეროგლიფებს, რომ-ლებსაც თავის დროზე ხარანის რაიონში წააწყდნენ მონდრელი და ლა როკი, ხოლო მათ შემდეგ სხვა მეცნიერები ხეთების ყოფილი სა-ხელმწიფოს სრულიად სხვადასხვა კუთხეში. დავუბრუნდეთ იმიტომ, რომ არქეოლოგიური ძიებანი ანატოლიაში და ხეთების დამწერლობის გაშიფვრის პრობლემები მჭიდროდ ჩაეხლართა იმ ისტორიას, რომელ-საც მისდაუნებურად საფუძველი ჩაუყარა ტექსიემ.

მაგრამ სანამ გავაგრძელებდეთ თხრობას, მინდოდა კეთილად მო-მეხსენებინა მეცნიერების ის საოცარი მოსაგრეები, რომელთა შრომას უნდა ვუმადლოდეთ ძველი წერილობითი ძეგლების გაშიფვრას. მარ-თლაც და რა უნდა ყოფილიყო ჩვენი ცოდნის დონე, რომ ამ მამაც,

პრინციპულ ადამიანებს ხელი არ მოეკიდებინათ თითქოსდა უიმედო ამოცანის გადაჭრისათვის. ამოცანის ამოხსნა კი გულისხმობდა: მივიწყებული წერილობითი ძეგლების საიდუმლოს ამოცნობას, მათი შინაარსის გაცოცხლებას, მათ ამეტყველებას და შტრიხებისა და გამოსახულებების სიმბოლოებით გასაიდუმლოებული ინფორმაციის გადმოცემას. რა ვიცოდით ამ სამოციოდე წლის წინათ სეისამდე და ვინკლერამდე ხეთების შესახებ? რა გვეცოდინებოდა შამპოლიონის გარეშე ეგვიპტის შესახებ? სმიტისა და სხვათა გარეშე ბაბილონზე? ამ ადამიანებმა აიძულეს აემეტყველებინათ ათი ათასობით საბუთი — წარსულის ფასდაუდებელი მოწმეები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მივიწყებული წერილობითი ძეგლების გაშიფვრა, აღდგენა გამჭრალი ენებისა, ჯერ კიდევ მაშინ კარგა ხნის მკვდარი ენებისა (როდესაც ლათინური ენა ის-ის იყო გაჩნდა მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე), ისე დავიწყებული ენებისა, რომ მათი არსებობა ამ ასორმოცდაათიოდე წლის წინათ მთელ მსოფლიოში აზრად არავის მოუვიდოდა, — ეს, რა თქმა უნდა, XIX—XX საუკუნეების ადამიანების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა.

## 10.

ჩვენ უკვე საუბარი გვქონდა: ბოღაზყიოი, უფრო სწორად ბოღაზყიოის აღმოჩენა, წარმოადგენდა თავისებურ გასაღებს ხეთების ისტორიის აღდგენაში. მაგრამ ეს გასაღები ეშმაკური იყო.

პარალელურად ორი პროცესი მიმდინარეობდა: პირველი, უფრო ადვილი—წაკითხვა, საბედნიეროდ, იმ მრავალრიცხოვანი დოკუმენტებისა, რომლებიც დაწერილი იყო აქადურ ენაზე, იმ უძველესი დროის დიპლომატიისა და მეცნიერების ენაზე. ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. აქადური ენა საკმაოდ კარგად იცოდნენ მეცნიერებმა.

მაგრამ არსებობდა სხვა ტექსტებიც. ეს იყო იგივე ლურსმული წარწერები. . მაგრამ ენა გახლდათ უცნობი.

ამრიგად დაიწყო მეორე პროცესი: გაუგებარი ტექსტების ინტერპრეტაცია. თანამედროვე ენათმეცნიერებაში სწორედ ეს ტერმინი იხმარება იქ, სადაც დამწერლობა გასაგებია, მაგრამ ენა არის უცნობი. ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით იმ მრავალწლოვანი ძიების პერიპეტიების განხილვას, რომელშიც უამრავი მეცნიერი იღებდა მონაწილეობას: ეს ამ წიგნის საზღვრებს დიდად დაგვაშორებდა. ვიტყვით

მხოლოდ იმას, რომ ინტერპრეტაციას, თანაც მტკიცე, დასაბუთებულ ინტერპრეტაციას საფუძველი ჩაუყარა შესანიშნავმა ჩეხმა მკვლევარმა ბედრიხ გროზნიმ. ჯერ კიდევ 1913 წელს ის დაინტერესდა ბოღაზყიოის თიხის დაფებით და შესძლო დაემტკიცებინა, რომ ხეთური ფრაზა „Nu ninda — an ez zateni vâdar-ma ekutteni“ ნიშნავს „ახლა თქვენ ჭამთ პურს და სუამთ წყალს“.

ეს კაცი, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა იმისათვის, რომ ამოეცნო ბოღაზყიოის ტექსტების საიდუმლო, ფენომენალური ცოდნითა და ნებისყოფით იყო დაჯილდოებული. სწორედ მას გააჩნდა ის კეთილშობილური ჟინი, ურომლისოდაც შეუძლებელია აღმოჩენები მეცნიერებაში და რომელსაც ხშირად უწოდებენ სიტყვა „შეუპოვრობას“.

მაგრამ სიტყვა მივცეთ თვით მკვლევარს. აი რას წერდა ის მოხუცებულობის ჟამს, 1947 წელს, უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი: „მე იმ აზრისა ვარ, რომ მეცნიერების იმ სფეროში, რომელშიც მე ვმოღვაწეობ — ენებისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კვლევის სფეროში, — არ არსებობს ისეთი მეცნიერული პრობლემა, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლებოდეს. ყოველ წარწერას, ყოველ ტექსტს, თვით ყველაზე საიდუმლოებით მოცულს, აქვს თავისი აზრი. მაშასადამე, საჭიროა მუშაობა, სანამ ეს აზრი ნათელი არ გახდება. მე ვკითხულობ წარწერას, შეიძლება ორასჯერ ან სამასჯერ, და ვცდილობ მოვძებნო აქილევსის ის ქუსლი, არქიმედის ის წერტილი, რომელიც რანაირი სუსტიც არ უნდა იყოს, დამეხმარებოდა ბედის გადაწყვეტაში... მე ვცდილობ ჩავწვდე მათ აზრს, ჩემით არაფერი არ შემაქვს, საშველად ვუხმობ ინტუიციას და ძველი ტექსტების გაგებასა და ცოდნას, რომლებიც შევიძინე მუშაობის მრავალი წლის მანძილზე“.

ბედრიხ გროზნიმ გზა გაკვალა. შეიძლება გატაცებით მუშაობის დროს მან რაღაც შეცდომებიც კი დაუშვა — მათი ნაწილი თვითონვე გაასწორა, ზოგი სხვემა შეასწორეს, მაგრამ საერთო ხაზი სწორი იყო.

ყველაზე საინტერესო დასკვნა ის გახლდათ, რომ ენა, რომლითაც ეს დოკუმენტები იყო დაწერილი... მიეკუთვნებოდა ინდოევროპული ენების ჯგუფს, ე. ი. იმ დიდსა და უკვე დიდი ხნის წინათ ცნობილი ენების ოჯახს, რომლებსაც მიეკუთვნება სლავური, ინდური, ირანული, გერმანული, რომანული.

ასე მოხდა ეს ფუნდამენტალური აღმოჩენა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერების, ისე ისტორიკოსებისათ-

ვის, რადგანაც ის შუქს ჰფენს ხეთების წარმოშობისა და ნათესაური კავშირების პრობლემებს.

ისიც გაირკვა, რომ ლურსმული ნაწერების ენა არაერთგვაროვანი იყო. მასში იგრძნობოდა სულ ცოტა ორი სხვა ინდოევროპული ენის ლუბიურისა და ფალაურის არსებობა. მაშასადამე, XVI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც დგებოდა მეცნიერების მიერ შესწავლილი ჩვენს დრომდე მოღწეული ხეთების კანონების ყველაზე ადრეული ვარიანტი, ხეთების სახელმწიფოს სამი ძირითადი ნაწილი იყო „ხეთების ქვეყანა" (მცირე აზიის ცენტრში), ლუბია (მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით) და ფალა (მცირე აზიის ჩრდილოეთით თუ აღმოსავლეთით).

ამგვარად ინტერპრეტაციამ ბოღაზყიოის იმ ტექსტებისა, რომლებიც დაწერილი იყო ხეთების მიერ, თუმცა, იმავე ნასესხები ლურსმულით, მაგრამ საკუთარ ენაზე, ამ ხალხის ისტორიის სრულიად ახალი ასპექტები გადაგვიშალა.

საიდან მოვიდნენ ხეთების ინდოევროპული ტომები?

დღემდე დაობენ მეცნიერები იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი ქვეყნიდან და რა გზით მოვიდნენ. ის, რომ ანატოლიაში ისინი ჩრდილოეთიდან არიან მოსული, დღეს ყველასგან აღიარებულია. შესაძლებელია შავი ზღვიდან ან კასპიის ზღვიდან მოვიდნენ. ჩვენთვის საიდუმლოებით მოცული „ხეთების ზღვა" შეიძლება ვანის ტბა იყოს. და რამდენადაც შეიძლება მსჯელობა, მეტნაკლებად მშვიდობიანად შეერივნენ ადგილობრივ ტომებს, რომელთა შორის მრავლად იყვნენ უფრო ადრე მოსული ინდოევროპელები.

...შემდეგ კი, დაახლოებით 1900 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე სხვადასხვა რაიონში ბინადარ ცხოვრებაზე გადადიან ტომობრივი კავშირები, იქმნება პატარ-პატარა ცალკეული სამთავროები — კუშერში, ნეტეში, ხათუსასში. ყველა ესენი, მუდმივი ომებით რომ იმტკიცებენ ძალაუფლებას, რაც უბრალო მიწათმოქმედებს აწევს ტვირთად და ძარცვა-გლეჯასა და მძლავრობას ეყრდნობა, არიან წვრილ-წვრილი მთავრები, ანიტა, პტიუშტა და სხვ., რომელთა სახელები, ადრე რომ არავინ იცოდა, გახსნეს ბოღაზყიოის ტექსტებმა. დაახლოებით 1640 წელს კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეფე ტაბარნა იპყრობს კაბადოკიაში რამდენიმე ოლქს, თავის თავს „დიდ მეფეს" უწოდებს და ამტკიცებს, რომ მისი სახელმწიფო ბაბილონის ტოლია.

ასორმოცდაათი წლის შემდეგ მურშილ I ხეთი უკვე ჩრდილოეთ

სირიისა და მესოპოტამიისაკენ მიიწევს, მოულოდნელად იღებს ბაბილონს. თუმცა მან ვერ შესძლო ბაბილონის შენარჩუნება, შეიძლება არც სურდა და ბაბილონზე გალაშქრება უფრო მეტოქეთა დასუსტებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების სურვილი იყო. მაგრამ ეს გალაშქრება იმას მოწმობდა, რომ ხეთურ ტომთა კავშირი რეალურ ძალად იქცევა, რომ სწორედ კაბადოკიაში, როგორც შემდგომ VII—VI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწოდებოდა ხეთების თავდაპირველი დასახლების ოლქი, იზრდება ის მრისხანე ძალა, რომელსაც ეგვიპტელები ძალაუნებურად, სავსებით სერიოზულად ანვარიშს უწევენ.

...„მიწები და ნადავლი!“—ამ ლოზუნგით ზვავივით დაიძრნენ ხეთები მტრისაკენ — ანკისა და არცავის ქვეყნისაკენ — ამხედრებულნი თავიანთ სამცხენა საბრძოლო ეტლებზე, რომლებზეც სამ-სამი კაცი იჯდა. სამხრეთით, დღევანდელი ხამათუსა და კადეშისაკენ, უფრო შორს, იორდანიისაკენ, აღმოსავლეთით — ტელ-ხალაფუსაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლამის თანამედროვე სომხეთის ტერიტორიამდე, დასავლეთით — დღევანდელი ანკარის ,ივრიზის, მერსინის იქით— სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა საზღვრები. სულ უფრო და უფრო მეტი თავისუფალი ხალხი ექცეოდა ხეთების ბატონობის ქვეშ.

რასაკვირველია, ამას ახლდა იძულებითი მასობრივი გადასახლებები, მთელი ხალხების გახიზვნა — ზოგს ძირითადი ტერიტორიების სიღრმეში ასახლებდნენ, ზოგს — დაპყრობილ მიწებზე.

„მიწები და ნადავლი!“ — ამ ლოზუნგით ორნახევარი საუკუნის განმავლობაში, დაწყებული XV საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხეთები აწარმოებენ განუწყვეტელ ომებს — ჯერ მიტანელებთან, შემდეგ კი, როგორც უკვე ვიცით, ეგვიპტესთან. ამ ომებს ხან გამარჯვება მოჰქონდა, ხან დამარცხება. ეგვიპტე არაერთხელ გახდა იძულებული უკან დაეხია ხეთების ჯარების წინაშე. რად ღირს თუნდაც ეგვიპტის დედოფლის, იმ ცნობილი ტუტანჰამონის ქვრივის წერილი, რომლის სამარხი 1924 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა მეცნიერმა კარტერმა. ამ წერილში დედოფალი თხოვდა ხეთების მეფეს სუპილიუმს დაებრუნებინა მისთვის ვაჟიშვილი „ჩემთვის ის ქმარი იქნება, ქვეყნისთვის კი მეფე“-ო. ხოლო როდესაც მეფემ დააყოვნა თხოვნის შესრულება და ჯერ დასაზვერად ერთ-ერთი კარისკაცი გაგზავნა, გაბრაზებულმა დედოფალმა კიდევ ერთი წერილი აახლა სუპილიუმს: „რატომ გგონია,

რომ გატყუებ? განა უცხო ქვეყნელს მივწერდი ამას, რომ გაჭირვება არ მაიძულებდეს? ჩემი ქმარი მკვდარია... რა ვქნა, ჩემს მსახურს ხომ ვერ მივთხოვდები?".

## II.

ფიქრობენ, რომ ხეთების მეფეების ბატონობა არ იყო ისეთი დესპოტური, როგორც შუმერთა მეფეების ბატონობა, როგორც ფარაონების შეუზღუდავი ხელისუფლება. მაგრამ მიწათმოქმედი და მესაქონლე აქაც უკეთესად ვერ ცხოვრობდნენ. აქაც, ისევე როგორც მოსაზღვრე სახელმწიფოებში, გლეხებს უნდა გაეთოხნათ მიწა, უზრუნველეყოთ სასახლე თივით, მატყლით, საწვავით, მარცვლეულით, ურმებით, წვრილფეხა პირუტყვით, გამოეკვებათ შიკრიკები. გარდა ამისა, სრულდებოდა სამუშაოები ოლქის უფროსისათვის, სასაზღვრე პუნქტის, ქალაქის უფროსებისათვის — და განა ცოტა იყვნენ ეს უფროსები, მიწის მუშას რომ ასხდნენ კისერზე. და თუ აქ, თავისუფალთა მიმართ კანონები შედარებით უფრო რბილი იყო, ვიდრე შუმერთა სახელმწიფოში, სამაგიეროდ ეს კანონები საოცრად მკაცრი იყო მონების მიმართ.

...ბორცვებზე, რომლებსაც გარს ეკრა ქვით შემოწყობილი მიწაყრილები და მრავალკილომეტრიანი ქვის კედლები, ციხესიმაგრეებში ცხოვრობდა ხეთების მაღალი საზოგადოება. ხალხი ცხოვრობდა რაბათებსა და სოფლებში. სულ უფრო და უფრო მეტი ასეთი ქალაქი (ხშირად ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ცენტრები) აღმოცენდებოდა ხოლმე ხეთების მიერ დაპყრობილ ოლქებში. ფულს კი არამარტო ომი, არამედ ვაჭრობაც იძლეოდა — ხეთების სახელმწიფო ხომ ხელსაყრელ საერთაშორისო გზებზე მდებარეობდა.

და თუ დაპყრობილ ოლქებში სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა ხეთების გავლენა, თუ, უდაოდ, კანონმდებლობის, მშენებლობის და ხელოსნობის სფეროებში ხეთების გავლენა დიდი იყო, — ხეთებმაც თავის მხრივ დაპყრობილი ხალხებისაგან ბევრი რამ ისწავლეს და გადმოიღეს. მათ შორის ხურიტებისაგან — ტომებისაგან, რომლებიც მოსახლეობდნენ ჩრდ. მესოპოტამიასა და სირიაში და სხვებისაგან, რომელთა ნადავლისა და ტრადიციების განადგურებას ისინი არასოდეს არ ცდილან.

სხვა ბევრი რამის გარდა ამას მოწმობს ლურსმული დამწერლობა.

ხეთებმა ის გადაიღეს ჩრდ. სირიიდან ან ჩრდ. მესოპოტამიიდან, ბაბილონელებისგან. და ამით მნიშვნელოვნად შეუმსუბუქეს შრომა XX საუკუნის მეცნიერებს.

თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ლურსმული დამწერლობის ფესვები უფრო შორს — შუმერთა ქალაქის ურას მესამე დინასტიის ხანაში უნდა ვეძიოთ.

## 12.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყველაფერი ნაპოვნია და საქმე უკვე გაკეთებულია? სრულიადაც არა. ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარებს თურქეთის, სირიისა და სხვა ტერიტორიებზე მდებარე ხეთების სახელმწიფოს მრავალი ოლქი. ჯერაც გაცხარებული დავაა მეცნიერებს შორის, რომლებიც თავგამოდებით სწავლობენ ხეთების სახელმწიფოს დიდებისა და დაცემის ისტორიას. ისევ გრძელდება ძიებანი იმ ადგილებში, რომლებიც კლასიკურ ადგილებად იქცნენ ხეთოლოგებისათვის — ქარხემიშში, ბოღაზყიოიში და სხვ. დედამიწის წიაღში ხან სად და ხან სად გამოჩნდება ხოლმე დღეს უკვე ცნობილი ხეთური ნანგრევები.

...X საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მის დასაწყისში ფერფლად იქცა ხათუსასი. ხეთების სამეფო დაიშალა. ბოღაზყიოიში აღმოჩენილი არქივი არაფერს ამბობს შემდგომი დროის ამბებზე. მაგრამ დღეს ჩვენ უკვე ვიცით: სახელმწიფო ნანგრევებზე შეიქმნა გვიანხეთური სამთავროების მთელი ჯგუფი. კავშირებად გაერთიანებული ეს სამთავროები ზოგჯერ ახერხებდნენ თავისი დამოუკიდებლობის დაცვას ასურეთის შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლაში...

გათხრების დროს ნაპოვნი ძეგლები, ტექსტები, წარწერები გვეხმარებიან დღეს იმის გარკვევა-გაგებაში, რაც ამ ოცდაათიოდე წლის წინათაც კი შეუცნობლად ითვლებოდა. და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს უბრალო ჭეშმარიტებას: „საქმეს ოსტატი მოუვლისო“. მეცნიერების თანამედროვე მიღწევებითა და ტექნიკით შეიარაღებული სწავლულები მეთოდურად და წარმატებით განაგრძობენ ძიებას.

და აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მათ შეძლეს საკმაოდ ახლო მისულიყვნენ ხეთური იეროგლიფების საიდუმლოს ამოხსნასთან, იმ იეროგლიფებისა, რომ-

ლებმაც თავის დროზე დააინტერესეს მანდრელი, ლა როკი და სხვები და რომლებიც შესაძლოა ეგვიპტური იეროგლიფების გავლენით შეიქმნა.

## 13.

გახსოვთ ალბათ, ჩვენ ვლაპარაკობდით, საუბედუროდ, იეროგლიფურ ტექსტებს შორის ორენოვანი წარწერები არ აღმოჩნდაო. ეს მთლად სწორი არაა, ანდა უფრო სწორია გარკვეული პერიოდისათვის. ძალიან პატარა ორენოვანი წარწერა ბოლოს და ბოლოს მაინც იქნა აღმოჩენილი. მოხერხდა ზოგიერთი ნიშნის მნიშვნელობაში გარკვევა, მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ იეროგლიფური წარწერების ენა ინდოევროპულია. მაგრამ რომელი? ორენოვანი წარწერა — ის ვერცხლის პატარა დისკოზე იყო შესრულებული — ძალზე მოკლე აღმოჩნდა, ძალიან მცირე ნიშნებს შეიცავდა, რათა პასუხი გაეცა ამ კითხვაზე. მართალია, გერმანელმა არქეოლოგმა კურტ ბიტელმა 1934 წელს იმავე ბოღაზყიოიში აღმოაჩინა 300-მდე თიხის ბეჭედი, რომელთაგან ორასი მაინც ორენოვანია, საბოლოო დასკვნებამდე მაინც შორი გზა იდო. ძირითადად იმიტომ ,რომ მასალა კვლავ მცირე იყო: ბეჭედი მაინც ბეჭედია, ნიშნების დიდ რაოდენობას მათზე არ უნდა ელოდო. აღმოაჩინეს რამდენიმე ახალი მონაცემი, კერძოდ, მოხერხდა ხეთების ოთხი მეფის სახელების იეროგლიფების წაკითხვა. მაგრამ შემდეგ... შემდეგ ყველაფერი შეფერხდა, თუმცა ბევრი მახვილგონივრული განმარტება და წინადადება იქნა წამოყენებული. საჭირო იყო მათი შემოწმება, მაგრამ რასთან შეემოწმებინათ?

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც 1945 წლის ზაფხულის ბოლოს იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ჰელმუტ ბოსერტმა სტამბულის უნივერსიტეტის დავალებით სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში მოგზაურობის დროს ადგილობრივ მომთაბარეთაგან შეიტყო რაღაც „ლომის ქვის“ არსებობის შესახებ სადღაც პატარა ქალაქ კადირლის ახლოს.

ბოსერტმაც და მისმა ასისტენტებმაც ჰალეტ ჩამბალმა და მუხიტე დარტამ ყურები ცქვიტეს. მათ კარგად იცოდნენ: ლომი ხეთების ერთ-ერთი საყვარელი სიმბოლური ცხოველი იყო. იქ, სადაც არის ლომების გამოსახულება, ხეთების ნაკვალევი უნდა ეძიო.

ბოსერტმა საქმე აღარ გადადო და 1946 წლის თებერვალში ამ ქვის საძებნელად გაემართა.

შეიძლება ეს ქვა სულაც ვერ ენახა, რომ ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები არ დახმარებოდა. სხვებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ „ლომის ქვაზე“.

სხვათაშორის, როგორც შემდეგში გამოირკვა, ქვაზე გამოკვეთილი იყო არა ლომი, არამედ ხარი. მაგრამ ძეგლი ნამდვილად ხეთებს ეკუთვნოდა.

ეძებდნენ მას მთაგრეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე, რომელსაც ყარათეფე ერქვა, რაც „შავ მთას“ ნიშნავს. „ლომის ქვა“ ქანდაკების ზეძირკველს წარმოადგენდა და თვითონ ის ქანდაკება, უდავოდ, ხეთური, თუმცა ძალზე დაზიანებული, იქვე ეგდო. ბოსერტმა მასზე გაარჩია სემიტური წარწერა. იქვე ახლოს კი, იმავე ყარათეფეში, მან იპოვა რამდენიმე ამოკვეთილი ხეთური იეროგლიფი.

სემიტური წარწერა — და ხეთური იეროგლიფები წარმოიდგინეთ ბოსერტის მოუთმენლობა: ასეთი შერწყმა ბევრის აღმთქმელი იყო.

ძიების გაგრძელება მან მხოლოდ მომდევნო წელს შესძლო. თავის თურქ ასისტენტებთან ერთად ის კვლავ ეწვია ყარათეფეს და ერთი თვის განმავლობაში იქ არქეოლოგიურ გათხრებს ეწეოდა. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გამოირკვა, რომ ყარა-თეფეში „ლომის ქვა“ სულაც არ იყო ერთადერთი. იყო სხვა ქვებიც და ისინი იმას მოწმობდნენ, რომ ოდესღაც იქ იდგა ციხესიმაგრე. ციხესიმაგრის შიგნით არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ტაძრისა თუ სასახლის კედლები, წარმატება დააგვირგვინა კარგად შენახული ორთოსტატების (მოსაპირკეთებელი ფერადი ფილების) აღმოჩენამ, რაც აგრე დამახასიათებელი იყო ხეთების ხუროთმოძღვრებისათვის. მათზე, რელიეფების გარდა, შემორჩენილია წარწერები ფინიკიურ ენაზე და იქვე — ხეთური იეროგლიფები!

ასე მიიღო მეცნიერებამ თავის განკარგულებაში დიდი ხნის ნანატრი „გრძელი“ ორენოვანი წარწერა. სიტყვას დავიწინაურებთ და ვიტყვით, რომ ამ აღმოჩენის წყალობით მოხერხდა იეროგლიფების გაშიფვრის საქმის წინ წაწევა. ენა, რომელზეც ისინი წერია, — ლუბიური ენის ახლო მონათესავეა, და თუმცა ბევრი რამ გაუგებარი დარჩა, ხეთური, ან შესაძლოა უფრო სწორად — ლუბიური, იეროგლიფური ტექსტების წაკითხვა დღეს შესაძლებელია.

და კიდევ ერთი რამ. დღეს შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ხეთების დიდი სახელმწიფოს არსებობის მთელი ხუთასი წლის მანძილზე ლურსმული დამწერლობა და იეროგლიფები მშვიდობიანად



ორთოსტატები ყარათეფედან რელიეფებით და ფინიკიური წარწერით.

არსებობდნენ ერთმანეთის გვერდით. მაგრამ ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა ძირითადად როგორც მონუმენტური, წერა-კითხვის მცოდნეთათვის გასაგები და დეკორაციული დამწერლობა.

ძიება ყარათეფეში გრძელდება.

1957 წელს მეორე მკვლევარმა კ. ბიტელმა აღმოაჩინა კიდევ ერთი არქივი, ამჯერად ბიუკალეში, რომელიც შეიცავს ცნობებს ძველ ხეთურ პერიოდზე.

## 14.

მას შემდეგ, რაც კლდეებში გამოკვეთილმა მეფეებისა და ღმერთების გამოსახულებებმა, უცნაურ იეროგლიფებით დაფარულმა ძველი ქვის კედლების ნაშთებმა აიძულა მეცნიერები მიჰყოლოდნენ უცნობი ცივილიზაციის კვალს, არც ისე ბევრი დრო გავიდა. წარმატება კი ხელთაა. იზრდება არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ყოფილი ხეთური ქალაქების რიცხვი, უფრო მეტ ცოდნას ღებულობს მეცნიერება ძველ სახელმწიფოზე, რომელიც აყვავების ხანაში ფლობდა მნიშვნელოვან ტერიტორიებს ანატოლიაში, სირიაში, ჩრდ. მესოპოტამიაში. სახელმწიფო-

ზე, რომელიც წინა აზიაში ეგვიპტესა და ასურეთ-ბაბილონთან ერთად უდიდეს სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ხეთური კულტურის, შესაძლოა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხეთურ-ხურიტული კულტურის შესწავლა გვშველის გავარკვიოთ მრავალი მოვლენის სათავეები თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციაში. და კულტურული მონაპოვრების ეს მემკვიდრეობითობა, რომელმაც ალბათ გავლენა მოახდინა კრეტა-ეგეოსის სამყაროზეც, ირანზეც, ამიერკავკასიისა და სამხრეთ რუსეთის კულტურაზეც, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ხეთების სახელმწიფოს როლი მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში საკმაოდ დიდი იყო.

დღეს არქეოლოგების ყურადღება მიმართულია უპირატესად ხეთების სახელმწიფოს ისტორიის შედარებით „ბნელით მოცულ" პერიოდებზე — დაცემის დროზე და მეზობლების მიერ მისი ტერიტორიის დაპყრობაზე, აგრეთვე მისი განვითარების სათავეებზე, შედარებით ადრეულ საუკუნეებზე. ცდილობენ რა ღრმად ჩასწვდნენ ხეთების ისტორიას, რათა აღმოაჩინონ ადამიანთა უძველესი დასახლებები, არქეოლოგები თხრიან მრავალსაუკუნოვან ფენებს.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა კიდევ ერთი, სულ ახალი აღმოჩენა. თუმცა, ერთი შეხედვით, მას არცა აქვს ხეთების ისტორიასთან უშუალო კავშირი.

## 15.

შეისწავლეს რა ხეთების ისტორია, სპეციალისტები უკვე კარგა ხანია იმ აზრს იზიარებენ, რომ ამ ცივილიზაციას ანატოლიაში უეჭველად წინ უძღოდა უფრო ადრეული ცივილიზაცია. მაგრამ მათი ნაკვალევის აღმოჩენა ვერ შეძლეს. ამიტომაც ყველგან, სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო შრომებში, ახლახან ლაპარაკი იყო, რომ ანატოლიაში პირველი დასახლება მიეკუთვნება დახლოებით III ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

დღეს ეს ცნობები უკვე მოძველებულია.

კაცი, რომელმაც ანატოლიის ისტორიას სულ ცოტა ოთხი ათასი წელი მაინც მიუმატა, გახლავთ ჯემს მელაარტი. დღეს ის არქეოლოგიის პროფესორია. მაგრამ 1956 წელს, არქეოლოგიური ძიებების დაწყებისას, ის ახალგაზრდა და ძალზე გამოცდილი ასპირანტი იყო. ბოლოს თვითონვე აღიარა, რომ ძიების დაწყებისას სულაც არ ვარაუდობდა

ასეთ სენსაციურ შედეგს. უბრალოდ უნდოდა შეემოწმებინა, მაინც რა იმალებოდა სოფელ ხასიდარის ახლოს პატარა ბორცვის ქვეშ, რომელზეც უამბო ბურდურში ყოფნისას ერთმა ადგილობრივმა მასწავლებელმა. ბორცვი პატარა იყო. დიამეტრი 130—140 მეტრი ექნებოდა, სიმაღლე ხუთი მეტრი. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში სოფლის მცხოვრებლები უკვე პატარ-პატარა აღმოჩენების მომსწრენი იყვნენ.

მელაარტი შეუდგა გათხრას. მაშინ გამოირკვა, თუ რატომ არის ბორცვი დაბალი. ჩვეულებრივ თუ რომელიმე დასახლებული პუნქტი მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილზე რჩება, მაშინ მიწის დონე მის ქვეშ თანდათან მაღლდება იმისდა მიხედვით, როგორ გროვდება ყოველგვარი ნაგავი, რომელსაც არქეოლოგები პატივისცემით „კულტურულ ფენას“ უწოდებენ. მაგრამ დასახლების ცენტრი აქ თითქმის არ აწეულა. იმიტომ რომ ყოველი ხანძრის, მტრების შემოსევების და სხვა უბედურებათა გამო მოსახლეობა ხელახლა სახლდებოდა და მისი ცენტრი ცოტათი შორდებოდა პირვანდელ ადგილს.

სწორედ ამ ფენებმა გაიყვანეს მალაარტი კანონიკური III ათასწლეულის ფარგლებს გარეთ. შედარებით კარგად შენახული ფენა მიეკუთვნებოდა V საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ხოლო უფრო ძველი — მეშვიდეს! როგორც აღმოჩნდა, იმ დროს აქ ცხოვრობდნენ გლეხები და არსებობდა სოფელიც.

მელაარტს რომ აქ დაემთავრებინა თავისი კვლევა-ძიება, მისი აღმოჩენა მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა. მაგრამ ის, როგორც ჩანს, ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. თვითონ განსაჯეთ. სურდა რა შეემოწმებინა ზოგიერთი ფაქტი, კვლავ იმავე მასწავლებლის წყალობით დაიწყო კიდევ ერთი ბორცვის, ჩათალ-ხიუიკის გათხრა ანატოლიის სამხრეთში, ორასზე მეტ კილომეტრზე ხასილარიდან სამხრეთით. აქაც აღმოაჩინა ძველი მიწათმოქმედი მოსახლეობის დასახლების ნაშთები.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ბევრი დასავლეთელი სწავლული ამტკიცებდა: ყველაზე უძველესი ცივილიზაცია დედამიწაზე შუმერულიაო. ასეთი წიგნიც კი გამოვიდა: „ისტორია იწყება შუმერში“. და წერდნენ, რომ „მესოპოტამიაში შექმნილი კულტურა ჯერ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა, შემდეგ კი მისი კერები გაჩნდა თურქეთსა და ევროპაში“ — ბრინჯაოს ხანის დასაწყისში, დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ...

მაგრამ რადიოაქტიური ანალიზის შედეგებს ჩათალ-ხიუიკსა და ხასილარში წინ ვერაფერი აღუდგება.

9 ათასი წლის წინათ, 7000 წლის დასაწყისიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხასილარსა და ჩათალ-ხიუიკში ორი ათასი წლის განმავლობაში არსებობდა მიწათმოქმედი სასოფლო თემები.

ნეოლითის ხანის გლეხები უკვე ცხოველებს აშინაურებდნენ და მესაქონლეობას მისდევდნენ, ისინი იცნობდნენ ჭვავსაც და ქერსაც, შვრიასაც და ბარდასაც.

...რამდენიმე პატარა 5—10 კვ. მეტრი ოთახი საერთო „დარბაზში" — უფრო დიდ, 18—20 კვ მეტრ ოთახში გადიოდა. ასეთია ჩვეულებრივი სახლი ხასილარსა და ჩათალ-ხიუიკში. შედარებით მდიდრულ სახლებში კიბე მეორე სართულზე ადიოდა. კედლები წითელი ფერის საგოზავით იყო გალესილი. ყველგან იატაკიდან 30 სანტიმეტრზე ქვის ფენილები იყო. ალბათ ესენი სკამებს ან საწოლებს წარმოადგენდა.

მიცვალებულებს შიგ სახლში, იატაკქვეშ ასაფლავებდნენ. არქეოლოგებმა ასობით ჩონჩხი აღმოაჩინეს — ჩონჩხები ესვენენ მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, პირით კედლისაკენ. მარტო ერთ სახლში ჩათალ-ხიუიკში მელაარტმა აღმოაჩინა ოცდათორმეტი ჩონჩხი—მთელი საგვარეულო სასაფლაო! უმეტესად ესენი იყვნენ ქალები და ბავშვები, მამაკაცების ჩონჩხები შედარებით მცირე იყო. და არც გასაკვირია: ალბათ იმ სასტიკ ხანაში ცოტა მამაკაცი როდი იღუპებოდა სახლის გარეთ, — ნადირობისას, ცხოველებთან პირისპირ შეტაკების დროს. და კიდევ ერთი რამ: ქალების ჩონჩხების სიმრავლე, მათი მდიდრული მორთულობა ხომ არ მიგვანიშნებს მატრიარქატზე?

აქ ცხოვრობდნენ ბრგე, მაღალი ადამიანები: მამაკაცები — საშუალოდ 1 მეტრი და 80 სმ, ქალები — 1 მეტრი და 75 სმ. მაგრამ იხოცებოდნენ ადრე: საშულოდ ოცდათხუთმეტი წლის ასაკში.

უკვე არსებობდა სოციალური უთანასწორობაც. მხოლოდ რამდენიმე ჩონჩხი აღმოჩნდა წითლად შეღებილი. უმრავლესობა — მწვანედ და ცისფრად იყო შეღებილი. მათ გვერდით არ ეწყო შეწირულებანი. მდიდართა საფლავებში კი ჩონჩხები ხშირად შეხვეული იყო ტყავში, ქურქში, ქსოვილში.

როგორც წესი, მიცვალებულთა გვერდით აწყობდნენ მურა დათვის კბილებს. მეომრებს საფლავში ატანდნენ იარაღს. საკუთარი „იარაღი" ჰქონდათ ქალებსაც: ტყავის ყუთებით წითელი ჟანგმიწა, მანგანუ-

მის შავი ჟანგი, რუხი-შავი ჰემატიტი — ჩვეულებრივი ფერუმარილი და საღებავები ლოყების, წამწამებისა და წარბებისათვის.

ნადირობა და შემგროვებლობა აქ უკვე უკანა პლანზეა. მთავარია — ცხოველების მოშინაურება, შრომის იარაღების გაუმჯობესება, მიწათმოქმედება, ლითონის დამუშავება.

და კიდევ ფრესკები. მსოფლიოში თითქმის ყველაზე უძველესი ფრესკები აღმოაჩინეს აქ არქეოლოგებმა. ეს იყო სველ, თეთრად თუ რაღაც მოვარდისფროდ შეღებილ კედლებზე წითელი, ვარდისფერი, თეთრი, მოყვითალო და შავი საღებავებით მოხატული სურათები. ეს სურათები მიეკუთვნება VI ათასწლეულს ჩვენს ერამდე!

როგორ არ გაიხსენოს აქ კაცმა შუა აზიის ახალი აღმოჩენები! აქაც ხომ მიაგნეს უძველეს მიწათმოქმედთა ნაკვალევს, რომელიც მიეკუთვნებოდა დაახლოებით იმავე პერიოდს როგორც ანატოლიაში.

ასე წამოიჭრა ახალი საინტერესო ამოცანა: გაიგონ რაც შეიძლება მეტი საქალაქო ცივილიზაციების ამ წინამორბედებზე. რომლებიც ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან დაშორებულ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან დაკავშირებულ რაიონებში — უდიდეს ტერიტორიაზე. ერაყიდან ინდოეთის უძველეს მიწამდე. და ალბათ მართალია საბჭოთა მეცნიერი ვ. მ. მასონი, რომ ამტკიცებს: X—VI ათასწლეულებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა ორი დიდი ოლქი, სადაც შეიქმნა სამიწათმოქმედო-სამესაქონლეო მეურნეობა, რომელიც წინ უსწრებდა შუამდინარეთის, ელამისა და ინდის ველის საქალაქო ცივილიზაციებს.

პირველი ამ ოლქებიდან აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთია (ჯერმოსა და ხასუნის კულტურებით ჩრდილოეთ ერაყში, ხასილარისა თურქეთში და იერიქონისა პალესტინაში), მეორე — ჩრდილოეთი ირანი და შუა აზიის სამხრეთ-დასავლეთია.

...გამოკვლევები გრძელდება. ძიება ჯერ არ დამთავრებულა.




# ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲭᲐ

ᲮᲔᲚᲛᲘᲫᲦᲕᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

თავდაპირველად არსებობდა ლეგენდები. მაგრამ შემდეგ მათ გადაინაცვლეს უკანა პლანზე. იმიტომ კი არა, რომ მიავიწყდათ, — სულაც არა! ისინი ახსოვთ, იმოწმებენ. უფრო მეტიც, სწორედ დღეს ბევრი რამ მათში მოთხრობილი თავის ძველ ზღაპრულ სახეს კარგავს და სარწმუნო ხდება. რადგანაც ლეგენდებს ცვლიან მეცნიერების მიერ აღმოჩენილი ფაქტები.

...აქაც, ისევე როგორც საბერძნეთში, პირველი მოვიდა სახელგანთქმული შლიმანი. მაგრამ ვერ მოახერხა გათხრების დაწყება. მან მხოლოდ გზა გაკვალა.

შემდეგ მოვიდნენ სხვები.

## 1.

მაშ ასე, თავდაპირველად იყო ლეგენდები.

...მდიდარი ფინიკიური ქალაქის სიდონის მეფეს, აგენორს, ჰყავდა შესანიშნავი, უკვდავი ქალღმერთივით ლამაზი ქალიშვილი. მას ევროპა ერქვა.

ერთხელ დილაუთენია ევროპამ ჩაიცვა თავისი წითელი ტანსაცმელი და ამხანაგებთან ერთად ზღვის ნაპირისაკენ გასწია. უეცრად მდელოზე, სადაც ისინი ანცობდნენ და მხიარული სიცილით ფერხული ჰქონდათ გამართული, გამოჩნდა ხარი. ხარს ბალანი ოქროსფრად უბზინავდა, შუბლზე ვერცხლისფერი კიოფი აჯდა, ოქროს რქები კი ახალ მთვარესავით ჰქონდა მოღუნული. ეს კრავივით თვინიერი უცნაური ხარი ოდნავ აკარებდა ბალახს პირს. ის ლამაზი და ალერსიანი იყო.

ხარი ლამაზ ევროპას ფერხთით დაუწვა, მაგრამ. როგორც კი ქალიშვილი სიცილით ხარს ზურგზე შეაჯდა, წამოხტა და გრიგალივით პირდაპირ ზღვისკენ გაიჭრა. ტვირთიანად ტალღებში გადაეშვა და გაცურა. ზღვის ღმერთი, თვით პოსეიდონი, მის წინ მიცურავდა თავისი ეტლით, რომელსაც ტალღების სამკაპა ამშვენებდა.

ზღვა იყო მშვიდი და წყნარი, ცა ლურჯად კამკამებდა. ზევსის ზურგზე მჯდარი ლამაზი ევროპა კუნძულ კრეტას ნაპირებისაკენ მიცურავდა.

მას შეეძინა სამი ვაჟი.

უფროსს მინოსი დაარქვეს.

...თავის დროზე უდიდესი მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი იყო ათენელი დედალოსი. მასზე ამბობდნენ, მისი ქანდაკებები ცოცხლებს ჰგავდნენ, რომ სწორედ მან გამოიგონა ნაჯახი და ბურღი.

ათენიდან იძულებით გაქცეულმა ოსტატმა (ამბობდნენ, დედალოსმა შურის გამო მოკლა თავისი ძმისშვილი) თავი შეაფარა კუნძულ კრეტას. მინოსმა დედალოსი თბილად მიიღო და ააშენებინა სასახლე-ლაბირინთი ისეთი დახლართული შესასვლელებით, შიგ ერთხელ შესული გარეთ გამოსასვლელს ვეღარ აგნებდა. მინოსმა ლაბირინთში ჩაკეტა

თავისი გერი პაციფიუსი საშიში და ბოროტი მინოტავრი — ხარისთავიანი ურჩხული, რომელსაც ადამიანის ტანი ჰქონდა.

დედალოსმა სხვა ბევრი შენობაც ააშენა.

გადიოდა წლები. მართალია, დედალოსი მინოსს ძალიან უყვარდა, მაგრამ მოსწყინდა ოსტატს კრეტაზე ცხოვრება. მისი შვილი იკაროსიც წამოიზარდა, მრისხანე მეფე კი ოსტატს კუნძულიდან არ უშვებდა.

დედალოსმა გადაწყვიტა გაქცევა. მეფე მინოსს ძლიერი ფლოტი ჰყავდა — ზღვით ვერ გაექცეოდა. ვერც სახმელეთო გზით გააღწევდა კრეტადან. მხოლოდ ზეცაში ვერ მეფობს მინოსი, იფიქრა დედალოსმა. მხოლოდ ცის კამარაა თავისუფალი გაქცევისათვის.

დედალოსი შეუდგა მუშაობას. ძაფითა და ცვილით შეკავშირებული ბუმბულისაგან დაამზადა ოთხი დიდი ფრთა — ფრინველის ფრთის მსგავსი — ორი თავისთვის, ორი შვილისთვის. შემდეგ, მიიბა რა ეს ფრთები ზურგზე, ხელები მარყუჟებში გაუყარა და იკაროსთან ერთად აფრინდა ცაში.

მაგრამ მხოლოდ დედალოსს ეწერა მშვიდობიანად გადაელახა ყველა წინააღმდეგობა. იკაროსი დაიღუპა. მას დაავიწყდა მამის დარიგება და ძალზე მაღლა აფრინდა. მზის მწვავე სხივებმა გაადნო ცვილი, ფრთებიდან გამოცვივდა ბუმბული და იკაროსი პირდაპირ ზღვაში ჩავარდა.

მისი გმირობის პატივსაცემად კუნძულ სამოსს, პაროსსა და მცირე აზიის სანაპიროს შორის მდებარე ზღვას იკაროსის ზღვა უწოდეს.

...შესანიშნავი იყო ათენის მპყრობელის ეგეოსის შვილი, ჭაბუკი თეზევსი. ის თავის თანატოლებზე ღონიერიც იყო. თექვსმეტ წლამდე თავისი პაპის, მეფე არგოლდის კარზე იზრდებოდა, შემდეგ მოვიდა ათენში მამასთან.

ის მოვიდა იმ დროს, როდესაც ქალაქი მძიმე განსაცდელში იყო. არამარტო ათენს, მთელ ატიკას მძიმე სამგლოვიარო დღეები უდგა. უკვე მესამედ მოსულიყვნენ ქალაქში კრეტას უძლიერესი მეფის მინოსის ელჩები მძიმე და სამარცხვინო ხარკისათვის. ყოველ ცხრა წელიწადში შვიდი ქალწული და შვიდი ვაჟი უნდა გაეგზავნა ათენს კრეტაზე. მათ იქ ლაბირინთში ამწყვდევდნენ და ჯერ ვერავის დაეღწია თავი ცოცხლად ადამიანი-ხარისაგან — მინოტავრისაგან.

თეზევსმა გადაწყვიტა დახმარებოდა თავის მამას, ათენელებს. მან იცოდა: მხოლოდ მინოტავრის სიკვდილი გაათავისუფლებდა ათენს სა-

შინელი ხარკისაგან და თუმცა მამა ეეედრებოდა, თავი არ გაეწირა, თეზევსი გაემართა ნავსადგურში კუნძულ კრეტაზე მიმავალი შავიალქნებიანი ხომალდისაკენ.

„თუ ყველაფერი კეთილად დამთავრდება, ჩვენ გამოვცვლით იალქნებს და თეთრი აფრებით დავბრუნდებით“, — უთხრა მან მამას გამომშვიდობების დროს.

თეზევსმა შესძლო მინოტავრის დამარცხება. ლაბირინთში ის არ დაიღუპა — არიადნამ, მინოსის ქალიშვილმა, სიყვარულის ნიშნად მას ძაფის გორგალი აჩუქა, რომ არ დაბნეულიყო შესასვლელ-გამოსასვლელებში.

მაგრამ არიადნას არ ეწერა თეზევსთან ბედნიერება. ის გახდა ღმერთ დიონისეს ცოლი — ასე გადაწყვიტეს ღმერთებმა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე.

თეზევსს კი, სიყვარულის დაკარგვით დამწუხრებულს, დაავიწყდა თავის ხომალდზე იალქნების შეცვლა. შავი აფრები რომ დაინახა, ეგეოსი მწუხარებისაგან ფრიალო კლდიდან გადავარდა. „ყველაფერი ეს ზღაპრებია, ლეგენდები, სულელური ფანტაზიის ნაყოფი“, — დიდი ხანი არ არის, რაც ასე ამბობდნენ.

## 2.

1878 წელს კანდის სამხრეთით ერთ-ერთ ბორცვზე კრეტელმა ვაჭარმა მინოს კალოკაირინოსმა იპოვა რამდენიმე საგანი, რომლებიც ძალზე ძველად მიიჩნია.

ხოლო რვა წლის მერე, 1886 წელს, კრეტას ეს კუთხე მოინახულა მოხუცმა, გამხდარმა და ფიცხმა დარბაისელმა კაცმა, — შლიმანმა. ამ უცნაურ კაცს რაღაც უცნაური ყნოსვა ჰქონდა სიძველეთა მიმართ, სიძველეთა, რომლებიც მიწის წიაღში ათასობით წლების მანძილზე ადამიანის თვალს არ ეხილა. ამ დროისათვის მან საუკუნეობრივი ძილისაგან გააღვიძა მიკენი და ტროა და ბერძნულ სიძველეებზე კამათში თითქმის მთელი მსოფლიო ჩააბა.

ახლა ის ფიქრობდა კრეტაზე არქეოლოგიურ გათხრებზე.

მაგრამ ვერ მოახერხა ამ ჩანაფიქრის განხორციელება: მასში ვაჭარმა სძლია მეცნიერს. შლიმანის მიერ შერჩეული მიწის ნაკვეთის პატრონმა ზღაპრული თანხა მოითხოვა. შლიმანმა დააკლებინა ფასი. მიწის ნაკვეთზე ბევრი ზეთისხილის ხე ხარობდა. ხელშეკრულების

თანახმად, მათგან ორი ათას ხუთასი შლიმანის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. მაგრამ მფლობელმა მისცა მას მხოლოდ რვაას ოთხმოცდარვა ძირი ხე. შლიმანმა უარი თქვა გარიგებაზე და ამით იმ კიდევ ერთი ბრწყინვალე აღმოჩენის განხორციელების შესაძლებლობებზე.

ის განახორციელა არტურ ევანსმა.

## 3.

შლიმანის კრეტაზე ყოფნიდან სამი წლის შემდეგ სხვადასხვა არქეოლოგიურ საზოგადოებათა ხელმძღვანელობისათვის კარგად ცნობილმა ვინმე სიძველეებით მოვაჭრემ აუდენცია სთხოვა ოქსფორდში ეშტონ-მუზეუმის დირექტორს.

არტურ ჯონ ევანსს ეს თანამდებობა ეკავა. მას მსოფლიოში მრავალგზის მოგზაურობისას ბევრი რამ ჰქონდა ნანახი ახალგაზრდობის დროს.

ახლა ეს მხარბეჭიანი, მზემოკიდებული ოცდათვრამეტი წლის მეცნიერი გაოცებით უსმენდა, რასაც უამბობდა გაქნილი ანტიკვარი. თუმცა სიტყვა „უამბობდა“ აქ სრულიად უადგილოა. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა — „უჩვენებდა“. რადგანაც სიძველეებით მოვაჭრე იმედოვნებდა არა იმდენად თავის მჭევრმეტყველებაზე, რამდენადაც იმ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც მოახდენდა ბატონ მუზეუმის დირექტორზე უცნაური ნაპოვნი, ევანსის წინ საწერ მაგიდაზე რომ იდო. უძველეს საგნებს შორის.

ეს გახლდათ ბეჭედი. უძველესი ბეჭედი — თავისთავად არც ისე გასაოცარი რამ. საინტერესო იყო სხვა მხარე: ქვის ოთხივე სიბრტყეზე ამოკვეთილი იყო რაღაც ნიშნები, იეროგლიფები, რომლებიც ოვალურ წრეში იყო ჩასმული. გამადიდებელი შუშის გარეშეც ევანსმა შეამჩნია ენაგამოყოფილი მგლის თავი, ვარსკვლავი, ხანჯლიანი ხელი, რაღაც ტოტისმსგავსი ირმის რქები...

— ხეთებია? — გაუბედავად ჰკითხა ევანსმა სტუმარს.

მან მხრები აიჩეჩა.

— როგორც ჩანს, სპარტაა, — უპასუხა მან. მაგრამ ეს ბეჭედი რომ არ იყო გაკეთებული სპარტაში, ევანსს ეჭვი არ ეპარებოდა: ის დიდხანს და დაწვრილებით სწავლობდა საბერძნეთში მოგზაურობის დროს ნაპოვნ უძველეს ნივთებს და მსგავსი არაფერი ენახა.

ევანსმა ბეჭედი იყიდა.

და როგორც გამოირკვა, ტყუილად არ იყიდა. ყოველ შემთხვევაში მას უკვე ხელთ ჰქონდა ნივთი, რომლისთვისაც შეეძლო შეედარებინა თავისი ახალი შენაძენები, როდესაც ოთხი წლის შემდეგ სხვა ვაჭარმა, ამჯერად ათენში, აჩვენა მას სამი თუ ოთხი ასეთივე ბეჭედი.

ესენი კრეტადანაარ, — უმტკიცებდა ვაჭარი.

## 4.

ევანსი სიზუსტის მოყვარული კაცი იყო. სწორედ ამიტომ მან გამოჩენილ სპეციალისტს ბერლინის მუზეუმიდან, ადოლფ ფურტვენგლერს მიმართა ეხოვნით, გაერკვია, საიდან შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ბეჭდები.

ფურტვენგლერის პასუხი იყო მოკლე: „კრეტა“. მან ევანსს ასეთივე ბეჭდების რამდენიმე ანაბეჭდიც კი გამოუგზავნა.

„კრეტა“, — უპასუხა ცნობილმა სეისმაც, რომლის კოლექციაში აღმოჩნდა იეროგლიფებიანი ორმხრივი გემა, იმათი მსგავსი, რომლებიც ხელთ ჰქონდა ევანსს.

ასე საბოლოო ჯამში ევანსს აღმოაჩნდა სულ ცოტა სამოცი ანაბეჭდი უცნობი იეროგლიფების გამოსახულებით და ყველა ისინი — უფრო სწორედ, ყველა ორიგინალი — იყო კუნძულ კრეტადან!

ევანსმა გააკეთა ის, რასაც მის ადგილზე გააკეთებდა ალბათ ყველა სხვა ადამიანი, დაინტერესებული უცნობი დამწერლობით: ის გაემგზავრა კუნძულ კრეტაზე.

## 5.

ევანსი ჩამოვიდა კანდიაში, იმოგზაურა კუნძულზე, ინახულა მთები იდი და დიკრი, იყო მესარაში. ყველგან ყიდულობდა სიძველის ყოველგვარ ნიმუშებს, რომლებსაც მცხოვრებლები ან შემთხვევით პოულობდნენ, ან თხრიდნენ იმ ადგილებში, რომლებიც მხოლოდ მათ იცოდნენ.

იქნებ სწორედ მაშინ მოუვიდა ევანსს თავში უბრალო ფიქრი: ხომ არ გადაეთხარა ეს ადგილები გულდასმით?

ის შეუდგება ამას სულ მალე და ხელს მოკიდებს ისე საფუძვლიანად, რომ მისი ხანგრძლივი ცხოვრების ბოლო წლებში (ევანსი გარდაიცვალა 1941 წელს ოთხმოცდაათი წლის ასაკში) მხოლოდ ამით იქნება დაკავებული. ის აღმოაჩენს მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციას. მაგრამ ყოველივე ეს მოხდება ცოტა მოგვიანებით.

ევანსი კი მაშინ ჯერ კიდევ იეროგლიფებით იყო გატაცებული. აღმოჩენილი ნიმუშები, მართლაც ძალზე საინტერესო იყო. მან მნიშვნელოვნად გაზარდა ის პატარა კოლექცია, რომელიც თან ჩამოიტანა კუნძულ კრეტაზე; იპოვა — მას ბედი სწყალობდა — სხვა უძველესი დამწერლობის ნიშნებიც, რომლებიც ასოებს გვანან: ხაზების მთელი სისტემა — დამწერლობა, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს საგნებისა და ცნებების უფრო რთულ გამოსახულებებში.

ევანსმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ დამწერლობის ის ნიშნები, რომლებიც მას აინტერესებდა, ხვდებოდა არა მარტო გემებსა და კრამიტის ნატეხებზე, არამედ ე. წ. „რძის ქვებზეც". ეს იყო სტეატიტის ნატეხები, რომლებსაც, ზონარზე ასხმულს, ადგილობრივი ქალები, სწამდათ რა მისი ჯადოსნური ძალა, ამულეტივით ატარებდნენ. ადგილობრივი ცრუ რწმენით იმათ, ვინც ატარებს ასეთ ქვებს, რძე ექნებათ უხვად.

კრეტელ ქალებს ამ ამულეტების მოშორება არ უნდოდათ. მაგრამ სიამოვნებით დათანხმდნენ ასლის გადაღებაზე.

1896 წელს თურქებსა და ბერძნებს შორის ამტყდარმა შეჯახებამ კუნძულ კრეტაზე გარკვეულ ხანს შეაჩერა ევანსის მუშაობა. კუნძულზე დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. გადაიწვა სახლები. ცეცხლში დაიღუპა მინოს კალაკაირინოსის აღმოჩენები და კრამიტი ხაზოვანი დამწერლობით, რომელიც სხვა კოლექციონერს ეკუთვნოდა. ბედზე ევანსმა მოასწრო მათი ასლების დამზადება.

1898 წელს თურქებმა დატოვეს კუნძული.

კრეტაზე გათხრების დაწყების ფიქრი ევანსს მოსვენებას არ აძლევდა.

## 6.

თავის იმედებს ის უკავშირებდა კრეტაზე დიდ უძველეს ქალაქს კნოსს, რომელსაც ჯერ კიდევ ჰომეროსი იხსენიებდა. ევანსმა დაახლოებით იცოდა, სადაც უნდა ეძებნა ეს ქალაქი. კანდიის მახლობლად, კეფალის ბორცვზე ნახულობდნენ ყველაფერს: რაღაც წარწერების ფრაგმენტებს, კრამიტის ნატეხებს, ოქროს ბეჭდებს, სტეატიტის ჭურჭელს. ბორცვის მწვერვალზე ჩვენთვის უკვე ცნობილმა მინოსმა — რა თქმა უნდა, არა მეფემ, არამედ ვაჭარმა — ამოთხარა მიწიდან რამდენიმე უზარმაზარი თიხის ჭურჭელი.

ევანსმა მტკიცედ გადაწყვიტა შეეძინა საინტერესო მიწის ნაკვე-

თი. თუმცა ისიც წააწყდა იმავე წინააღმდეგობებს, რასაც შლიმანი, — თავდაპირველად მასთან არ სურდათ საქმის დაჭერა, შემდეგ უზარმაზარი თანხა მოსთხოვეს, — მეცნიერი სულაც არ ფიქრობდა უკანდახევას.

1895 წელს მან მიიღო ბორცვზე გათხრების ჩატარების უფლება. ხოლო ექვსი წლის შემდეგ ის გახდა მიწის ამ ნაკვეთის მფლობელი. უნდა აღინიშნოს, რომ ის მდიდარი იყო და შლიმანივით შეეძლო ალალბედზე დიდი თანხა დაეხარჯა.

## 7.

1900 წლის 27 მარტს ევანსი შეუდგა გათხრებს. შემდეგში ის ამბობდა, რომ დიდი აღმოჩენების იმედი მაინცა და მაინც არ ჰქონდა: კნოსი ხომ რამდენიმე ათასი წლის წინათ დაიღუპა, სავსებით შესაძლებელია, რომ მომდევნო თაობებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს და აღგავეს პირისაგან მიწისა სახლების ნაშთები და ქალაქის კედლები. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად იყო. ევანსი და მისი თანაშემწეები ამაში დარწმუნდნენ უახლოეს რამდენიმე დღეში.

თავდაპირველად აქ ვერ აღმოაჩინეს ბერძნული ან რომაული პერიოდის ვერავითარი საგნები. ეს მხოლოდ ერთს ნიშნავდა: თუ ბორცვის ქვეშ განისვენებს ქალაქ კნოსის უძველესი დროის ნაშთები, მაშინ მათი მყუდროება არავის დაურღვევია.

და ეს ნაშთები — სასახლის ნანგრევებიცა და სხვაც — ნამდვილად შემონახულია.

...უდიდესი მონდომებით მუშაობს ევანსის მიერ დაქირავებული ოცდაათი მიწისმთხრელი. ისინი ცრიან და დაკვირვებით ათვალიერებენ მიწას. ციცქნა კრამიტის ნატეხიც არ გამოეპარება არქეოლოგების თვალს.

ლარნაკების, ფიალების, ლამბაქების, თეფშების ნატეხები... მაგრამ მარტო კრამიტის ნატეხები როდი ხვდება მკვლევარებს. აი რაღაც კედლის მოხატულობა, უფრო სწორად, მოხატულობის ნაწილი — ბაღის კუთხე ტოტებისა და ლამაზი ფოთლების გამოსახულებებით. აი პრტყელი აგურის ნატეხი, უფრო სწორად, დაფა, დაფარული წერილობითი ნიშნებით და, ალბათ, ციფრებით — მაშ სხვა რა უნდა იყოს შვეულად და თარაზულად განლაგებული წყება ნიშნებისა, რომლებიც მეორდება?

ფრესკა ჭაბუკის გამოსახულებით. კნოსი

აი კედლის ნაწილი, ნახანძრალის აშკარა ნიშნებით! შესძლებს თუ არა ვინმე ოდესმე მასზე რაიმე უფრო გარკვეულის გაგებას?

რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა ახალი სენსაცია. მიწის წიაღიდან ამოღებულ კედლის ბათქაშის ნატეხებს რომ სინჯავდნენ, მკვლევარებმა უეცრად აღმოაჩინეს ნატურალური სიდიდის ადამიანის გამოსახულების ფრაგმენტი. გოგონაა? რასაკვირველია, ერთი შეხედეთ, რა ტანწერწეტაა!

უცნობ ქალს, ყორნისფერი თმა და მოყავისფერო ნამზეური კანი რომ ამშვენებდა, ჰიჰქონდა მაღალი, ქვემოთ მოვიწროებული ჭურჭელი. მარჯვენა ხელი ჭურჭლის სახელურზე ეკიდა, მარცხენა ქამრის დონეზე ჭურჭლის ფსკერზე ჰქონდა ამოდებული. ქალი მთელი ტანით გადახრილი იყო უკან, რაც ჭურჭლის სიმძიმეს მოწმობდა.

მხოლოდ შემდეგ დადგინდა, რომ ფრესკის ეს ნაგლეჯი ნაწილი იყო ფრიზისა, რომელიც გამოხატავდა რაღაც საზეიმო სვლას, — ყვავილე-

ბით, ჭურჭლებით, ყუთებით. მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ევანსიცა და მისი თანაშემწეებიც შეცდნენ: აღმოჩენილ ნაპოვნ ნატეხზე გამოსახული იყო მამაკაცი, უფრო სწორად, ჭაბუკი. გულდასმით შესწავლამ დაადასტურა: კრეტაზე, ისევე როგორც ოდესღაც ეგვიპტეში, სწორედ მამაკაცს გამოსახავდნენ მოწითალო-ყვავისფერო კანით, ქალებს ხატავდნენ თეთრი, კირივით თეთრი ფერის კანით.

თუ თქვენ იფიქრებთ: „როგორ ვერ განასხვავეს გოგონა ჭაბუკისაგან!“ — დახედეთ ფოტოს „დოქის მატარებელი კნოსიდან“, ასე უწოდეს კეფალის ბორცვზე აღმოჩენილ ფრესკას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ის სრულად არ არის შემონახული.

...ჭაბუკს სავსებით ევროპული შესახედაობა ჰქონდა, და ის საერთო ჯამში არაფრით არ განსხვავდებოდა ახალგაზრდა კაცებისაგან, რომლებსაც ევანსი იცნობდა კუნძულზე — სახის ნაკვთები დაახლოებით ისეთივე ჰქონდა.

ერთი თვის შემდეგ ერთ-ერთ დერეფანში აღმოჩენილ იქნა სვლის კიდევ ერთი გამოსახულება—ამჯერად ერთი და ორი ძლივს გასარკვევი გამოსახულებანი კი არა. ოცდაორი კაცი იყო დახატული კედლის ცოკოლზე! და ყველა ნატურალური სიდიდით. სანდლები არავის არ ეცვა. ეს მხოლოდ იმის დამადასტურებელი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ პროცესია საღმრთო იყო, რელიგიური. გამოირკვა, რომ საჭირო იყო ბორცვის ჩაწოლილი მიწის მკვრივი ფენების შეხება. გათხრებიდან ორი კვირის შემდეგ ევანსი უკვე აშკარად სასახლის ტიპის ნაგებობის პირისპირ იდგა. შემდეგ კი მუშები ისეთ რამეს წააწყდნენ, რაზედ ოცნებაც კი არავის შეეძლო. როდესაც მათ გათხარეს პატარა სათავსი, ხოლო მასში — სამი მეტრი სიგრძისა და ორი მეტრი სიგანის, აბაზანის მსგავსი რამ, რომელთანაც რვა საფეხურიანი კიბე ჩადიოდა, ევანსმა გადაწყვიტა, რომ აღმოჩენილია საბაზანე ოთახი.მაგრამ გვერდით აღმოჩნდა დაახლოებით ოთხი მეტრი სიგანისა და ექვსი მეტრი სიგრძის კიდევ ერთი სათავსი. ამ ოთახში სამივე მხარეს კედლებთან ქვის გრძელი სკამები იდგა, მეოთხე კედელში — დასავლეთის მხარეს — დატანებული იყო კარი, ხოლო ჩრდილოეთისაკენ მიმართული კედლის ახლოს არქეოლოგებმა დაინახეს სრულიად მოულოდნელი რამ: მაღალი ქვის ტახტი!

ახლა კი უეჭველი იყო: ისინი იმყოფებოდნენ სამეფოს ცენტრში: მისი უდიდებულესობის სეფე დარბაზში, მაგრამ რომლის? ალბათ მი-

ნოსის: მგონი ასე უწოდებდნენ კუნძულ კრეტას ლეგენდარულ მთავარს.

...შემდგომში ევანსმა აღადგინა ეს დარბაზი. ის იძულებული იყო დარბაზი და სხვა სათავსები გადაეხურა, რათა ძვირფასი რელიკვიები წვიმისაგან დაეცვა. ევანსს ამის გამო მფლანგველობას უსაყვედურებდნენ. ასეთი ნაწილობრივ აღდგენილი სახით წარმოუდგება მოგზაურებს კნოსის სასახლე კუნძულ კრეტაზე.

მაგრამ ევანსს თავდაპირველად რეკონსტრუქციისათვის არ ეცალა. ჭეშმარიტად ბედნიერმა შემთხვევამ მიიყვანა ის სწორედ იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად შეეძლო ევარაუდა მოხვედრა. სეფე დარბაზში კედლის ახლოს იდგა დაუზიანებელი ტახტი — კრეტას უძველესი მთავრის ტახტი!

ის არ ჰგავდა ევანსისათვის ცნობილ ძველ სავარძლებს, რომლებზეც სხდებოდნენ მეფეები. დასაჯდომი ეყრდნობოდა ქვისგან გამოკვეთილ მარყუჟად შეკრულ რაღაც მცენარის ღეროებს. ტახტი მეტად მოხერხებული იყო: დასაჯდომი ზუსტად შეესაბამებოდა ადამიანის სხეულის ფორმებს. მაღალი საზურგე მიმაგრებული იყო კედელზე. მასზე გამოხატული იყო ტალღები.

ასეთივე ტალღოვანი თეთრი ხაზები არქეოლოგებმა შეამჩნიეს კედელზე. ეს ხაზები ლამაზად ეხამებოდნენ კედლის წითელ ფონს.

აქვე აღმოაჩინეს ორი მწოლარე გრიფონის — ნახევრად არწივების, ნახევრად ლომების გამოსახულება. გრიფონებს თათები წინ ჰქონდათ გამოშვერილი, თავები ამაყად აღერილი. გრიფონების ფიგურებს შორის გამოსახული იყო პაპირუსის მოქნილი ღეროები და ყვავილები.

სამი მოშავო-მოყავისფრო ქვევით ვიწრო სვეტი გამოყოფდა სამეფო დარბაზს სათავსიდან, სადაც აბაზანა იდგა. მის მოპირკეთებაშიც წითელი ფერი სჭარბობდა...

სავსებით შესაძლებელია, რომ აქაური მეფე იყო არა მარტო მმართველი, არამედ ამავე დროს უმაღლესი ქურუმიც: როგორც ჩანს, საბაზანე დარბაზში ის წმინდა განბანვას ასრულებდა.

სულ მალე მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა ნახეს სამეფო ტახტი, აღმოაჩინეს სასახლის კედლის სქელი წყობა. დიდი სწორკუთხა ცენტრალური ეზო — ორმოცდაათი მეტრი ოცდაათ მეტრზე. მის გარშემო უცნაური დერეფნებით შეერთებული იყო სხვადასხვა ნაგებობანი და მინაშენები: დარბაზები, საცხოვრებელი სათავსები, საწყობები.



ევანსის მიერ რესტავრირებული კნოსის სასახლის სამეფო დარბაზი

ამას მოჰყვა სხვა აღმოჩენები.

...ოთხახმით მიქრის საუცხოო ხარი. ის თვით არის სიმამაცის, სისწრაფის განსახიერება. თავი დახრილი აქვს, ქედი მოდრეკილი, კუდი აბზეკილი. ხარისთვის წინიდან ორივე ხელი რქებში ჩაუვლია შავკულულებიან გოგონას. მას შავი ზოლებიანი ყვითელი გულისპირი უკეთია, ლამაზი წითელი წინდები და ბრტყელლანჩიანი მსუბუქი ფეხსაცმელი აცვია.

ხარის ზემოთ თავდაყირა გრიგალივით აჭრილა ჰაერში ახალგაზრდა ათლეტი, რომელიც ორივე ხელით ოდნავ ეხება ხარის ზურგს, მაგრამ ზამბარასავით უკუბიძგებას განიცდის და სასიკვდილო საფრთხეში იგდებს თავს. წამის რაღაც ნაწილს გრძელდება მხატვრის მიერ აღბეჭდილი მომენტი. და კიდევ ერთი პერსონაჟი შემორჩენია ფრესკას. ხარის უკან, ხელებგაწვდილი დგას თეთრკანიანი ქალი, რომელიც ოდნავ ფეხის წვერებზე შემდგარი მზადყოფნაშია: ის გახლავთ აკრობატის თანაშემწე; საჭიროების დროს უნდა დაეხმაროს მას. ქალს ხელის მტევნები მაგრად აქვს შებანდული.

მსახიობები არიან თუ რელიგიური სცენის მონაწილენი? ეს არავინ იცის. მაგრამ იქნებ მართლა შეიცავდა სიმართლის ნატამალს უძველესი ლეგენდები კუნძულ კრეტაზე? მინოტავრსა და მინოსზე?

აი ვრცელი სასახლეც. დაე მხოლოდ მისი საძირკველი და კედლების ნაშთებიღა იყოს დარჩენილი — მის ტერიტორიას ყოველწლიურად გაზრდიან არქეოლოგები. მისი დერეფნების ეშმაკური ხლართები, დარბაზები, პალატები, რომლებშიც, შეიძლება, მართლაც ადვილად იკარგებოდა ადამიანი, ხომ არ გადაიქცნენ ლეგენდებში საზარელი ურჩხულის ადგილსამყოფელად? ხოლო ეს ფრესკა — ხომ არ ადასტურებს იმას, რომ კრეტაზე რაღაც გარკვეული დროის მანძილზე გავრცელებული იყო ხარის კულტი. მინოტავრის პირველსახე? ან იქნებ, პირიქით, ლეგენდას მინოტავრის შესახებ, რომელსაც შორეულ წარსულში გადავყავართ, მივყავართ კვალს ხარებთან მოთამაშეებთან, ხარების გამოსახულებებთან, რასაც შემდგომში აღმოაჩენენ არქეოლოგები კრეტაზე?

...ჩვენ ვხედავთ კიდევ ერთ გამძვინვარებულ ხარს, მქროლავს ველური გალოპით, ხოლო მის წინ, მასზე და მის უკან გოგონები და ჭაბუკები არიან. ისინი პირდაპირ რქებზე ახტებიან ურჩხულს და ყველასთვის ნათელია: თუ ეს თამაშია, თამაშია სიკვდილთან. ასეთი სალტო რომ გაეკეთებინათ, საჭირო იყო არამარტო მოხერხება, არამარტო სიმამაცე, არამარტო სისხარტე — ადამიანის პირისპირ გამოქანებული ცოცხალი ღერძისათვის რქებში უნდა ჩაევლოთ ხელი წამის რაღაც ნაწილებში აუცდენლად! თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლოა, ჰყავდათ ხარების სპეციალურად გაწვრთნილი და გამოყვანილი ჯიშები. რატომ? იმიტომ რომ (ჩვენ ვეყრდნობით თვით ევანსს) მისი მეგობრის პროფესორ ბალდუინ ბრაუნის მიერ მოწვეულმა სპეციალისტებმა ერთსულოვნად განაცხადეს: ადამიანს, რომელიც ხარს რქებში ავლებს ხელს, ძალიან მცირე შანსები აქვს გააკეთოს სალტო. თავდამსხმელი ხარი, როგორც წესი, თავს გვერდზე იბრუნებს, რათა რქაზე წამოიგოს ყველა, ვინც გზაზე ხვდება.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, მინოსის დროსაც ყოველთვის იღბლიანად როდი მთავრდებოდა ეს ფოკუსები ხარებთან; შემორჩენილია გამოსახულება: კაცი წევს და ხელებით თავს იფარავს, ხარი კი გაკვირვებული იყურება. ის მშვიდადაა. მაგრამ ყველა მარცხის დროს იყო ის მშვიდად? და განა მარტო დაჟეჟილობით გადარჩებოდნენ ხოლმე ამ თამაშის მონაწილე მამაცი ადამიანები?

ევანსის მიერ აღმოჩენილ ფრესკებზე სხვა სცენებიც იყო გამოსახული.

აივნების ლოჟებიდან საზოგადოება მარჯვე ნახტომებისა და ხა-

რებთან უცნაური თამაშის ყურებით ერთობოდა. აი სხედან მანდილოსნები. ისინი ცნობისმოყვარეობით ადევნებენ თვალს თამაშს, გაცხარებულნი ხელებს იქნევენ ქალები და ქალიშვილები შესანიშნავ კუნძულ კრეტიდან. ხოლო შესვენების დროს, ანტრაქტებში, თმას ისწორებენ, ჭორის თვალით უყურებენ ერთმანეთის ტუალეტს (ფრესკიდან ჩანს), საუბრით თავს იქცევენ, შესაძლებელია, ქალაქის ახალ ამბებს არჩევენ.

აი სტადიონის ტრიბუნები; ისინი გაჭედილია, როგორც ლუენიკები კვირაობით. გარეგნულადაც ეს სტადიონი თანამედროვეს ჰგავს, არსებითად კი ეს იყო ღია ცის ქვეშ სპორტულ და თეატრალურ შენობათა კლასიკური ნიმუში, რომლებიც, როგორც ევანსამდე ფიქრობდნენ, მსოფლიოს აჩუქეს ბერძნებმა, მაგრამ, როგორც ახლა გამოირკვა, ჭიდაობასთან, კრივთან და შესაძლოა, ოლიმპიურ შეჯიბრებებთან და სხვა ბევრ რამესთან ერთად კუნძულის უძველეს მცხოვრებთაგან გადმოუღიათ.

„ევანსს შეეძლო ბედნიერად ეგრძნო თავი, — წერდა შემდგომში მისი ნახევარი და ბიოგრაფი ჯოან ევანსი.—ის ვარაუდობდა აღმოეჩინა ბეჭდების რამდენიმე ანაბეჭდი და თიხის ორი დაფა. მართალია, მან იპოვა ისინი, და საკმაოდ ბევრიც, სხვადასხვა სისტემის დამწერლობითაც კი (უბედურება ის იყო, რომ არ შეეძლო ამ წარწერების წაკითხვა) მაგრამ მან აღმოაჩინა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, გამქრალი ცივილიზაცია“.

თავდაპირველად ინგლისელი არქეოლოგი ვარაუდობდა, რომ ერთ სეზონში დაამთავრებდა გათხრებს. გადიოდა წლები, სამუშაოებს კი ბოლო არ უჩანდა. ორმოცი წლის მანძილზე კუნძულის სხვადასხვა ადგილებში — ჩრდილოეთში, სამხრეთ სანაპიროზე, აღმოსავლეთში — თხრიდა ევანსი. და სულ უფრო და უფრო ნათლად ისახებოდა მის წინაშე ოდესღაც არსებული საკმაოდ დიდი ცივილიზაციის კონტურები. ცივილიზაციისა, რომლის შესახებ სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ითქვას: ის ევროპული კულტურის კარიბჭეა.

## 8.

კნოსში არ იყო ციხესიმაგრის სქელი კედლები. შეიძლება თავდაპირველად ეს სასახლე თვითონ ჰგავდა ციხესიმაგრეს. მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. კნოსის იმ სასახლეს, რაც ასე აშკარად ჩანდა არქეოლოგების ბარის პირის ქვეშ, არაფერი არ იცავდა, თუ არ ჩავთვლით კრეტას ძლიერ ფლოტს.

...როგორც ჩანს, არც ისე ულხინდათ კნოსელ ოსტატებს: საუკუნეები გადიოდა და ახალ-ახალი ნაგებობანი ჩნდებოდა.

საჭირო იყო მათი „დაკავშირება“ ერთმანეთთან, შეხამება უკვე არსებულთან. უნდა ეზრუნათ სინათლეზე, ჰაერზე, წყალზე. გაჭირვებას, როგორც ცნობილია, გამომგონებლობა ახლავს. ჩანს, ასე გაჩნდა გრძელი დერეფნები და კიბის უჯრედები, რომლებიც უძველესი დროის სასწაულებისთვის უნდა მიგვეკუთვნებინა, რადგანაც ისინი დაკავშირებული იყო შუქის ჭებთან, არაპირდაპირი განათების წყაროსთან: თაკარა სიცხის გამო სასახლის ბევრ სათავსს ფანჯრებს არ უკეთებდნენ.

ჰაერი შედიოდა სპეციალური სავენტილაციო მოწყობილობიდან, ხოლო განტოტვილი და კარგად მოწყობილი მიწისქვეშა წყალსარინი სისტემით ზედმეტი წყალი, მაგალითად, წვიმის წყალი, რომელსაც ნაწილობრივ სარეცხისათვის იყენებდნენ, გარეთ გადიოდა. მილები ერთმანეთში იყო ჩასმული და ცემენტით გამაგრებული. დაწყობილი იყო ისინი გარკვეული დახრილობით. სისტემა ისე მოფიქრებულად იყო აწყობილი, რომ თითქმის ნებისმიერ ადგილას, აუცილებლობის შემთხვევაში, ადვილად შეიძლებოდა მისი შეკეთება. ამ სისტემასთან იყო მიერთებული სააბაზანოდან და საპირფარეშოებიდან ჩასადენი მილები.

შეიძლება განა ამ ზემოთქმულის შემდეგ ასე გაოცება წყლის აკვედუკებით ან შადრევნებით, რომლებიც მრავლად იყო სასახლის ბაღებსა თუ წალკოტებში? ანდა სასახლიდან ას მეტრზე სამხრეთით მდებარე თავისებური ქარვასლით, რომელშიც იყო გამდინარე წყლიანი აუზი, იდგა ფეხის დასაბანი ვარცლები და ცხენებისა და ჯორების სარწყულებლები?

## 9.

დიახ, ყველაფერი ის, რასაც უძველესი ლეგენდები გადმოგვცემენ, არ შეიძლება ზღაპრებად ჩავთვალოთ — ამაში ევანსი კიდევ ერთხელ დარწმუნდა კრეტაზე. ამასთან მარტო ლეგენდებში როდი გვხვდებოდა მოგონებები მინოსის ძლიერ სახელმწიფოზე. მარტო ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეაც“ როდი იხსენიებენ ამას. „ისტორიის მამა“ ჰეროდოტეც ხომ ამასვე გადმოგვცემს? კრეტას მრისხანე მეფე მინოსზე, მის ძლიერ ესკადრებზე და იმაზე, რომ კრეტელებმა ექსპედიცია გაგზავნეს სიცილიაში.

ამასვე გადმოგვცემდა თუკიდიდე; ობიექტური და ფრთხილი ბერძე-

ნი ისტორიკოსი: ისიც ახსენებდა მინოსის საზღვაო ძლიერებას. ასეთივე ცნობები აქვს შემონახული არისტოტელესაც: მინოსის მეფობის აყვავების ხანაში, გადმოგვცემს ის, სახელმწიფოს მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მეფემ დაიპყრო ეგეოსის ზღვის არა მარტო ყველა კუნძული, არამედ ყველა ქვეყანა.

...„ჩვენ შევიჭერით სრულიად უცნობ სამყაროში, — წერდა გათხრების წინ ევანსი, — ყოველი გადადგმული ნაბიჯი იყო ნაბიჯი უცხო სამყაროში, სასახლემ დაჩრდილა ყველაფერი, რაც კი აქამდე ვიცოდით ევროპულ სიძველეთა შესახებ“.

## 10.

ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრების საბოლოო მიზანი ყველგან ერთნაირია. აღადგინოს — რაც შეიძლება ზუსტად — დიდი ხნის გარდასული ცხოვრების სურათები.

ერთი რამ ახლავე უნდა ითქვას: ევანსის მიერ მივიწყებისაგან გამოგლეჯილი ცივილიზაცია ერთ ეპოქას არ ეკუთვნოდა. და სულაც არ აღმოცენებულა ის შიშველ ნიადაგზე.

ქალაქები ყოველთვის იზრდებოდა სიგანეშიც და სიღრმეშიც, სიცოცხლის კვალის მატარებელი ფენები კი ერთმანეთზე მიწის წიაღში აწყვია — იმ თანმიმდევრობით, როგორითაც იცვლებოდა ეპოქები. ამასთან, რაღა თქმა უნდა, ზედა ფენებში განისვენებს ყველაზე ახალგაზრდა კულტურის ნაშთები, ქვედაში — უძველესისა.

მათ მიერ გათხრების დროს აღმოჩენილ, კარგად შესწავლილ და დათარიღებულ ნაკეთობათა და საგნების შედარებით, რომლებიც კრეტაზე მოხვდა ეგვიპტიდან და მესოპოტამიიდან (როგორც გამოირკვა, კრეტას მათთან, და არა მხოლოდ მათთან, საკმაოდ მყარი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა) ევანსმა, თუმცა ზოგადად, შეძლო თავისი გამოცანების კუნძულისათვის ქრონოლოგიის დადგენა. მან გამოიანგარიშა, რომ ადრემინოსის პერიოდი (ბრინჯაოს ხანა) იკარგებოდა ისტორიის სიღრმეებში დაახლოებით 3000 წლამდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. 2200 წლიდან 1600 წლამდე — ასევე ჩვენს წელთაღრიცხვამდე— გრძელდებოდა შუამინოსის პერიოდი, ხოლო 1600-დან 1200-მდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე — გვიანმინოსისა.

მაგრამ ეს იყო „აღმავალი კიბე“ და ჩვენ მასზე კიდევ ვილაპარაკებთ.

ქვემოთ რაღა იყო?

ბრინჯაოს კულტურის ფენებს ქვემოთ კრეტაზე, ისევე როგორც სხვა ადგილებში, აღმოჩნდა ნეოლითის — ახალი ქვის ხანის ამსახველი ფენები.

X ათასწლეულამდე მოიძია ეს ფენები ევანსმა.

კრეტას აყვავებას წინ უსწრებდა განვითარების მრავალი ათასი წელი.

როგორც ყველგან, ეგეოსის სამყაროს პირველი მცხოვრებლების იარაღი იყო ქვის ცულები, დანისმაგვარი ფირფიტები, სადგისები, ნემსები, ძვლის სახვრეტელები.

თავდაპირველად ეს ადამიანები უმთავრესად გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. ბოლოს დაიწყეს ნამდვილი სახლების: თიხით შელესილი ლასტებისაგან მრგვალი ქოხების და მზეზე გამომშრალი აგურებისაგან ოროთახიანი სწორკუთხა საცხოვრებლების აშენება.

გადის ათასწლეულები და თემების ადგილს სახელმწიფოები იკავებენ.

...მხოლოდ 1936 წელს დაამთავრა ევანსმა თავისი ექვსტომიანი შრომა. ამ დროისათვის ის დაჯილდოებული იყო ინგლისისა და სხვა ქვეყნების ორდენებით.

„მინოსის სასახლე კნოსზე“ — ასე ეწოდებოდა მის წიგნს. ის გვიამბობდა ნამდვილად ფანტასტიკურ საგნებზე.

## 11.

ფოტოები, სურათები, გეგმები... გასაოცარი და უჩვეულო იყო კუნძულის ეს კულტურა, გასაოცარი და თავისებური იყო თეთრი ქათქათა კირქვისაგან ნაგები სასახლე — კრეტას სახელმწიფოს ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამეურნეო ცენტრი.

მისი ფართობი 16 ათას კვ. მეტრს შეადგენდა. მასში უამრავი კიბით, დერეფნებითა და გადასასვლელებით შეერთებული ბევრი დარბაზი, მინაშენი და საკუჭნაო იყო.

როგორი იყო ის — ორსართულიანი, სამსართულიანი თუ ოთხსართულიანი? ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა — საძირკველს გარდა ხომ არაფერი გადარჩენილა; იმათაც, რომლებიც ამ საკითხზე დაობენ, მხოლოდ არაპირდაპირი, არცთუ ისე სანდო ცნობები აქვთ. ცნობილია ერ-

თი რამ: კნოსის მაღალი საზოგადოება, როგორც მოწმობს ნანგრევები სასახლის გარშემო, რამდენიმე სართულიან სახლებს იშენებდა.

აქ იყო სინათლის ჭები, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ. დიდი ოთხკუთხა ეზო ერთ კომპლექსად აერთიანებდა მთელ შენობას და ყველა დიდი და მცირე შენობისთვის, ასე ვთქვათ, სინათლის წყაროს წარმოადგენდა.

სადარბაზო შესასვლელი სასახლეს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ჰქონდა. მასთან მივყავდით განიერ გადახურულ ქვის კიბეს. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სეფე დარბაზზეც, ფეხის განსაბანი აუზის მქონე სათავსზეც, აბაზანის ნაშთებზეც... მაგრამ იყო სხვა დარბაზებიცა და ოთახებიც. პირველ რიგში დარბაზი ეგრეთ წოდებული ორმაგი ნაჯახის ემბლემით — რამდენადაც შეიძლება ვივარაუდოთ თავისებური სამეფო დარბაზი.

...გაოცებას იწვევენ ზეთისა და ღვინის შესანახი ადამიანის სიმაღლის თიხის ჭურჭელი — პითოსები. საკუჭნაოები ამ ჭურჭლით იპოვეს სასახლის სარდაფებში. გვერდით იყო იარაღის საწყობები, საბრძოლო ეტლების „გარაჟები", მეფის სალარო. არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს დედოფლის აპარტამენტის ერთ კედელზე დელფინებიანი ფრესკა. საოცრად ცოცხლად არიან დახატული აქ ეს საინტერესო ცხოველები!

დედოფლის განსასვენებელი — სათავსთა ჩაკეტილი ჯგუფი — მოთავსებული იყო სასახლის აღმოსავლეთი ნაწილის ცენტრში. სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი მცენარეული ორნამენტებით შემკული აბაზანის ნაშთები.

## 12.

ამ კუნძულის მოსახლეობას უყვარდა ზღვა, ბევრი რამით იყო მასთან დაკავშირებული. კრეტას მოსახლეობის დიდ ნაწილს სწორედ მეზღვაურები, მეთევზეები, მესაქონლეები, მხვნელ-მთესველები შეადგენდნენ, მაგრამ მარტო ისინი როდი იყვნენ. კრეტელები დახელოვნებული ოსტატებიც გახლდნენ, ისინი აგებდნენ საუკეთესო გემებს, შესანიშნავად ამუშავებდნენ ქვას, ბრინჯაოს, რკინას და ოქროს, იცოდნენ სამეთუნეო საქმე, ხის დამუშავება, ქსოვა.

ამის დამამტკიცებელი ბევრი რამ აღმოაჩინეს არქეოლოგებმა.

აი, მინოსის ერთ-ერთი სახლის საძირკვლის ქვეშ აღმოჩენილი ალი-

ზით ამოყვანილი ცილინდრული ფორმის ჭა, მჭიდროდ მორგებული, ერთმანეთთან შეპირაპირებული კარგად გამომწვარი თიხის რგოლების თავისებური გარსაცმით. ექვსი-ათი სანტიმეტრის სიგანის თითოეულ რგოლს ზედა ნაწილში მომდევნო რგოლისათვის აქვს კილო და სათანადო ნიშანი — ჭდე.

ცალკეული დეტალებისათვის ასეთი გამოსაცნობი ნიშნები კრეტაზე სულაც არ წარმოადგენს იშვიათობას. ყოველ შემთხვევაში ისინი ხშირად გვხვდება შუამინოსის პერიოდის ნაკეთობებზე.

ხომ არ მოწმობს ეს თავისებურ „სტანდარტულ“ პროდუქციას. „ასაწყობ“ მშენებლობას? იმას, რომ კრეტელი ოსტატები მუშაობდნენ წინასწარ დამუშავებული „პროექტით?“

სხვათა შორის, ჭას, თავისი კარგად კონსტრუირებული თიხის გარსაცმით, ჰქონდა მოწყობილობა, რომელიც აიოლებდა გაწმენდას: ბევრ აგურს აქვს სამკუთხა ამონაჭერი — ხელისა და ფეხის საყრდენი. მათი საშუალებით შეიძლება ჭაში ჩასვლა და კვლავ ზევით ამოსვლა.

აი კიდევ საინტერესო ფაქტი: ბრინჯაოს ხანის ოსტატებს თურმე შესანიშნავად შეეძლოთ სადარბაზო შესასვლელებსა და კიბეზე წვიმის წყლის აცილება. როგორ? ისინი ნიაღვარს არინებდნენ ღარ-სადინარებში, რომლებიც ჩამოყვებოდა კიბის საფეხურებს და ქვაში იყო ჩაჭრილი.

მაგრამ, ბუნებრივია, საჭირო იყო ამ ნიაღვრების შეკავება. სადინარს ჰქონდა შვერილები, რომლებიდანაც ვარდნილი წყლის ნაკადი სიჩქარეს ჰკარგავდა.

კიდევ ერთი აღმოჩენის შესახებ. ეს მოხდა იმ ადგილის ახლოს, სადაც გრძელი დერეფანი, პარალელურად რომ მიჰყვება კნოსის სასახლის დასავლეთ კედელს და რომლის გაყოლებაზე თვრამეტი დიდი საკუჭნაო მდებარეობს, კიბეს ებჯინება.

ამ დაფის გამოღება მორთულობის დაუზიანებლად ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა: ოთხი ათას წელზე მეტი ხნით მიწაში ნადები უჩვეულო დაფა არქეოლოგების ხელში აღმოჩნდა.

ის ძალიან ლამაზია.

...სპილოს ძვლის ზიზილები. ერთ მხარეს ოთხი პატარა და ოთხი უფრო დიდი წრე. ხოლო მოპირდაპირე მხარეს — ათი საშუალო ზომის წრე. თერთმეტი განივი თამასა, რომლებიც ჰყოფენ სათამაშო მოედანს. ლამაზი მასალის მრავალფეროვნება: მთის ბროლი, სპილოს ძვა-

„ქალღმერთი გველებით“. ქანდაკება კნოსის სასახლიდან

ლი, შესაძლოა თავის დროზე ოქროთი იყო დაფარული, ოთხი დიდი დისკო — ოქროს, ვერცხლის, ლაჟვარდის ლამაზი ვარდულები...

მეცნიერებმა გაარკვიეს: ეს დაფა იყო სათამაშო მაგიდის ნაწილი. როგორც ჩანს, ქვები, რომლებითაც თამაშობდნენ, მაგიდის უჯრებში ინახებოდა.

ამ დაფის გასაკეთებლად საჭირო იყო არა მარტო დანაყოფებიანი სახაზავები, არამედ ზუსტი ფარგლები, სახატავი დაფები, გრიფელი. ესკიზებიც, კომპოზიციისა და ფერთა შეხამების შესამოწმებლად. სპილოს ძვალი უნდა ამოეჭრათ და გაეპრიალებინათ, ბროლი გაეხეხათ, ოქროსა და ვერცხლის ფირფიტები და მავთულები გამოეჭედათ.

ამ საქმეს მრავალი ხელი ემსახურებოდა და ეს იყო დახელოვნებული და საზრიანი ხელები.

ბევრ რამეს გვიამბობს იმ დროის მშრომელ ადამიანებზე, დამუშავების მეთოდებზე ჩვენს დრომდე ბედის განჩინებით მოღწეული ნივთი. როგორც ჩანს, ჯავაირჩის სახელოსნოში დანების, დიდი და მცირე ბურღების, ხერხების გარდა არსებობდა სახარატო ჩარხიც. შესაძლოა ასეთი მოწყობილობის საშუალებით ხეხავდნენ ქვასაც.

ოქრომჭედლებისათვის აუცილებელი იყო ტიგელები, მაშები, უამრავი სხვადასხვა ჩაქუჩები, კვერი, სხვადასხვა ზომის გრდემლები, ქლიბები, სარჩილი ლამპა და საბერველები, გარდა ამისა ბორაკი და გოგირდი. დურგლებისათვის — ნაჯახები და ხერხები, ჩაქუჩები და სატეხები, საჭრისები და ღოჯები, ოდესღაც ქვის, ახლა კი ბრინჯაოს დანები.

სიტყვამ მოიტანა და გათხრების დაწყებისთანავე ევანსი დარწმუნდა, რომ კუნძულის მცხოვრებლები იცნობდნენ გრანულაციის უფაქიზეს ხელოვნებას: ისინი ოქროს მარცვლებით, უწვრილესი ბუშტულებით ფარავდნენ ნაკეთობებს. ეს იყო ათასი წლით ადრე ეტრუსკებამდე, რომლებიც დიდხანს გრანულაციის გამომგონებლებად მიაჩნდათ. კრეტელი ოსტატები ყველაფერს წესისამებრ აკეთებდნენ: იცოდნენ ოქრომჭედლობის საიდუმლო და ოქროსმარცვლებს კი არ არჩილავდნენ, არამედ ადუღებდნენ, მკაფიო ფორმებს უნარჩუნებდნენ.

...დიახ, ლითონის ხელოსნობა კრეტაზე შუამინოსის პერიოდში დიდად განვითარდა, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდებთან შედარებით. ბრინჯაოს ისე კარგად ადნობდნენ და ისე ბლომად ღებულობდნენ, რომ ტაშტებს და საერთოდ ჭურჭელს (სამფეხა და უფეხო ქვაბებს, დოქებსა და ჩამჩებს, ფიალებსა და თასებს) ბრინჯაოსგან აკეთებდნენ. მაგრამ მარტო ბრინჯაოსგან კი არა. მდიდრებს ყოველთვის უყვარდათ ოქრო.

როგორ არ გავიხსენოთ ცნობილი თასები ბათიოდან! თუმცა ისინი აღმოაჩინეს არა კრეტაზე, არამედ ბერძნულ მიწაზე, სპარტაში. მაგრამ სახელოსნო, რომელშიც ისინია დამზადებული, ბერძნულ მიწაზეც რომ ყოფილიყო, უთუოდ კრეტელ ხელოსანს ეკუთვნოდა. ამას მოწმობს თასების ფორმაც, მორთულობაცა და შესრულების ყაიდაც.

მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მიწაში ჩაფლული ეს ორი ოქროს თასი ორ ვერცხლის თასთან ერთად ჩამოიტანეს საბერძნეთში კრეტადან. როდესაც 1889 წლის გაზაფხულზე ისინი მიწიდან ამოი-

ღეს, იქვე აღმოაჩინეს ერთი შუბი და ოთხმოცი ცალი ამეთვისტოს მრგვალი მძივი — ყელსაბამის ნაშთები, აგრეთვე სამი ოქროს ბეჭედი.

...თუ საჭირო იქნებოდა მოკლედ მოგვეთხრო იმის შესახებ, რა არის გამოსახული ბათიოში აღმოჩენილ თასებზე, შეიძლებოდა ასე გვეთქვა: ეს თავისებური თვალსაჩინო სახელმძღვანელოა, როგორ უნდა დაიჭირო გარეული ხარები.

მაგრამ რა ნაკეთობაა! ტანში ჟრუანტელი გივლის, როდესაც ხედავ გაცოფებული, საზარელი, უზარმაზარი ხარი როგორ ესხმის თავს მონადირეებს, რომლებსაც ასმანაკის იმედი აქვთ. ისინი ელოდნენ ერთ ხარს. მაგრამ მოვიდა სამი. ერთ-ერთი მათგანი მართლაც გაება ასმანაკში, და შეიძლება მისი დამორჩილება — მეტად უხერხულად წევს — გვერდით არის განართხული მიწაზე, — რომ მეორეს არ ეგრძნო სისხლის სუნი.

ხარები ისე გაცოფებით და ისე სწრაფად ესხმიან თავს, რომ მონადირეები ვერ ასწრებენ რაიმეს მოფიქრებას. ერთ-ერთი მათგანი გულაღმა დაეცა, თითქოს უნდოდა ხარს ზურგზე შეხტომოდა, მაგრამ ნახტომი ვერ მოზომა. მის მეგობარს უარესი დღე დაადგა. ის ხარს ცალ რქაზე ფეხით ჩამოეკიდა, ალბათ ნახევრად ცოცხალი. წამიც და გაცოფებული ხარი საცოდავს მიწაზე დაანარცხებს და ფეხებით გათელავს.

ხოლო მესამე ხარი — ის კუდამოძუებული გარბის.

მაგრამ „მოქმედება“ ამით არ თავდება. ის გრძელდება მეორე თასზე.

რამდენად ადვილია იმის გაკეთება, ჰქ რომ სცენაა გამოსახული. ხარის მიტყუება ძროხის საშუალებით და შემდეგ შორიდან ქამანდის სროლა. დაე, იკოტრიალოს ხარმა მიწაზე და იბღავლოს რამდენიც უნდა: ვეღარაფერი უშველის.

აი მოაბიჯებს ულამაზესი ხარი, თან გარემოს ყნოსავს, ნაზად უსვამს ძროხას დრუნჩს დრუნჩზე. ის უკვე ტყვეა: კუნთმაგარმა დამჭერმა სისრულეში მოიყვანა თავისი ჩანაფიქრი. ორივე ხელით უჭირავს თოკი, რომლითაც ხარი შეუბოჭავს...

ხელოვნებათმცოდნეებმა ამ თასებს ბევრი აღტაცებული სიტყვა უძღვნეს. მათ აღნიშნეს დეტალების გამომსახველობაც და რეალისტურობაც, რომლითაც გამოსახულია ადამიანთა ფიგურები, გაცოფებული ხარების სწრაფი მოძრაობები, ხეები და ბალახი, ქვები და მსხვილი დაგრეხილი თოკის ბადე...

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში წმინდა ტექნიკური საკითხებიც გვაინ-

ტერესებს. რელიეფები ხომ ფურცლოვანი ოქროსია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ჭედავდნენ პირდაპირ, თვალწინ არსებული ნიმუშის მიხედვით.

სიზუსტის, თვალზომისა და შთაგონების გარდა საჭირო იყო გამომგონებლობაც; ნაკეთობას უშუალოდ აძლევდნენ ფორმას, არსებობს სამუშაოს ძნელად შესასრულებელი ადგილები (ნახატი ხომ რთულია).

უეჭველია: თასების ბათიოელი შემქმნელი, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედელი, გამოჩენილი ოსტატი-მკვერავი იყო. სხვათაშორის ევანსმა იმავე კნოსის სასახლეში (ამაშიც ბედმა გაუღიმა) აღმოაჩინა ფრესკა, რომელზედაც ზუსტად იგივე სცენა იყო გამოსახული, როგორიც ბათიოში აღმოჩენილ მეორე თასზე.

არა მგონია, თავხედური იყოს ის ვარაუდი, რომ სწორედ ეს ფრესკა იყო შთაგონების წყარო უსახელო ოსტატისათვის.

...ჩვენი ექსკურსი ტექნიკაში შეიძლება რამდენადმე მომქანცველი, მაგრამ ზედმეტი სულაც არ იყო. იქ, სადაც არ არის წერილობითი წყაროები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავამეტყველოთ ნივთები და საგნები.

მხოლოდ შედარებით მაღალგანვითარებული ტექნიკა, თავისი დროისათვის დიდად განვითარებული ხელოსნობა და სოფლის მეურნეობა შეიძლებოდა ყოფილიყო კრეტას კულტურის საფუძველი.

ის, რომ კრეტა იყო კუნძული, სულაც არ უშლიდა (შეიძლება ხელსაც უწყობდა) ეწარმოებინა გაცხოველებული ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან.

ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჩვენთვის უკვე ცნობილი სათამაშო მაგიდა: სპილოს ძვალი ხომ ან აფრიკიდან, ან ინდოეთიდან შემოჰქონდათ! ასფალტი მესოპოტამიიდან შემოდიოდა, ლაჟვარდი, რომელიც იშვიათად იყო ბუნებრივი, და მზადდებოდა სპილენძის ჟანგისა და კაჟმჟავას მარილების ნაერთისაგან, ალბათ ეგვიპტიდან შემოჰქონდათ.

...ხუთი წლის წინ გელიდონიის კონცხის მახლობლად, თურქეთის სანაპიროსთან, აკვალანგისტებმა 27 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს უცნობი ხომალდის ნარჩენები. არა, ეს არ იყო ხომალდი კრეტადან; თუმცა დღემდე არ იციან ვისი იყო ის. მაგრამ ის, რომ ხომალდი აგებული იყო ბრინჯაოს ხანაში, ეჭვს არ იწვევდა. და თუ ზუსტად ასეთით არა, როგორც ჩანს, მსგავსი, მეტ-ნაკლებად უფრო დიდი თუ მცი-

რე ხომალდებით სერავდნენ ოდესღაც ზღვებს კრეტელი ზღვაოსნები.

მეცნიერებმა გულდასმით მუშაობის შემდეგ შეძლეს მისი გარეგნობისა და ზომების რეკონსტრუქცია.

ხომალდის სიგრძე აღწევდა ცხრა მეტრს, სიგანე — ორს. თუ ნაპოვნი სპილენძის ზოდების (გემს სპილენძი მიჰქონდა) წონის მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი ტვირთამწეობა შეადგენდა დაახლოებით ტონანახევარს. ზოდებს, ქარიშხლის დროს რომ გემის ქიმები არ დაელეწა, აწყობდნენ ტოტებისა და ფიჩხის „ბალიშზე“.

ზოდების გარდა გემზე აღმოაჩინეს ნიჩბები, თოხები, იარაღი. ტრაპეზის ნარჩენებიც კი — თევზისა და ფრინველის ძვლები, ზეთისხილის კურკები.

მე-12 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შტორმში მოხვედრილი კაპიტანი ცდილობდა ხომალდი გაეყვანა ვიწრო სრუტეში. ხომალდი ზღვის ფსკერზე დარჩა. სპილენძის ზოდებით, სასწორებისა და წვრილსაწონების სამი კომპლექტით, ბრინჯაოს პატარა გრდემლით.

## 13.

კნოსის სასახლე — ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით ამაზე — ყველაზე დიდი იყო კრეტაზე, მაგრამ ერთადერთი არ ყოფილა. დღეს უკვე ცნობილია, რომ დაახლოებით 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შეიძლება ცოტათი ადრე, ან ცოტათი გვიან, კრეტას სხვადასხვა კუთხეში კნოსის, თესტის, მალის მთავრების მიერ აშენებული იყო მრავალოთახიანი სასახლეები, საწყობებითა და სახელოსნოებით. სასახლეების კედლებს ლამაზი ფრესკები ამშვენებდა.

ხოლო ორასი-სამასი წლის შემდეგ, დაახლოებით 1700 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, კრეტაზე მოხდა კატასტროფა. დაინგრა სასახლე კნოსში. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ მიზეზებზე. ვერსია იმის შესახებ, რომ ეს გააკეთეს რომელიღაც მტრულმა ტომებმა, თითქოს ჰიქსოსებმა, მთლად დამტკიცებული არ არის. უფრო სავარაუდოა, რომ ნგრევის მიზეზი იყო მიწისძვრა. მაგრამ იქნებ შინაომსაც მიუძღვის ბრალი? თესტშიც ხომ დაინგრა სასახლე რამდენადმე გვიან? ასეა თუ ისე, გამორიცხული არ არის, რომ ისიც მაშინ დაინგრა, მაგრამ მთლიანად არა, ნაწილობრივ.

იღუპება აგრეთვე ქალაქები მოქლოსი, გურნია, პალიკასტრო.

მაგრამ დაახლოებით 1600 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვ-

რება კვლავ კალაპოტში დგება. ეს არის კრეტას აყვავების მეორე, მთავარი პერიოდი. კრეტა თავისი ეკონომიური ძლიერების მწვერვალზეა. ნანგრევებიდან დგება ძველი სასახლეები: ხელმეორედ აშენებენ და აშენებენ უკეთესს — იმავე კნოსში, თესტაში, გურნიასა და სხვა ადგილებში.

„კრეტაზე მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლებით ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ, — ნათქვამია ერთ-ერთ თანამედროვე სახელმძღვანელოში, — კრეტა ამოუყენა გვერდში ისეთ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებს, როგორიცაა, ეგვიპტის, ხეთების, ბაბილონის სახელმწიფოები!"

კრეტას ოქროს ხანა გრძელდება 1600 და 1400 წლებს შორის ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეგეოსის ზღვა გახდა კრეტას ზღვა.

იქნებ ამ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ თქმულება მეფე მინოსის მიერ ატიკაზე შეწერილი საშინელი ხარკის — ყოველწლიურად შვიდი ჭაბუკისა და შვიდი ქალწულის შესახებ? და ჰეროდოტესა და თუკიდიდეს ცნობაც იმის შესახებ, რომ მინოსის (თუ მინოსების: დღეს მეცნიერები იმ აზრს უჭერენ მხარს, რომ ეგვიპტელი რამზესების მსგავსად მინოსი კრეტელი მეფეების სახელია) სახელმწიფო ბატონობს ზღვაზე და რომ მინოსმა უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრო?

შემდეგ კი... კვლავ მოხდა დიდი კატასტროფა. ნაცარტუტად იქცა ადამიანის გამოგონების, ადამიანის გონების, ადამიანის შრომის ნაყოფი.

## 14.

კატასტროფამდე ორასი წლით ადრე კრეტამ ღონე მოიკრიბა და უფრო გაიფურჩქნა, ვიდრე იყო. ახლა კი სიკვდილი ცელავდა ყველაფერს. ჩვენ თითქოს არაფერი ვიცით ამ კატასტროფის მიზეზების შესახებ. ვიცით მხოლოდ ერთი რამ: მოხდა რაღაც საშინელი. აღიგავა თითქმის პირისაგან მიწისა მთელი ქალაქები: კნოსი, თესტი, აგია-ტრიადა, გურნია, მოქლოსი, მალია — კუნძული ნანგრევებმა, სისხლმა და ფერფლმა დაფარა.

ამ დაცემის შემდეგ კრეტა ვეღარ აღსდგა.

როდის მოხდა კატასტროფა?

არქეოლოგები გვიპასუხებენ: დაახლოებით 1400 წელს. მათ გამოიანგარიშეს თარიღი, ერთმანეთს შეადარეს კრეტაზე გათხრების დროს

მიწის სათანადო ფენებში აღმოჩენილი მასალა და ამენოფის III-ის (1401—1375 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დროის ეგვიპტელების მიერ უკანასკნელად კრეტას ხსენება.

რა თქმა უნდა, აქ შესაძლებელია დროის გარკვეული გადანაცვლება: გამორიცხული არ არის, რომ არქეოლოგები ცდებიან ოცდაათ—ორმოცდაათ წელიწადში.

აი თვეც, როდესაც კატასტროფა მოხდა, მეცნიერები სრული გარანტიით ასახელებენ მას. განა ეს შესაძლებელია? თურმე შესაძლებელია. მეცნიერებს დაეხმარა ხანძრის ნაკვალევი. თითქოს იცოდა, როგორი მნიშვნელოვანი იქნებოდა ოდესმე ეს ნაკვალევი, ქარმა კრეტას შენობების კედლების ნანგრევებზე აღბეჭდა კვამლის ნაკვალევი. ეს იყო საკმაოდ ძლიერი ქარი: მას მიჰქონდა ბოლი ჰორიზონტალურად.

წლის რომელ დროს ქრის კრეტაზე ასეთი ქარი, რომელსაც შეეძლო ცეცხლმოკიდებული ნივნივებიდან ჩრდილოეთისაკენ ჰორიზონტალურად წაეღო ცეცხლის ენები? როგორც წესია, მხოლოდ აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში.

ევანსი, რომელმაც მრავალი წელი მიუძღვნა ამ საკითხის შესწავლას, ასე უპასუხებს: მოხდა მიწისძვრა. ისეთი ძლიერი მიწისძვრა, რომ ლამის მთელი კრეტა გადააყირავა. შემდეგ ამას შედეგად მოჰყვა დიდი ხანძარი.

„ადამიანებს, — ამბობს ევანსი, — მოულოდნელად დაატყდა თავს უბედურება. ნაკვალევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად მოხდა.

აი, მაგალითად, კნოსის მბრძანებლის სეფე დარბაზი. ის აღმოჩენილ იქნა სრულ უწესრიგობაში. ერთ-ერთ კუთხეში ეგდო ზეთის გადმოპირქვავებული ჭურჭელი, მის მახლობლად ეყარა რაღაც საკულტო დანიშნულების ჭურჭელი. როგორც ჩანს, მეფემ მიაშურა ამ კუთხეს, რათა უკანასკნელ წამებში რაღაც რელიგიური ცერემონია შეესრულებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოასწრო. იძულებით შეწყვეტილი სამუშაოს კვალი ჩანს ხელოსნების, მხატვრების სახლებშიც“.

ევანსი ასკვნის: იმდენად მოულოდნელი და წამიერია კრეტას სახელმწიფოს დასასრული, რომ ამის მიზეზი შეიძლება იყოს მტერი და არა მიწისძვრა.

მაგრამ, მეორეს მხრივ, გათხრებმა გვიჩვენა, რომ კნოსშიც, თეს-

ტშიც, სხვაგან და ყველგან დანგრეულ-დარბეული და დამწვარი იყო სასახლეები და მოსახლეობაც.

მაინც რა მოხდა — მიწისძვრა? იქნებ მარტო მიწისძვრა არ მომხდარა? ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ კრეტელი მოქალაქეები ხმარობდნენ ნავთს, შესაძლოა გასანათებლად, შესაძლოა ქურების გასაჩაღებლად ან საჭმლის მოსამზადებლად. ამრიგად, ასკვნიან ისინი, გაჩნდა ხანძარი. ჩვენ არ ვიცით, იცოდნენ თუ არა კრეტაზე ნავთი. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს იყოს მიზეზი. ეჭვს იწვევს ევანსის მოსაზრებაც — კრეტას დაღუპვა მხოლოდ სტიქიური უბედურების ბრალიაო.

სავარაუდოა, რომ ამ უბედურებაში ადამიანებიც იყვნენ ჩარეული!

...წარმოვიდგინოთ, რომ დაახლოებით 1400 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთის ტერიტორიები კი არ ექვემდებარებოდა კრეტას, როგორც ჩვეულებრივ თვლიან, არამედ, პირიქით, საბერძნეთი ბატონობდა კრეტაზე. განა არ შეიძლებოდა კუნძულზე მომხდარიყო აჯანყება უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ? რაღაც-რაღაც მონაცემები ეთანხმება ამ ჰიპოთეზას. ეტყობა, რომ ერთბაშად და ყველგან არ ჩამკვდარა სიცოცხლე კრეტაზე.

არსებობს მეორე, უფრო სარწმუნო ჰიპოთეზა. თუ სასახლეებისა და ქალაქების დაღუპვა მარტო მიწისძვრის შედეგი არ არის, მაშინ უფრო სარწმუნოა მტრის თავდასხმა, კუნძულზე მტრული ტომების შემოჭრა.

ჩვენ ვიცით: რუსეთის ტრამალებს კალიასავით შემოესია მტრის ურდოები, ცეცხლს ეძლეოდა რუსული ქალაქები, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა თავგანწირვით იცავდა მათ. ასე დაინგრა იზიასლავლი, თვით კიევიც. რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კრეტაზეც უეცრად შემოჭრილი მტრული ურდოების გამანადგურებელ თავდასხმას ასეთივე შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა?

...მთელი სამხედრო ფლოტილია, ნამდვილი არმადა შეიძლებოდა მოულოდნელად გამოჩენილიყო კრეტას ნაპირებთან. ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილებში გადმოსხმულმა დესანტებმა დაიწყეს გამაგრებული ქალაქების შტურმი. პირველი წარმატების შემდეგ მტრის ჯარები წინ წავიდნენ.

ვინ იყვნენ ეს დამპყრობლები? ალბათ, ბერძენი-აქეელები, რომლებმაც აჯანყების დროშა აღმართეს კრეტას ჰეგემონობის წინააღმდეგ.

„XV საუკუნის გაზაფხულის ერთ დღეს, — ასე ამბობს ინგლისელი

მეცნიერი ჯონ პენდლბერი, — როდესაც ქროდა სამხრეთის ძლიერი ქარი, რომელსაც ჰორიზონტალურად უნდა წაეღო ცეცხლის ენები ჩრდილოეთისაკენ, აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში, დადგა შურისძიების ჟამი“.

ეს იყო კარგად ორგანიზებული სამხედრო ექსპედიცია გარკვეული პოლიტიკური მიზნით: კრეტას დაცემა არ შეიძლებოდა ყოფილიყო უბრალო ავაზაკური თავდასხმის შედეგი, თვლის პენდლბერი. „დარტყმა იყო საშინელი, — წერს ის. — უკანასკნელ მომენტში, როდესაც სასახლე უკვე გარშემორტყმული იყო მტრებით და ბრძოლები მიმდინარეობდა სართულებზე, როდესაც ცეცხლის ენები ნთქავდნენ სეფე დარბაზს, აქ, მცველთა თანხლებით, შემოიჭრა მეფე მინოსი“... სასოწარკვეთილი ცდილობდა ლოცვითა და მსხვერპლშეწირვით აეცილებინა სახელმწიფოს თავზე დამტყდარი უბედურება.

მაგრამ ამაოდ. ფაქტი ფაქტად რჩება: დაახლოებით 1400 წელს ეცემა მინოსის ხელისუფლება. იწყება ლეგენდარული მეფის სახელმწიფოს დაშლა.

მეორე თანამედროვე ინგლისელ ისტორიკოსს, ჯეფრი ბობის, არ სჯერა ძლიერი ფლოტისა და სადესანტო ნაწილების თავდასხმისა, მაგრამ მას მიაჩნია, რომ მითი თეზევსის შესახებ რაღაცნაირად უკავშირდება კრეტას დაცემას.

„იმ წელს, — წერს ბობი, — თავი მოიყარეს, რათა დიდი ზეიმით აღენიშნათ „ხარების დღესასწაული“. უამრავი მამაცი მეომარი (ბობი მათ ტორეადორებს უწოდებს. — ა. ვ.) ჩამოვიდა საბერძნეთიდან ამ დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად. ეგეოსის მთავრებიც იყვნენ აქ თავიანთი ამალით გამარჯვებულთა პატივსაცემად. მათ შორის ყურადღებას იქცევდა ატიკელი თეზევსი. მეორე დღეს უნდა მომხდარიყო მთავარი მსხვერპლშეწირვა.

მაგრამ მსხვერპლშეწირვა არ მომხდარა. იმიტომ რომ შუაღამით მშვიდად მძინარე მოქალაქეები გააღვიძა ყვირილმა, ბრძოლის ხმამ, ცეცხლის გუგუნმა. როდესაც ისინი, ნახევრადშიშვლები, შეშინებულნი, ქუჩებში გამოცვივდნენ, დაინახეს, რომ მინოსის დიდი სასახლე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

მხოლოდ დილით მოვიდნენ გონს მცხოვრებლები, თუ რა მოხდა. მხოლოდ დილით ცოცხლად გადარჩენილები მიხვდნენ, რომ შეიარაღებული ადამიანები, რომლებითაც სავსე იყო ქუჩები, რომლებმაც ალყა შემოარტყეს სასახლეს და გაუსწორდნენ კარისკაცებს — იყვნენ

აქეელები და მათ შორის კნოსის ბერძნული კვარტალის ძველთაძველი მცხოვრებლები“.

როგორც ვხედავთ, ბობი, ათანადროულებს რა მოვლენას, ცდილობს როგორღაც ახლებურად წარმოადგინოს ამბავი: აქ არის „მეხუთე კოლონაც“, „გრძელი დანების ღამეც“.

მართალი არიან თუ არა ესა თუ ის მეცნიერები კონკრეტულ დეტალებში — ბოლოს და ბოლოს ეს მეორეხარისხოვანი ამბავია: შეიძლება ისე მოხდა, როგორც პენდლბერი ამბობს. შეიძლება სხვაგვარადაც. არც ისაა გამორიცხული, რომ მტრის შემოსევას წინ უსწრებდა მიწისძვრა.

აი რა არის მთავარი: უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ სწორედ აქეელებმა დაიპყრეს კნოსი.

რადგანაც სწორედ ამ დროიდან ვრცელდება კრეტაზე ეგრეთ წოდებული ხაზოვანი დამწერლობა „ბ“.

ჩვენ აქ კვლავ დავუბრუნდებით ევანსს.

## 15.

გახსოვთ ალბათ, ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით, რომ ჯერ კიდევ 1893 წელს ევანსმა საკმაოდ ბლომად აღმოაჩინა იეროგლიფური სიმბოლოები, რომლებიც თავის დროზე გავრცელებული იყო კრეტაზე. სწორედ ამის გამო გაემართა ის კუნძულ კრეტაზე — „ასი ქალაქის სამეფოში“, როგორც ამბობდა ჰომეროსი.

ევანსის ქვის ბეჭდებისა და გემმების კოლექცია ამ დროიდან სწრაფად იზრდება. მაგრამ ამავე დროს მას ხვდებოდა დაფები და საგნები, რომლებიც დაფარული იყო სხვაგვარი დამწერლობით — ხაზოვანით.

აქ, ისევე როგორც ადრე აღმოჩენილ დაფებზე, შესრულებული იყო პრიმიტიული პირობითი გამოსახულებანი — იდეოგრამები. მაგრამ ამ დაფებზე სურათები უფრო მარტივკონტურებიანი აღმოჩნდა. როდესაც ევანსი უფრო ყურადღებით დააკვირდა, დარწმუნდა: პირობითი გამოსახულებების — იდეოგრამების წინ ცალკე იდგა ნიშნების ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო ხაზებით. ასეთი ნიშნები იყო ოთხმოცდაშვიდი თუ ოთხმოცდაცხრა: აშკარად არასაკმარისი ისეთი დამწერლობისათვის, სადაც თითოეული სიტყვა აღინიშნება ცალკეული ნიშნით, ე. ი. იდეოგრაფიკული დამწერლობისათ-

ვის და, რა თქმა უნდა, ძალზე ბევრი ანბანისათვის. ასე მივიდა ის სწორ დასკვნამდე, რომ მის წინაშეა დამწერლობა, რომელშიც ყოველი ნიშანი აღნიშნავს გარკვეულ მარცვალს.

მაშ ასე, საქმე გვაქვს ხაზოვან მარცვლოვან დამწერლობასთან. და სხვათაშორის სრულიად სხვადასხვაგვართან.

თავიდანვე მიიტანა ევანსმა ეჭვი, რომ არსებობს უფრო ადრეული დაფები დამწერლობის ერთი სახეობით, უფრო გვიანდელი კი დამწერლობის სხვა სახეობით. იმ დამწერლობას, რომელიც მან უფრო ძველად მიიჩნია (ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ასეც იყო), მეცნიერმა ხაზოვანი მარცვლოვანი „ა "დამწერლობა უწოდა: სხვები კი მიაკუთვნა „ბ" კლასს.

...მას ალბათ სულით და გულით უნდოდა თავად გაეშიფრა საიდუმლოებით მოცული დამწერლობა. და არ ჩქარობდა მის ხელში თავმოყრილი სიმდიდრის გამოქვეყნებას. 1935 წელს მან გამოსცა ასლები დაახლოებით ასი დაფისა, რომლებიც დაწერილი იყო ხაზოვანი „ბ" დამწერლობით. მანამდე მან გამოაქვეყნა მხოლოდ თოთხმეტი! და ეს იმ დროს, როდესაც ისინი აღმოჩენილი იყო თითქმის სამი ათასი!

მან გამოაქვეყნა „ა" კლასის დამწერლობის მცირეოდენი ნიმუშებიც.

და, შესაძლოა, არც ისე ცდებოდნენ ინგლისელი მკვლევარები ვენტრისი და ჩედვიკი, სწორედ ისინი, რომლებმაც ათი წლის შემდეგ გაშიფრეს ხაზოვანი „ბ" დამწერლობა, როდესაც გულისტკივილით წერდნენ: „მეცნიერთა ორ თაობას არ ჰქონდა შესაძლებლობა კონსტრუქციულად ემუშავა პრობლემაზე".

პრობლემა კი არც ისე იოლი იყო.

ცნობილი არ იყო დამწერლობის სისტემა. უცნობი იყო ენა, რომელზედაც შესრულებული იყო წარწერები, თვით წარწერებიც ძალზე მოკლე იყო — ორი, სამი ბწკარი, არსებითად — განცალკევებული ტექსტები.

## 16.

დიდხანს და დაწვრილებით შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ უახლოვდებოდა მეცნიერება კრეტას ხაზოვანი დამწერლობის „ბ"-ს ამოკითხვის საიდუმლოებას. მაგრამ ეს სხვა წიგნის თემაა. სიმართლე რომ ვთქვათ, ორი ასეთი წიგნი უკვე დაწერილია:

მიკეის დამწერლობის დარგში დიდი საბჭოთა სპეციალისტის პროფ. ს. ი. ლურიეს „ამეტყველებული დაფები“ და გერმანელი ფილოლოგის დობლგოფერის პოპულარული, თუმცა საკმაოდ რთული წიგნი „ნიშნები და სასწაულები“.

ჩვენთვის მთავარია დავამტკიცოთ ერთი რამ: მეცნიერებისათვის იმ ბედნიერ დღეს, როდესაც არქიტექტორმა მაიკლ ვენტრისმა დაამტკიცა, რომ დაფა „ბ“ დამწერლობით დაწერილია ბერძნულ ენაზე, მიკვლეულ იქნა გზა საიდუმლოს გახსნისაკენ. და არა მარტო XV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კუნძულ კრეტაზე არსებული ერთ-ერთი დამწერლობის საიდუმლოს გახსნისაკენ, არამედ ძველი კრეტას ისტორიასთან დაკავშირებული ჯერ კიდევ მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხების გადაწყვეტისაკენ.

საქმე ისაა, რომ 1939 წელს, როდესაც ვენტრისი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რომ კარგა ექვსი წელი მოუწევდა ინგლისის სამეფოს საჰაერო ძალების შტურმანად ყოფნა, ორი თვით ადრე, ვიდრე გერმანული ბომბდამშენები და ტანკები პოლონეთში შეიჭრებოდნენ, ამერიკელმა არქეოლოგმა ბლეგენმა და ბერძენმა კურონიოტისმა, თავისდა გასაოცრად, საბერძნეთში, პილოსის მახლობლად, დიდი სასახლის გათხრების დროს აღმოაჩინეს ექვსასი ასეთი დაფა, კრეტას „ბ“ დამწერლობით!

ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ პელპონესი ოდესღაც მინოსის სახელმწიფოში შედიოდა? თუ, პირიქით, ოდესღაც მატერიკზე მცხოვრებმა ტომებმა თავისი დამწერლობა მოიტანეს კრეტაზე?

მაგრამ პილოსში აღმოჩენილი დაფები მიეკუთვნებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეს (ამაზე საკმაოდ მრავლად იყო საბუთები)! კრეტაზე აღმოჩენილი კი ადრეულ XV—XIV საუკუნეებს მიეკუთვნებოდა.

არა მარტო პილოსში, არამედ მიკენშიც აღმოჩნდა დაფები „ბ“ დამწერლობით. ისინი შემთხვევით აღმოაჩინეს გათხრების დროს 1952 წელს. იმავე 1952 წელს ბლეგენმა აღმოაჩინა პილოსში კიდევ ოთხასი დაფა, ხოლო ორი წლის შემდეგ კიდევ ორმოცდაათი.

მაგრამ იმ დროისათვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. 1952 წლის 10 ივლისს შედგა მაიკლ ვენტრისის ცნობილი გამოსვლა. მან გაანაცხადა: კნოსის დაფები დაწერილია ძველ ბერძნულ ენაზე.

ეს მხოლოდ ერთს ნიშნავდა: XV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კნოსს მართავდნენ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე უცხოქვეყნელე-

ბი. ეს უცხოქვეყნელები კი მოვიდნენ მატერიკიდან. ხოლო მატერიკზე დამწერლობა მოხვდა კრეტადან!

რატომ გაკეთდა ასეთი დასკვნა? აი რატომ: „ბ“ დამწერლობა ბევრი რამით შეცვლილი და მისადაგებულია ბერძნულ ენასთან, უფრო ძველია „ა“ დამწერლობა.

უფრო სწორად, ხაზოვანი „ა“ დამწერლობა საერთოდ ისევე იკითხება, როგორც „ბ“ დამწერლობა. მაგრამ როგორია დოკუმენტების ენა? ერთი რამ ნათელია: ეს დაფები დაწერილია არა ბერძნულ ენაზე. ეს (და სხვა ფაქტებიც) გვაფიქრებინებს, რომ მარცვლოვანი დამწერლობა „ა“ (შეგახსენებთ, რომ ის მიეკუთვნება XVII საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და „ბ“ დამწერლობაზე ძველია), ბერძნებს არ გამოუგონიათ.

სრულიად ლოგიკურია: ხალხი, რომელიც ძველთაგანვე კრეტაზე ცხოვრობდა (სახელდობრ, რომელი ხალხი, ჯერ არ ვიცით; ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ... ეს ხალხი იყო ხეთები. შესაძლოა, ეს უძველესი მცხოვრებლები ლაპარაკობდნენ ისეთ ენაზე, რომელიც არც ბერძნული იყო, არც საერთოდ ინდოევროპული და საერთოდ არ ენათესავებოდა მეცნიერებისათვის არც ერთ ცნობილ ენას), არის გამომგონებელი თავისი დამწერლობის სისტემისა. ორი თუ სამი საუკუნის შემდეგ მატერიკული საბერძნეთიდან მოსულებმა ეს დამწერლობა თავისი საჭიროებისდამიხედვით გამოიყენეს სწორედ იმ პერიოდში, როდესაც კრეტას კატასტროფა დაატყდა თავს. რადგანაც ერთი საუკუნის შემდეგ ანალოგიური დაფები — კრეტული დამწერლობა ბერძნული „შევსებით“ აღმოჩნდა იმავე ადგილებში, სადაც ძველთაგანვე ცხოვრობდნენ აქეელები, შეიძლება გამოვიტანოთ სულ მცირე ორი დასკვნა. სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები. ჯერ ერთი, აქეელები — ბერძნული ენის ტომია, მეორეც, ყველაზე უფრო სარწმუნოა ის, რომ სწორედ ბერძენმა აქეელებმა მიაყენეს გადამწყვეტი დარტყმა კრეტის კულტურას.

თუმცა, სავსებით ბუნებრივია მესამე დასკვნა, უფრო სწორად, ვარაუდი: ხომ არ წარმოადგენდა საერთოდ მთელი მიკენის კულტურა კრეტას კულტურის მხოლოდ სუსტ ანარეკლს, სუსტ მიბაძვას?

## 17.

ამრიგად, უკვე II ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ ბერძნული ტომები. მიკენის

კულტურა ვითარდებოდა კუნძულ კრეტას უძველესი და მდიდარი კულტურის ძლიერი ზეგავლენით. XV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როგორც ამას მოწმობს კნოსში „ბ“ დამწერლობის გამოყენება, ბერძნები კრეტაზეც მოვიდნენ.

კრეტამ იარსება კიდევ რამდენიმე საუკუნეს. მაგრამ მიყენებული დარტყმების შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა.

მიკენსა და სხვა ქალაქებში მატერიკზე კულტურის აყვავება გრძელდებოდა თითქმის XII საუკუნემდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც ერთიმეორის მიყოლებით საბერძნეთის ყველა უმსხვილესი ცენტრი გაძარცული და დანგრეული იყო: მიკენელი ბერძნების ნაცვლად, აქეელების ნაცვლად ცეცხლითა და მახვილით გზას იკაფავდნენ ახალი დამპყრობლები — დორიელები.

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ დორიელების თავდასხმა გახდა მიზეზი მიკენის ცივილიზაციის (ანუ, როგორც ახლა ამბობენ, აერთიანებენ რა კრეტასთან ერთ კომპლექტში — ეგეოსის ცივილიზაციის) დაღუპვისა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკვე XIII—XII საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე კრეტაზე დაიწყო ხანგრძლივი დაცემის ხანა. შესაძლოა, სწორედ შინაგანმა მიზეზებმა გაუადვილა დორიელებს დაპყრობა.

## 18.

მაინც ვინ იყო კრეტის კულტურის შემქმნელი, კნოსის და კუნძულის სხვა ქალაქებისა და დასახლებების შესანიშნავი სასახლეების ამგები? ვინ ცხოვრობდა კრეტაზე იქ ბერძნების მისვლამდე?

ეს ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. საჭიროა გაიშიფროს „ა“ დამწერლობა: ის არა მარტო ფარდას ახდიდა უძველეს დამწერლობათა ზოგიერთ საიდუმლოებას, არამედ გამოარკვევდა კრეტას ისტორიასთან დაკავშირებულ მთელ რიგ გადაუჭრელ საკითხებს. საჭიროა გაგრძელდეს გათხრები.

...ევანსის ძიებებმა ათას წელზე მეტი ხნით გადასწიეს დროის სიღრმეში ელადის ისტორიის, ეგეოსის ზღვის ისტორიის დასაბამი. არქეოლოგებმა უძველესი დროის ცოტა სასახლე და ქალაქი, უფრო სწორად, მათი ნანგრევები როდი იხსნეს დავიწყებისაგან. გაოცებას საზღვარი არა აქვს, ამ მოვლილი ქუჩების, წყალსარინი და წყალგაყვანილობის ქსელის, მრავალსართულიანი სახლების, უთვალავი სახელოს-

ნოს — სამეთუნეო და საქსოვი, სამჭედლო და ფეხსაცმლის, მექოთნეობის და საჯავაირჩო სახელოსნოების არსებობას რომ გებულობ. ახლა მბრუნავი ორმაგი კარი, ახლა ხელოვნური განათება? როდესაც ევანსმა გათხარა სასახლე კნოსში, მეცნიერთა შორის დავა ატყდა: როგორი საზოგადოებრივი წყობილება იყო კრეტაზე? ერთნი ამტკიცებდნენ, რომ კუნძულს მართავდნენ უძლიერესი მეფეები. მეორენი ფიქრობდნენ, რომ კუნძულზე შემორჩენილი იყო პირველყოფილი ურთიერთობანი: შეხედეთ სასახლის უამრავი შენობის ნაშთებს, — ამბობდნენ ისინი, — ესენი ხომ მექსიკაში ინდიელთა შენობების ნანგრევებს გვაგონებენ, შენობებისა, რომლებშიც ცხოვრობდნენ თემებად — გვარებად.

· გაშიფრულმა დაფებმა დავა გადაჭრა: ამ ტერიტორიების გამოკვლევის ოქმებში, აღწერილობებში, ინვენტარის სიებსა და სხვა საფინანსო-ადმინისტრაციულ დოკუმენტებში პირდაპირ მოიხსენიება მონები. კრეტასა და პილოსის მბრძანებლებს თავისუფალი მოსახლეობის გარდა ემსახურებოდა მონებისა და მონა ქალების მთელი არმია.

...თიხის დაფებზე, თიხის საოჯახო ჯამ-ჭურჭელზე, კედლებზე, ტყავზე, პალმის ფოთლებზე წერდნენ კრეტას უძველესი მცხოვრებლები. კუნძულზე თოთხმეტ ადგილას არის აღმოჩენილი „ა“ დამწერლობა. ეს კი თავსატეხია იმათთვის, ვინც მოინდომებს მათ გაშიფვრას, აგრეთვე იეროგლიფების ამოკითხვას, რადგანაც ეს ნაწერებიც, ალბათ, რაღაც ცნობებს მოგვაწვდიან კრეტის უძველეს დასახლებაზე.

ცნობილია აგრეთვე დამწერლობათა კიდევ ერთი მზაკვრული თავსატეხი: თხუთმეტი სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ტერაკოტას ცნობილი დისკო, რომელიც აღმოაჩინეს 1908 წელს თესტაში სასახლის ერთ-ერთ გვერდით შენობაში. ნახევარ საუკუნეზე მეტია ის მოსვენებას არ აძლევს მეცნიერებს. აქ სპირალურად განლაგებული ორასზე მეტი ნიშანია, რომლებიც არავისთვის არ არის გასაგები. ისინი დაყოფილია ჯგუფებად რადიალური ხაზებით.

სიტყვებია? წინადადებები?

ეს ჯერ არავინ იცის.

ცნობილია მხოლოდ ერთი რამ: ნიშნები ამოტვიფრულია სპეციალური ტვიფარით. ნუთუ ეს ტვიფარები მხოლოდ ერთადერთი დისკოსათვის დაამზადეს? წარწერა დისკოზე მარცვლოვანია, ე. ი. ცალკეული ნიშნები აღნიშნავენ მარცვლებს და არა ასოებს. მაგრამ ზუსტად ეს არავინ იცის. იქნებ, რაიმე უფრო გარკვეულის გაგება მოგველის

ლაბირინთზეც. თუმცა ბევრი თვლის, რომ ლაბირინთი იყო თვით მინოსის სასახლე კნოსში, მაგრამ სავსებით ზუსტი მონაცემები ამის შესახებაც არ არსებობს. კნოსში აღმოჩენილ მონეტებზე, იმათზე, რომლებიც ნაპოვნი იყო სასახლეში, შემონახულია რაღაც შენობის შესასვლელების და გადასასვლელების გამოსახულებანი. ვინ იცის, იქნებ კნოსის სასახლეზე რაღაც უფრო ძველი შენობაა აღბეჭდილი მონეტებზე, რა თქმა უნდა, სქემატურად? და მაინც რატომ დაინგრა ასე კრეტა XIV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე?

დიახ, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის, რაც გააკეთეს ევანსმა და მისმა მოწაფეებმა, არსებითად ძალიან ბევრი რამ კუნძულის ისტორიაში ჩვენთვის უცნობი რჩება.

...სულ რაღაც რამდენიმე სახელი ვიცით და ისიც მაინცდამაინც ზუსტად არა. ეს მხოლოდ საერთო პერიოდიზაციაა. თითქმის არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია სამოქალაქო ისტორიიდან: რევოლუციებზე, ომებზე, მმართველთა შეცვლაზე, შეთქმულებებზე, კანონებზე — ყველაფერი ეს ჩვენთვის სრულიად უცნობია.




# ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐ-ᲛᲝᲠᲑᲔᲚᲜᲘ

ოდესღაც ეს სახელმწიფო სახელგანთქმული იყო. დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბერძნებთან, უმბრებთან, ლიგურებთან, საბინებთან და სხვა ტომებთან ბრძოლაში იზრდებოდა მისი ძლიერება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის შუა წლებში მხოლოდ მისი საზღვრებიდან მოშორებით მდებარე ქვეყნები — კართაგენი და მატერიკული საბერძნეთი — რჩებოდნენ მის რეალურ მეტოქეებად.

მაგრამ, საეჭვოა ეტრურიის მმართველთა წრისათვის ცნობილი ყოფილიყო მაშინ, რომ მისი მთავარი, და საშიში მეტოქე გახდებოდა მისივე ერთ-ერთი ქალაქი. რომ უმნიშვნელო, პატარა, შტატგარეთა ქალაქი რომი ოთხი საუკუნის შემდეგ მრისხანე სახელმწიფოდ გადაიქცეოდა და გააკეთებდა იმას, რაც ვერ შეძლეს მისმა მბრძანებლებმა — ხელში ჩაიგდებდა მთელ აპენინებსა და პიემონტს, ლიგურიასა და პიცენტას, ლუკანიასა და კალაბრიას...

# 1.

1828 წლის ადრეულ გაზაფხულზე ტოსკანელი გლეხი აუჩქარებლად მიჰყვებოდა ხარს, რომელიც გუთნით ხნულს ავლებდა. წვიმიანი დღე იყო, ხარი ძლივს მიათრევდა შავმიწა სახნავ ნიადაგში ჩაფლულ გუთანს, გლეხმა რამდენჯერმე გადაუჭირა ხარს წნელი. უცებ ხარმა წაიფორხილა და მუცლით ჩაეშვა პირდაღებულ ორმოში. საცოდავ პირუტყვს წინა ფეხები დაემტვრა და გლეხს ისღა დარჩენოდა სახლში გაქცეულიყო ძველთაძველი თოკის მოსატანად.

გლეხმა (სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა მისი სახელი) ამოათრია ავბედითი ორმოდან ხარის სხეული და ყურადღება მიაქცია იმას, რომ ორმო რაღაც უცნაური იყო. ის იყო არა მარტო ღრმა, არამედ განიერიც. მან ხელი დაავლო ბარს და ნახევარი საათის შემდეგ ამდენი განსაცდელისათვის დაჯილდოებულ იქნა, და მერე როგორ! მხოლოდ ზღაპრებში თუ მოგვისმენია ასეთი განძეულობის პოვნის შესახებ.

იმ დღეს ამაოდ უცადა ცოლმა გლეხს სადილზე. და როდესაც საღამოს, მთლად ტალახში ამოგანგლული, ძვირფასი ნადავლით სავსე ტომრით (მათ შორის მძიმე მასიური ოქროს საყურეები, ბეჭდები, ბრასლეტები არც ისე ძვირფას ნივთებს წარმოადგენდა) ოთახში შევიდა, ქალს კინაღამ გული შეუღონდა, იფიქრა, ჩემმა ქმარმა რაღაც საშინელი დანაშაული ჩაიდინაო.

მაგრამ არავითარ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ სევდისამშლელი დღე კეთილად დაღამდა... ისე კეთილად, მეტი რომ არ შეიძლებოდა. ორმო აღმოჩნდა უძველესი დროის სამარხი. მასში რაღაც სასწაულით სრულიად ხელუხლებლად შემონახული იყო ყველაფერი ის, რაც გარდაცვალებულს ასე უხვად გაატანეს იმ ქვეყნად მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა: შესანიშნავი ჭურჭელი, საოჯახო მოხმარების საგნები, მორთულობანი, სამკაულები.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო პირველი შემთხვევა. ტოსკანაში და იტალიის სხვა ოლქებშიც ადრეც ნახულობდნენ უძველეს სამარხებს, რომლებსაც მიაწერდნენ რომაელების წინამორბედ აპენინის მცხოვ-

რებლებს. მაგრამ საერთოდ ეს იშვიათად ხდებოდა. უფრო იშვიათად გვხვდებოდა გაუძარცვავი საფლავები.

აქ კი თითქოს ვიღაცამ შეულოცაო. რამდენიმე დღის შემდეგ თავად კანინოს (რომლის მიწებზეც აღმოაჩინეს განძეული) ადგილ-მამულის მმართველი რამდენიმე მოიჯარესთან ერთად ძიებას შეუდგა. ახლად მოვლენილმა განძისმაძიებლებმა ძლივს მოასწრეს ნადავლის ნაწილის გაყიდვა, რომ ამის შესახებ გაიგო თვით თავადმა კანინომ, საკმაოდ ცნობილმა ლიუსიენ ბონაპარტმა, დიდი კორსიკელის ძმამ. მან გარეკა დანაშაულის ჩამდენი მსახურები, რა თქმა უნდა, წინასწარ წაართვა ნავაჭრი და თვითონ ჩაუდგა სათავეში განძის ძიებას თავის ვრცელ სამფლობელოში, რომელშიც თითქმის ტოსკანის ნახევარი შედიოდა.

სამუშაოდ დაქირავებულმა სპეციალისტებმა ორი სეზონის განმავლობაში რამდენიმე ასეული სამარხი გათხარეს (მართალია, უმრავლესობა ცარიელი იყო) და აღმოაჩინეს ორი ათასამდე ძველი ბერძნული და ეტრუსკული ლარნაკები, ოქროს ურიცხვი სამკაული, ქანდაკებები, ჭურჭელი, თასები, ბრასლეტები, რომ აღარაფერი ვთქვათ მოხმარების საგნებსა და სხვადასხვაგვარ ჭურჭლეულობაზე.

ბონაპარტს მიბაძეს სხვა მიწათმფლობელებმაც. მთელი ევროპა ლაპარაკობდა ბალზე, რომელზეც მისი ბრწყინვალება ქალბატონი კანინო ეტრუსკული ძვირფასეულობებით მორთული მობრძანდა. ყველამ იცოდა, როგორ ზღაპრულად გამდიდრდა ნაპოლეონის იღბლიანი ძმა.

ეტრუსკები თავისი სამარხებით დიდხანს იყვნენ ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ლიუსიენ ბონაპარტი აღმოჩნდა უძველესი ეტრურიის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მნიშვნელოვანი ქალაქის ვულჩის პატრიციების თითქმის ერთადერთი მემკვიდრე. სწორედ ვულჩის ნეკროპოლში ჰქონდა ადგილი უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენებს.

როგორი მტაცებლური ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა ამ პირველ მასობრივ გათხრებს — თუმცა რა გათხრებს, ნამდვილ განძისმაძიებლობას, — რომლის დროსაც არც ტოსკანაში და არც სხვა პროვინციებში არ დარჩენილა მიწის ნაგლეჯი, რომ არ მოეძებნოთ უძველესი სამარხები, — არსებითად აქედან დაიწყო ეტრუსკული სიძველეების მიზანსწრაფული ძიება და გულდასმით კვლევა.

## 2.

ტოსკანსა და სხვა ოლქებში ყოველის მხრიდან მოემართებოდნენ ოქროთი მოხიბლული ყოველი ჯურის სპეკულანტები და ავანტიურისტები. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ისინი როდი მოდიოდნენ. აქეთ მოილტვოდნენ მეცნიერები, მწერლები და მხატვრები. ათი წელი ზედიზედ ვულჩის ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების აღწერილობები ავსებდნენ სამეცნიერო ჟურნალებს. მაგრამ თავადმა, ფეხებზე დაიკიდა რა პატრიოტული გრძნობა და ძველ ოქროს ახალი ამჯობინა, აღმოჩენის დიდი ნაწილი გაყიდა საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში. გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ სხვა წარჩინებულ „სიძველის მოყვარულთაც“.

„ვულჩის სასწაული“ აღარ განმეორებულა. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1830—1840 წლებში აღმოჩენილ იქნა არა ნაკლებ საინტერესო ქალაქები: ტარკვინია, ჩერვეტეზი, კიუზი — ეტრუსკების ამ უძველესი ცენტრების სახელწოდებები ყველას პირზე ეკერა. სწორედ ტარკვინიაში აღმოაჩინეს ცნობილი მოხატული აკლდამები. ლამაზი და მდიდრული იყო ე. წ. ისიდას საფლავი ვულჩში, რომელიც გახსნეს 1838 წელს, საფლავები პერუჯიში.

მაშ ასე, უძველესი მოსახლეობის ოქრომ გზა გახსნა შემდგომი ძიებისაკენ. და ეს ძიებანი ნაკლებ საინტერესო და ცოტას აღმთქმელი როდი იყო, ვიდრე დაახლოებით იმავე წლებში ეგვიპტის უდაბნოებში დაწყებული ფარაონების სამარხების ძიება. იქაც და აქაც ჯერ კიდევ ბევრი რამ წინ იყო. აღმოჩენები იქაც და აქაც ყველას აოცებდა.

ხარის ისტორიიდან შვიდი წლის შემდეგ, 1835 წელს, ხუცეს რეგულინისა და ვინმე გენერალს ბედმა გაუღიმა: მათ ჩერვეტერიში აღმოაჩინეს უჩვეულო აკლდამა, რომელშიც ამ ოცდახუთი საუკუნის მანძილზე ფეხი არავის დაედგა. ოცდახუთი საუკუნე! წარმოიდგინეთ, როგორი მღელვარებით მიიკვლევდნენ გზას ჩირაღდნების შუქზე მიწისქვეშა გრძელ გასასვლელში, ფილებით მოპირკეთებული ნახევართაღოვანი ჭერის ქვეშ. ისინი აკლდამაში დამარხულთა მემკვიდრეებად გრძნობდნენ თავს და ეგონათ, ასეთი უძველესი ეპოქის ძეგლის გახსნა, ძეგლისა, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი იყო ცნობილი, მათ ხვედრს წარმოადგენდა.

პირველი ოთახის შორეულ კუთხეში იდგა ბრინჯაოს სასიკვდილო სარეცელი. თვით მიცვალებული უკვე დიდი ხანია მტვრად ქცეულიყო,

მაგრამ შორიახლო იდგა პატარა, თითქმის სათამაშოს ზომის ეტლი — ზუსტი ასლი ტრიუმფული ეტლისა, რომლითაც თავისი მიწიერი ცხოვრების პერიოდში დადიოდა გარდაცვლილი ლუკუმონი — ეტრუსკელი თავადი. გვერდით ეწყო ბრინჯაოს კონუსური ლარნაკები ფანტასტიკური გრიფონების გამოსახულებებით, პატარა სამფეხა სამსხვერპლო, კარგა სამი დუჟინი ქანდაკებები. სარეცლის ფეხებთან ესვენა ბრინჯაოს პატარა ფარი. რამდენიმე ასეთივე, ეტყობა, წმინდა სიმბოლური ფარი (რადგანაც საქმისათვის ისინი მეტისმეტად პატარა იყო) მოპირდაპირე კედელზე ეკიდა.

მცირე ზომის აგურით ნახევრად ამოქოლილ კარს შევყავდით შიგა განსასვენებელში. თაღოვანი ჭერიდან ჩამოშვებული იყო ბრინჯაოს ლარნაკები, ხოლო კარის ორივე მხარეს ეწყო ვერცხლის სამშვენისები. იატაკზე ნელსაცხებლების უამრავი ფლაკონი ელაგა, კუთხეში კი, მიწაზე, ეწყო ქალის უამრავი სამკაული, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ შეუცდომლად გაგერკვიათ, თუმცა კი არ გაგერკვიათ, თითქმის ფიზიკურად მიგანიშნებდნენ, სად ესვენა ოდესღაც ქალის ნეშტი. არ იყო აუცილებელი უდიდესი წარმოსახვის უნარი, რათა წარმოგედგინათ, რომ ეს დიდი ოქროს ფირფიტა, დაფარული სხვადასხვა ცხოველის ორნამენტებით და შეერთებული უფრო პატარა ზომის სხვა ფირფიტასთან, მიცვალებულს გულზე ეფარა, რომ ოქროს საყურე და სამაჯურები ამკობდნენ ქალის ყურებსა და ხელებს, რომ ყელსაბამი მიცვალებულს ყელს უმშვენებდნენ...

ნივთები ადგილზე ელაგა. მხოლოდ მათი პატრონი გამქრალიყო.

სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოხდა მომდევნო წლებში. მათ შორის იყო პრენესტეში აღმოჩენილი ცნობილი ბარბერინისა და ბერნარდინის აკლდამები, სადაც ნაპოვნ ოქროს საგნების სიმშვენიერეს მეტოქეობას უწევდა სპილოს ძვლის უფაქიზესი ნაკეთობის სამკაულები.

იმ დროს იშვიათი არ იყო ის, რომ აკლდამიდან გამოტანილ მთელ ჭურჭელს, საგნებს, სამკაულებს, როგორც სინდისი უკარნახებდათ, ორ ნაწილად ჰყოფდნენ: იმათ, რასაც უფრო ძვირადღირებულად, ძვირფასად მიიჩნევდნენ, ფრთხილად და მოწიწებით ერთად აწყობდნენ, იმათ კი, რომლებსაც სარფიანი პირი არ უჩანდა, ამტვრევდნენ, ყრიდნენ, სამარხს კი (ხშირად კედლის მოხატულობებით), ყოველგვარი გეგმის გადაღებისა და ჩანახატების გარეშე, ისე რომ რუკაზეც კი არ გადაიტანდნენ მის ადგილსამყოფელს, მიწასთან ასწორებდნენ.

იმ დროს დაიწყო მოღვაწეობა რამდენიმე სწავლულმა ენთუზიასტმა.

მათ შორის განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა ორმა: ფრანსუა ტოსკანმა, რომელიც მიუხედავად თავისი გვარისა, ფლორენციელი იყო, და ფრანგმა ნოელ დე ვერჟერმა.

პირველმა მათგანმა ხოხვით მოიარა, შეისწავლა თითქმის ყველა ეტრუსკული აკლდამა — პოპულონიაში, რუდელში, კორტონეში, კიუზიში, ტარკვინიაში, ვულჩში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1857 წ. მალარიით. მეორემ, მოგზაურმა და უფრო მეტად მწერალმა, ვიდრე მკვლევარმა, ბოლო ორი წელი ტოსკანთან რომ თანამშრომლობდა, იმით გაითქვა სახელი, რომ შეადგინა პირველი, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ახალი დროის შრომათა კრებული ეტრურიასა და ეტრუსკებზე.

სხვათა შორის მან დაგვიტოვა ეტრუსკების მრავალრიცხოვანი აკლდამებიდან ერთ-ერთი ცნობილი აკლდამის აღწერილობა, რომელიც ისტორიაში უნდა შესულიყო. ლაპარაკია აკლდამაზე, რომელიც აღმოაჩინა ვულჩმა ტოსკანთან ერთად ამ უკანასკნელის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

„წერაქვის უკანასკნელი დარტყმისთანავე ქვა, აკლდამის შესასვლელს რომ კეტავდა, ნატეხებად იქცა და ჩვენი ჩირაღდნების შუქზე დავინახეთ სიღრმეში შემავალი კამარები, რომლის სიმშვიდეს ოცი საუკუნის განმავლობაში არაფერი არღვევდა. ყველაფერი აქ ჯერ კიდევ იმავე სახით იყო, როგორც იმ შორეულ დღეს, აკლდამა რომ ამოქოლეს. ანტიკური ეტრურია ისეთი სახით წარმოგვიდგა, როგორიც იყო ის თავისი გაფურჩქვნის პერიოდში. სამარხის სარეცლებზე გეგონებოდათ, აბჯარასხმული მეომრები ისვენებდნენ რომაელების თუ ჩვენი წინაპრების, გალების წინააღმდეგ ომების შემდეგ. სხეულების მოხაზულობა, ტანსაცმელი, ქსოვილი და საღებავები მხოლოდ რამდენიმე წუთს ჩანდა, შემდეგ ყველაფერი გაქრა სუფთა ჰაერი რომ შემოვიდა აკლდამაში, სადაც უჟანგბადობის გამო კინაღამ ჩირაღდნები ჩაგვიქრა. წარსული თვალწინ წარმოგვიდგა და მაშინვე გაქრა სიზმარივით, გაქრა თითქოს იმიტომ, რომ დავესაჯეთ თავხედური ცნობისმოყვარეობის გამო... ნეშტების ფერფლად ქცევისთანავე ჰაერი გამჭვირვალე გახდა. და მაშინ ჩვენ აღმოვჩნდით სხვა მეომრების კომპანიაში, ამჯერად ეტრურიის მხატვრების ქმნილებათა შორის. გეგონებოდათ ჩვენი ჩირაღდნების მოციმციმე შუქზე ოთხივე კედელზე გაცოცხლდნენ უზარ-



ლივორნოს მახლობლად აღმოჩენილი ჩვ. წ. 475 წლის ბრინჯაოს ეტრუსკული ქანდაკება.

მაზარი ფრესკები, აგრერიგად რომ ამშვენებდნენ აკლდამას. მათ მალე მიიპყრეს ჩემი ყურადღება, რადგანაც ყველაზე მნიშვნელოვნად მეჩვენა ჩვენს აღმოჩენაში...“

და შემდეგ — უკვე არაპირველაღმომჩენი, არამედ მკვლევარი, მეცნიერი, დაწვრილებით აანალიზებს კედლებზე გამოსახულ ფრესკებს, დაწვრილებით არჩევს არა მარტო სიუჟეტებს, არამედ შესრულების ტექნიკასაც, ხსნის მათ აზრს, გვიჩვენებს მეცნიერებისათვის, ეტრუსკების ისტორიის აღდგენისათვის მათ მნიშვნელობას.

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო.

ნახევრად მივიწყებული უძველესი ცივილიზაცია ასე აღმოჩნდა მოულოდნელად იმ ადამიანთა ინტერესების სფეროში, რომლებიც მისი დაღუპვიდან ოცი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდნენ.

შორეულ წინაპართა საქმიანობის გამო სიამაყის გრძნობას თან ახლდა მოწიწებული გაკვირვება: ეს „ბარბაროსული“ კულტურა არა მარტო იცნობდა ბევრ ისეთ რაიმეს, რასაც აქამდე უძველესი დროიდან ძველი რომაელების გამომგონებლობითს გენიას მიაწერდნენ, არამედ ბევრად მაღლა აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო იმ დროს ხალხისაგან, რომელიც ძველი რომის აყვავებამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა. აღმოჩნდა, რომ რომს აქვს წინაისტორია და ისიც როგორი! აღმოჩნდა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში ცნობილი სახელმწიფოების გარდა, ძველად არსებობდა ცივილიზაციის კიდევ ერთი კერა. აღმოჩნდა... თუმცა ნუ ავჩქარდებით.

## 3.

ანტიკური სამყაროს ავტორების ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ბუნდოვან ცნობებს და ადრე აღმოჩენილ ეტრუსკულ სიძველეთ მხოლოდ დღეს მიეცა სხვაგვარი მნიშვნელობა. ნათელი გახდა, რომ ეტრუსკული ცივილიზაციისათვის საბურველის ჩამოხსნა არც ისე უიმედო იყო. რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ კაცობრიობის მიერ ეტრუსკული შედევრების დაკარგვით გამოწვეულ ელეგიურ სევდას დავუპირისპირებდით დაჟინებულ და შეუნელებელ ძიებას.

ახლა გამოგვაღგა, სამწუსაროდ, ნაწყვეტების სახით ჩვენამდე მოღწეული რომის იმპერატორის კლაუდიუსის მიერ შედგენილი ეტრუსკების ისტორია. და ეტრუსკულ სიძველეთა ისტორია, დაწერილი XV საუკუნეში დომინიკელი ბერის ანიო დე ვიტერბეს მიერ, რომელმაც შუა საუკუნეების უკუნეთში პირველმა გაიხსენა ეტრუსკები. თუმცა ბევრი რამ მის უცოდინარობაში ფანტასტიკურია, სიცილის მომგვრელი, (ასეთი იყო მაშინდელი ცოდნის დონე) და ზოგჯერ იმის სურვილით. რომ თავისი მშობლიური ტოსკანასათვის სახელი მოეხვეჭა, მძიმე გაყალბებასაც მიმართავდა. პიზის უნივერსიტეტის მასწავლებლის ირლანდიელი ბარონის თომას დემპსტერის წიგნიც, რომელიც გამოვიდა მისი ავტორის სიკვდილიდან ასი წლის შემდეგ, ეტრუსკულ სიძველეთა ჩამოთვლა და აღწერაა მხოლოდ, ამავე დროს თითქმის ანტიკური ხანიდან შემონახული ცნობების ერთგვარი კრებულია ეტრუსკების შესახებ. ასევე წიგნები XVIII საუკუნის კაბინეტის ბრძენებისა, ე. წ. „ეტრუსკომანებისა“, როგორც ოდნავ დაცინვის კილოთი უწოდებდნენ ამ ახირებულ „მეცნიერებს“, ბიბლიოთეკებისა და იმდროინდელი მცი-

ახალგაზრდა კაცის თავი. თიხის ქანდაკება, აღმოჩენილი ლაციუმში. ჩვ. წ. III საუკ.

რერიცხოვანი მუზეუმების სიმყუდროვეში ზოგჯერ საოცარ ჰიპოთეზებსა და თეორიებს რომ აყენებდნენ.

...უსახელოდ გადაშენებული ღარიბი ტოსკანელის წყალობით, რომელიც ვერ გაუფრთხილდა თავის ხარს, ეტრუსკული სიძველეების ძიება ყოველწლიურად წარმატებით მიმდინარეობდა. და თუმცა ბევრი რამ გაეფუჭებინათ დროსა და ძველ განძისმაძიებლებს, რომლებსაც, თავის თანამოძმეთა მსგავსად, ეგვიპტეში მეფეთა ველი რომ გაძარცვეს, ეტრუსკების არც ერთი ნეკროპოლი ხელუხლებელი არ დაუტოვებიათ; თუმცა ბევრი რამ განადგურებული თუ დაღუპული იყო ჟამთა სიავის გამო, მიუხედავად ყველაფერ ამისა, ჩამქრალი ცივილიზაციის ნაშთები არც ისე მცირერიცხოვანი აღმოჩნდა. ტოსკანის, და არა მარტო ტოსკანის — იმ დროს ეტრუსკებით დასახლებული იტალიის ყველა ოლქის რუკაზე სულ უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა მათი დასახლების, ნანგრევების, ყოფილი ცენტრების სასაზღვრე ხაზები, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა აღმოჩენილი სამკაულების, ქანდაკებების, ლარნაკების, ფრესკების, კოლექციები უძველესი დროის ოქრომჭედლებისა

და მეთუნეების, მხატვრებისა და მოქანდაკეების, მწახნაგებლებისა და მეიარაღეების, მძერწავებისა და მჭედლების ფასდაუდებელი ქმნილებანი.

## 4.

ნურავინ იფიქრებს, რომ აქ ბევრად იოლი იყო მუშაობა, ვიღრე ნილოსის ველზე ან იუკატანის ჯუნგლებში. არ დაიჯერებთ, მაგრამ ჯერ კიდევ ასი წლის წინათ ტოსკანაში მრავლად მოიპოვებოდა მიყრუებული. მივარდნილი კეთხეები და მკვლევარები ხშირად თითქმის პირველაღმომჩენები სდებოდნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში სადღაც ნორჩიასა თუ კასტელე დე ასოში აღმართულ აკლდამების შესახებ ძეხორციელმა არაფერი იცოდა, ისევე როგორც არაფერი იცოდნენ სხვა ეტრუსკულ ძეგლებზე. ზოგჯერ საქმე ანეკდოტებამდე მიდიოდა (თუმცა ეს ეხებოდა უფრო ადრეულ პერიოდებს); ოცდასამი საუკუნის განმავლობაში ველის ცენტრში შორიდანვე მოჩანდა პეტსუმის ტაძრის სვეტნარი, და მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში ვინმე ნეაპოლელმა მხატვარმა გამოსტაცა ის დავიწყების კლანჭებს! ახლა „სატურნიას“ არ იკითხავთ, აღმოჩენილს 1844—1845 წწ. დაუღლელი მოგზაურისა და ეტრურიის მკვლევარის, ინგლისელი დენისის მიერ?! სხვა მრავალრიცხოვან უძველეს ძეგლებზე, რომლებსაც, როგორც სინანულით წერდა იგივე დენისი, „ადგილობრივი გლეხები „კედლებს“ უწოდებენ, რომელთა შორის მშვიდად აძოვებენ პირუტყვს და ხნავენ მიწას, მათ ჩრდილში მზეს ეფარებიან და ზოგჯერ ამ ნანგრევებშიც კი ცხოვრობენ, ხოლო ოდნავ მოშორებით ნებისმიერ უახლოეს ქალაქში ამ „კედლებზე“ მხოლოდ ის იციან, თითქოს ისინი საჰარის ცენტრში მდებარეობენ“.

მაგრამ ყოველთვის როდი ჩანდა ძეგლები და სამარხები. იშვიათად როდი ხდებოდა მათი მოძებნა თითქმის შეუმჩნეველი ნიშნებით და ხშირად ძიებასაც და გამოკვლევასაც თან ახლდა რისკი და ხიფათი. რომანტიკაა? დიახ, უდავოდ, მაგრამ ამავე დროს ეს არის მძიმე მოსაგრეობითი შრომა, უცნობ მზვერავთა ის კეთილშობილური მამაცობა, მაძიებელთა ის გახელება, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად ხდის.

თქვენ ალბათ წაიკითხავდით, როგორი გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას ვიწრო გასასვლელებში, ჰაერის როგორ უკმარისობას განიცდიდნენ და მოთმინებით ასრულებდნენ მძიმე შრომას უძველეს ოსტატთა საიდუმლოებათა ამოხსნის მიზნით ქვის ლაბირინთებში ეგვიპტის პი-

რამიდების მკვლევარები. აქაც ასევე იყო. აი მაგალითად, ჩვენთვის უკვე ცნობილი ტოსკანას ნაამბობი კიუზის ერთ-ერთ სამარხში მისი ძიების შესახებ.

„ამრიგად, ვიმედოვნებდი რა იმით, რომ მე მაინც არ გავხდებოდი ნიადაგის მოულოდნელი რყევის მსხვერპლი, ფორთხვით გავძვერი ვიწრო გასასვლელში, რომელიც შემთხვევით აღმოვაჩინე გასეირნების დროს. თან მახლდა ერთ-ერთი ჩემი მუშა, ერთგული და გულადი კაცი. მას მოჰქონდა ჩირაღდანი და ნიჩაბი... წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, კლდეში გამონვრეულ ვიწრო გასასვლელში ფორთხვით რომ მივიწევდი, დავრწმუნდი, თურმე ის გადის მეორე, თითქმის მიწით ამოვსებულ გასასვლელში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა ჩემს ვარაუდს. ერთ ხანს იძულებული ვიყავი შემეწყვიტა მიწისქვეშა მოგზაურობა: მოულოდნელად ჰერი ჩამოიქცა. ბედზე ჩვენ არ დაგვცემია თავზე, მაგრამ არასასიამოვნო შეგრძნება გვქონდა. მე არ ვაპირებდი უკან დახევას და ძლივძლივობით, მაგრამ მაინც გამოვათრიე დიღი ლოდები, რომლებიც გზას მიღობავდნენ და შევძვერი ხვრელში. აღმოვჩნდი თუ არა ხვრელის მეორე მხარეს, დავრწმუნდი, მიწის ფენა, გასასვლელს რომ ავსებდა, ოდნავ თხელი იყო... გვერდით გახლდათ კიდევ ერთი გასასვლელი, საიდანაც მოჩანდა რამდენიმე მიწისქვეშა შენობა. ისინიც მიწით იყო ამოვსებული, მაგრამ არა ისე, როგორც გასასვლელები.

ჰაერი სულ უფრო და უფრო დამძიმდა, ჩირაღდანმა ციმციმი დაიწყო, შემდეგ კინაღამ ჩაქრა, სუნთქვა გაგვიჭირდა და ვიგრძენი, როგორ დამეცვარა ოფლით შუბლი. ჩემი თანამგზავრი აწუწუნდა, ცუდად ვარო. ამ დროს რაღაც ფრინველმა ვაიფრთხიალა, შეგვეშინდა, მერეღა დავრწმუნდით, რომ ბუ იყო. რაღაც სხვა საძაგელი არსებებიც აფუთფუთდნენ, აწრიალდნენ, ყურისწამღები წივილით გააპეს ჰაერი. ამ მიწისქვეშა დერეფნებში მოსალოდნელი იყო გველებსაც გადავყროდით. იძულებული გავხდით უკან დავბრუნებულიყავით. ოთხსაათიან რეკოგნოსცირებას, როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ის, უქმად არ ჩაუვლია. ჩემი ჰიპოთეზა გამართლდა. საჭირო იყო გვეფიქრა გათხრებზე და მაშასადამე იმაზეც, თუ სად გვეშოვა ამისათვის აუცილებელი თანხა“.

...თანდათან ნათელი ეფინებოდა იმას, რომ ეტრურიის გაიგივება ტოსკანასთან არ იყო სწორი, ან უფრო სწორად, ნაწილობრივ იყო მართებული, ანტიკური ეტრურია მოიცავდა არა მარტო ტოსკანას, არამედ უმბრიის ზოგიერთ რაიონს და მთელ ჩრდილოეთ ლაციუმს —

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 200 კმ ტერიტორიას და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაახლოებით 150 კმ-ს, ტირენის ზღვას, მდ. არნოსა და ტიბრს შორის. მაგრამ ეს მხოლოდ ყველაზე ზოგადი ხაზია. საზღვარი ხომ არ იყო მუდმივი. მომიჯნავე მიწებზეც არსებობდა ეტრუსკული ქალაქები, თანაც ისეთი ცნობილი ქალაქები, როგორიც იყო პლაცენტია და ფელსინა, რომელსაც დღეს ბოლონია ეწოდება.

## 5.

გავისეირნოთ, ჩემო მკითხველო? ეს იქნება ხანმოკლე, მაგრამ ძალზე მომქანცველი გასეირნება. მე მინდა მოკლედ გაგაცნოთ დღევანდელი ეტრურია, ტოსკანის „ციებ-ცხელების“ ას წელზე მეტი ხნის შემდეგ რომ წარმოგვიდგება თავისი ზოგიერთი ძეგლით. სიტყვამ მოიტანა და ჩვენს საუკუნეში, ვთქვათ, რომიდან ეტრუსკული კულტურის ყოფილ ცენტრებში მისვლა ძნელი არ არის: ნახევარი საათი და თქვენ ჩერვეტერიში ხართ, საათი — და ტარკვინიაში ამოყოფთ თავს, კიუზიშიც მალე ჩახვალთ.

მაშ ასე... დავიწყოთ ვეიიდან. ისიც ახლოა რომთან და, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, თავის დროზე კინაღამ მომავალი იმპერიის დედაქალაქი გახდა. ქალაქები, როგორც ქალაქები, რა თქმა უნდა, აღარ არსებობს — შენობების მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი ბორცვზე. აი ქალაქის კარიბჭესთან მდებარე ეტრუსკული ტაძრის საძირკველი, აუზები (ან იქნებ შეიძლება მათ ემბაზები ვუწოდოთ?) მწირებისა და მლოცველთათვის, სამსხვერპლოს ნაშთები. ოდესღაც ტაძარი მდიდარი და საყოველთაოდ ცნობილი იყო. სწორედ იმას ამკობდნენ რომის ვილა ჯულიას მუზეუმში დაცული დიდი შეღებილი ქანდაკებები.

ზემოთ კი პლატოა, რომელზეც გაშენებული იყო ქალაქი ვალი. აქა-იქ სიმწვანეში დღესაც მოჩანს დრო და ყამისაგან გამოხრულ-გამოჭმული უდუღაბოდ შეერთებული ტუფის მძლავრი ბლოკები; სხვა ადგილებში ისინი თითქმის მცენარეებს დაუფარავს. კლდეში ეტრუსკების მიერ გაყვანილი იყო წყლის გასაშვები ვვირაბი. ამ გზის ბოლოს კი აკლდამაა. აკლდამაში შევყავართ კლდეში გაჭრილ შესასვლელს. ლომები და სფინქსები, სამარხებს რომ დარაჯობენ, ძლივს შეიმჩნევა იმ კლდის ფონზე, რომელშიაც ისინი არიან გამოკვეთილი. გასასვლელს შევყავართ პატარა, დაბალ და ბნელ ოთახში. ერთი შეხედვით თითქოს-

და არაფერია შესანიშნავი: მაგრამ აბა დაკვირვებით მოავლეთ თვალი ყველაფერს.

— ჩემს სიცოცხლეში ასეთი უცნაური ფიგურები არ მინახავს! — წამოიძახა თავის დროზე დენისმა, ჩვენთვის უკვე ცნობილმა ეტრუსკოლოგმა, როდესაც პირველად მოხვდა ამ გამოქვაბულში.

და მართლაც მთელი კედლები ძალზე საინტერესოდ იყო მოხატული. აი ცხენი საოცრად გრძელი, საოცრად გამხდარი ფეხებით, რომლებიც ჯოხები გეგონებათ და წვრილი, მოქნილი კისრით. თავი შავი აქვს, ფაფარი და კუდი ყვითელი, კისერი — წითელი, ყვითლად დაწინწკლული, გავა — შავი. ის ლაგამამოდებული მიჰყავს ორ რაღაც არსებას. მესამე კი, პატარა, დალეული, მთლად მობუზული — ცხენზე ზის. უკან მისდევს იმავე ცხენივით ,ჭრელი ძაღლი. გვერდზე და სხვა კედლებზეც სფინქსები, ლომები და ავაზებია გამოსახული.

უბრალო მოკვდავი, ბედისწერის წინაშე უძლური ჩია კაცი სასიკვდილო გზით ,ჰიჰყავს ორ დემონს. უკან მოკრუნჩხული ზის ლომი — სიმბოლო სიკვდილისა. თუმცა, ეს მხოლოდ ფრესკის ერთ-ერთი თანამედროვე განმარტებაა. ვის შეუძლია ზუსტად ახსნას, თუ რისი გამოხატვა სურდა ეტრუსკელ მხატვარს?

აი მთელი სიძველენი ვეიისა, რომლის შესახებ უკვე რომაელი კეისრის ავგუსტუსის დროს, თითქმის ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, ნათქვამი იყო: „ოდესღაც შენ იყავი ძლევამოსილი, შენს მიწაზე იდგა ოქროს ტახტი. დღეს კი შენს კედლებში ,ხოლოდ მწყემსის სალამურის ხმა გაისმის და იქ, სადაც შენი მიცვალებულები განისვენებენ, პურის მოსავალს მკიან“.

...მიცვალებულები, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მიცვალებულთა განსასვენებელი ეს, პირველ ყოვლისა, ჩერვეტერია, დღეს პატარა სოფელი, რომელსაც უჭირავს იმ ფართობის 170 ჰექტარი, რომელზეც თავისი დიდების ჟამს ქალაქი იყო გადაჭიმული. სწორედ ჩერვეტერიში იმყოფება ეტრუსკების ერთ-ერთი სახელგანთქმული სამარხი. ათობით, ასობით საფლავი პირდაპირ კლდეშია შეთხრილი, ზოგიერთი — მიწის სიღრმეშია. ხოლო ირგვლივ ყვავილები ღაღანებენ, ბუჩქებს მოუკიდიათ ფეხი და ცა ლურჯად კამკამებს. მკვდართა ქალაქს 350 ჰექტარზე მეტი უჭირავს, აქედან 330 მთლიანად არც არის შესწავლილი.

...გზა გველივით ,მიიკლაკნება. მასზე დღემდე შემორჩენილია სამარხი ეტლების ნაშთები, ათობით წლების მანძილზე რომ შედიოდნენ ნეკროპოლში. გზას უამრავი განშტოება აქვს. ,ირგვლივ დანგრეული

და ნახევრად დანგრეული ბორცვები და ყორღანებია მასიური მდიდრული საძვალეებითა და მავზოლეუმებით: ორი, სამი, ოთხი ოთახი, კოჭით გამაგრებული ჭერებით, რომლებიც რვაკუთხა სვეტებს ეყრდნობა. სვეტები ბალიშებით — კაპიტელებით თავდება; კედლების გასწვრივ სკამ-სავარძლები, ფანჯრები და ზანდუკებია. სისუფთავე და სინათლე სუფევს...

მეცნიერებამ ბევრი ძვირფასი მასალა მოიპოვა საუკუნოდ აშენებულ ამ სამარხებში. და არა მარტო ჩერვეტირიში. მაგალითად, ტარკვინიაშიც. თუმცა ეტრუსკების ტარკვინია არ არსებობს. თანამედროვე ქალაქი, რომელიც მხლოდ ოცდაათ წელზე მეტი ხანია ატარებს ამ სახელს, რამდენადმე გვერდზე მდებარეობს იმ ადგილიდან, სადაც მდებარეობდა უძველესი ქალაქი, პირისაგან მიწისა რომ აღგავეს სარაცინებმა IX საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ლეგენდები გადმოგვცემენ, რომ სწორედ უძველეს ტარკვინიაში გადმოსხდნენ ეტრუსკების წინაპრები ტირენის, ლიდიის მეფის ანტისას შვილის და ქალაქის დამაარსებლის, ტირენის ძმისა თუ შვილის, ტარხუნის მეთაურობით. და თითქოს აქედან უნდა მომხდარიყო ქვეყნის დაპყრობა, აქ იქნა მიღებული ეტრუსკების რელიგიური და სახელმწიფო დადგენილება. მაგრამ რაც უცილობელ ფაქტად რჩება — არქეოლოგია ამას ამტკიცებს — ტარკვინია ეტრურიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მდიდარი ქალაქი იყო. დღეს იქ მხოლოდ შიშველი ვაკეა. მიწაში ჩაზრდილი ძველი კედლების ნაშთები და რაღაც რომაული ნანგრევები მოწმობენ ამ ადგილების ყოფილ სიდიადეს. შემორჩენილია ეტრუსკული ტაძრის ნაშთებიც. მეცნიერებს დღემდე ვერ დაუდგენიათ ზუსტად რომელ საუკუნეს — მეხუთეს, მეოთხეს თუ მესამეს მიეკუთვნებიან ისინი?

დღეს ტარკვინია იმდენად თავისი ნანგრევებით არაა ცნობილი, რამდენადაც ნეკროპოლით — 5-კილომეტრიანი სიგრძის ნეკროპოლით. აქ არის წარწერებიანი აკლდამებიც. თუმცა ბოლო წლებში წარწერებიანი აკლდამების რიცხვი რამდენადმე შემცირდა. ბევრი ფრესკა ნესტისა და დაზიანებისაგან დაცვის მიზნით მუზეუმში შეაფარეს.

დიდი ხანია აღიგავენ პირისაგან მიწისა ეტრუსკები. მათი საქმიანობის, მათი კულტურის, მათი სარწმუნოების, აზროვნების, იდეალების ნაკვალევი დარჩა. ზოგჯერ ეს ნაკვალევი თითქმის შეუმჩნეველია: სხვადასხვა ადგილას მიმოფანტული. ვულჩიში შეიძლება იდგეთ იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა უძველესი ქალაქი, და ვერც კი შეამჩნი-

ოთ ეს. ორი საუკუნის განმავლობაში კი ის გახლდათ ეტრუსკების კონ-ფედერაციის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი.

...ქალაქი აღარ არსებობს. უფრო სწორად არ არსებობს მისი ნაშ-თები. ვინ იცის, იქნებ აქ დაწყებულმა გათხრებმა რაიმე საინტერესო წარმოაჩინოს? არ დარჩენილა აკლდამაც ნეკროპოლში. ასი წლის წინათ მათი რიცხვი ექვსი ათასს აღწევდა — ეს იყო უზარმაზარი სა-საფლაო, მკვდართა მთელი ქალაქი. ახლა თორმეტი ძლივსღა იქნება გადარჩენილი: ასეთი გახლავთ „ოქროს ციებ-ცხელების" შედეგები. დანარჩენი ყველაფერი გადაქექეს, გათხარეს, გაანადგურეს. ალბათ ეს უკანასკნელი სამარხებიც დაიღუპებოდა, სახელმწიფოს რომ თავის თავზე არ აეღო მათი დაცვა. მდინარის მეორე ნაპირზე შემორჩენილია ქალაქის კედლის ნანგრევები. იქვეა კლდეში ნაკვეთი ტაძრის ნაშთე-ბიც. შორიახლო კი კლდეში გაყვანილი გასასვლელებია მიწისქვეშა აკლდამებისაკენ. ერთ-ერთი მათგანი 1957 წელს ფრანსუა ტოსკანისა და ნოელ დე ვერჟერის მიერ აღმოჩენილი ის სამარხია, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ.

ციხესიმაგრეთა ნანგრევები, ძველი ქალაქების კედლების ნანგრე-ვები, ფრესკები, აქა-იქ შემორჩენილი ამოზნექილი ქვის ხიდები და კლდეში გაყვანილი წყალსარინები, ქალაქის კარიბჭის ნაშთები შეიძ-ლება შეგხვდეთ ეტრურიის სხვა ადგილებშიც. მაგალითად, ვოლსინი-აში. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ეგონათ, რომ ის ფლევანდელ პატარა ქალაქ ორვიეტოს ადგილას მდებარეობდა. 1946 წლიდან აქ გათხრებს აწარმოებს ერთ-ერთი თანამედროვე დიდი ეტრუსკოლოგი, ფრანგი მეცნიერი რაიმონ ბლოკი, გათხრებმა უჩვენა, რომ ვოლსინია ორვიეტოს გვერდით მდებარეობდა. ბლოკმა აღმოაჩინა ადგილობრივი ტაძარი, უფრო ზუსტად, მისი საძირკველი, კედლების ნაშთები, ნეკ-როპოლი, რომელიც. როგორც ყოველთვის, ეტრურიაში ქალაქის კედლე-ბის გადაღმა მდებარეობდა და რაღაც ციხესიმაგრის, თავისებური ბას-ტიონის ნაშთები. ეტრუსკული ნიშნებია კიუზიშიც, რომელიც მდებარე-ობს ეტრუსკების ლუკომონიის ყოფილი ცენტრის ადგილზე, კიუზიში მთაში გაყვანილი თავისი უზარმაზარი ლაბირინთებითა და ადგილობ-რივი ტუფით ნაშენი სახლებით, იმ ტუფით, რომლითაც აშენებულია ქალაქის შემოგარენის ეტრუსკული კედლები. პერუჯიშიც, არეცო-შიც — ეტრურიის შედარებით მნიშვნელოვან სამრეწველო ცენ-ტრებში, პოპულონიაშიც, სადაც განვითარებული იყო მეტალურგი-ული წარმოება (ის, ისევე როგორც ლითონების მოპოვება, ძი-

რითადად განვითარებული იყო ეტრურიის ჩრდილოეთ რაიონებში — თვით ბუნების მიერ დადგენილი „შრომის დანაწილებაა“). და, რასაკვირველია, ვოლტერში, თავისი ცნობილი ეტრუსკების ძეგლით — პერუჯის ჭიშკარზე უფრო ძველი, თაღოვანი ჭიშკრით...

სიტყვამ მოიტანა და ვოლუმნიეს ეტრუსკულ სამარხს, რომელიც პერუჯის ახლოს მდებარეობდა, გულშიჩამწვდომი სტრიქონები უძღვნა თავის დროზე ალექსანდრე ბლოკმა, რომელიც იქ იყო 1909 წელს.

„ის სადაა. კლდოვან ბორცვში, მწვანე ხავსმოკიდებულ პორტალის ზემოთ, რამდენიმე ათეული საფეხურის სიღრმეზე ვერ ანათებს ორ დელფინს შორის მდებარე ქვის მზე. ნესტისა და მიწის სუნი დგას. აქა-იქ მოჩახჩახე ელექტრონათურების შუქზე კიაფობენ ათი პატარა ოთახის დაბალი ნაცრისფერი კამარები და ვოლუმნიეს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების ქანდაკებები, თავისი სარკოფაგების სახურავებზე რომ წვანან. ოცდაორი საუკუნის „უტყვი მოწმენი“ საოცრად მშვიდად წვანან. იმ ხელის თითზე, რომელიც თავქვეშ აქვთ ამოდებული და რომლითაც ეყრდნობიან ქვის ორ ბალიშს, — უცვლელი ბეჭედი უკეთიათ. მეორე ხელში, თეძოზე რომ უდევთ, უჭირავთ ტრადიციული გადაშლილი ფიალა—მონეტებიანი პატარა ქარონისათვის. აცვიათ ხალვათი და მოხერხებული სამოსელი. სხეული და სახე ჩამკვრივებული აქვთ, სიმსუქნისადმი მიდრეკილი... ამ მიწისქვეშა „ბინის“ მნიშვნელოვანი მორთულობანი: ყველაფერი, რაც სჭირდება ოდესღაც დაუმორჩილებლის ოჯახს („დაუმორჩილებელ პუბლიუს ვოლუმნიუსის. კაფატიუსის ძისა“, როგორც გვამცნობს წარწერა. — ა. ვ.), რათა მლოცვარე სახით იწვეს სიკვდილის ბურანში, ითვალოს საუკუნეები თავს ზეძოთ, დედამიწაზე, ილოცოს როგორც სიცოცხლეში და მოთმინებით ელოდოს რაღაცას; ჭერსა და აკლდამებზე მედუზების კაეშნიანი და მძიმე თავებია; აქეთ-იქით გამოსახულია მტრედები — მშვიდობის სიმბოლო; სიკვდილის ორი ფრთოსანი და ქალური გენიუსი ჩამოკიდებულია შუა დარბაზის ჭერქვეშ. კედლებიდან თავი გამოუყვიათ ქვის გველებს guardia del sepolchro — საფლავთა მცველებს...“

## 6.

დიახ, მეცნიერებამ აქ უკანასკნელი ორმოცდაათი — სამოცდაათი წლის მანძილზე ცოტა რამ როდი გააკეთა. დიდი ხანია უკვე ეტრუსკულ ნაგებობათა ნანგრევები აღრიცხულია, აღწერილია და ფოტოგრა-

ფირებული. აღმოჩენილია ყოფილი ეტრუსკული ქალაქების მცირერიცხოვანი ნაშთები, აღმოჩენილია მრავალი ნეკროპოლი. ზოგადად ჩვენთვის უკვე ცნობილია ეტრუსკების ისტორიაც: ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომელ დროს მიეკუთვნება ამ ცივილიზაციის აყვავება. ჩვენთვის ზოგადად ცნობილია მისი დაღუპვის მიზეზებიც. ვიცით ისიც, რომ ისევე როგორც სხვა უძველესი ცივილიზაციები, ეტრუსკულიც ემყარება მონების შრომას, მონებისა, რომელთა რიცხვიც იზრდებოდა სამხედრო ტყვეებისა და დამორჩილებული ტომების ხარჯზე. ვიცით, რომ ეტრუსკების გამომგონებლობით ნიჭს ბევრ რამეში უნდა ვუმადლოდეთ: ჰიდრავლიკაში, ირიგაციაში, რომ ეტრუსკებმა გამოიგონეს ღუზა, შესაძლოა თაღიც და რომ ლეგიონი, რომაელების ცნობილი საბრძოლო ერთეული, ცნობილი იყო ეტრუსკებისათვის.

და მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ბევრი რამ ამ ცივილიზაციაში თეთრ ლაქას წარმოადგენს. საოცარია, მაგრამ ეტრუსკებზე, ბოლოსდაბოლოს ამ არც თუ ისე ძველ ხალხზე, ჩვენ გაცილებით ნაკლები ვიცით, ვიდრე, ვთქვათ, ძველ ეგვიპტელებზე.

რატომ?

ჯერ ერთი, მეცნიერებმა უკანასკნელ დრომდე ვერ აღმოაჩინეს რომელიმე ეტრუსკული ქალაქის ნაშთები (მე მხედველობაში მაქვს ცოტათი მაინც მნიშვნელოვანი ნაშთები) — ქუჩებით, სახლებით, კარგი არქივებით, რომ მთელი ხმით ალაპარაკდნენ საგნები, შრომის იარაღები, ჭურჭელი.

მეორეც — ვერ მოხერხდა მცირერიცხოვანი ეტრუსკული ტექსტების გაშიფვრა. მათი წაკითხვა შეიძლება, გაგება კი არა!

ეს მართლაც საწყენია: ისედაც ცოტაა შემორჩენილი ეტრუსკული დოკუმენტები — ძირითადად წარწერებია ნეკროპოლზე, მაგრამ (იქნებ ნაწილობრივ ამ მიზეზითაც) აქამდე ვერ გავიგეთ მათი შინაარსი. რომელ ენებს არ შეადარეს ეტრუსკული მისი გაშიფვრის იმედით, რა თავსატეხი თეორიები არ გამოიგონეს!

ჯერჯერობით ამაოდ!

გაშიფვრის პრობლემას ართულებს ისიც, რომ ჩვენ ხშირად წარმოდგენა არა გვაქვს, თუ სად იწყება ან თავდება ესა თუ ის სიტყვა: ვხედავთ ასოების ჯგუფს და ზუსტად ვერ გაგვირკვევია, ერთ სიტყვაზეა ლაპარაკი, ორზე თუ მთელ ფრაზაზე. ამასთან ეტრუსკული ანბანი ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს ფონეტიკას: ერთი და იგივე ბგე-

რა მრავალ შემთხვევაში ერთი და იმავე ასოთი როდი აღინიშნება. დაბოლოს, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეტრუსკები განსაკუთრებით III—II საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე წერის დროს ხმოვნებს ტოვებდნენ. ამას რა უშავს, თუ საქმე ეხება ყველასათვის ცნობილ საკუთარ სახელს. სხვა შემთხვევებში ეს წამებაა.

და მაინც, რა საინტერესო იქნებოდა წაგვეკითხა ეტრუსკული ტექსტები! მაშინ ალბათ გადაიჭრებოდა დიდი ხნის დავა: ბოლოს და ბოლოს ვინ არიან ეს ეტრუსკები? სწორია თუ არა, რომ ეტრუსკელი ხალხის ჩამოყალიბებაში თავისი როლი შეასრულეს დუნაის ნაპირებიდან და ანატოლიის ტრამალებიდან მოსულებმა?

არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეტრუსკული ენა ახლოა ალბანურთან. ეტყობა, რომ ერთმაც და მეორემაც გამოიყენა ერთი საერთო ენა — ილირიული. ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებს ზ. მაიანი ახლახან გამოსულ წიგნში „ეტრუსკები ლაპარაკს იწყებენ". ეტრუსკული ენის საიდუმლოს ამოცნობა ეტრუსკებზე ჩვენი ცოდნის გაფართოების ერთი გზაა. მაგრამ არსებობს სხვა გზაც: არ დავკმაყოფილდეთ იმით, რაც უკვე აღმოჩენილია, გავაგრძელოთ არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი. აქ უკვე დროა გადავიდეთ ერთ-ერთ გასაოცარ აღმოჩენაზე თანამედროვე არქეოლოგიაში — დიდი ეტრუსკული ქალაქის აღმოჩენაზე.

## 7.

სიზუსტე დავიცვათ: ის, რომ ოდესღაც არსებობდა ეს მნიშვნელოვანი ეტრუსკული ნავსადგური ადრიატიკაზე, რომელსაც სპინას უწოდებდნენ, უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. ცნობების მიხედვით ეს იყო მართლაც დიდი ნავსადგური. აქ მოდიოდა საქონელი მაშინდელი სამყაროს თითქმის ყველა კუთხიდან: ბალტიის ზღვიდან შემოჰქონდათ ძველი ხალხების მიერ დიდად დაფასებული ქარვა, აღმოსავლეთიდან ანტიკური ლარნაკები, ქსოვილები, საოჯახო ჭურჭელი, ზეითუნის ზეთი, ეგვიპტური მერქანი, საკმეველი. სპინადან გაჰქონდა ეტრურიას ღვინო, პური და თავისი ცნობილი რკინისა და ბრინჯაოს ნაწარმი.

ძველად ნავსადგური მდებარეობდა სამ კილომეტრზე ზღვიდან,

რომელთანაც დაკავშირებული იყო მდინარის ერთ-ერთი შენაკადის კალაპოტში გამავალი არხით.

ასე იყო V—IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. შემდეგ ქალაქის ცხოვრება თანდათან ჩაკვდა. ქვიშის ნარიყმა და შლამის დანალექებმა ზღვას უკან დაახევინეს. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში სპინას ადგილზე მდებარეობდა სოფელი (თვითონ ქალაქი დიდი ხანია გაქრა, ის ჭაობმა და შლამმა დაფარა), რომელსაც ზღვას დაახლოებით 18 კმ აშორებდა.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა და იქ, სადაც ზღვას სერავდნენ ძვირფასი საქონლით დატვირთული გემები, თანდათან ჭაობი ჩნდებოდა. მდინარე პოს დელტამაც რამდენჯერმე შეიცვალა თავისი რელიეფი ამ საუკუნეების მანძილზე.

...წყლით გაჟღენთილი, ნაცრისფერი უდაბნო: ტალახი, დაჭაობებული ტბორები, აქა-იქ ლერწამს ამოუყვია თავი, მზიან დარშიც კი მუდმივი ანაორთქლისაგან მოღრუბლული ცა, ჭაობებზე ჩამოწოლილი ნისლი — ასე გამოიყურება დღეს კომაკიოს ველი, რომელშიც ჩამარხულია უძველესი ეტრუსკული ნავსადგური. თქმა უნდა განა, რა გულისთქმით უყურებდნენ ამ ადგილებს მეცნიერები! წარმოიდგინეთ: აქ უნდა მდებარეობდეს თავისებური ეტრუსკული პომპეი!

საჭირო იყო ამ პომპეის აღმოჩენა: მაგრამ რას გაიგებ, სად მდებარეობდა სპინა: აქ ხომ ყველაფერი იცვლებოდა — ზღვის ნაპირის მოხაზულობაც, პოს კალაპოტიც და, წარმოიდგინეთ, აქაური ადგილების სიმაღლეც: ოდესღაც ნაწილი ამ ადგილებისა ლაგუნას წყლის ზემოთ მდებარეობდა. დღეს კი მთელი ველი ზღვის დონეზე დაბლაა.

და არავითარი, თითქმის არავითარი ორიენტირი! არქეოლოგთაგან ძალიან ცოტა ვინმეს სჯეროდა, რომ ოდესმე აღმოაჩენდნენ სპინას. და თუ ქალაქი აღმოაჩინეს, მეცნიერება უნდა უმადლოდეს იტალიელი მეცნიერის ნერეო ალფიერის შეუპოვრობას, შრომისმოყვარეობას და დიდ ცოდნას. და ახალ ტექნიკას, ვინაიდან ახალი ტექნიკური საშუალებებით კვლევის უახლესი მეთოდების, გაბედული ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე საეჭვო იყო წარმატების მიღწევა. ბერძნულ-ეტრუსკული ნეკროპოლი შემთხვევით იქნა აღმოჩენილი კომაკიოს ჭაობში ჯერ კიდევ 1922 წელს. სავარაუდო იყო, რომ თვით ქალაქიც იქვე ახლოს მდებარეობდა. 1935 წლამდე ჩატარდა აქ საძიებო სამუშაოები. ათასზე მეტი სამარხი აღმოაჩინეს. ქალაქს კი ვერა და ვერ მიაგნეს!

სპინას აღმოჩენის სამუშაოები განახლდა მხოლოდ 1953 წელს. თავ-

დაპირველად მეზობელ ველზე აღმოაჩინეს კიდევ ერთი ნეკროპოლი. ხოლო ორი წლის შემდეგ ამ რაიონში ამოშრობილ იქნა ჭაობის ნაწილი, სწორედ ის ნაწილი, სადაც, ალფიერის გაანგარიშებით, შლამსა და ყაპში უნდა ყოფილიყო ქალაქი ჩაფლული. მაგრამ როდესაც წყალი ამოაშრეს და აღმოჩნდა სველი მიწა, ამ ვარაუდს აქ არაფერი ამტკიცებდა. აქა-იქ მოჩანდა პირწამხმარი ტალახი, — და მეტი არაფერი.

მაგრამ ნაადრევი იყო გულისგატეხა. კიდევ მთელი მონაკვეთი რჩებოდა შიშველი. 1956 წლის გაზაფხულზე კი ის ამწვანდა. ეს საქმეს აადვილებდა. რატომ? იმიტომ, რომ ახლა შეიძლებოდა გამოეყენებინათ მეთოდი, რომელიც გამართლდა სხვა ადგილებში, — აეროფოტოგადაღება. ადგილი გადაღებულ იქნა 3600 მეტრის სიმაღლიდან. ალფიერი გაეშურა რავენას: იქ უნდა გაემჟღავნებინათ ფირი.

ნაკლებ გატაცებული და თავის სიმართლეში ნაკლებ დარწმუნებული ადამიანი, ალბათ, არც მიაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას რაღაც ლაქებს, რომლებიც ძლივს მოჩანდა ანაბეჭდზე. მაგრამ ალფიერი სულ სხვა ვინმე იყო. ის მაშინვე მოელაპარაკა პროფესორ ვალვასორის (ყოფილ სამხედრო მფრინავს და დახელოვნებულ ფოტოგრაფს) და სთხოვა გადაეღო ახალი სერიები, ამჯერად სხვადასხვა სიმაღლიდან, სხვადასხვა განათებით, სხვადასხვა რაკურსით და სხვადასხვაგვარ ფირებზე.

აი მაშინ კი გამოჩნდა სინათლეზე დაახლოებით 350 ჰექტარი ფართობის მქონე ქალაქის გამოსახულება და 18 მეტრი სიგანის არხების კვალი.

როგორი გიგანტური ველი იშლებოდა მეცნიერების წინაშე სამოქმედოდ! შლამისა და ყაპის აფსკის ქვეშ, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ალფიერი ვარაუდობდა, იყო ძველი დასახლება. ამას მოწმობდა სხვათაშორის ქორფა სიმწვანე უფრო ხშირი არხის კალაპოტში, შედარებით მეჩხერი — ძველ კედლებსა და სახლების ნაშთებზე.

პირველმა გათხრებმა საუკეთესო შედეგი მოგვცა. უკვე აღმოჩენილია ზოგიერთი ნაგებობის საძირკველი, ლარნაკები, ჭურჭელი, რომლებიც მიეკუთვნება V საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. უფრო ცუდად იყო შენახული ლითონის ნაკეთობანი: ისინი პრაქტიკულად ყველა განადგურებული ანდა დეფორმირებული იყო ისე, რომ ვერ იცნობდით, რას წარმოადგენდა თავის დროზე — ეს იყო კოროზიის შედეგი! და არა მარტო რკინის, არამედ ბრინჯაოს ბევრი ნაკეთობაც კოროზიის მსხვერპლი გამხდარიყო.

...სამუშაოს ართულებს ის, რომ წყალი და შლამი ხელს უშლის გათხრების წარმოებას: იქაც კი, სადაც ჭაობი ამომშრალია, წყალი ჟონავს გამუდმებით. მონაკვეთის ყოველი მეტრი ბრძოლით უნდა აიღონ, ძნელია ტრანშეების გაყვანა, უფრო ძნელია დაზვერვითი სამუშაოები. წყლის დაწოლის შესაჩერებლად საჭირო უბნის გარშემო ლითონის ფარებია აღმართული, ტუმბოებით განუწყვეტლივ ქაჩავენ წყალს.

ყოველივე ამას სჭირდება დრო და ფული. ჯერჯერობით კი სპინაში გათხრების პარალელურად მის ნეკროპოლებშიც წარმოებს გათხრები. იქაც საქმეში ფარებს იყენებენ, იქაც არქეოლოგები ლამის მყვინთავებად არიან გადაქცეული, ჯოხზე წამოცმული ვედროები ნიჩბებზე ნაკლებ როლს როდი ასრულებენ და მიწის ყოველი მეტრი ისინჯება ლითონის ცეცებით.

როგორც ყოველთვის, არქეოლოგიური გათხრების დროს, ძირითადი მიზანია — გავიგოთ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, როგორ შრომობდნენ, წარმოვიდგინოთ მათი აზროვნების სახეები, მათი დარდი და საზრუნავი, მათი სიხარული და მწუხარება. დაკვირვებული და მცოდნე ისტორიკოსებისათვის ცალკეულ მონაცემებს, უძველეს წარსულს რომ აღადგენენ, ყოველ ქვას, ყოველ აღმოჩენილ იარაღს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმის მიხედვით კი, თუ როგორ ასაფლავებდნენ მიცვალებულებს ამა თუ იმ დროში, ბევრი რამის გარკვევა შეიძლება ჩვენი წინაპრების ყოფაცხოვრების, აზროვნების შესახებ. 1955—1958 წლებში ნერეო ალფიერიმ კომაკიოში ორი ათასი სამარხი გახსნა. დღეს მათმა რიცხვმა უკვე ოთხი ათასს მიაღწია.

...შემხმარი მიწის თხელი ფენა ან ლაფი. ამას მოსდევს ფენა, უამრავი ზღვის ნიჟარებითა და დამპალი წყალმცენარეებით. შემდეგ კი თიხა და ქვიშაა.

ქვიშაში, დიუნებზე, რომლებიც ძველად ლაგუნას გარს ეკრა, მდებარეობს სამარხები, გარეგნულად ისინი არაფრით არ გამოირჩევიან, უფრო ღარიბულია, ვიდრე ჩერვეტერის ნეკროპოლსა და სხვა ადგილებში. იქ მდიდრული აკლდამებია, რელიეფებით შემკული კედლები, ხელოვნურად დაყრილი ქვები.

აქ ძირითადად მხოლოდ მიწის ფენაა: ორმოს თხრიდნენ და შიგ უშვებდნენ მიცვალებულს, პირდაპირ მიწაში. მხოლოდ რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა თავისებური კუბო — ხის ყუთი.

ღარიბებს წვავდნენ. მდიდრებს — არა. ღარიბებს (ისევე როგორც სიცოცხლეში), უნდა ეკმარათ ერთი ჯამი. მდიდრებს კი ატანდნენ სხვადასხვაგვარ ლამაზ და ძვირფას ჭურჭელს.

ათასობით და ათიათასობით ძირითადად ბერძნული ნაკეთობის ლარნაკი იქნა აღმოჩენილი არქეოლოგების მიერ ნეკროპოლებში. აქ შეხვდებით V საუკუნიდან IV საუკუნის შუა ხანებამდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენი მეთუნეებისა და ლარნაკის მომხატველთა შემოქმედების ცოცხალ კატალოგს, მოხატულ, ღია ფერის ძვირფას ლარნაკებს.

აქ თითქმის მთელი ბერძნული ოლიმპოა, ღმერთების მთელი კრებულია წარმოდგენილი, იხილავთ ჰომეროსის გმირების საქმეებს, უამრავ სხვა პერსონაჟებს: ათლეტებს, კურტიზან ქალებს, ეფებს, ცოცხალ ყოფით სცენებს — კომიკურს, ტრაგიკულს, ეპიკურს.

გასაკვირი არაფერია: ეს არის ბერძნული კერამიკის ოქროს ხანა. და ამავე დროს სპინას დიდებისა და გაფურჩქვნის ხანაც. მაგრამ მაინც რატომ არის ასე დიდი რაოდენობით, როგორც დღეს ვიტყოდით, იმპორტი?

მოდაა? რა თქმა უნდა, არც უამისობაა. მაგრამ ამავე დროს, როგორც ჩანს, გაცილებით ადვილი იყო თავისი საქონელი გაეცვალათ ატიკიდან ზღვით ჩამოტანილ კერამიკაზე (და, მართლაც, შესანიშნავ ნაწარმზე!), ვიდრე სახედრებით ტოსკანიდან მთის ცუდი გზებით ჩამოტანილზე. თუმცა ეტრუსკული ძირითადად მომცრო ლარნაკებიც გვხვდება. მათი ჩატანა უფრო ადვილი იყო, ვიდრე დიდებისა.

სპინაში უძველესი სამარხები მიეკუთვნება 500 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ხოლო ყველაზე გვიანდელი?

მიეკუთვნება დაახლოებით III საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ეს გახლავთ სპინას დაღუპვის ხანა. უცხოელ დამპყრობთა მიერ გარშემორტყმული ვერ ნახულობს ძალას ეფექტურად ებრძოლოს ქვიშასა და ჭაობს.

...დღეს, როდესაც უყურებ ამ ჭანჭრობს, ამ უკიდეგანო ლაგუნას, ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესღაც აქ აღმართული იყო სახლები, რომ ორჩხომელები და ხომალდები არხებით შედიოდნენ ქალაქში, სადაც სიცოცხლე დუღდა.

კელტების თავდასხმამ სპინა ზურგს მოსწყვიტა. ერთ ხანს ის კიდევ განცხრომით ცხოვრობდა, მაგრამ დიდხანს არა. გაწყდა კავშირურთიერთობა ათენთან — ატიკის დედაქალაქი ჩაება ომში სპარტასთან. შეიცვალა მდგომარეობა სხვა ქვეყნებშიც.

ზღვა თანდათან უკან იხევდა...

## 8.

ძიებანი და გათხრები სხვა ადგილებშიც წარმოებდა. აეროფოტოგადაღებამ უჩვენა, რომ ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლოებით მოცული სიძველე ელოდება მკვლევარებს — იქაც კი, სადაც თითქოს ყველაფერი დიდი ხნის შესწავლილი ეგონათ. შემოვლილია და გადათხრილი ტოსკანის ველები და მინდვრები! მაგრამ ბრედფორდმა აქ მაინც ექვსასამდე მანამდე უცნობი სამარხი აღმოაჩინა. ხუთასამდე ახალი აკლდამა იქნა აღმოჩენილი მეზობლადაც. და არა მარტო თვითმფრინავების დახმარებით. აკლდამა — ეს პირველ ყოვლისა არის სიცარიელე დედამიწაზე. თუ რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მიწაში ჩავარჭობთ ორ ელექტროდს იმ გაანგარიშებით, რომ შეიქმნას შეკრული წრედი, და გავატარებთ დენს, მაშინ გრუნტით წინაღობის შეცვლის მიხედვით (ნებისმიერი სიცარიელე კი მკვეთრად ცვლის მას) შეიძლება აღმოვაჩინოთ საძიებელი.

რადგანაც საუბარი იმას ეხება, თუ როგორ „დავინახოთ დაუნახავად", უნდა მოვიხსენიოთ ერთი საინტერესო ახალი მეთოდი, რომელიც სწორედ ჩერვეტირისა და სხვა ადგილებში ნეკროპოლების გათხრების დროს გამოიყენეს იტალიელმა არქეოლოგმა ე. კორაბელიმ და ინჟინერმა კ. ლერიჩიმ. ბევრი აკლდამა ცარიელია. ღირს განა მათი გათხრა? უფრო ადვილი არ არის ელექტრობურღით გავბურღოთ ხვრელი, სამარხში ჩავუშვათ პატარა ფოტოაპარატი სანთიათი და უკვე მზადაა სრული სურათი — სწრაფად, ეკონომიურად და შეუმცდარად.

ეს „გათხრები უგათხრებოდ" იქ, ყოველ შემთხვევაში, სადაც საქმე ეხება ნეკროპოლებს, მოხერხებული და დაუცადებელია. ერთი სეზონის მანძილზე კორაბელიმ და ლერიჩიმ ამ მეთოდით გამოიკვლიეს უზარმაზარი, თითქმის 150 ჰა ფართობის მქონე ნეკროპოლი...

ახალი გათხრები, ახალი გამოკვლევები საშუალებას იძლევა შევამოწმოთ და ნათელი მოვფინოთ ბევრ რაიმეს, რაც გაურკვეველია ეტრუსკების ისტორიაში. როგორც ყოველთვის, როცა ლაპარაკია დიდი ხნის გარდასულ დროზე.

ეს ხომ ისეთი წლები და საუკუნეებია, რომელთა შესახებ „ისტორიის კვალისმაძიებელთა" დაუხმარებლად თითქმის ვერაფერს გაიგებ.

# ოდესღაც აქ ცივილიზაცია ყვაოდა



ადამიანები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. რამდენმა საუკუნემ განვლო, სანამ ისინი შეხვდებოდნენ დაუპატიჟებელ მომხდურთა მცირერიცხოვან რაზმს? მათ ცეცხლსასროლ იარაღს?

ეს დღესაც არავინ იცის ზუსტად. მაგრამ ეს შეხვედრა რომ ტრაგიკული აღმოჩნდა, კარგად არის ცნობილი.

დაიღუპა, დაითრგუნა, განადგურდა ადგილობრივი ხალხების ცივილიზაცია. ისე ძირიანად მოითხარა, რომ დღემდე არ არის სრულად გარკვეული კატასტროფის მასშტაბები, კატასტროფისა, რომელიც დაიწყო 1532 წლის ამ ბედკრულ დღეს, როდესაც ინკების ქვეყანაში ორასზე მეტი კაცისაგან შემდგარი რაზმით შემოიჭრა ფრანსისკო პისარო.

## 1.

მთის მწვერვალები და უდაბური, ქარების სანავარდო ველი, მოულოდნელად ციცაბოდ რომ ეშვება უფსკრულივით თვალჩაუწვდენელ ხევში. ცხელი წყარო იქ ამოსჩქეფს, სადაც მეუფება მხოლოდ ყინულს ხვდომია წილად. მცირეოდენ ნაყოფიერ ველებსაც შეხვდება კაცი. ეს არის მძაფრი კონტრასტებისა და მკაცრი ბუნების მქონე ქვეყანა.

5 ათას კილომეტრზე გასდევს სიგრძეზე სამხრეთ ამერიკის სანაპიროს ასობით კილომეტრი სიგანის ანდების მთის ჯაჭვი.

ამ უზარმაზარ მთის რაიონში ცხოვრობენ ჩვენს ერამდე შემორჩენილი ინდიელთა მნიშვნელოვანი ტომები. ბოლივიის, პერუს, ჩილეს, ნაწილობრივ კოლუმბიის დღევანდელ ტერიტორიაზეა სწორედ დამარხული მათი წინაპრების ყოფილი კულტურის ნაშთები.

პირველ ყოვლისა ინკების კულტურისა.

მაგრამ უფრო ადრე მცხოვრები ხალხებისაც.

## 2.

ინკების კულტურის აყვავების ხანა, როგორც ცნობილია, მოიცავს სამ საუკუნეს, XII—XIII საუკუნიდან XVI საუკუნემდე. სიტყვამ მოიტანა და აქვე აღვნიშნავთ სიტყვა „ინკა“ აღნიშნავდა მეუფესაც. გაბატონებულ ფენასაც ინკების სახელმწიფოში და მთელ ხალხს საერთოდ. ინკები იყვნენ თანამედროვე კეჩუას მონათესავენი და მათ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ჯერ კიდევ დაახლოებით ათას წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ინკები მოსახლეობდნენ კუსკოს მიდამოებში.

სწორედ აქედან დაიწყეს მათ თავისი დაპყრობითი ომები. და ხუთი საუკუნის განმავლობაში შექმნეს ძლიერი სამეფო, რომელიც იმ დროისათვის, როდესაც აქ გამოჩნდა პისარო, ჩრდილოეთი ეკვადორიდან პერუსა და ბოლივიის გავლით შუა ჩილემდე იყო გადაჭიმული 3500 კილომეტრზე.

ამ ზეგნებზე, ველებზე, სანაპიროს ასობით კილომეტრზე ცხოვ-

რობდა უამრავი სხვადასხვა ტომი. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, არანაკლებ ასი ტომისა.

...სპილენძსა და კალას (მათი შენადნობი ხომ, როგორც ცნობილია, ბრინჯაოს იძლევა), ვერცხლის საბადოებს, ტყვიას, ოქროს — ამ ლითონებს კარგად იცნობდნენ ინკები. ტაძრებსა და სასახლეებს ისინი თლილი ქვის ბლოკებისაგან აშენებდნენ, ისე მჭიდროდ აწყობდნენ მათ ერთმანეთზე, რომ დანისპირი ვერ შევიდოდა ამ უზარმაზარ ხშირად მრავალტონიან ლოდებს შორის.

შესანიშნავად იყო მოწყობილი გზები, შესაძლებელია, უფრო უკეთესად, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გზები უამრავი იყო, მათ შორის ორი მთავარი კვეთდა მთელ ქვეყანას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ: ერთი სანაპიროს მიუყვებოდა, მეორე მიდიოდა მის პარალელურად ზეგანზე. მდინარეებსა და ხეობებზე გადებული იყო ქვის ან კიდული ხიდები: ორი ქვის ბოძი ჩარჭობილი იყო მდინარის ერთ მხარეს, ორიც საწინააღმდეგო მხარეს, მათ შორის კი ლიანებისაგან მოწნული ხუთი ბაგირი იყო გაჭიმული. სამი მათ შორის თვით ხიდი იყო, ორი — სახელურები. ყოველ გარკვეულ კილომეტრზე იდგა საფოსტო სადგურები. მანძილს ტიუანაკოდან კუსკომდე (დაახლოებით ორი ათას კილომეტრს) მრბოლები რვა დღეში გადიოდნენ.

ინკებმა იცოდნენ ქსოვილების ფაქიზად და გემოვნებით მორთვა. ამზადებდნენ სქელ ხაოიან და თხელ, ჰაეროვან ქსოვილებს. ისინი იცნობდნენ ორმოც სახეობამდე სახარგებლო მცენარეულს და შექმნეს მორწყვის მთელი სისტემა — რწყავდნენ ველებს და ამავე დროს იცავდნენ ფერდობების ნიადაგს გამორეცხვისაგან.

და მაინც ინკების მიწა-წყალზე ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ბრინჯაოს ხანა. ის, რომ მათ არ იცოდნენ ბორბალი და საბიდრები, ესპანელებმა ეს მაშინვე შეამჩნიეს, მაგრამ ინკები არ იცნობდნენ არც რკინას, არც სამეთუნეო ქარგოლს. შესაძლოა, სწორედ ტექნიკურ საშუალებათა უქონლობა აიძულებდა ინკელ ხელოსნებს ძირითადად თავის ცოდნასა და მოხერხებას დაყრდნობოდნენ.

## 3.

იმ ძველი დროიდან ცოტა რამ შემორჩა — უძველეს გზათა ქსელი თავბრუდამხვევ სიმაღლეზეა. აქა-იქ შემორჩენილა ყოფილი ქალაქებისა და ციხეების ნანგრევები. მაგალითად, საქსაუამანო.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ კუსკო, ინკების იმპერიის ყოფილი დედაქალაქი, თავისი მოხაზულობით პუმას ჰგავდა. კუდს წარმოადგენდა მდინარე ვილკამაიო. თავს — საქსაუამანი, უზარმაზარი ციხესიმაგრე.

მხოლოდ 1934 წელს მოხერხდა ამ ციხესიმაგრის ნანგრევების გათავისუფლება მიწის ფენისაგან.

სამი უზარმაზარი სიდიდის ქვა ერთმანეთზე ტერასებად აწყვია. გრანიტის ბლოკები, რომლებიც ზოგან ექვს მეტრს აღწევს სიმაღლით, ხოლო სიგანით სამ მეტრს, ერთმანეთზე დამაგრებულია მჭიდროდ ყოველგვარი საგოზავის გარეშე.

ხოლო თვით ცენტრში სამი კოშკია: ორი ოთხკუთხა, ერთი მრგვალ საძირკველზე. საძირკვლები დღემდეა შემორჩენილი.

ჩრდილოეთ ფხარეს ბრტყელი ვაკეა, ოდესღაც სპორტულ შეჯიბრებათა და დღესასწაულების ადგილი. ოცმეტრიანი სიმაღლის კლდეზე საფეხუროვანი, თეთრი ფილებისაგან გაკეთებული ტახტია. გადმოცემით, ეს არის ინკების მბრძანებლის ტახტი.

საქსაუამანი მარტოდმარტო როდია.

ქალაქ მაჩუ-პიკჩუს შესახებ ბევრს სმენია: აქ, მიუდგომელ მთიან რაიონში, ესპანელებისაგან კუსკოს დაბრუნების უშედეგო ცდის შემდეგ თავი შეაფარა ინკების მთავარმა მანკომ.

მაგრამ დიდხანს არავინ იცოდა, სად მდებარეობდა ეს ქალაქი. მისი ნახვა მოხერხდა მხოლოდ 1911 წელს ამერიკელი ბინგჰემის მიერ. მისი სახელი ნიშნავს „ძველ მწვერვალს“ — იმ მთის სახელის მიხედვით, რომელზეც გაშენებულია ეს ქალაქი. ინკების ეს დასაყრდენი პუნქტი არწივის ბუდესავით იყო მაღალ მთებში გადაკარგული, კორდილიერებისა და ულრანი ტყის მიჯნაზე. მას იცავდა და იფარავდა ორი მწვერვალი, ქვემოთ კი ბობოქრობდა მთის ნაკადი — ურუბამბა.

...თავწვეტიანი ქვის ორსართულიანი (დღეს ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება) სახლები შემორჩენილია კედლების საძირკვლებით. ირგვლივ ბლოკებისაგან ამოყვანილი ციხესიმაგრის მართკუთხა კედლებია, ტერასებად რომ მიემართება მწვერვალისაკენ. კლდეში გამოკვეთილი ორმოცდაათი კიბე, სამი ათასიანი საფეხურით, ქუჩების მაგიერ ერთმანეთთან აკავშირებს მაჩუ-პიკჩუს კვარტალებს. აქვეა ტაძარი, უფრო სწორად, ტაძრის თუ წმინდა სალოცავის ნაშთები სამი სარკმლით. კიდევ ერთი ტაძარია. ქვის რაღაც ბაქანი.

თვით უსკოში ზოგან ძველი დაგეგმარების კვალია შემორჩენილი. იშვიათად, მაგრამ მაინც აღმოჩნდება ესპანელების მიერ აშენებული

ტაძრის თუ სახლის ქვეშ ინკების დროის ტაძრის თუ სახლის საძირკველი.

შემორჩენილია სხვა ნანგრევებიც — პაჩაკამაკი, ოკეანის ნაპირზე; ოლინტაიტამბო, სადაც ტერასებადაა ახორავებული ყოფილი ტაძრის გრანიტის ბლოკები; პიზაკი, რაღაც საქსაუამანის მსგავსი, მაგრამ უფრო მცირე ზომის კოშკის მომიჯნავე, სწორად განლაგებული თეთრი გრანიტის შენობებით. და შესაძლოა, ისევე როგორც საქსაუამანს, ამ ქალაქსაც სამი მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა — წარმოადგენდა გაბატონებული კასტის ბუდეს, რელიგიურ-ასტრონომიულ ცენტრს და სამხედრო-დასაყრდენ პუნქტს.

ჯერ კიდევ ახლახან არქეოლოგები ამით კმაყოფილდებოდნენ. მაგრამ რაც უფრო ყურადღებით სწავლობდნენ ისინი ძველი ინკების ქალაქების ნანგრევებს, რაც უფრო დაჟინებით იკვლევდნენ ინკების კულტურის ნაშთებს, მით უფრო რწმუნდებოდნენ, რომ ინკების კულტურას წინ უსწრებდა დღევანდელი პერუს ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი ინდური ტომების ხანგრძლივი განვითარება. და არა მარტო პერუს ტერიტორიაზე. ბოლო ათ-ოც წელიწადში არქეოლოგებმა აქ ბევრი რამ აღმოაჩინეს.

და თუმცა ჯერ ყველაფერი ნათელი ~~არ არის, მაგრამ~~ სწორედ ახლა შეგვიძლია გამოვთქვათ რაღაც გარკვეული აზრი სამყაროს ამ კუთხეში ძველი კულტურის შექმნის შესახებ.

მათ შორის აქაურ უძველეს ქალაქებზეც.

## 4.

...ზოგი სალაშქროდ წამოვიდა მონგოლეთის ტრამალებიდან, ზოგი — წყნარი ოკეანის აზიის სანაპიროდან, ზოგი, შესაძლოა, აღმოსავლეთ ციმბირიდან.

ამაზე მეტი უძველეს გადმოსახლებულთა შესახებ არაფერი ვიცით: გარდა იმისა, რომ მოთმინებით აღჭურვილი მეცნიერები იქაც და აქაც ნახულობენ მათი წისქვილის ქვებსა და სანაყებს, საფხეკებსა და ქვებს.

სავსებით შესაძლებელია, რომ აზიიდან და ბერინგის ყურედან ეს ახალმოშენენი ერთ ნაკადად არ გადასულან. შესაძლოა, ამ ტალღებს საუკუნეები, ათასწლეულებიც კი აშორებს ერთმანეთს. გამოდის, რომ შორეულ მოგზაურობაში მიდიოდნენ სხვადასხვა ხალხები. იმიტომ

ხომ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინდიელთა ტომების სხვადასხვა ჯგუფები და ცალკეული ტომებიც კი, რომლებსაც ბევრი საერთო თვისებაც გააჩნიათ და რომლებიც ამერიკის ჩრდილოეთსა და სამხრეთში მოსახლეობენ?

შრომისა და საბრძოლო იარაღები მოწმობს, რომ ჯერ დასახლდა ჩრდილოეთი ამერიკა, მერე სამხრეთი.

როდის?

ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: ნიჟარების გროვები, რომლებიც გვხვდება პერუსა და ჩილეს სანაპიროს გასწვრივ, ადამიანის ნაკვალევები, გროვა ე. წ. სამზარეულოს ნაშთებისა, — მოწმობენ იმას, რომ ადამიანები ცხოვრობდნენ აქ დაახლოებით VIII ათასწლეულიდან. ისინი ცხოვრობდნენ ოკეანის ნაპირიდან მოშორებით, საჭმელს იმზადებდნენ გავარვარებულ ქვებზე. პარკოსნები, გოგრა და შესაძლოა, ხორცი მათ საკვებს წარმოადგენდა. მაგრამ პირველ ყოვლისა მათი საზრდო იყო თევზი.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა. III ათასწლეულის შუა ხანებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერუს სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში ჩნდებიან ბინადარ ცხოვრებაზე გადასული მიწათმოქმედი ტომები.

ისინი ~~სახლდებიან~~ მთის ნაკადებით მორწყულ ფერდობებზე, ითვისებენ ამ მთების გამყოფ ხეობებს. სიმაღლე არ აშინებს მათ. ეს სიმაღლე კი მნიშვნელოვანია — ორი, სამი, სამნახევარი კილომეტრი ზღვის დონიდან.

## 5.

მაშასადამე, ჯერ ათვისებულ იქნა მთების კალთები და მდინარეთა ხეობები, მაგალითად, მდინარე ჩიკამის ხეობა. ადამიანები აქ თევზჭერას მისდევდნენ. მაგრამ ისინი უკვე იცნობდნენ პარკოსნებსაც, წიწაკასაც, კიტრსაც და გოგრასაც.

ბამბასაც კი.

ამ ბამბისაგან დამზადებული ტანსაცმლის, ტილოსა და საბნების ხუთი ათასი წლის სიძველის რაღაც ნიშნები დღემდე შემორჩენილა, დრო ვერ აღმოჩნდა მათი მსახვრალი. ფრანგმა არქეოლოგმა ფრედერიკ ენგელმა ჩიკამში აღმოაჩინა ძალზე თხელი მოჩითული ქსოვილი და წარმოიდგინეთ... მაქმანიც კი!

როგორი იყო ნახატები? სხვადასხვაგვარი: ზოგჯერ ეს იყო უბრა-

ლო გეომეტრიული ორნამენტი, ზოგჯერ ცხოველთა, ქვეწარმავალთა, თევზების თავები. ზოგჯერ ცხოველები მთლიანად არის გამოსახული — თანაც ძალზე პირობითად. ჩიკამის მცხოვრებთ (და არა მარტო იმათ) დღემდე არ დავიწყებიათ თავიანთი ტოტემური ცხოველები — იაგუარები, მაიმუნები, გველები, რომლებიც იცავდნენ მათ პრერიებსა და ჯუნგლებში გამავალ დიდი ხნის სავალ გზებზე.

ჩიკამში ქვისაგან დანებსა და საფხეკებს ამზადებდნენ. სახლებს კი მზეზე გამომშრალი ალიზისაგან იშენებდნენ.

ქოთნები არ იცოდნენ. ყოველ შემთხვევაში, გუანა პრისტაში, იქ, სადაც მოხდა ძირითადი აღმოჩენები, ისინი ვერ ნახეს. ადამიანები ალბათ, გოგრისაგან დამზადებულ ჭურჭელს ხმარობდნენ.

მაგრამ ცხოვრება წინ მიდიოდა. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ ვიცით ინკებამდე ამერიკის შორეული ისტორიის შესახებ, და მისი უძველესი კულტურის ფენები კინოფირივითაა, რომელზეც ბევრი კადრი გამეღავნებულია, მაგრამ საკმაოდ ბევრი ჯერაც გაუმეღავნებელია.

და როგორი საწყენიც არ უნდა იყოს ეს, მომდევნო, ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის ცნობილი აქაური კულტურა სულაც არა ჰგავს თავდაპირველ კულტურას: როგორც ჩანს, სადღაც არის მიმალული ინკებამდელი ტომების ბედის წიგნის ფურცლები.

ამ კულტურამ ჩავინის სახელწოდება მიიღო: ქალაქ ჩავინ-დე-უანტარში, პერუს ზეგნის ჩრდილოეთ ნაწილში, აღმოჩენილ იქნა უკიროდ შედუღაბებული ქვიშაქვითა და ბაზალტით ნაგები შენობები (უფრო სწორად, შენობათა ნაშთები), ჰიწისქვეშა, როგორც ჩანს, სადრენაჟო არხების ქსელი, ბარელიეფიანი კვეტი, უამრავი ყოველგვარი კერამიკული ჭურჭელი.

არქეოლოგები გაახარა არა მარტო საჰსართულიანმა შენობამ, ოცდაათი მეტრის სიმაღლის პირამიდას რომ ჰგავდა, თავისი ვიწრო, ბნელი შესასვლელებითა და გადასასვლელებით და მართკუთხა დარბაზებით. მათ აღმოაჩინეს სხვა ნაგებობანიც. შიგა ეზოს ოთხივე მხარეს (თითოეულის სიგრძე 48 მეტრია) ისინი ოდესღაც აღმართეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. და ყველგან — შიდა შესასვლელები, გრანიტის საფეხურები, ბაქნები, ტერასები და ნიშებია.

ცენტრალური შენობა მორთული იყო ჰორელიეფებით — ქვისგან ნაკვეთი იაგუარის, პუმას და რაღაც ფანტასტიკურ არსებათა თავებით. მის შიგნით აღმართული იყო ბარელიეფიანი სვეტი. საცხოვრებელი

სახლების ნაშთები ახლომახლო არ აღმოჩნდა. ყველაფერი ეს თითქოს იმ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რომ ოდესღაც აქ იყო რელიგიური ცენტრი.

კვლავინდებურად არავითარი ლითონის იარაღი. მხოლოდ და მხოლოდ ქვისა. მაგრამ ქვის იარაღებითაც ჩავინის ეპოქის ადამიანებმა შექმნეს შესანიშნავი, თავისებური სტილიზებული ორნამენტი.

აგერ ახლა, ჩავინის ნანგრევებს რომ უყურებდნენ, მეცნიერებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ აქ მათ თვალწინ იყო ინკებამდელი პერუს უძველესი ეპოქა.

რომელ ხანას მიეკუთვნება ეს კულტურა? ზუსტი ცნობები არ არსებობს. მაგალითად: მეცნიერების ერთი ჯგუფი თვლის, რომ ჩავინი უნდა დათარიღდეს IX—VI საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მეორე ჯგუფი — X—VIII საუკუნეებით ათარიღებს. აღმოჩენილ იქნა ამავე სტილის ნანგრევები სხვა ადგილებშიც. მაგალითად, სამსაფეხურიანი ნაგებობის ნაშთები ჩრდილოეთ კორდილიერებში. კონდორას ისე ბევრი სტილიზებული გამოსახულება იყო მის კედლებზე, რომ არქეოლოგებმა მას „კონდორას სახლი“ უწოდეს.

ძველ პერუელებს სწორედ ამ დროს უნდა მოეშინაურებინათ ლამები — ერთ-ერთი პირველი შინაური ცხოველი. სიმინდთან ერთად გლეხები აშენებდნენ კაკალს, გამოჰყავდათ გოგრისა და მანიოკის ახალი ჯიშები. იცნობდნენ რაღაც ბოლქვნაყოფა მცენარეებს: ბოლქვებს სრესდნენ, წურავდნენ და წვავდნენ.

...კაცს, რომელიც პირველი მიხვდა ჩავინის მნიშვნელობას, რომელმაც წაიკითხა ანდების ხალხების რთული ბიოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი ფურცელი, ერქვა იულიო ტელო. ის ინდიელი იყო, პერუში დაბადებული და დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა. მან თავისი სამშობლოს ადრეული ისტორიის შესწავლას მთელი სიცოცხლე შესწირა. ორმოცდაათი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც სერიოზულად გაამდიდრა პერუს არქეოლოგია, მის მიერ დაარსებული ანთროპოლოგიისა და არქეოლოგიის ექვსი მუზეუმი — ასეთია მისი დამსახურების არასრული სია.

და აღმოჩენები, რომელმაც გააფართოვა ისტორიის ჰორიზონტები.

ჩავინი, დაამტკიცა ტელომ, — უძველესია იმ კულტურათაგან, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებდნენ ინკების კულტურას — ის მოი-

ცავდა ვრცელ ტერიტორიას, ერთი მხრით უღრანი ტყის ნაპირებიდან, მეორე მხრით — წყნარი ოკეანის სანაპირომდე.

დღეს უკვე აღნიშნულია რუკაზე ამ ადრეული პერიოდის კულტურის ყოფილი ცენტრების მრავალი სახელი: კოტოში, ვეივაკა, ვირუ, აპხონი...

ჩავინის კულტურას მოჰყვა სხვა კულტურები. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო პარაკასის და ნასკას კულტურები — კულტურები ხალხებისა, ატლანტიკის სანაპირო რაიონებში რომ ცხოვრობდნენ. ისინი ამუშავებდნენ მინდვრებს მდინარეების ახლოს და არხების გაყოლებაზე, ცხოვრობდნენ პატარ-პატარა ქალაქ-დაბებში.

როდესაც იგივე დაუცხრომელი იულიო ტელო და მისი თანაშემწეები პირველად მოვიდნენ პარაკასის ნახევარკუნძულზე, მათ იხილეს წყნარი, ვრცელი ყურე — სამოთხისებური ადგილი ტომებისათვის, რომლებმაც თავისი ბედი ზღვას დაუკავშირეს. მაგრამ არავითარი ნაგებობა არ შემორჩენილა. სამაგიეროდ მიწაში აღმოაჩინეს წარსულის მრავალი ნიშანი.

სამარხები სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნოდა. უფრო უძველესი საფლავები არქეოლოგებმა იპოვეს გამოქვაბულებში. მაგრამ აქ იყო შედარებით უფრო გვიანი ხანის სამარხებიც — ნამდვილი მკვდართა ქალაქი. შალის ტანსაცმელში კარგად შენახული 429 მუმია აღმოაჩინეს მეცნიერებმა სამხრეთ სანაპიროზე. ისინი იწვნენ ალიზით ამოშენებულ აკლდამებში, და მშრალი ჰავისა და გამომშრალი ქვიშიანი ნიადაგის წყალობით, შესანიშნავად იყვნენ შენახული (ისევე როგორც აკლდამაში ჩატანებული უამრავი ქსოვილი).

მიცვალებულებს კანი ჰქონდათ მუქი, ზოგჯერ სრულიად შავი, სახე შეღებილი წითელი საღებავით. ეს რომ ენახათ, მეცნიერები იძულებული იყვნენ დაეხვიათ ქსოვილის ოცმეტრიანი განიერი ბანდები, რომლებიც რაღაც წამლებით იყო გაჟღენთილი. ეს იყო არა ბანდაჟები, როგორსაც ძველ ეგვიპტელებს ახვევდნენ, არამედ თავისებური კუბო: ბანდები ქმნიდნენ დასამარხ ურნას, რომელიც ჰგავდა დიდ, ზემოთ შევიწროებულ გოგრებს. ფსკერზე ესვენა მიცვალებული: ის იჯდა ფეხმორთხმული, შიშველი. მის ტანსაცმელსაც — პერანგს, ტუნიკას, მოსაცმელებს, სანდლებს აწყობდნენ „კუბოში“ ზემოდან. მიცვალებულს შორ გზაზე ატანდნენ მანიოკის ძირებსა და პურის თავთავს — ისინი მიცვალებულთან ახლოს ეწყო, ისე რომ მისწვდომოდა.

...დიახ, ზრუნვას არ აკლებდნენ მიცვალებულს მეგობრები ნახე-

ვარკუნძულ პარაკასზე. აი მხოლოდ ერთ საფლავში აღმოჩენილი საგ-ნების არასრული სია, იმ თანამიმდევრობით, როგორითაც წარმოდგენი-ლი აქვს დოქტორ ტელოს:

ოცდაორი სამარხი მოსახვევი;
ერთი ქვის კვერთხი;
ოცდაჩვიდმეტი აგავის ბოჭკოს შურდული;
ბუმბულის ორი მარაო;
ოცდასამი პატარა ოქროს ჯამი;
პუდრიანი პაკეტები;
ნიჟარების სამაჯურები;
მოთრიმლული ტყავის ნაჭრები;
და ბოლოს... ადამიანის თმებისაგან დამზადებული პარიკი.

რა თქმა უნდა, იყო ბევრი ჭურჭელიც—ფაქიზი ნამუშევარი, მცი-რე ზომის, რომლებიც თავისი ფორმით ტროპიკულ ხილს ჰგავდა.

პარაკასის მცხოვრებთა შორის იყვნენ ქირურგები, რომლებიც შე-სანიშნავად ხმარობდნენ ობსიდიანის დანებს: თავის ქალის ტრეპანა-ცია, ზოგიერთი ჩონჩხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათთვის სავსე-ბით ნაცნობი ოპერაცია იყო. იყვნენ გამოჩენილი მქსოველები, იყვნენ მხატვრები; თავისი საქმის ოსტატები.

პარაკასელებს, ეტყობა, ღია ფერის ტანსაცმელი უყვარდათ. ერთ-ერთ დოლბანდზე ათამდე სხვადასხვა ფერის საღებავი დათვალეს.

ნასკები უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ. ისინი არაფრით არ ჩა-მოუვარდებოდნენ მეზობლებს, განსაკუთრებით ჭურჭლის მოხატვაში.

კარაკასის კულტურამ იარსება ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათას-წლეულის შუა ხანებიდან ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე. I ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნება ნასკას კულტურაც.

ინკების შემოსევებმა აქაც შეაფერხა შემდგომი დამოუკიდებელი განვითარება.

## 6.

აი კიდევ ერთი ფენა მიწის საწყობში, ინკების წინადროინდელი კიდევ ერთი ეპოქა, დროის მიხედვით ჩვენთან უფრო ახლო მყოფი — მოჩიკა. მეცნიერები ამბობენ: აქ, ჩრდილოეთ სანაპიროზე, როგორც ჩანს, რაღაც სახელმწიფო იყო. იმ დროს გაჰყავდათ დიდი არხები — ასეთი არხი მდინარე ჩიკამადან ასზე მეტ კილომეტრზეა გადაჭიმული.

ოქროს ნიღაბი. აღმოჩენილი მთვარის პირამიდაში (მეგო).

მაგრამ იყო პატარა არხებიც მინდვრების მოსარწყავად. ჩვენთვის ცნობილი ადრეული პერიოდის მცენარეულობის გარდა მოჩიკას ეპოქაში გაჩნდა კარტოფილი და ბატატი.

მოჩიკას კულტურის ადამიანები თავიანთ ველებს ანოყიერებდნენ გუანოთი, რომელსაც იღებდნენ სანაპიროსთან ახლო მდებარე კუნძულებზე. მაგრამ ისინი მისდევდნენ აგრეთვე მეთევზეობას. ჭურჭლის მოხატულობითა და გათხრებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ცხოვრობდნენ უბრალო, მაგრამ მყარად ნაგებ, დაქანებულსახურავიან ალიზის სახლებში; ამავე ალიზით შენდებოდა ტაძრებიც, საძირკველს კი აშენებდნენ თლილი ქვის ფილებისაგან.

ტაძრები იდგა საფეხუროვანი პირამიდების თავზე. პირამიდებისა, რომლებიც 1954 წელს აღმოაჩინა ყოფილ ქალაქ პოკატნამუს ადგილას გერმანელმა მეცნიერმა უბელოდე-დერინგმა. და აი რა არის საინტერესო: ანდებში, ისევე როგორც მექსიკაში, ზოგჯერ ტაძრების გაფართოების დროს ერთი ტაძარი შთანთქავდა მეორეს. ყოველ შემთხვევაში ასეთი ბედი ეწია გერმანელი მკვლევარის მიერ აღმოჩენილ პირამიდა „ჯადოქარს". თითქოს ამ ოცმეტრიანი ნაგებობის შიგნით აღმო-

აჩინეს თეთრი, წითელი და მოცისფრო-ნაცრისფერი რელიეფები — მცირე პირამიდის გარეთა კედლის ოდესღაც არსებული დეტალი.

სამოცზე მეტი პირამიდა აღმოაჩინა უბელოდე-დერინგმა. მაგრამ მანამდე იმ დროის პირამიდები, რომლებსაც ეწოდა მზისა და მთვარის პირამიდები, აღმოჩენილ იქნა ახლანდელ ქალაქ ტრუხილიოს მახლობლად მდებარე მეგოს რაიონში. მზის პირამიდა ეყრდნობოდა ხუთსაფეხურიან საძირკველს და ზეცისკენ იჭრებოდა შვიდი საფეხურით. 23 მეტრით იყო აზიდული ტერასის ზევით, მასთან ერთად კი აღწევდა 41 მეტრს. მის მშენებლობაზე დაიხარჯა დაახლოებით 130 მილიონი ცალი ალიზი!

მოჩიკას ეპოქის ადამიანებმა იცოდნენ ლითონები: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, მათი შენადნობები. მაგრამ ბრინჯაო, ესე იგი სპილენძის მეცხრედი ნაწილის შენადნობი კალას ერთ ნაწილთან, ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ ჰქონდათ. მოჩიკას მეტალურგები დაუფლებულნი იყვნენ ჭედვის, ჩამოსხმისა და შედუღების ტექნიკას. ჩვენამდე მოაღწია მრავალმა შესანიშნავმა გამჭვირვალე მაქმანისებურმა ჩამოსხმულმა ჯაჭვებმა, რომლებსაც იკეთებდნენ ყელზე, იხვევდნენ ნიღბებზე, სახეზე ადებდნენ მიცვალებულებს. ყველაფერი ეს ოსტატურად იყო გაკეთებული ოქროსაგან. ოქროსავე იყო კოკის ფოთლების შესანახი ბრტყელძირა ჭურჭელიც.

ჩვენი შეხედულებით, აი როგორ უცნაურ ფორმებს აძლევდნენ აქ თუნის ნაკეთობებს: ადამიანების, ცხოველების ფიგურები, სხვადასხვაგვარი მიწის ნაყოფი, ჭურჭელი, შენობები, ნავები. და ყველაფერი ეს იყო თიხისა. ამას ემატებოდა, რა თქმა უნდა, ადამიანთა თაობების მიერ დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება, მოთმინება, თავისი საქმის სიყვარული.

...ჩვენ ვხედავთ მონებს, რომლებსაც მოჰყავთ თავისი ბატონები, ვხედავთ ტყვეების ან, შესაძლოა, დამნაშავეთა დასჯას, ომებისა და ყოველდღიური ცხოვრების სცენებს — აქეთ ლამებს ტვირთავენ, იქით ავადმყოფებს კურნავენ. ჩვენს წინ გაივლიან ტომების ბელადები არწივისებური ცხვირით, მაგრად მოკუმული თხელი ტუჩებით, ნებისყოფის გამომხატველი, ყვრიმალებამოწეული სახეებით. ვხედავთ სრულიად სხვადასხვაგვარ თავსარქმელებს, თავისებურ დოლბანდებსაც კი, მთელ თავს: ყურებს, კისერს, ნიკაპს რომ ფარავდა.

აი რაღაც სატანისებური სიფათები, ნახევარადამიანების-ნახევარმხეცების დამახინჯებული სახის ნაკვთები. აგერ ტახტრევანით მოჰ-

ყავთ ვიღაც მბრძანებელი, ქვეშევრდომები თავს მდაბლად უკრავენ. ქურუმს ლოცვათა ღაღადისით ხელები ზეცისკენ აღუპყრია. ნადირობის სცენები შუბებითა და ბადეებით...

ჩვენ ცოტა რამ ვიცით მოჩიკას ისტორიის შესახებ. მაგრამ ყველაფერს, რაც ვიცით, კერამიკას უნდა ვუმადლოდეთ.

თუ საიდან მოვიდნენ მოჩიკას ადამიანები, სად და როდის აღმოცენდა მათი კულტურა, ამის შესახებ მეცნიერებს შორის დიდად განსხვავებული შეხედულებანი არ არსებობს. ეს მებრძოლი ხალხი ჩვენთვის უკვე ცნობილი ჩიკამის ხეობიდან მოსული უნდა იყოს. მოჩიკას სამეფო აყვავდა ინკების სამეფოს შექმნამდე უახლოეს პერიოდში IV საუკუნიდან X საუკუნის ჩათვლით ჩვენი წელთაღრიცხვით.

სრულიად სარწმუნოა, რომ აქ არსებობდა კლასებიც, გაბატონებულთა და ქვეშევრდომთა დამოკიდებულებაც, ისევე როგორც სხვა კულტურის, ტიაუანაკოს კულტურის აყვავების დროს, მაგრამ ჩვენ აქ მივადექით ინკებამდელი პერუს ისტორიის ისეთ ფურცელს, რომელზეც საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ.

## 7.

დავიწყოთ მცირე ცნობებით. ტიაუანაკო (დღევანდელი ბოლივიის ამავე სახელწოდების სოფლის მახლობლად) მდებარეობს მაღალ მთებში. დაახლოებით ათ კილომეტრზე ამ მკაცრი კუთხის ჩრდილოეთით სამხრეთ ამერიკის უდიდესი ტბის, 270 მეტრი სიღრმის ტიტიკაკას წყლების მოსარკული ზედაპირი ჩანს: მისი სიგრძე 180 კილომეტრია, სიგანე — 60. ამ ტბის შუაში გადის დღეს საზღვარი პერუსა და ბოლივიას შორის.

ძველი ქალაქის ნანგრევები და დღევანდელი სოფელი მჭიდროდ ეკვრის მდინარე ტიაუანაკოს ხეობას, რომელიც კარგა 50 კილომეტრზეა გადაჭიმული. მთები სამხრეთიდან ხეობის ზემოთ დაახლოებით ერთ კილომეტრზეა აღმართული; ჩრდილოეთიდან — 200 მეტრზე. მთების ფერდობებზე შეიძლება პირუტყვის ძოვება. მიწათმოქმედებისათვის, — ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებენ, — ტიაუანაკოში გამოსადეგია მხოლოდ თორმეტკილომეტრიანი ზოლი. ჯერ კიდევ უძველეს დროს აქ მოჰყავდათ კარტოფილი და ფეტვი, ხოლო ხეობაში ხარობდა სიმინდიც.

დღეს აქ ცხოვრობენ აიმარას ტომის ინდიელები. იმათი წინაპრები,



„მზის ჯიშკარი“ ტიაუანაკოში.

როგორც ჩანს, აქ იმ დროს დასახლდნენ, როდესაც ტიაუანაკოს აწ-ლანდელი ნანგრევები ჯერ კიდევ ნანგრევებს არ წარმოადგენდნენ.

მაინც რომელ ნანგრევებზეა ლაპარაკი? ეს არის საკმაოდ დიდ ფარ-თობზე გაბნეული რამდენიმე ქვის შენობა — ზოგჯერ დიდი ზომის თლილი ბლოკებისაგან აგებული ნაგებობა.

ტიაუანაკოში ყველაზე შესამჩნევი ნაგებობაა აკაპანა, 15 მეტრის სიმაღლის პირამიდა. მისგან შემორჩენილია ბორცვი საძირკვლის ორასმეტრიანი მოკირწყლული მოედნით, სადაც კიბის საფეხურებით ადიოდნენ. მწვერვალზე, როგორც ჩანს, წყალსაცავი და რამდენიმე ნა-გებობა იყო. ბორცვს, ეტყობა, შემოვლებული ჰქონდა მძლავრი დამ-ცველი კედლები და დაყოფილი იყო სამ ტერასად.

ჩრდილოეთით მდებარეობს კალასასაია — შენობა, ოდესღაც ერთ-მანეთზე მდებარე ორ მართკუთხა ტერასას რომ ეყრდნობოდა. მისი კედლები მასიური სწორკუთხა მონოლითური ბოძებია, რომელთა შო-

რის შუალედები ოდესღაც ქვის წყობით იყო ამოვსებული. შიგნით, ალბათ, საკურთხეველი იყო. გვერდით მდებარობდა „მზის ჭიშკარი“ — ორი შვეული და ერთი თარაზული ქვის ბოძი. ხოლო დაახლოებით კილომეტრზე იყო კიდევ ერთი შენობის ნაშთი: „პუმის ჭიშკარი“ — ანდეზიტის ასტონიანი ბლოკებისგან გაკეთებული სამი დიდი ბაქანი. ბლოკები ერთმანეთთან შეერთებული იყო სპილენძის სამაგრებით. ბაქნებზე ოდესღაც აღმართული იყო შენობა.

## 8.

დაახლოებით სამოცი წლის წინათ არტურ პოზნანსკის სახელმა მთელს მსოფლიოში იქუხა.

1914 წელს მან დაამთავრა თავისი ცნობილი წიგნი „ტიაუანაკო, ანუ ამერიკელი ადამიანის აკვანი“. ინჟინრისა და ანთროპოლოგის, მრავალ სამეცნიერო საზოგადოებათა წევრის პროფესორ პოზნანსკის ამ ნაშრომს ისეთი რომანტიკული გამოხმაურება ჰქონდა, რომ ყველგან ავტორის კონცეფციაზე ალაპარაკდნენ.

პოზნანსკის უნდოდა ტიაუანაკოში აღმოეჩინა ადამიანის განვითარების კვალი თითქმის მისი დაბადებიდან და სრულიად სერიოზულად ამტკიცებდა, რომ დედამიწაზე ყველაზე პირველად ადამიანი სწორედ აქ გაჩნდა.

როგორც პოზნანსკი ამტკიცებდა, ჩვენთვის ყველაზე ახლო პერიოდში ტიაუანაკო გახდა ძლიერი პოლიტიკური და რელიგიური მეტროპოლია, თავისებური სამხრეთამერიკული ათენი ანუ რომი, რომლის გავლენა ვრცელდებოდა თითქმის მთელ კონტინენტზე. მაგრამ ეს იყო შანამდე, სანამ. საშინელი კატასტროფა მოხდებოდა. ძლიერი მიწისძვრის გამო წყალი ტიაუანაკოს ტბის ნაპირებიდან გადმოვიდა და ქალაქი წალეკა. ამას ზედ დაერთო ამოხეთქილი ვულკანების ლავა. შემდეგ დაიწყო ძმათაშორის ომები.

პოზნანსკის მიაჩნდა, რომ კალასასაია არის ნაგებობა ასტრონომიული დაკვირვებებისა და გამოანგარიშებებისათვის, „უზარმაზარი ქვის კალენდარი“, ხოლო „მზის ჭიშკარი“ მისთვის მძლავრი კედლის შუა ნაწილია, სადაც დატანილი იყო კალენდრის ნიშნები“.

ორმოცდაათი წლის წინათ პოზნანსკის ზოგიერთი იდეა, მიუხედავად მათი ფანტასტიკურობისა, ასე თუ ისე სარწმუნოდ ეღერდა. მაგრამ მაშინ მეცნიერებმა ხელი არ მოკიდეს ამ საკითხის შესწავლას.

ახლა ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული. მაგალითად, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ტიაუანაკო იყო აიმარის ტომის ქალაქი, რომ მისი აყვავების ხანა, როგორც ჩანს, მიეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის VIII—X საუკუნეებს, რომ ბევრი მისი შენობა დაუმთავრებელი დარჩა: შესაძლოა, მართლაც მოხდა წყალდიდობა. ეჭვს არ იწვევს, რომ ტიაუანაკოს მშენებლებმა იზრუნეს აკაპანის თავდაცვით მნიშვნელობაზეც, თუმცა მშვიდობიანობის დროს, რამდენადაც შეიძლება მსჯელობა, ეს თექვსმეტკუთხა ბორცვი, თავისი სამივე ტერასით, წყალსაცავითა და უამრავი შენობით, რელიგიურ მიზანს ემსახურებოდა. როგორც ჩანს (ამ აზრს იზიარებს დღეს მეცნიერთა უმრავლესობაც), კალასასაიასაც რელიგიური დანიშნულება ჰქონდა.

და მაინც შეხედულებათა სრული თანხმობა აქ კვლავ არ არის და ყველაფრის ახსნა ტიაუანაკოში სულაც არ შეიძლება.

დიდმა სპეციალისტმა, გერმანელმა პროფესორმა დისელჰოფმა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ტიაუანაკოში იყო, ტყუილად კი არ უწოდა ინკებამდელი ცივილიზაციისადმი მიძღვნილი წიგნის ერთ-ერთ თავს „ტიაუანაკოს გამოცანა“.

## 9.

და მართლაც, იყო თუ არა ნანგრევების ეს ცნობილი ქალაქი მხოლოდ და მხოლოდ სალოცავი ადგილი, სადაც ჯერ კიდევ ხუთასი წლის წინათ მიემართებოდნენ მორწმუნენი, როგორც თავისებურ მექასა თუ იერუსალიმში? რამ დაანგრია ის? თუ ეს ადამიანებმა გააკეთეს, მაშინ რატომ დაანგრიეს და როდის? რომელ ღმერთებს სცემდნენ აქ თაყვანს? იქნებ, ტიაუანაკო სამოქალაქო მბრძანებლის რეზიდენციაა? ან იქნებ ერთიცაა და მეორეც, მთავრები ხომ ამავე დროს ქურუმებიც იყვნენ?

ვიმეორებ: გარკვეული არ არის.

მაგალითად, დისელჰოფი წერს: „ექვსი წლის წინათ მე ვამტკიცებდი, რომ ტიაუანაკოში ადამიანები არ ცხოვრობდნენ. მაგრამ დღეს ვამტკიცებ, რომ ეს გამორიცხული არ არის. შეხედეთ გზის ორივე მხარეს უამრავ კარმიდამოს. მათი მფლობელები ცხოვრობდნენ იმით, რომ პურეული მოჰყავდათ, რომელიც დიდი ხანია ცნობილი იყო“.

თავს ნებას მივცემთ და კიდევ რამდენიმე საინტერესო ციტატას მოვიტანთ ამ წიგნიდან.

ა ი მ ო წ მ ო ბ ა ნ ო მ ე რ ი პ ი რ ვ ე ლ ი: „ექვსი წლის წინ მე ვწერდი (უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ დიხელჰოფი მსჯელობდა სხვათა აღწერილობების მიხედვით, ახლა მან იხილა ყველაფერი თავისი თვალით — ა. ვ.): „ვრცელ ვაკეზე, დაახლოებით 450 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე მიმობნეულია ნანგრევები და ქვის ბლოკები. იქ აღმართულია აკაპანა, ქვებით შემოფენილი დაახლოებით თხუთმეტი მეტრი სიმაღლის ბუნებრივი ბორცვი. მას აქვს მისასვლელი კიბის საფეხურები. უფრო მნიშვნელოვნად გამოიყურება კალასასაია, დიდი ოთხკუთხედი, რომელზეც აღმართულია ქვის უამრავი სვეტი". ვასწორებ ჩემს შეცდომას. ჩემი ახლანდელი მტკიცებით აკაპანა სულაც არ არის ბუნებრივი ბორცვი, არამედ ადამიანების ხელით აღმართული დაახლოებით ხუთი ტაძრის პირამიდებიდან ყველაზე დიდია. ფართობი, რომელიც დაფარულია ნანგრევებით, გაცილებით მეტია 450 000 კვადრატულ მეტრზე. რაც შეეხება კალასასაიას, სამეცნიერო ლიტერატურაში — მე თვითონ ვწერდი ამის მსგავსს „ძველი ამერიკული კულტურების ისტორიაში" — მას ხშირად უწოდებენ თავისებურ სტიუნჰენჯემს (ქვის ხანის ნანგრევები ინგლისში). მაგრამ ქვის ის სვეტები, რომლებიც დღეს წარმოუდგებათ თვალწინ მნახველებს, — აშკარად შიგა კედლების შუალედური საყრდენებია".

მ ო წ მ ო ბ ა ნ ო მ ე რ ი ო რ ი: „ვიტყვი ერთს: როდესაც ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილე, დამებადა მტკიცე რწმენა, რომ ნანგრევების მთელი კომპლექსი ტაძრების ქალაქის ნაშთებია, რომელიც ჰგავს უკეთესად შენახულ, მაგრამ თავისი დანიშნულებით არსებითად მისსავე მსგავს ქალაქ ტეო-ტიუაკანს ცენტრალური ამერიკის ზეგანზე".

მ ო წ მ ო ბ ა ნ ო მ ე რ ი ს ა მ ი: „ბოლო წლებში განხორციელდა ტიაუანაკოს რეკონსტრუქციის მრავალი გეგმა, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა დეტალებს. მაგრამ ძირითადი ამოსავალი იდეა, რომ აქ იყო ტაძრების ქალაქი, — სწორია. სავსებით შესაძლებელია, რომ კიდევ აღმოჩნდება სხვა, უფრო მცირე ზომის პირამიდების ნაშთები. საჭიროა აეროფოტოგადაღება".

მ ო წ მ ო ბ ა ნ ო მ ე რ ი ო თ ხ ი დ ა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი: „დღეს ნათელია, რომ ცდებიან პატრიოტულად განწყობილი რომანტიკოსები, როდესაც ეყრდნობიან ყურით მოთრეულ „მტკიცებებს" ასტრონომიიდან ან გეოლოგიიდან და ტიაუანაკოს ანიჭებენ ლეგენდარულ ასაკს— ორმოცდაათი ათას წელს, მაგრამ ის, რომ დედამიწის უფრო ღრმა ფენებში აღმოჩნდება შეუდარებლად უფრო დიდი ხნის არქაული კულტუ-

რის ნაშთები, ვიდრე კლასიკური ტიაუანაკოს ნაშთებია,—ეს სრულიად შესაძლებელი და სარწმუნოა“.

კლასიკური ტიაუანაკოსი, ე. ი. VI—X საუკუნეები ჩვენი წელთაღრიცხვით. ტიაუანაკოს კულტურა სწორედ ამ საუკუნეებში გავრცელდა პერუსა და ბოლივიის ტერიტორიაზე.

შემდეგ დაიწყო დამპყრობელთა —ინკების სახელმწიფოს აყვავების ხანა.

## 10.

ვინ იცის, ესპანელები რომ არ შემოჭრილიყვნენ პერუში და თეთრ დამპყრობლებს საერთოდ თავი დაენებებინათ ახალი სამყაროსათვის, აქ, ანდებში, იქნებ ინკებს შეექმნათ მტკიცე, ერთიანი ერი კეჩუას ერთიანი ენით.

ისევე როგორც სხვა ადგილებში, პროცესი აქაც ძალდატანებით შეწყდა. კონკვისტადორების მიერ მიყენებული დარტყმებისაგან ძველი პერუს ხალხები წელში ვეღარ გაიმართნენ. და თუმცა ინკების სახელმწიფო — ეს ხშირად ავიწყდებათ — სულაც არ დანგრეულა, როგორც მუყაოს ხუხულა და ატახუალპის დაღუპვის შემდეგაც ოცდაათ წელზე მეტ ხანს უწევდა გააფთრებულ წინააღმდეგობას (მათ შორის ვილკაპამპას ცნობილ „მთის ქალაქში“, რომელიც მაჩუ-პიკჩუს სახელით უფრო იყო ცნობილი), მაინც პისაროსა და მისი თავზეხელაღებული ჭებრძოლების შემოჭრა ძველი პერუს დაღუპვის დასაწყისი იყო.

## 11.

შემდეგ ისინი თითქმის ყველანი დაიღუპნენ შინაური განხეთქილების დროს: ოქრო, გაბატონების სურვილი მოსვენებას არ აძლევდა მათ ბნელით მოცულ სულს. თავდაპირველად განხეთქილება ჩამოვარდა ალმაგროსა და ძმებს — ფრანსისკო, გონსალო და ხერნანდო პისაროებს შორის. ეს ბრძოლა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ამბები მძაფრად განვითარდა, სანამ ალმაგრო არ დამარცხდა. ის ტყვედ ჩაუვარდა ხერნანდო პისაროს და ცოტა ხნის შემდეგ მიახრჩვეს გაროტით. ამის გამო ხერნანდომ ოცი წლის ციხე აიკიდა და იქიდან ასი წლის მოხუცივით შეცვლილი გამოვიდა.

კვირას, 1541 წლის 25 ივლისს, ქალაქ ლიმაში, ალმაგროს ვაჟის

სახლში, თავი მოიყარეს შეთქმულებმა. მათ გადაწყვიტეს მოეკლათ ფრანსისკო პისარო, როდესაც ის წირვიდან დაბრუნდებოდა.

პისარომ შეიტყო შეთქმულების შესახებ და არ წავიდა ეკლესიაში. მაგრამ შეთქმულებმა მაინც მოკლეს ის: ისინი შეიჭრნენ მის სასახლეში.

გონსალო პისარო აჯანყდა და თავი გამოაცხადა ძმის კანონიერ მემკვიდრედ. მაგრამ დამარცხდა და, როგორც სახელმწიფო მოღალატეს, თავი წააცალეს ეშაფოტზე.

ბუნებრივი სიკვდილით არც პისაროს თანამებრძოლი ვალვერდე მომკვდარა. ის გაექცა ალმაგროს მომხრეებს კუნძულ ნინაზე. ვალვერდე იქ ადგილობრივმა ინდიელებმა მოკლეს.

დღეს პისაროს ნეშტი განისვენებს ლიმის ტაძარში. ხოლო რამდენიმე დღის წინათ პერუს ძველ დედაქალაქ კუსკოში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გონსალო პისაროს, აგრეთვე მამა-შვილი ალმაგროების ნეშტი.

ამ ავანტიურისტებისაგან თითქმის აღარაფერი დარჩენილა. მზის ტაძარი კი, ინკების მზის ტაძარი, დღესაც დგას.

ინკების გმირული სულის სამარადისო ძეგლად დარჩა დრო და ჟამის მიერ დანგრეული და მცხოვრებლებისაგან მიტოვებული მაჩუ-პიკჩუ.

...დიახ, ჩვენთვის დღეს უკვე ცნობილია, რომ ნასკასა და მოჩიკას კერამიკის, ჩიმუს ხალიჩების ქსოვის ოსტატობის, აიმარების მეტალურგიის, ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს მცხოვრებთა გემთმშენებლობის გარეშე არაფრის გაგება არ შეიძლება ინკების მატერიალურ კულტურაზე. მაგრამ საჭიროა მეტის ცოდნა! ინკებამდელი ცივილიზაციების უფრო ფართო მასშტაბებში წარმოდგენა! მოვძებნოთ სამხრეთამერიკის მკვიდრთა ისტორიის მრავალრიცხოვანი ფურცლები!

ამასთან დაკავშირებით უდავოდ ინტერესს იწვევს უკანასკნელ წლებში განხორციელებული ორი აღმოჩენა.

სადაა ისინი?

რა ვუყოთ მერე, სწორედ დავაში იბადება ჭეშმარიტება!

## 12.

მარკაგუასის ზეგანი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ბევრმა არ იცოდა. და საიდან უნდა სცოდნოდა ლიმიღან ოთხმოცდაათი კილო-

მეტრის მოშორებით მთებში გადაკარგული პატარა ბორცვებიანი ზეგნის შესახებ? ცოტაა განა ასეთები ანდებში?

ამის მსგავსი — შესაძლოა იყოს. მაგრამ ასე საინტერესო — საეჭვოა.

...იმის შესახებ, რომ პერუში ერთ-ერთ ზეგანზე კონკვისტადორებმა ნახეს ადამიანებისა და ცხოველების ქვის გიგანტური გამოსახულებები, ესპანელი ქრონიკოსები ჯერ კიდევ სამასი წლის წინათ გადმოგვცემდნენ. მათ უჯერებდნენ და არც უჯერებდნენ: ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი ამაში, რა თქმა უნდა არაფერი იყო. მაგრამ მათ შემდეგ ეს გამოსახულებები არავის უნახავს.

პერუელი მეცნიერი დანიელ რუსო ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ დაინტერესდა ამ გადმოცემით. ცუდი ის იყო, რომ ქრონიკოსებმა მიახლოებითაც არ დაასახელეს ადგილი, სადაც თითქოს თავის დროზე ესპანელების რაზმმა ნახა ეს უცნაური გამოსახულებანი.

მართალია, რუსომ ძიების დროს აღმოაჩინა კლდისგან გამოკვეთილი უზარმაზარი ძაღლი — როგორც გამოირკვა, დიდი ხნის აღგვილი პირისაგან მიწისა გუანაკოს ტომის ნამუშევარი.მაგრამ ეს იყო და ეს...

ის განაგრძობდა ძიებას.

და მოხდა ისე, რომ რომელიღაც ნაცნობმა, იცოდა რა მისი გატაცებების შესახებ, დაასახელა მარკაგუასის ზეგანი. „ამბობენ...“ — თქვა მან.

1952 წლის სექტემბრის დასაწყისში რუსო გაუდგა გზას. რიკარდო პალმას ხეობიდან გზა ციცაბოდ ადის მთებში. სულ ზევით, ზევით მიიწევს და თანდათან ვიწროვდება. ბოლოს მთის ბილიკად იქცევა. ჯორები ძლივს მიბობღავენ ზევით. აი პატარა სოფელიც — სან პედრო დე კასტრო.

ბილიკს მივყავართ დაახლოებით ოთხი კილომეტრის სიმაღლეზე მდებარე ვრცელ ზეგანთან.

## 13.

რუსო თავის წიგნში მოგვითხრობს: ცოტა დრო დასჭირდა ექსპედიციას 'იმის გასაგებად, რომ აქ, პლატოზე ცხოვრობდნენ ადამიანები.

კლდის ძირი ჩამოთლილი იყო კედლების დახრილობის გასაზრდელად. ზემოთ წამატებული ჰქონდა ქვის დიდი ბლოკები. შემორჩენილია ქვების ჩამოსაყრელი ამბრაზურები. ეს „ფორტი“ მარტო როდი

იყო. შემორჩენილია სხვა, უფრო მცირე ზომის ამ დანიშნულების ნაგებობანიც.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ იმ სიურპრიზების დასაწყისი, რომლებიც აქ ელოდა რუსოს.

თვითონ განსაჯეთ: ჯერ ერთი, არანაკლებ თორმეტი ხელოვნური წყალსაცავი. მეორე — ორი ჯერ კიდევ მოქმედი საგუბარი. მესამეც— განშტოებული სარწყავი სისტემა.

ინკების ნახელავია? შეიძლება.

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ასე ვთქვათ, „აღმოჩენის წინაშორბედი" იყო.

თუ დანიელ რუსო არ შემცდარა (ხოლო ვინც მთაში ყოფილა, იცის, ზოგჯერ რა უცნაურია კლდეები და ქვები და თვით ბუნების მიერ შექმნილ რანაირ „ცოცხალ" ფიგურებს არ ნახავთ იქ!) მაშინ მარკაგუასის პლატო პერუსათვის უჩვეულო ფიგურების თავშესაფარია.

ჩვენ ვამბობთ უჩვეულოსიო, რადგანაც ინკების დროს, და უფრო სწორად, მათზე ბევრად ადრე, სამხრეთ ამერიკაში არ არსებობდა არც ძროხა, არც ცხენი. მითუმეტეს, სპილოები, ლომები და აქლემები.

მარკაგუასში კი (თუ, ვიმეორებ, არ შემცდარან არც დანიელ რუსო, არც შემდგომში აქ მყოფი მეცნიერები) ისინი არიან! უფრო ზუსტად, არსებობს მათი გამოსახულება. და, რაც ყველაზე გასაოცარია, ეს ქანდაკებები ისეა გაკეთებული, რომ ისინი მოჩანან მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

ზოგჯერ ქვა ცოცხლდება მაშინ, როდესაც მას ეხება გარკვეული კუთხით ჩამავალი მზის სხივი. ზოგჯერ ბინდში ჩანს, ზოგჯერ მთვარის შუქზე.

ასე გაჩნდა, ან უფრო ზუსტად, „გამომეღავნდა" მარკაგუასში, რუსოს მტკიცებით, კონდორიც, კუცა და მაიმუნიც.

მაგრამ მარტო ცხოველები კი არა. კლდეებში გამოკვეთილი იყო ადამიანების თავების გამოსახულებანი. თუ დავუჯერებთ დანიელ რუსოს (ის კი თავის სიტყვებს ფოტოსურათებით ამტკიცებს), აქ იყო ზანგების თავების გამოსახულებებიც.

ნაპოვნი გამოსახულებების დათარიღება ძნელია. რუსოს სურს ორ გიგანტურ ქანდაკში დაინახოს ეგვიპტის ქალღმერთის, ტუერისის გამოსახულება. სურს აგრეთვე დაინახოს მსგავსება ეგვიპტურ ქანდაკებებსა და ზოგიერთ სხვა გამოსახულებას შორის იდეით, კომპოზიციით. მაგრამ ამის დამტკიცება ადვილი არ არის.

სხვა მხრივ, ამერიკის დაპყრობის ხანის ზოგიერთ ესპანურ ქრონიკაში ნათქვამია, რომ დამპყრობლები აქ შეხვდნენ ზანგების ტომებს. შეცდომა ხომ არ არის? შესაძლოა, ასეც იყოს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ, ალბათ, მარკაგუასის ზეგნის გამოსახულებებით შეიძლებოდა ახსნილიყო, თუ მოხერხდებოდა კავშირის არსებობის დამტკიცება ამერიკასა და აფრიკას შორის ევროპელთა დაპყრობამდე.

მარკაგუასის ზეგანი სწორედ ამის დამტკიცებას წარმოადგენს — ასე მიაჩნია დანიელ რუსოს.

ზოგიერთი მეცნიერი არ ეთანხმება მას. სხვები კი იხსენებენ ერთ-ერთი ეგვიპტელი ფარაონის ლეგენდარულ ცურვას, რომლიც არ არის ცნობილი, თუ როგორ დამთავრდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფარაონი გაემართა ამერიკისაკენ...

ახლა ცნობილი ხდება ზოგიერთი ახალი ფაქტი, რომელიც მოითხოვს ძველი პრობლემებისადმი ახლებურ მიდგომას. და ამ საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტურ ჰეიერდალის მოღვაწეობამ.

მე მხედველობაში მაქვს მისი ექსპედიცია აღდგომის კუნძულზე. რადგანაც იმასაც სავსებით გარკვეული დამოკიდებულება აქვს ანდების ოლქის ინკებამდელ კულტურასთან. თავს ნებას მივცემ მოკლედ გიამბოთ ამ ექსპედიციაზე.

## 4.

როგორც ცნობილია, 1721 წელს ჰოლანდიელი ზღვაოსანი ადმირალი როგეევენი გაემართა ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობაში. მას უნდოდა აღმოეჩინა სამხრეთი მატერიკი, — ეგონა, რომ ეს მიწა მდებარეობს სამხრეთ ამერიკის დასავლეთით.

როგეევენმა მატერიკი ვერ აღმოაჩინა. არც არის გასაკვირი: ის საერთოდ არც არსებობდა. მაგრამ, გასცდა თუ არა სამხრეთ ამერიკის მატერიკს, 1722 წლის ექვს აპრილს, აღდგომის წინა დღეს, შორს ოკეანეში მან აღმოაჩინა სამკუთხედის ფორმის პატარა კლდოვანი კუნძული.

მას უწოდეს აღდგომის კუნძული.

ამაზე უცნაური კუნძული არ არსებობდა ამ ქვეყნად. აქ. სანაპიროზე ქვის ბაქნებზე იდგა უზარმაზარი, ათი-თხუთმეტი მეტრი სიმაღლის ადამიანის უფეხო ფიგურები, ქედმაღლური, ბოროტი, ძალზე წაშოწეული სახეებით. მათ თავს ადგათ დიდი ცილინდრული ქვები. თუმ-

ცა შემდეგ, XIX საუკუნეში, თითქმის ყველა ქანდაკება დამხობილი აღმოჩნდა. აქ აღმოაჩინეს „მოლაპარაკე დაფები“ — ფიცრები, მასზე ამოკვეთილი დამწერლობით, ხოლო ვის ეკუთვნოდა ეს დამწერლობა — დღემდე ვერ გაურკვევიათ.

გაურკვეველია არა მარტო აღდგომის კუნძულზე აღმართული ქანდაკებები, არა მარტო იქ აღმოჩენილი დამწერლობა, არამედ მისი მოსახლეობის წარმოშობაც.

პოლინეზიელები, როგორც დღეს გაბატონებული მეცნიერული თეორია ამტკიცებს, აღდგომის კუნძულზე გამოჩნდნენ XII თუ XIV საუკუნეში. ისინი აქ მოვიდნენ მანგარევიდან თუ მარკიზის კუნძულებიდან (სხვათა შორის, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, პოლინეზიის კუნძულების დასახლება მოხდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ეგონათ ჯერ კიდევ რაღაც 11—12 წლის წინათ: მარკიზის კუნძულებზე პირველი მოსახლეები გაჩნდნენ დაახლოებით 1025 წელს).

თითქმის ყველაზე გვიან დასახლდა პოლინეზიელებით აღდგომის კუნძული.

იქნებ ეს მართლაც ასეა. მაგრამ რატომ სწორედ აქ, აღდგომის კუნძულზე აღმართეს მათ ეს არნახული ქანდაკებები? რა მიზნით? რატომ დაამხეს ისინი? საიდან გაჩნდა „მოლაპარაკე წერილი?“ როგორ უნდა იქნას ის ამოკითხული?

და პირველ ყოვლისა: მართალია თუ არა, რომ აღდგომის კუნძულზე XII თუ XIV საუკუნეში მოსულ ადამიანებზე ადრე არავინ არ ცხოვრობდა?

თუ ცხოვრობდნენ, საიდან მოვიდნენ ან მოდიოდნენ?

## 15.

1955 წლის ივნისში ტურ ჰეიერდალის თეთრი საექსპედიციო ხომალდი, საიდუმლოებით მოცული კუნძულის ნაპირებს რომ უახლოვდებოდა, აუჩქარებლად ეძებდა მყუდრო ყურეს. ამ დროს კი სახელგანთქმული მოგზაური შეშფოთებული ფიქრობდა: რა უნდა ექნა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ კუნძული ყოველთვის იყო ისეთი, როგორიც ახლაა: მოკლებული მცენარეებს, რომელთა მკვდარი ნაშთები წლითიწლობით ქმნიან ნიადაგურ ფენას.

მაგრამ ყველაფერი მეტ-ნაკლებად კეთილად დამთავრდა. ნიადაგური ფენა სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ჰეიერდალმა აღ-

მოაჩინა ისეთი რამ, რაც ადრე არავისთვის არ იყო ცნობილი. და მათ შორის — ახალი ცნობები კუნძულის დასახლების საწყის პერიოდზე.

ექსპედიციის ერთ-ერთი არქეოლოგი კარლაილ სმიტი დიდი გულმოდგინებით ეძებდა კერის კვალს და ორგანულ ნივთიერებათა სხვა ნაშთებს, რომლებიც შეიცავენ თარიღის დასადგენად ეგზომ საჭირო რადიოაქტიურ ნახშირბადს — C-14-ს.

ჩატარდა ცხრამეტი ნიმუშის რადიონახშირბადის ანალიზი. თუ სწორია ჩატარებული გამოკვლევა (თითქოს ეჭვის განსაკუთრებული საბაბი არ არსებობს), გამოდის, რომ უკვე IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კუნძულზე ცხოვრობდნენ ადამიანები.

800—1000 წლით ადრე, ვიდრე აქამდე ეგონათ.

ჰეიერდალსა და მისი ექსპედიციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს პირველი მცხოვრებლები მოვიდნენ სამხრეთ ამერიკიდან. აქ აღარ გამოვუდგებით მათ მიერ მოტანილ დამამტკიცებელ საბუთებს. ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს. თუ არ სცდებიან ჰეიერდალის ექსპედიციის წევრები, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ინკებამდე პერიოდში (შეიძლება ინკების დროსაც) ადამიანების რაღაც ჯგუფები გადმოდიოდნენ სამხრეთ ამერიკიდან აღდგომის კუნძულზე. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მარტო აღდგომის კუნძულზე არ მოდიოდნენ.

ტურ ჰეიერდალი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ აღდგომის კუნძულის მცხოვრებთა კულტურის შექმნასა და ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშა ამ კუნძულის უფრო ადრეული ხანის მოსახლეობამ, რომელიც მოვიდა სამხრეთ ამერიკიდან.

კვლევა-ძიება გრძელდება. სპეციალისტები ყველაფერში როდი ეთანხმებიან ჰეიერდალს. და, თურმე, უსაფუძვლოდაც არა. მაგრამ ასეა თუ ისე, კავშირი სამხრეთ ამერიკასა და აღდგომის კუნძულს, შესაძლოა პოლინეზიის ზოგიერთ კუნძულს შორისაც, უფრო ადრეული იყო, და რაც მთავარია, უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე ვარაუდობდნენ ამ სულ ცოტა ხნის წინათ.

## 16.

მაგრამ აი როგორი კანონზომიერი საკითხი წამოიჭრა. თუ მართლაც არსებობდა რაიმე კავშირი სამხრეთ ამერიკასა და პოლინეზიას შორის, მხოლოდ ცალმხრივი ხომ არ იყო ის? სხვაგვარად ცურავდნენ თუ არა პოლინეზიელები (ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლოთ თუ

არა ცურვა) სამხრეთ ამერიკაში საერთოდ და, კერძოდ, პერუს რაიონში?

ეს გამორიცხული არ არის. პირდაპირი და კატეგორიული „უკუჩვენებები“ აქ არ არსებობს. უფრო მეტი, ეკვატორულ საწინააღმდეგო დინებას შეეძლო ხელი შეეწყო ნებსითი თუ უნებლიე ზღვაოსანთა ცალკეული ჯგუფების მოძრაობისათვის( განა ცოტაა შემთხვევები, როდესაც დინებას შორს წაუყვანია ზღვაში მეთევზეები და მეზღვაურები!), მაგალითად, პერუს ნაპირებისაკენ. პოლინეზიელები ჰავაის კუნძულებიდანაც კი შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ სამხრეთ ამერიკაში.

და აქ უადგილო არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ საკითხი პოლინეზიასა და სამხრეთ ამერიკას შორის უძველესი კონტაქტების შესახებ მხოლოდ ნაწილია ძველი ტრანსოკეანის, კერძოდ, წყნარი ოკეანით ახალ და ძველ სამყაროს შორის კონტაქტების უფრო ზოგადი პრობლემისა.

იქნებ არც ისე სცდება ჰეიერდალი, როდესაც წერს: „საკმარისია ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ ამერიკის ნაპირებისაკენ მიემართებოდნენ აფრიკიდან გადასახლებულნი, ხოლო სამხრეთ ამერიკასა და მასთან ახლო მდებარე პოლინეზიის კუნძულებს შორის არსებობდა ორმხრივი კონტაქტი“.

...1956 წელს ეკვადორის სანაპიროზე გადმოსხდა მცირე არქეოლოგიური ექსპედიცია. მალე მეცნიერებმა აღმოაჩინეს აქ ე. წ. „ნიჟარების გროვის“ კულტურის ნაკვალევი. დაახლოებით ისეთივე, როგორიცაა სანაპიროს ბევრ ადგილას სპეციალისტებისათვის დიდი ხნის ცნობილი გროვები ჩილედან კალიფორნიამდე. რადიონახშირბადის ანალიზმა გვიჩვენა: 2550 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მაგრამ ამას შემდეგ მოჰყვა სიურპრიზები. ჯერ ერთი, ფენებში, რომლებიც მიეკუთვნებოდა ამ მეტად პრიმიტიულ კულტურას, მოულოდნელად აღმოჩნდა თიხის კეცები. მეორეც, — ეს იყო ყველაზე გასაოცარი — კეცები მოწმობდნენ წარმოების მეტად მაღალ დონეს, რომელიც სულაც არ არის დამახასიათებელი „ნიჟარების გროვის“ დროისათვის.

განაგრძეს გათხრები. და 1962 წელს უფრო ადრეულ ფენებში იპოვეს კიდევ თიხის ჭურჭლის რაღაც ნაშთები. ფორმითა და დამუშავებით მეცნიერებს ის აგონებდა ჭურჭელს სრულიად სხვა ადგილებიდან: ეკვატორიდან შვიდი ათას კილომეტრზე იაპონიის კუნძულებზე ასეთ

ჭურჭელს იყენებდნენ III ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე-
მაშინ არქეოლოგებმა დაიწყეს მსგავსი კეცების ძებნა უფრო ჩრდილოეთით. ჩრდილოეთით იმიტომ, რომ თუ რომელიმე ტომმა უძველეს ხანაში ეს ჭურჭელი სახმელეთო გზით შემოიტანა, მას უნდა შეეღწია ეკვადორში ჩრდილოეთიდან.

ჯერჯერობით არაფერი არ არის აღმოჩენილი. და ეს ფრთებს ასხამს მკვლევარებს, რადგანაც ამტკიცებს მათ თვალსაზრისს: თუნდაც ერთხელ, მაგრამ დინებამ მაინც მიიყვანა აქ უძველეს დროში ადამიანები იაპონიიდან. წყნარ ოკეანეში დინების ორი სისტემის არსებობა სრულიად დასაშვებს ხდის ასეთ მოგზაურობას.

ნაკლებსარწმუნოა არა? შეიძლება ასეცაა. მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც ცნობილი გახდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: კალიფორნიასა და ბრიტანეთის კოლუმბიას შორის სანაპიროზე რამდენიმე ადგილას ნეოლითურ ფენაში აღმოჩენილ იქნა ქანდაკებები, რომლებიც ძალზე ჰგავდა იმ ქანდაკებებს, ჩინეთში რომ არსებობდა 1500—800 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

და იმავე ეკვადორში, ბაიე-დე-კარაკესის მახლობლად, არქეოლოგმა ემილიო ესტრადამ ოკეანის სანაპიროზე აღმოაჩინა აშკარად აზიური იერის ძველი დასახლების ნაშთი.

...ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით. სიმართლე რომ თქვას-კაცმა, სამხრეთ ამერიკაში აგერ ახლა დაიწყო არქეოლოგიური გათხრები და აქაური ხალხების ისტორიაში მრავლადაა თეთრი ლაქები. ჯერაც სძინავთ თავიანთ სამარხებში ჩვენთვის უცნობი ტომების ადამიანებს, მადრიდისა და სევილიის არქივების თაროებზე მტვერი ფარავს დიდი ხნის წინათ მივიწყებულ პატაკებს, პერუსა და კოლუმბიის, ეკვადორისა და ჩილეს მთისა და სანაპირო რაიონები ელიან თავის მკვლევარებს.

და არა მარტო არქეოლოგებს, არამედ ეთნოგრაფებსაც, ლინგვისტებსაც. იმიტომ რომ ბევრი რაიმეს გაგება შეიძლება უამრავი ადგილობრივი ენისა და კილოკავის გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ.

რჩება კიდევ სხვა საკითხები. იყო თუ არა ბერინგის სრუტე ერთადერთი ჭიშკარი ამერიკაში? ვითარდებოდა თუ არა შემდგომში ამერიკული კულტურები და ცივილიზაციები ძველი სამყაროს კულტურისაგან სავსებით დამოუკიდებლად?

პასუხს ამ კითხვებზე მომავალი გაგვცემს.




# ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲐᲚᲘᲗᲘ



დაახლოებით ასი წლის წინათ, 1868 წელს, პარიზში გამოვიდა წიგნი „მოგზაურობა სიამის, კამბოჯის, ლაოსისა და ცენტრალური ინდო-ჩინეთის სხვა ოლქების სამეფოებში“. ეს იყო ფრანგი მეცნიერის ანრი მუოს მოგზაურობის დღიურები. იმ დროისათვის თვითონ ის ცოცხალი აღარ იყო: გარდაიცვალა ლაოსში ციებ-ცხელებისგან 1861 წელს.

მუოს ცნობიდან ევროპამ გაოცებით შეიტყო, რომ უღრან ტყეში, ქხმერების ქვეყანაში, „დიდი ტბის“ ტონლე-საპის ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობს ძველი ტაძრებისა და სასახლეების, არხების, კედლების — მთელი ქალაქის ნაშთები. ეს მივიწყებული და მიყრუებული, დანგრეული და უკაცრიელი, ბუჩქნარით გაბარდული ადგილი ზღაპრული და მომხიბლავია.

იმ დროს ევროპაში ბევრი არ უჯერებდა მუოს.

# 1.

აი ის ჩემ წინ დევს, პატარა, სქელი ტომი. კარგი ტრადიციით (ანდა დაღუპული მოგზაურის პატივსაცემად) ფრონტისპისზე ავტორის სურათია. ენერგიული სახე, მაღალი შუბლი, შეთხელებული თმა, ბაკენბარდები, წვერი, ულვაშები — XIX საუკუნის მოდაზე. უსიამო (იქნებ ეს გრავერის ბრალია) წვრილი თვალები და ცივი გამომცდელი გამოხედვა აქვს.

ეს იყო თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ნატურალისტი ანრი მუო.

...თავი XVIII: „ონგკორი. ქალაქი, ტაძარი, სასახლე და ხიდი". გვერდი 187: „ნქხორი ანუ ონგკორი იყო ქხმერის თუ კამბოჯის, ინდოჩინეთის დიდ სახელმწიფოებს შორის მდებარე ცნობილი უძველესი სამეფოს დედაქალაქი. აქ არსებული გადმოცემებით, მას ემორჩილებოდა 123 მოხარკე — მეფე. ქხმერების მეფის არმია შედგებოდა ხუთი მილიონი მეომრისაგან, რომლებიც განლაგებული იყვნენ რამდენიმე ლიეს ფართობზე".

გადაჭარბებულია? უდავოდ. მაგრამ განა ამაშია საქმე? ანრი მუოს ხომ არ შეეძლო უფრო სარწმუნო ცნობების მოტანა, რომლებიც იმ დროს ინახებოდა პორტუგალიისა და ესპანეთის მტვრით დაფარულ არქივებში! საჭირო იყო საბუთების მონახვა.

მაგრამ იდეურად სწორია. რადგანაც მართლაც შესანიშნავი წარსული ჰქონდა კამბოჯას, დიდებული იყო მისი უძველესი ცივილიზაცია.

...უძველესი რელიეფებით აჭრელებული კედლები, სვეტნარები, დერეფნები, კოშკები, ქანდაკებები, ტერასები.

ის დაეხეტებოდა ლამაზ ნანგრევებში, ტკბებოდა ევროპელისათვის უცხო სილამაზის ხილვით, გაოცებული იყო მათი გიგანტურობით.

მუომ მაშინ ბევრი რამ არ იცოდა, და ეს სრულიად ბუნებრივიცაა. მაგრამ ის ჩასწვდა მთავარს: მის მიერ ნახული ნანგრევები უნიკალურია. ეს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში არა მარტო ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია, არამედ ამავე დროს ქვაში გაცოცხლებული თავისებური ცივილიზაციის ისტორიაცაა.

შემდგომ მეცნიერებმა აზომეს შენობის მთელი დიდი კომპლექსი, გაათავისუფლეს ლიანებისაგან ტყის სიღრმეში ჩაკარგული ქვის კედლები და ქანდაკებები. მათ ჩახატეს, სურათები გადაუღეს „ტაძარმთებს“, ზემოთკენ შევიწროებულ ტერასის გამოშვერილებს და შეღერილ რელიეფებს, ანანასის მსგავს ქვის კოშკებს, ჩუქურთმებს, მბრძანებელთა სახეების გამოსახულებებს... ათობით წიგნი და ასობით წერილი დაიწერა ქალაქებსა და ტაძრებზე.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, არავის არ გამოუთქვამს აღტაცება ისე გულშიჩამწვდომად, როგორც მუოს. ის წერდა: „ტაძარი (მუოს მხედველობაში ჰქონდა ანგკორ-ვატის ტაძარი — ა. ვ.) მიუწვდომელია გონებისათვის და ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება. შეჰყურებ გაოცებული, აღტაცებისა და მოწიწების გრძნობა გიპყრობს და ირინდები... რა ამაღლებული უნდა ყოფილიყო ამ აღმოსავლეთის მიქელანჯელოს გენია, ამ საოცრების შემქმნელის გენია! მან შესძლო ერთ მთლიანობაში წარმოედგინა სხვადასხვა ნაწილები ისე ოსტატურად, რომ კაცს უსაზღვრო გაოცება იპყრობს. ის თავისი ოცნების ხორცშესხმას შეუდგა, და საერთოდ და ცალკეულ ნაწილებშიც მთლიანობის ისეთი დამთავრებული ფორმები შექმნა, რომელთა განხორციელება მხოლოდ უნიჭიერესთა ხვედრია“.

## 2.

ისტორიასა და ხელოვნებაში არის ასეთი სახელები — შეხვდები თუ არა მათ ან გაიგონებ რაიმეს მათ შესახებ — თქვენს შინაგან ხედვას კინოკადრივით თვალწინ წარმოუდგება შორეული წარსულის ამბები, რომლებიც წარმოსახვას გიფორიაქებენ მით უფრო ძლიერ, რაც უფრო საიდუმლოებითაა მოცული ანდა ნაკლებ ცნობილია ისინი.

ანგკორი...

ამ ცოტა ხნის წინათ ქხმერების, კამბოჯის მცხოვრებლების შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ.

და ეს, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ თითქმის არავინ (ზოგი მათგანი აღმოჩენილიც არ იყო) იცოდა იმ უძველესი ხანის ნანგრევების, მძლავრი სარწყავი სისტემის, მატერიალური ძეგლების შესახებ, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა შეექმნათ რეალური წარმოდგენა ქხმერების სახელმწიფოს ყოფილ დიდებაზე და თითქმის გაუშიფრავი რჩებოდა ქვის კედლებზე ამოკვეთილი უამრავი წარწერა, —

ერთადერთი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, იმ უძველეს საუკუნეთა საბუთების საკმაოდ მრავალრიცხოვანი არქივი, როდესაც კამბოჯაში აღმართული იყო ქალაქებისა და ტაძრების ქვის უზარმაზარი მონოლითები.

ალბათ ბევრს წაუკითხავს იმის შესახებ, თუ როგორ მიიკვლევდნენ მექსიკისა და იუკატანის გაუვალ ჯუნგლებში მაიას ცივილიზაციის პირველი მკვლევარები, როგორ აღმოაჩინეს მიტოვებული, დაღუპული ქალაქები, როგორ ეძებდნენ ტროპიკულ უღრან ტყეებში ტაძრებსა და ქანდაკებებს.

ამის მსგავსი რამ ხდებოდა ანრი მუოს ბედნიერი ხელით კამბოჯის გულში.

## 3.

წარმოიდგინეთ უზარმაზარი ტაძარი ტყეში! ის მცენარეულობას დაუფარავს, არც დრო-ჟამს დაუკლია მსახვრალი ხელი: კედლები ჩამოქცეულა, ჩანგრეული კიბის ადგილას ორმოს დაუფჩენია ხახა...

ტყე, ხშირი ტროპიკული ტყე ირგვლივ, გიგანტური ხეებით, ლიანებით; მაღალ ბალახში კაცი დაიმალება, გაბარდული გვიმრები, მტაცებელთა ღრიალი, ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე მაიმუნების ყვირილი, ქინქლების მხუთავი ღრუბელი...

ბალახსა და სიმწვანეში იყო ჩამალული უკვე დიდი ხნის წინათ მონგრეული ქვის კიბის საფეხურები, რომლებიც ობობას ქსელსა და ხავსს დაეფარა. ჩამონგრეულ ქვის ბლოკებს გზა ჩაეხერგათ და მკვლევარები იძულებული იყვნენ ჯამბაზებივით ეხტუნათ.

ფესვების, ტოტების, უამრავი ბანანის ხის ფოთლების, ატეხილი მცენარეულობის მიღმა, შენობებს რომ ფარავდნენ, ადვილი არ იყო ქანდაკებების და ბარელიეფების დანახვა.

ყველა წინააღმდეგობას რომ გადალახავდა, ხოლო ზოგან ხოხვით გაიკვლევდა გზას, მკვლევარს შვების ოხვრა აღმოხდებოდა, როდესაც ბოლოს და ბოლოს რომელიმე ტაძრის თუ მონასტრის შიგა დერეფანში აღმოჩნდებოდა ხოლმე. უმწეობას გრძნობდა ბუჩქნარით დაფარული ლაბირინთის დანახვაზე, როგორსაც წარმოადგენდა შენობის ცენტრალური ნაწილი.

არც თუ დიდი ხნის წინათ ანგკორში ჩასვლა ადვილი საქმე არ იყო. კამბოჯაში წასვლაც ცხრა მთას იქით გამგზავრებას ნიშნავდა.

როდესაც მეცნიერი პნომ-პენში ჩავიდა, გამოირკვა, რომ თავგადასავალი მხოლოდ ახლაღა იწყებოდა. ერთი ადგილი მეორეს მხოლოდ ბილიკებით უკავშირდებოდა და გზა არ უნდა დაგბნეოდათ. ცხენი, სპილო ანდა კამეჩებშებმული დიდბორბლიანი ფორანი, სამპანები და პიროგები — წვიმების სეზონში—აი გადაადგილების ყველა საშუალება.

„ბარკასი მიჰყვებოდა ზევით მეკონგის ერთ-ერთი შენაკადის დინებას (ეს შეუძლებელი იქნებოდა მშრალ პერიოდში, რადგანაც ამ დროს წყლის დონე მეტისმეტად დაბალია) და ჩერდებოდა დიდ ტბაზე, მდინარე სიმრეაპის შესართავის მახლობლად. იქ თქვენ გადაჯდებოდით სამპანზე და ცურვით გაემართებოდით წყლით დაფარულ მიწაზე... ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდებოდით ნაპირზე. თქვენ აქ გელოდებოდათ ფორანი: იწყებოდა გაჭიანურებული, სულის ამომსდელი მოგზაურობა“, — ასე გაიხსენა თავისი მოგზაურობა ახლახან რუსულ ენაზე თარგმნილ წიგნში „ანგკორის ტაძრები“ ანრი მარშალმა, კამბოჯის ძველი ისტორიის კვლევის ერთ-ერთმა პიონერმა.

რა თქმა უნდა, დღეს, საავტომობილო გზების, თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების საუკუნეში, ყველაფერი ეს სხვაგვარად გამოიყურება.

მაგრამ ასე იყო. ასე მიიკვლევდნენ გზას ჯუნგლებში ანგკორის ზღაპრული ნაგებობებისაკენ ქალაქის პირველაღმომჩენები.

## 4.

ჩვენამდე მოაღწია ლეგენდამ. უხსოვარ დროში, როდესაც ღმერთები მიწაზე ჩამოდიოდნენ უბრალო მოკვდავ ადამიანებთან, ინდრაპარასტას ქვეყანაში ცხოვრობდა ვინმე პრინცი პრა კეტ მეალეა. (განმარტებისათვის: ძველად ინდრაპარასტა ეწოდებოდა კამბოჯას). პრინცი მომხიბლავი, მამაცი და ახალგაზრდა იყო (თუმცა გაგიგიათ ოდესმე მახინჯი პრინცი, რომელიც ღმერთებს უყვარდათ? პრა კეტ მეალეა კი იმათ უყვარდათ).

განსაკუთრებით მზის ღმერთი ინდრა იყო ჩამწვარი.

ერთ მშვენიერ დღეს ინდრამ თავისი რჩეული ცაში აიტაცა.

ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ღმერთები იქ ცუდად ცხოვრობდნენ. ინდრას განკარგულებაში იყო შესანიშნავი სასახლე. ეს სასახლე იდგა მერუს ბორცვის თავზე, იქ, სადაც ჩვეულებრივ ინდრას საბრძანებელი იყო და საიდანაც, თუ მოესურვებოდა, დედამიწას

ზოგჯერ ელვასა და ჭექა-ქუხილს მოუვლენდა, ზოგჯერ მხვნელ-მთესველს წვიმას გაუგზავნიდა. ყველა ეგრეთ წოდებული მეორეხარისხოვანი ღმერთებიდან ინდრა, ქხმერების რწმენით, ყველაზე მთავარი იყო. თავის სამსახურსაც წესიერად ასრულებდა: თურმე მისი წყალობით კამბოჯაში დღესაც წელიწადში ოთხი თვის განმავლობაში წვიმს კოკისპირულად! მაგრამ დავუბრუნდეთ პრა კეტ მეალეას. მას ძალიან მოეწონა სასახლე: თავისთავად სასახლე საოცრად ლამაზი იყო და სამყაროს ცენტრში, ღმერთების სავანეში მდებარეობდა.

ახალგაზრდა პრინცი ალბათ ამ სასახლიდან არასდროს არ წამოვიდოდა, რომ დევატასებს — ზეციურ მოცეკვავე ქალებს არ აეთვალწუნებინათ... რატომ მოუვიდათ შუღლი, ძნელი სათქმელია. ლეგენდაში უბრალოდ ნათქვამია: არ მოეწონათ მათ მისი ადამიანური სუნი, და მათ სთხოვეს ინდრას მიწიერი მეფის ვაჟი უკან დაებრუნებინა, დედამიწაზე.

კეტ მეალეა ძალზე ნაწყენი იყო. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ მას უთხრეს: შენ, ძმაო, რაღაც ცუდი სუნი გიდისო, უნდა დაეტოვებინა შესანიშნავი სასახლე, რომელსაც უკვე შეეჩვია.

ინდრა შეუბრალებელი იყო: როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდა მოცეკვავე ქალებს. მაგრამ არც სიკეთე აკლდა. მან პრინცს შეწუხება რომ შეატყო, უთხრა: „მე მესმის, სასახლე მოგწონს. ნუ დაღონდები: ასეთსავე სასახლეს აგიშენებ დედამიწაზე“.

ეს დაავალა მან ღმერთების ხუროთმოძღვარს პრახ პუსნუკუს, ხოლო ღვთაებრივმა კამეჩმა ნანდენმა, ღმერთის ბრძანებით, მომავალი შენობისათვის ადგილი შეარჩია:

ღმერთის წარგზავნილთა ხელმძღვანელობით ათასობით ადამიანმა მრავალი სახელმწიფოდან, ყველაზე რჩეულმა ოსტატებმა აღმართეს დედამიწაზე არნახული სილამაზის სასახლე. ინდრას სასახლესავით ამასაც ამშვენებდა მზეზე ბრწყინავი ხუთი კოშკი, მისი შიდა მოწყობილობაც დიდებული იყო.

...თავისი სილამაზით დღესაც ანცვიფრებს მნახველს კამბოჯის ტაძრებიდან ეს ყველაზე ცნობილი ანგკორ-ვატი.

## 5.

არსებობს თავისებური ეტალონები: პართენონი, კარნაკი, ლუქსორი, რომლებიც განუყრელად არიან დაკავშირებულნი მსოფლიო კულტურის ისტორიასთან. ისინი მწვერვალები არიან.

ანგკორ-ვატი ერთ-ერთი მათგანია. ანგკორ-ვატი ნიშნავს „ქალაქის ტაძარს“, დედაქალაქის მონასტერს. ის მაღალია, თითქოს ზეცისკენ მიიწევსო, როგორც ყველა ტაძარი მთელ დედამიწაზე.

...დიდი ოთხკუთხა წყლით სავსე ორმოები. წყლის მოსარკული ზედაპირი, რომელზეც მიმობნეულია ლოტოსის ყვავილები. შორს, ცის ფონზე მოჩანს იდუმალებით მოცული, მიუწვდომელი კოშკები, რომლებიც უზარმაზარ ანანასებს ჰგვანან.

გავუყვეთ გზატკეცილს, აღმოსავლეთ ორმოს რომ კვეთს. ჯერ თავისებური კარიბჭე შეგხვდებათ — გარშემო ლომების სტილიზებული გამოსახულებებია. 200 მეტრზე უგრძეს გზას იცავს ურიცხვი მრავალთავიანი ქვის კობრების მწკრივი. ქვის ფილებით მოკირწყლულ, ლარივით გაჭიმულ გზას მივყავართ პირველ გარეთა ზღუდემდე — ლატერიტის კედლამდე. ამ კედელში გასასვლელი 235 მეტრის სიგანისაა: ეს არის სამი შესასვლელი-კოშკი, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით შეერთებულია გვერდითი შესასვლელების — კოშკების მქონე დახურული დერეფნებით.

კვლავ გზატკეცილია: 350 მეტრის სიგრძისა. კვადრატული აუზები, პატარ-პატარა პავილიონები არღვევენ გზის ერთფეროვნებას. მიჰყვები ამ გზას და თითქოს ცოცხლდება წარსულის სურათები.

რამდენიმე საფეხურიც — და თქვენს წინაშეა დიდი ჯვრისმაგვარი ტერასა.

და აი ბოლოს გამოჩნდება ტაძრის მონუმენტური შენობაც. თქვენ მიზანს მიაღწიეთ.

ის სამსართულიანია. სართულებს ირგვლივ დერეფნები აკრავს. ზოგი მათგანი დაფარულია ქვის ბარელიეფებით. თქვენ ხედავთ კიდევ მზეზე მბრწყინავ კოშკებს.

65 მეტრზე აღმართულია ყველაზე დიდი, ცენტრალური კოშკი. მის ტაძარში იმყოფებოდა მეფე-ღმერთის, ვიშნუს ქანდაკება.

ყოველი სართული გარშემორტყმული იყო ვიწრო კონცენტრული დერეფნებით. პავილიონები, კუთხის კოშკები, კიბეები. ცენტრალური კოშკები, პავილიონებთან შეერთებული ბოძებზე მდგარი დერეფნებით.

ყოველი ქვა დაფარულია ჩუქურთმით ან რელიეფებით. რად ღირს მარტო პირველი სართულის დერეფანი! აქ რვა პანოა: ოთხი 49 მეტრის სიგრძისაა. ოთხს თითქმის 100 მეტრი აქვს სიგრძე და ორი მეტრი სი-

მაღლე. ქანდაკებას სულ დაახლოებით 1200 კვადრატული მეტრი უჭირავს.

და მერე როგორ ქანდაკებას!

ასობით შესანიშნავი მოცეკვავე ქალი, ომის სცენები, რელიგიური სცენები. გეგონებათ ქვაში გაცოცხლებულია უძველესი ლეგენდები, უძველესი ცხოვრება.

...იქნებ მართლაც არ ცდებოდნენ ისინი, ვინც შეთხზა ლეგენდა ინდრასა და პრინც პრა კეტ მეალეაზე? მართლაც ანგკორ-ვატი თავისი გასაოცარი დერეფნებით და ამაყად აღმართული ხუთი კოშკით მკაფიო გეგმით, არქიტექტურული ეფექტების თავისებურებითა და მრავალფეროვნებით არნახული, მაგრამ უეჭველად შესანიშნავი ზეციური სასახლის ჩამონატეხები გეგონებათ. ამ გიგანტური ქვის ფრესკების სიუჟეტები აღებულია მითოლოგიიდან და, უპირველეს ყოვლისა, ორი უზარმაზარი ეპოპეიდან: „მაჰაბჰარატადან“ და „რამაიანადან“. ერთ-ერთ ფსკერზე კი გამოსახული არიან ღმერთები, რომლებიც შედიან ბრამის პანთეონში: კუბერაც, სიმდიდრის ღმერთი, ფარშავანგზე მჯდარი კანდაც, ომის ღმერთი, მრავალრიცხოვანი ხელებითა და თავებით, ინდრაც და ვიშნუც, იამაც, სიკვდილის ღმერთი, და შივაც...

მაგრამ მსოფლიოში ყველაზე დიდი ანგკორ-ვატის ტაძრის ანსამბლი სულაც არ არის ანგკორის ერთადერთი ღირშესანიშნაობა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ის საერთოდ ქალაქის ზღუდის გარეთ მდებარეობდა.

## 6.

ტაძრები, სასახლეები და კოშკები ურიცხვი წყალსაცავების მოსარკულ ზედაპირზე ირეკლება, ბოლო არ უჩანს დერეფნებსა და მორთულ გალავნებს.

მეცნიერებმა ერთიმეორის მიყოლებით აღმოაჩინეს დიდებული არქიტექტურული ანსამბლები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში კამბოჯელ მეუფეთა სიამაყე და სახელი იყო.

ქალაქის გარეგნული სახე, მისი ფართობი, მისი საზღვრები რამდენჯერმე შეიცვალა.

ის დიდხანს შენდებოდა.

ყოველი, თითქმის ყოველი ახალი მეფე თავისთვის ტაძარ-აკლდა-

შას იშენებდა. ეს ტაძარი უნდა ყოფილიყო ცენტრში, კვადრატის დიაგონალების — ქუჩებისა და არხების გადაკვეთაზე. მიაჩნდათ, რომ ქალაქი ჰგავდა მთა მერუს — ღმერთების ადგილსამყოფელს და სამყაროს ცენტრს. ისიც დედამიწის ცენტრია. მაშასადამე, ტაძარიც მიწის ცენტრია.

ქალაქი კი იზრდებოდა და იზრდებოდა. ჩნდებოდა ახალი რაიონები, ახალი ცენტრები.

განსაკუთრებით დიდი იყო ქალაქი იმ ეპოქაში, როდესაც მისი ცენტრი გახდა ტაძარი ბაიონი. ტაძარი აღმართული იყო ორი დიდი ხეივნის გადაკვეთაზე: ერთი ხეივანი მიემართებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მეორე — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ ტაძრის მნახველნი ამბობენ: ის თავისი ფორმებით შეიძლება უფრო ნაკლებ კლასიკურია, ვიდრე ანგკორ-ვატი, მაგრამ რაღაც უფრო მიწიერია, არც ისეთი ცივია, უფრო ნაკლებ ზვიადი გარეგნობა აქვს და ნაკლებ გაკიდეგანებულია, ვიდრე ეს უზარმაზარი ანგკორ-ვატი.

და ამავე დროს ღრმად შთამბეჭდავია.

აი როგორ აგვიწერს მას ანდრე მიგო თავის ძალზე საინტერესო წიგნში „ ქხმერები“, რომელიც გამოვიდა პარიზში 1962 წელს: „შიდა დერეფანი, რომელიც გარს აკრავს ტაძარს, 80 მეტრია 57-ზე. ამ სწორკუთხედის — არც ისე დიდის, თუ გავიხსენებთ, რომ ანგკორ-ვატის ტაძრის სწორკუთხედი 215 მეტრია 187 მეტრზე, — მთელი შიგნითა სივრცე უჭირავს მრგვალ ბაქანს. ის წარმოადგენს 25 მეტრი დიამეტრის მქონე ცენტრალური შენობის საყრდენს. ეს ცენტრალური მასივი შედგება ღერძული კოშკისაგან, რომელსაც გარს უვლის სახეებით მორთული 12 სხვა კოშკის წრე. სულ, თუ ჩავთვლით ამ კოშკებსაც, რომლებიც აღმართულია ღერძულ პავილიონებზე და მეორე დერეფნის კუთხეებში, ბაიონში 54 სახეებიანი კოშკია“.

...აქვეა ქვების გორა, ნაწილობრივ დანგრეული და დახორავებული დროის მსახვრალი ხელით, ნაწილობრივ დაუმთავრებელი მშენებლობის მიზეზით. ცის ფონზე ქვაში ამოკვეთილი სახეებიანი კოშკების სილუეტია. ოდნავ კვადრატული, ბრტყელი სახეები, განიერი ცხვირებით, ნუშისებრი თვალებით, სქელი, მკაფიო მოხაზულობის ტუჩებით... და ღიმილით — იდუმალი ღიმილით, რაღაცით ჯოკონდას ცნობილ ღიმილს რომ გვაგონებს.

თანდათან, თვალს რომ შეაჩვევთ, რწმუნდებით: რომ ის, რაც ერთი შეხედვით უზარმაზარი ლოდების შეხამება გეგონათ (კოშკები ზოგან

ურთიმეორეზეა მიწყობილი, შენობები ურთიერთს ეკვრიან, ეზოები ზოგჯერ უსინათლო და უჰაერო ვიწრო ჭებია), სინამდვილეში საოცრად მომხიბვლელი ყოფილა. დერეფნები, ისევე როგორც ანგკორ-ვატში, მორთულია ქვის ბარელიეფებით.

ამ ვრცელი ქვის კომპოზიციების სიუჟეტები მიეკუთვნება ორ სრულიად სხვადასხვა სამყაროს. თუ გარეთა დერეფანი ეძღვნება ისტორიულ მოვლენებს და ყოფით სცენებს, შიდა დერეფნების ფრესკები გამოხატავენ ღმერთების სამყაროს.

...აი მეომრებს ასადილებენ. სადილი ისეთივე ფორნებით მოაქვთ, როგორსაც ყველგან შეხვდებით კამბოჯის გზებზე. ტახტრევანებში ნებივრად გადაწოლილი პრინცესები ელიან მეომრების ჩავლას. საზღვაო ბრძოლა: ნიჩბოსანთა თავები, ხელშუბებით, მშვილდებითა და ფარებით შეიარაღებული მეომრები. წყლით დატბორილი ტყის გამოსახულება: წყალი და ჯუნგლები — კამბოჯის თავისებური სიმბოლო. ტროპიკული თავსხმების პერიოდში, ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით, ყოველ დღე ზეცა წვიმის ნიაღვრების სახით თავზე ემხობა ქვეყანას. თითქმის მთელი კამბოჯა წყალს მიაქვს. ტყუილად კი არ აშენებენ აქ ქოხებს ხიმინჯებზე, ამიტომ არის მთელ ქვეყანაში ასე მრავლად დამბები, ტბები და გუბურები: საჭიროა წყლის შენახვა გვალვიანი სეზონისათვის. აი ბაიონის კედლებზე წყლითა და თევზით სავსე ტყის ისეთი შთამბეჭდავი და ქვაში მკაფიოდ გამოკვეთილი ფანტასტიკური მოჩვენებაა, რომ დიდი სპეციალისტიც არ სჭირდება, იმის გამოცნობას, რა თევზებია ესენი.

აი სცენები სასახლეში: ცეკვები, ბჭობა, ჭადრაკის თამაში, ჭიდაობა, კარისკაცებით გარშემორტყმული მეფე.

...შივას, რამისა და კრიშნასადმი, ვიშნუს გარდასახვისადმი მიძღვნილ სცენებს ცვლის ეპიზოდები, რომლებშიც მონაწილეობენ უფლისწულები, პრინცესები. აი, კრიშნას ვაჟისა და ბოროტების დემონის მიერ ზღვაში გადაგდებული და თევზის მიერ ჩაყლაპული რუქმინის ისტორია (გაიხსენეთ ვეშაპის მიერ ჩაყლაპული წინასწარმეტყველ იონას ამბავი, რომელზედაც მოგვითხრობს ბიბლია!) აი სცენები „მაჰაბჰარატადან“.

ლეგენდები, ლეგენდები, ლეგენდები...

ჯერ კიდევ IX საუკუნეში დადგენილი მეფე-ღმერთის კულტი გრძელდება. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა მის საყრდენს წარმოადგენს არა ბრაჰმანიზმი, როგორც ადრე. იყო, არამედ ბუდიზმი. ეს,

წარმოიდგინეთ, ყველაზე დიდი სიახლეა, რომელიც შეიტანა ბაიონის ამშენებელმა, მეფე იაიავარმან VII. ის მეფობდა ანგკორის აყვავების წლებში.

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მას.

## 7.

საეჭვოა, რომ კამბოჯაში ბუნების მიერ შექმნილ სამდინარო სისტემაზე უფრო გასაოცარი რამ არსებობდეს. მისი საფუძველია ერთად შეერთებული მდინარის ოთხი არტერია, რომლებსაც ევროპელები „ოთხ ხელს“, ხოლო კამბოჯელები „ოთხ სახეს“ უწოდებენ. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მეკონგი, წყლის უდიდესი ნაკადი, „წყლების დედა“, და მისი შენაკადი, რომელიც სათავეს ტბა ტონლე-საპიდან იღებს და ამ ტბისავე სახელს ატარებს.

შლამიანი წყლის ეს უზარმაზარი ნაკადი მიისწრაფვის სიამის ყურისაკენ ქვედა მეკონგისა და ბასაკის — ჩვენს მიერ ხსენებული „ოთხი ხელის“ მეორე წყვილის გავლით.

წვიმების სეზონში მეკონგი, ბუნებრივია, არ განიცდის წყლის ნაკლებობას: ის მატულობს და მისი ჩვეული სარეცელი ვიწროვდება. მდინარის დონე პნომ-პენში ცხრა მეტრზე იწევს, კრატიეში თექვსმეტ მეტრზე. და ხდება ისე, რომ მისი წყალი დიდი ტბის წყლის დონეზე უფრო მაღლა ადის.

და მაშინ მდინარე ტონლე-საპი იწყებს უკან დინებას! ის თითქოს ისრუტავს მეკონგის ჭარბ წყალს და გადაიქცევა თავისებურ სადრენაჟო არხად, რომელსაც ეს ჭარბი წყალი ჩააქვს ბუნებრივ წყალსაცავში — ტბაში.

მაგრამ, სამაგიეროდ, ოქტომბერში, როდესაც წვიმები წყდება და მშრალი სეზონი დგება, მეკონგის წყლის დონე ნორმას უბრუნდება. მაშინ უკვე ტბის დონე უფრო მაღლა აღმოჩნდება, ვიდრე მასში ჩამდინარე წყლისა. ტონლე-საპი იწყებს წყლის გადაქაჩვას ტბიდან მეკონგში.

ამ მომენტთან არის დაკავშირებული კამბოჯის დიდი დღესასწაული — წყლის დღესასწაული.

წყალდიდობის მთელი პერიოდის განმავლობაში მეკონგიცა და დიდი ტბაც ნაპირებიდან გადმოდიან. ისე დიდდებიან, რომ სამ-ოთხჯერ იზრდება მათი ფართობი. წყლის ნაკადები ტბორავენ ახლომახ-

ლო ტყეებსა და მინდვრებს — იშლება დიდი სივრცეები ფცურავი ფრინველებისა და თევზებისათვის. მოსახლეობისთვისაც: თევზი იმდენია, ხელით დაიჭერ.

მაგრამ საქმე მარტო თევზი როდია. წყალს მოაქვს შლამი და ნიადაგს ანოყიერებს. სასუქების ბუნებრივი ქიმიური კომბინატი ზუსტად გრაფიკის მიხედვით მუშაობს და უშვებს საუკეთესო ხარისხის პროდუქციას.

როდესაც წყლები ჩაივლის, განედლებული, წყლით გამძღარი მიწა მზადაა მიიღოს თესლი მზისგან გამთბარ წიაღში.

პირველ ყოვლისა, ბრინჯის მარცვალი.

წყალი სიცოცხლეა. წყალი საკვებია. წყალი კეთილდღეობის საწინდარია.

განა გასაკვირია, რომ უძველესი დროიდან ადგილობრივი მცხოვრებლები სახლდებოდნენ მდინარეების მაღალ ნაპირებზე, ტბების სიახლოვეს? მიწაყრილებს იქით, წყალსაცავებს რომ არტყია, გადაჭიმულია ვრცელი ნაყოფიერი დაბლობები — პენგები, რომლებიც არხებით არის შეერთებული მდინარესთან. აქ ხარობს თავისი პირველყოფილი სილამაზით ქოქოსისა და ფუფალას პალმები, მანგოს, ფორთოხლისა და სხვ. ხეები. აქ მოჰყავთ სიმინდი, ბამბა, ინდიგო, თამბაქო, აბრეშუმი, ბოსტნეული.

დატბორილი მიწა შესანიშნავი ბრინჯის ველებია. მას ამუშავებენ თავის კამეჩებთან ერთად კოჭებამდე, ზოგჯერ კი მუხლამდე მიწაში ჩაფლული გლეხები. შემდეგ კი გადარგვა ქალების საქმეა...

დამუშავებულ მიწებს აკრავს ტყე. ე. წ. ნათელი ტყე, კორდებით და მდელოებით, სავანით, სადაც ყვითელი, მსუსხავი, მეჩხერი ბალახი კაცის სიმაღლე იზრდება. აქ ძოვს მაიმუნების ჯოგი, დაეხეტებიან ვეფხვები და ავაზები.

და ბოლოს, ველებსა და დავაკებებს იქით, პლატოს ფერდობებზე, მთებზე ხშირი გაუვალი ჯუნგლებია. ერთმანეთში ტოტებჩახლართული ხეები, გაუვალი უღრანები, ლიანები და მძიმე ანაორთქლი მიწისა, რომელიც არასდროს არ თბება, უზარმაზარი მწერები და საშიში მტაცებლები, ქვეწარმავლები, დამფრთხალი ფრინველები, დამჭკნარი, უსიცოცხლო ყვავილები.

ასე აგვიწერს კამბოჯის ბუნებრივ პირობებს ანდრე მიგო.

# 8.

თუ ვილაპარაკებთ სათავეების შესახებ, კამბოჯაში ჯერ არ აღმოუჩენიათ არც სინანტროპის და, მითუმეტეს, პითეკანტროპის კვალი, ცნობილია მხოლოდ ის, რომ გვიან ხანაში, ჩვენს დროსთან უფრო ახლო ხანაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით II ათასწლეულის შუა ხანებში აქ ცხოვრობდნენ ადამიანები.

სამრონგ-სენი, ლონგ-პრა, მექუ-პრეი — ასე უწოდებენ ნეოლითურ სადგომებს. ისინი, ვინც ეს შეისწავლა, ამბობენ: პირველი კამბოჯელები მაგარი აგებულების ადამიანები იყვნენ, მისდევდნენ თევზჭერას, მონადირეობას, ეწეოდნენ ღორებისა და კამეჩების მოშენებას, მექუ-პრეიში კი არქეოლოგებმა იპოვეს პრიმიტიული სამჭედლოები. აქ უკვე იღებდნენ რკინას, ადნობდნენ ბრინჯაოს.

იმ დროიდან სხვას არაფერს მოუღწევია ჩვენამდე. არც წერილობით წყაროებს, არც რაიმე ნახატებს.

დადგენილად ითვლება, რომ აქაური მოსახლეობა ენათესავებოდა მოსახლეობის ზოგიერთ ჯგუფს, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ წყნარი და ინდოეთის ოკეანეების კუნძულებზე. ინდოეთის გავლენა, ინდოეთიდან ტომების შეღწევა მომავალი კამბოჯის ტერიტორიაზე გვიან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით VII—VI საუკუნეებში დაიწყო.

...ქოხები იმ უძველეს დროშიც ხიმინჯებზე იდგა. საძოვრებზე ქონს იკიდებდნენ კამეჩები. ქოხებს ქვემოთ ტალახში იჩიჩქნებოდნენ და ღრუტუნებდნენ ღორები.

წვიმების შემდეგ, კარგ დარებს რომ დაიჭერდა, მამაკაცები სანადიროდ გასწევდნენ. წვიმიან დღეებში კი აკეთებდნენ სასროლ ბარჯებს, ჭედდნენ ბუნიკებს ისრებისათვის. წყალდიდობის დროს დაცურავდნენ ამოთლილი ნავებით, რომლებსაც აკეთებდნენ ქვის ნაჯახებით.

მიცვალებულს არ წვავდნენ როგორც შემდგომში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათ ასაფლავებდნენ გვერდზე დაწოლილს, მოხრილი ფეხებით. რთავდნენ ქვებითა და ნიჟარებით გაწყობილი ბრინჯაოს სამაჯურებით.

## 9.

ჩვენი წელთაღრიცხვის საზღვარი. დიდი ხანია ჩაესვენა ეგვიპტის დიდების მზე. მკვდარია ახლო აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციები. კამბოჯის ჩამოყალიბების ეპოქა კი წინაა.

თავდაპირველად აქ იყო ფუ-ნანის სახელმწიფო. მისი საზღვრების გარკვევა დღეს ძნელია. რამდენადაც მოხერხდა დადგენა, მისი ცენტრი მეკონგის შუა დინებაში მდებარეობდა.

ფუ-ნანი მოიცავდა სამხრეთ ვიეტნამისა და თანამედროვე კამბოჯის მიწებს. და ლაოსის სამხრეთს. მოკლედ, ზოგიერთი წყაროს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფუ-ნანის გავლენა იგრძნობოდა სიამშიც, ბირმაშიც და იავაზეც კი.

ფუ-ნანის საზღვაო და სავაჭრო სახელმწიფომ იარსება ხუთასი წელი: I საუკუნიდან VI საუკუნის ჩათვლით.

იზრდებოდა მოსახლეობა. გაჩნდა ქვის გალავნით გარშემორტყმული ქალაქები უმეტესად ხის სახლებით.

ზოგიერთი ამ ქალაქიდან დღეს აღმოაჩინეს არქეოლოგებმა: გოოკ-ეო, ქამაუ, ჯია-და, ტრაპ-და.

## 10.

ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა ხანებში ბჰავავარმანი, ფუ-ნანის სამეფო გვარის წევრი, რომელიც ამავე დროს დღევანდელი ლაოსის სამხრეთით მდებარე ჩენლას სახელმწიფოს მმართველი იყო, თავს დაესხა ფუ-ნანს. ხელსაყრელი მომენტი იყო შერჩეული: ფუ-ნანი დიდ კრიზისს განიცდიდა. მის ძლიერებას საფუძველი გამოეცალა.

ამრიგად სამხრეთის ნაყოფიერ მიწებზე დამპყრობლები მოვიდნენ მთიდან.

ეს დაპყრობა, არსებითად, მომავალი ქხმერის სახელმწიფოს დაბადების დღეა.

VIII საუკუნის დასაწყისისათვის ქვეყანა გაიყო სულ მცირე ხუთ სამთავროდ. ამან გაუადვილა იავის მმართველებს მისი დაპყრობა. ახალ მმართველთა ხელისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე კამბოჯის ჰორიზონტზე გამოჩნდა ახალი სახელი: იაიავარმან II.

ამტკიცებენ, რომ ის წარმოიშვა სამთავროს თუ კამბოჯის სამეფო



გიგანტების შარაგზა ანგკორ-თხომის სამხრეთ ჭიშკარში.

გვარისაგან, რომ ახალგაზრდობაში — მძევლისა და ტყვის სახით მრავალი წელი გაატარა იავაზე. მართალი არის ეს თუ არა, არ ვიცით, მაგრამ 802 წელს ის გამოჩნდა კამბოჯაში და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.

ის აცხადებს ქხმერის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, აშენებს ქალაქს, ქვეყნის რელიგიურ ცენტრს და ოფიციალურად ადგენს მეფე-ღმერთის კულტს.

ანგკორი ჯერ დედაქალაქი არ არის. მაგრამ სწორედ იაიავარმან II-მ ჩაუყარა საფუძველი ანკორს და კიდევ ორ „სათადარიგო“ დედაქალაქს—როლუოსს, ანგკორ-ვატის ახლოს, ბანტეაი კდეის—ანგკორის დასავლეთით.

ანგკორში დედაქალაქი გადატანილ იქნა მოგვიანებით, დაახლოებით IX საუკუნის ბოლოს.

დიდი ხანი არ არის გასული, რაც მეცნიერები დაობდნენ, თუ სად უნდა მდებარეობდეს ანგკორის თავდაპირველი ფუძე.

დღეს ყველა აღიარებს: პნომ-ბაკენგი. ბუნებრივი ბორცვის თხემზე აღმართული ტაძრის ნაშთი, როგორც ჩანს, ანგკორის უძველესი ტაძარია. ეს დაამტკიცეს არქეოლოგებმა. მათ ჩაატარეს გათხრების სერია და გადამკვეთი აუზებისა და გზატკეცილების ხშირი ქსელის გარდა აქ აღმოაჩინეს ტერასების, კიბეების, ხიდების, ტაძრების, ქანდაკებების ნანგრევები.

... ეს ასე დაიწყო. სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებასთან ერთად რაც უფრო იზრდებოდა ქხმერის მეფეების ძლიერება, სულ უფრო და უფრო მდიდრული შენობები იგებოდა ანგკორში.

აყვავების ხანაში ის ზღაპრულად ლამაზი იყო. ყოველ შემთხვევაში აი რას წერდა მასზე ბევრის მომსწრე და მხილველი პორტუგალიელი მექრონიკე დიეგო დე კუტო: „ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილმოწყობილი, ყველაზე სუფთა ქალაქია მთელ დედამიწაზე“.

ანგკორი ააგო იაიავარმან VII-მ VIII საუკუნეში.

ის უკვე ორმოცდაათი წლისა იყო, როდესაც მრავალომგადახდილი ბოლოს და ბოლოს გახდა კამბოჯის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი.

და პირველი, რაც მან გააკეთა მშვიდობიანობის პერიოდში, აღადგინა დედაქალაქი. უფრო სწორად, ააშენა ახალი ქალაქი — ანგკორ-თხომი. მისი ცენტრი გახდა სწორედ ბაიონის ტაძარი.

## II.

თავგამოდებული ბუდისტი, იაიავარმან VII აშენებდა, დაუსრულებლად აშენებდა ტაძრებს. იმის შესახებ, თუ რა მშენებლობა იყო ეს, წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო ანგკორ-თხომი თავისი მოედნებით, არხებითა და მონასტრებით. გამოჩენილი სპეციალისტი, ფრანგი მეცნიერი ჟოჟ გროლიე ამტკიცებს: ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჯუნგლებში გადაკარგული მარტო ერთი ტაძრის, ბანტეაი-ხმარის ასაშენებლად 40—45 ათას მუშას უნდა ემუშავნა დღეში ათი ასაათი რვა წლის განმავლობაში. ხოლო მოჩუქურთმებაზე ათასი კაცი უნდა ყოფილიყო დაკავებული ოცი წელი!

მაგრამ კიდევ ხომ იყო ვატ-ნოკორი და კომპონგ-ჩამე, ტა-პროხმი ბატიში; მონასტრები აშენებული იყო ქალაქ ლოიბურიში, სუფანეში, რატბურიში, პეხაბურიში, მუონგ-სინეში — ყველა ესენი დღევანდელ

ტაილანდშია. იყო პრაქ-ხანი—„წმინდა ხმალი", მავზოლეუმები, აშენებული იაიავარმან VII-ის მიერ თავისი პამის, მეფე დხარანინდრავარმან II-ის პატივსაცემად, 56 ჰექტარს რომ იჭერდა, კიდევ ბანტეაი-კდეი, ტა ნეი, კროლ კო.

არსებობდა ისეთი სარწყავი ნაგებობანი, რომელთა ზომას და მნიშვნელობას სრულად დღეს იკვლევენ.

## 12.

ამრიგად, მეფე ყოვლისშემძლეა. ის არა მარტო თვითმპყრობელია, არამედ ყოველმხრივ უფლებამოსილიც: პოლიტიკურად, ადმინისტრაციულად, სამხედრო უფლებითაც. ის ამავე დროს ღმერთის ცოცხალი განსახიერებაა, მისი პიროვნება ღვთაებრივია. ის მეფე-ღმერთია. და მას თაყვანს სცემენ როგორც მეფე-ღმერთს.

ამის შესაბამისად ქვეყნის გული არის დედაქალაქი, ქალაქი. სადაც ცხოვრობს მეფე. ამ დედაქალაქის ცენტრია ტაძარი. აქ განისვენებს მეფის ლინგა, მეფე-ბუდას ქანდაკება, რომელიც მეფედ მყოფ მმართველს გამოხატავს.

ტაძარი რაღაც ერთგვარი ქალაქია ქალაქში. ჩაკეტილი თავისსავე მაღალ კედლებში, საკუთარი შინაგანი ცხოვრებით, თავისი მღვდლებით, ეკლესიის მსახურებით, მუსიკოსებით, წმინდა მოცეკვავე ქალებით, მსახურებით, მონებით. თავისი უზომოდ მდიდარი სალაროთი. რომელშიც წლითიწლობით იზრდება კოლოსალური მარაგი ძვირფასი შესაწირავებისა და საჩუქრებისა — ოქროს ჭურჭლისა და ვერცხლისა, მარგალიტის, ბრილიანტისა და ალმასის. მდიდრული სარიტუალო ჩაცმულობით, საკულტო საგნებით. თავისი სამზარეულოთი, სათავსებით.

მეფის სასახლეს ხისგან აშენებდნენ.

პავილიონების მთელი ანსამბლია. შენობებს მწვანედ შეღებილი ან ოქროსფერი კრამიტის კუთხეებაწეული სახურავები ჰქონდა, კედლები მუქი წითელი ლატერიტის იყო. და აი ყველა ამ დიდებულ შენობას თავს დაჰყურებდა კოშკი, რომლის მწვერვალზე გონგის ხმა დროს უჩვენებდა.

ნაგებობანი დაჯგუფებული იყო კვარტალების მიხედვით: აპარტამენტები მეფისა, მეფის ოჯახისა, მინისტრებისა, ქსენონები, ჰარამხანები.

ხალხს შეეძლო შეეღწია მხოლოდ მისაღებში, რომელიც წარმოუდგენელი ფუფუნებით გამოირჩეოდა. მათი ოქროსფრად შეღებილი კრამიტი მზეზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ხის სვეტებს ეყრდნობოდა სახურავის მორთული კოჭები, ყველგან ჩუქურთმა, ყველგან რელიეფი, სარკეები.

ხოლო ცენტრალური დარბაზის ბოლოში იდგა ოქროსა და ძვირფასი ხისგან გაკეთებული ტახტი.

მეფე ტახტზე რომ დაბრძანდებოდა, კარისკაცებს ღებულობდა. ზოგჯერ მოსახლეობასაც ეჩვენებოდა ხოლმე. თავზე ედგა ოქროს დიადემა ანდა ჟასმინის მსგავსი ყვავილების გვირგვინი, კისერზე ეკიდა, სულ ცოტა, სამი გირვანქა მარგალიტი. მისი ღვთაებრივი უდიდებულესობის მაჯებს, კოჭებსა და



გიგანტური ქვის კიბე ადიოდა მთა-ტაძარში

თითებს ამშვენებდა ბრასლეტები და ბეჭდები. ფეხშიშველი იყო. ფეხისგულები და ხელისგულები რაღაც წითელი ფერის წამლით ჰქონდა შეღებილი. გამოსვლისას ხელში ოქროს ხმალი ეჭირა.

მისაღები დარბაზის ირგვლივ ჩამწკრივებული იყვნენ ხმლებითა და შუბებით შეიარაღებული მეომრები, რომელთა ჩაჩქანები და ფარები მორთული იყო ათასგვარი ფანტასტიკური ურჩხულების გამოსახულებებით. მცველები თვალს ადევნებდნენ, რომ იქიდან არავინ შესულიყო პირველ სამეფო კარში, საიდანაც შესვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ოფიცრებსა და მეფის სასახლის უმაღლეს მოხელეებს.

იქ, პირველ სამეფო კართანაც იდგა დაცვა. უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სალდათებს შუბებზე ჩამოცმული ჰქონდათ ბურთულები.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი სახის იარაღი ასე იყო გაუვნებლებული. იარაღი კი იქ მრავლად იყო: ხმლები, ლახვრები, ხანჯლები, კატაპულტები, არბალეტები, ბალისტები, მათ შორის „თვითმავალი“ ბალისტები ბორბლებზე ანდა სპილოების ზურგზე, — ეს იყო კოლოსალური არსენალი, რომელთა დახმარებით ეწეოდნენ არა მარტო საგარეო ომებს, არამედ საკუთარი ხალხიც მორჩილებაში ჰყავდათ...

მეორე სამეფო კარის ეზო ნამდვილ პარკს წარმოადგენდა. იქ გამოდიოდა სახელმწიფო შენობები, სადაც მეფე ღებულობდა პრინცებს, მინისტრებს, ქურუმებს.

მეფე საკუთარ აპარტამენტშიც კი დაცვის გარეშე არ რჩებოდა. აქ მას იცავდნენ... ამორძალები.

ხოლო ზოგიერთ განყოფილებაში მთელი პატარა ქალაქი იყო: ვაჭრები, მსახურები, სამეფო კარის ხელოსნები, მერემენი. ყველგან ისმოდა ოქრომჭედლების ჩაქუჩების კაკუნი, ძვირფას ქვებს ამუშავებდნენ კარის ჯავაირჩები, ძვირფას ქსოვილებს ქსოვდნენ ფეიქრები. თითქმის მზარეულების მთელი დასი ამზადებდა სურნელოვან და ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს.

მეფის სასახლეს ეკრა პრინცებისა და მაღალი წრის მოხელეების სასახლეები. აქვე იყო ელჩების სასახლეები, მდიდარ ვაჭართა სახლები, კვარტალები, რომლებიც დასახლებული იყო ხელოსნებით, მდიდართა სამსახურის საფასურით რომ იკვებებოდნენ.

შემდეგ იწყებოდა თვით ქალაქი.

ის ერთად თავმოყრილ, მაგრამ მინდვრებითა და ბრინჯის პლანტაციებით ერთმანეთისაგან განცალკევებულ სოფლებს უფრო ჰგავდა.

ფუფალას პალმების ჩეროში ან შაქრის ლერწმის პლანტაციების გვერდით მდებარე სახლები დიდად არ განსხვავდებოდა უბრალო კამბოჯელების თანამედროვე ტრადიციული სახლებისაგან. ეს სახლები, ისევე როგორც დღეს, ბამბუკის ღობის ან შაქრის ლერწმის პლანტაციების იქით აღმართულიყო ხიმინჯებზე. სახლში შედიოდნენ თოკის კიბით ანდა უბრალოდ ხის ღეროთი. კედლები და იატაკი ბამბუკის მოწნული ღეროებისაგან იყო გაკეთებული, სახურავი კი ჩალის ჰქონდა. ხიმინჯებქვეშ, რა არ ელაგა: უზარმაზართვლებიანი ფორანი, საქსოვი დაზგა, სამეთუნეო ქარგოლი.

# 13.

დღეს უკვე შეგვიძლია წარმოეიდგინოთ ქალაქ ანგკორ-თხომის ანსაბლის გეგმა. ეს იყო საკმაოდ დიდი კვადრატი (თითოეული გვერდი კილომეტრს უდრიდა), გარშემორტყმული რვამეტრიანი კედლებით. ქალაქს ეკავა 900 ჰექტარი. გარედან შემოვლებული ჰქონდა თხრილი. ამ თხრილს, რომელიც წყლით იყო სავსე, ჰქონდა 5—6 მეტრი სიღრმე და 100 მეტრი სიგანე. დამბები მას ოთხ დამოუკიდებელ სექტორად ჰყოფდნენ.

ციხესიმაგრის კედლებს შიგნით, მათგან 80—100 მეტრზე, გადიოდა არხი, რომელიც თხრილს ორგან უერთდებოდა — ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში. საინტერესოა, რომ მათ მოხრილი მილები აერთებდა. ეს მილები 90-დან 170 სანტიმეტრ სიმაღლეზე იყო ატანილი.

ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილის ბუნებრივი დახრილობის წყალობით ჩრდილო-დასავლეთი კუთხე სამხრეთ-აღმოსავლეთზე 10 მეტრით მაღლა მდებარეობს.

ამრიგად, ჩრდილო-დასავლეთიდან ქალაქში შემოდიოდა წყალი. შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ პერიფერიული არხი შეუმჩნეველად იცვლიდა თავის ფუნქციებს და წყალსადენიდან კანალიზაციის კოლექტორად იქცეოდა. ამ პერიფერიულ არხს ეკვროდა და მასზე იყო დამოკიდებული წყლის არტერიების მთელი შიდა ქსელი. ადგილ-ადგილ არხები და თხრილები ერთმანეთს კვეთდნენ, მაგრამ მათი წყლები ერთმანეთს არ ერეოდა.

იქნებ ანგკორი, რომელიც მუდამჟამ სასმელი წყლით მარაგდებოდა და თავისუფლდებოდა ჭუჭყიანი წყლისაგან, დაქსელილი არხებით, მიმოსვლის გზებსაც რომ წარმოადგენდნენ, ვენეციაზე, ბრიუგეზე ან ამსტერდამზე მეტად იყო წყალზე მდებარე ქალაქი?

მისი დიდების ხანაში — ასე ამტკიცებენ თანამედროვე მეცნიერები — აქ ცხოვრობდა სულ მცირე მილიონი კაცი: სალდათები და მონები, ვაჭრები და ქურუმები, კარისკაცები და არტისტები, ასტრონომები და მათხოვრები, წინასწარმეტყველები და პრინცები, ხელოსნები და გლეხები.

1291 წელს აქ შეჩერდა ხუბილაი ხანისაგან დაბრუნებული მარკო პოლო. ხოლო ხუთი წლის შემდეგ ხუბილაის მემკვიდრემ თემურმა ქხმერების ქვეყანაში ელჩი გაგზავანა.

ანგკორი—დროა უკვე ამის შესახებაც ვთქვათ—გაფრანგებული ქხმერული სიტყვაა „ნოკორ“. სანსკრიტულად—ნაგარ, რაც „ქალაქს“ ნიშნავს.

## 14.

შედარებით ახლახან, რაღაც ოცი — ოცდასამოდე წლის წინათ კამბოჯის არქეოლოგია ყრმობის ასაკში იყო. მკვლევართა ყურადღება მიპყრობილი იყო ქანდაკებების, ქხმერების ძეგლების, უპირველეს ყოვლისა, ანგკორის არქიტექტურის შესწავლისაკენ და გარდა ამისა კამბოჯის ძველი ისტორიის, თუნდაც საკვანძო მომენტებში. აღდგენისაკენ!

ძირითადად პოლიტიკური ისტორიის.

სოციალ-ეკონომიურისა მეტწილად „კადრებს“ რჩებოდათ.

საჭირო იყო სრული წარმოდგენა მიეღოთ კამბოჯის ძველი მცხოვრებლების ცხოვრებისა და, პირველ ყოვლისა, ცხოვრების მატერიალური პირობების შესახებ.

## 15.

1953 წელს ფრანგმა მეცნიერმა მორის გროლიემ დაიწყო გათხრები ანგკორ-თხომში. და პირველივე შედეგები წამახალისებელი აღმოჩნდა.

მაშინ მან დაიწყო აეროფოტოგადაღებები.

ეს იყო კამბოჯოს თითქოს ხელმეორედ აღმოჩენა. რადგანაც არა მარტო ანგკორის რაიონში (მის შესახებ რაღაც-რაღაცები იცოდნენ ადრეც), არამედ ქვეყნის სხვა ბევრ კუთხეშიც თითქმის მთელი მიწა დაქსელილი იყო ძველი, ფოტოსურათზე ოდნავ შესამჩნევი არხებით, თხრილებით, აუზებით, დამბებით, კაშხალებით. ერთ-ერთი ამ ძველი სისტემიდან არსებობდა როლუოსში, ანგკორიდან სამხრეთ-დასავლეთით. გროლეიმდე არავის მოუვიდა აზრად, რომ ის ჰიდრონაგებობანი, რომლებითაც აქ უხსოვარი დროიდან სარგებლობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, მხოლოდ და მხოლოდ უბადრუკი ნაშთია ძველი ქხმერების ოდესღაც არსებული სარწყავი და სადრენაჟო სისტემისა!

გამოკვლევებმა გვიჩვენეს: მორწყვის ორი სისტემა არსებობდა აქ—სწორედ იმ რაიონში, სადაც ქხმერების შეფეებმა დააარსეს დედა-

ქალაქი, ვიდრე ანგკორში გადავიდოდნენ.

პირველი — ეს არის სულ რამდენიმე წყალსაცავი ძველი ტაძრის მახლობლად, ტაძრისა, ხელოვნურ ბორცვზე რომ იდგა. ეს წყალსაცავები წყლის თავისებური რეგულატორები იყო და უმარტივესი მორწყვის საშუალებას იძლეოდა. როგორც ჩანს, ისა და ტაძარიც ერთდროულად ააგეს: ძველი ტრადიციით, რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება და წყალი მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.



ანგკორ-თხომი. გამარჯვების ჭიშკარი

მაგრამ დრო გადიოდა და გაჩნდა მეორე, უფრო სრულყოფილი სისტემა. ახლა ეს იყო არა რამდენიმე გუბურა, არამედ დიდი, რთული სისტემა: დამბები, კაშხალები წყალს გზას უღობავდნენ, მას აუზებში აკავებდნენ, საიდანაც სურვილისამებრ შეიძლებოდა მისი წაყვანა ნებისმიერი მიმართულებით.

წყალს აგროვებდნენ და ხარჯავდნენ საჭიროებისდამიხედვით. ეს მოწმობს მაღალ ტექნიკურ დონეს, რომელსაც მიაღწიეს კამბოჯელმა ინჟინრებმა. ასეთი განტოტვილი და ზუსტი საირიგაციო სისტემის მნიშვნელობა ქვეყანაში, სადაც წელიწადში ოთხი თვე კოკისპირულად

წვიმს, ხოლო დანარჩენი რვა თვე ცხელა და მოსალოდნელია გვალვები. ქვეყანაში. სადაც წყალი ხან არ ჰყოფნით, ხან კიდევ არ იციან როგორ დააღწიონ მას თავი,--მეტისმეტად დიდია.

წვიმების სეზონში აუზები (ისინი კი ყოველთვის გარშემო მდებარე მინდვრებზე ცოტათი მაღლა მდებარეობდნენ) წყლით ივსებოდა. ხოლო როდესაც წვიმები წყდებოდა, მეკონგი კვლავ თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. ქხმერების ქალაქებსა და სოფლებში რჩებოდა „შიდა რეზერვები" —გვალვა საშიში არ იყო.

..გამოდის, რომ ახალი განტოტვილი სისტემა გაჩნდა ჯერ როლუოსში, შემდეგ გავრცელდა მთელ კამბოჯაში.

ანგკორის რაიონში კი ნამდვილად!

ქხმერების მთელი ცივილიზაცია ეყრდნობოდა ამ უბრალო და საოცარ სისტემას.

## 16.

ჩემი სიტყვები შეიძლება ფანტასტიკურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მკვლევარები გვარწმუნებენ, რომ როლუოსში მათ ვერ აღმოაჩინეს რამდენიმე სანტიმეტრზე მეტი დახრილობა—და ეს ოთხი კილომეტრის სიგრძის დამბაზე! ხოლო იქვე ახლოს არის სამოც კილომეტრზე მეტი სიგრძის, ლარივით გაჭიმული არხი!

კამბოჯელ მეფეთა ხელისუფლება არსებითად ემყარებოდა ირიგაციას. თხოვდნენ რა ღმერთებს დახმარებას, ქხმერების მეურნეობის საფუძველთა საფუძვლის კურთხევას, ისინი ებღაუჭებოდნენ თავის უფლებებსა და პრივილეგიებს.

ასე ხდებოდა მიმოქცევა. წყალი აძლევდა მატერიალურ ძალას სახელმწიფოს მმართველებს, ტაძრები აკურთხებდნენ ამ ძალას. ღმერთკაცად თუ კაც-ღმერთად გამოცხადებულ მმართველს უნდა ეზრუნა ერთზეც და მეორეზეც. სქემა ყოველთვის ერთიანი იყო: ჯერ წყალსაცავები და არხები, შემდეგ, ანდა ერთდროულად, ტაძრები.

და მართალია გროლიე, როდესაც ერთ-ერთ თავის წიგნში წერს, კამბოჯელ მეუფეთა ცნობიერებაში წყალსაცავები და ტაძრები ერთმანეთისაგან განუყოფელნი იყვნენო. „ორივე შემთხვევაში ისინი (მხედველობაშია კამბოჯის მეფეები — ა. ვ.) საბოლოოდ ერთი მიზნისთვის იღვწოდნენ".

ძველ კამბოჯაში, თუმცა არა მარტო იქ, ეკონომიკა, პოლიტიკა და რელიგია მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთზე გადახლართული.

ხელთ ეპყრათ რა მიწები და სარწყავი სისტემები, ქვეყნის მმართველნი სარგებლობდნენ მილიონობით თვისტომთა შრომით.

და მათ მბრძანებლობდნენ.

## 17.

IX საუკუნიდან სულ უფრო და უფრო სწრაფად იზრდებოდა წყალსაცავების, არხების, კაშხალების, გზატკეცილების ის ქსელი, რომელიც ბოლოსდაბოლოს გარს შემოერტყმის ანგკორს და გადააქცევს მას ერთგვარ კუნძულად წყლით დატბორილი დაბლობის შუაგულში. ქვეყნის ცენტრში კი, კამბოჯის უნოყიერესი დაბლობის შუაგულში, გზების გადაკვეთაზე აღმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 35 კილომეტრზე და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 22 კილომეტრზე გადაჭიმული ქალაქ ანგკორის ტაძრები, სასახლეები და სახლები, რომლებსაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველები.

... მშვიდობიანობის წლები და ომის წლები. შედარებით კეთილდღეობის წლები და წლები ეპიდემიებისა, მოსახლეობას მუსრს რომ ავლებდა. მტრის შემოსევების წლები და წლები კამბოჯის მეფეთა ექსპანსიებისა.

წელში წყდება შრომისაგან კამბოჯელი გლეხი, სამ მოსავალს რომ იღებს ბრინჯის ნათესებიდან. ათი ათასობით ოჯახი ასობით სოფლებში დღედაღამ მძიმე შრომას ეწევა, ოფლითა თვისითა მოიპოვებს ლუკმაპურს.

იზრდება მეფის ხაზინის შემოსავალი. იზრდება ტაძრების სამფლობელოები, მისი ძალა და ძლიერება.

„მას ეკუთვნის 3140 სოფელი", —ვკითხულობთ ბუდისტური ტაძრის ტა პროხმისადმი მიძღვნილ წარწერაში. მასში დასაქმებული იყო 79365 კაცი, მათგან 18 დიდი ქურუმი, 2740 მოსამსახურე, 615 მოცეკვავე ქალი. ტაძარს ეკუთვნოდა 5000 კილოგრამი ოქროს ჭურჭელი, თითქმის ამდენივე ვერცხლისა, 35 ალმასი, 40620 მარგალიტი, 4540 სხვა ძვირფასი ქვა, უზარმაზარი ოქროს თასი..

თქვენ გგონიათ, სულ ეს არის? არა, წარწერა ჩამოთვლის კიდევ „ყოველგვარ კვების პროდუქტს: ბრინჯს, კარაქს, რძეს, ბადაგს, მცე-

ნარეულ ზეთს, ბურღულს, თაფლს“. და 2387 წყვილ ტანსაცმელსაც კი ქანდაკებების შესამოსად!

და ეს სულაც არ იყო ერთადერთი ტაძარი.

რელიგია და მეფის ხელისუფლება მსხვერპლს მოითხოვდნენ. წარწერებში არაფერია ნათქვამი, თუ რას ფიქრობდა ამაზე ხალხი, — ის, ვინც საკუთარი მარჯვენით ქმნიდა მთელ სიმდიდრეს ქვეყანაში. ვინც აშენებდა ქალაქებს, ტაძრებს, აუზებს, გზებს, არხებს.

ქვები, რომლებიც ანგკორის მშენებლობას სჭირდებოდა, შემოჰქონდათ წყლით ან ხმელეთით კულენის მთიდან, რომელიც 50 კილომეტრზე მეტი მანძილით იყო დაშორებული ქალაქიდან ჩრდილოეთით. მათ შორის, ვინც აშენებდა ბაფუონს, ბაიონს, ანგკორ-ვატს და ანგკორ-თხომს, ცოტა როდი იყვნენ მონები.

უზომო სახსრები, წარმოუდგენელი შრომა იყო საჭირო იმისათვის, რომ აღემართათ ახალ-ახალი ქვის ნაგებობანი.

## 18.

ჩვენ არ გაგვაჩნია საკმაო რაოდენობის ზუსტი ცნობები ანგკორის გაპარტახებისა და ქხმერთა მეფეების შუა საუკუნეების სახელმწიფოს დაცემის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ამბავში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დღევანდელი ტაილანდიდან მთიელი ტომის ტაის შემოსევებმა. სრულიად შესაძლებელია, რომ ამას უდიდესმა წყალდიდობამაც შეუწყო ხელი. მასზე ლაპარაკია, მაგალითად, ჯერ კიდევ 1516—1517 წლებში ჩაწერილ კამბოჯურ ლეგენდაში. კატასტროფის კვალი, სწორედ ისეთი როგორიც ხდება ხოლმე წყალდიდობებისა და საირიგაციო სისტემის გარღვევის დროს, უჩვენა აეროფოტოგადაღებამაც.

რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო: მეტად უხვი და ხშირი წვიმები, დიდი ტბის დონის შეცვლა, რომელიმე მნიშვნელოვანი არხის შლამით ამოვსება. დღესაც ხომ მისისიპზე, ჰოლანდიაში, სხვა ადგილებში წყლის დონის შედარებით მცირე ამაღლებას ზოგჯერ საშინელი შედეგები მოჰყვება ხოლმე.

მაგრამ მხოლოდ ეს არის მიზეზი? განა შინაგანი დასუსტებით არ უნდა აიხსნას, პირველ ყოვლისა, შუა საუკუნეების კამბოჯის მზის ჩასვენება? განა გამორიცხულია ის, რომ კამბოჯელმა თვითმპყრობელმა მეფეებმა, ვერ დაუდეს რა ზღვარი თავიანთ ფანატიკურ სურვილებს— ყოფილიყვნენ ყველაზე მძლავრნი, ყველაზე ძლიერნი — ქვეყნის ეკო-

ნომიური რესურსები ამოსწურეს? მათმა განდიდების მანიამ, სისხლისმღვრელმა ომებმა, მათმა გაშმაგებამ — სიცოცხლეშივე აეგოთ საკუთარი თავისთვის ურიცხვი ძეგლი, ქვეყნის ძლიერებას საფუძველი გამოაცალეს, დაასუსტეს ქვეყანა, რომლის რესურსებს უკონტროლოდ ფლანგავდნენ.

იაიავარმან VII მეფობის ასი წლის შემდეგ ოდესღაც ძლიერი იმპერიიდან, რომ იტყვიან, მოგონებანიღა დარჩა.

ანგკორი ერთბაშად არ დანგრეულა და გაერანებულა. ის განაგრძობდა არსებობას. მაგრამ მხოლოდ არსებობას. აგონია ას წელიწადს გაგრძელდა. მეტისმეტად ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც აყვავების ხანაში თავისი დროისათვის ტექნიკურად განვითარებულ სამეურნეო ბაზას ეყრდნობოდა, დაიშალა ავტონომიურ და სუსტ სამთავროებად.

1958—1959 წლებში ანგკორ-თხომში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც არსებობდა მეფის სასახლე, ჩატარდა გათხრები.

აღმოჩენილ იქნა ნაშთი სასახლისა, რომელიც ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, დიდ მშენებელს იაიავარმან VII. ეს ნაგებობა აშენებული იყო პირვანდელი, დამწვარი და მიტოვებული სასახლის ადგილზე. მაგრამ ეს მეორე სასახლეც დაიწვა ერთი საუკუნის შემდეგ. ცნობილია, რომ 1295 წელს ანგკორში შფოთი ჩამოვარდა. აღმოჩენილ საგნებში ყველაფერი ამას ადასტურებს: სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა — ყველგან ეყარა ფაცაფუცში დამტვრეული ჭურჭლის ნატეხები,ადამიანთა ძვლები, ჩანდა ბრძოლის ნაკვალევი...

დედაქალაქი ჭრილობებს იშუშებს. აშენებენ კიდევ ერთ სასახლეს. წინა სასახლეების მსგავსად ისიც მორთული იყო ხის სვეტებით, სახურავი მოჭიქული კრამიტისა ჰქონდა. მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია. ისიც დაინგრა და დაიწვა. როგორც ჩანს, დაახლოებით 1394 წელს. ეს იყო კამბოჯისათვის შემდგომი მძიმე წელი: სიამის ჯარები დედაქალაქს იპყრობენ. სიამის მეფე კამბოჯის ტახტზე სვამს თავის ვაჟიშვილს.

კიდევ ერთი ცდა აღორძინებისა. ქხმერთა კიდევ ერთი მეფე იშენებს სასახლეს წინა სამი სასახლის ნახანძრალზე. ეს ხდება დაახლოებით 1406 წ.

მაგრამ ეს არის უკანასკნელი ცდა. სიამი თანდათან მრისხანე მეტოქე ხდება. ტაელი მთიელები, რომლებმაც უკვე 1352 წელს ალყა შემოარტყეს ანგკორს, არ ისვენებენ. ოდესღაც მძლავრი სახელმწიფოს

ცენტრი, ანგკორი, ფარული და აშკარა მტრების მიერ ნახევარრკალშია მომწყვდეული.

იწყება დიდი გამოსვლა. მეფეები და მათთან ერთად მთელი სასახლე, ტოვებენ ანგკორს. ქალაქიდან მიდიან ხელოსნები. შეჩვეული ადგილებიდან გადადიან გლეხები.

1430—1431 წლები. ანგკორი ბედისანაბარა დარჩა. ყველასგან მიტოვებულს არ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს ჯუნგლებს. ინგრევა მისი დღემოკლე ხის ნაგებობანი.

დროსა და ჟამს უძლებს მხოლოდ ქვა. გზატკეცილები, ქანდაკებების ხეივნები, ტაძრები — მრავალკოშკიანი, ჩუქურთმებით დაფარული ქვის ლოდები. ქვის სახეები ტუჩებზე შეყინული ღიმილით. ღმერთებისა და გიგანტების გამოსახულებებიანი პარაპეტები. წრიული დერეფნები. ჭიშკარი-პავილიონები. კვლავ კოშკები, კვლავ დერეფნები, ტაძრები კუნძულებზე, ხვეული გარეთა კიბეები, კონცენტრული გალავნები. უნაზესი რელიეფების მაქმანი.

დღეს აქ მაიმუნები ანცობენ და ლიანები მახრჩობელა გველებივით შემოხვევიან კიბეებს, პავილიონებს, მთა-პირამიდებს.

XVI საუკუნის ბოლოს ერთ-ერთმა კამბოჯელმა მეფემ ნადირობის დროს დააფრთხო ანგკორის მყუდროება და გადაწყვიტა დაებრუნებინა ქალაქისათვის პირვანდელი მნიშვნელობა: აქ გადმოიტანა დედაქალაქი და ზოგიერთი შენობა აღადგინა.

XVII საუკუნეში ანგკორი კვლავ მიტოვებული და ჩამკვდარია.

თუმცა ეს ქალაქი ადრე მოკვდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც განადგურებულ იქნა მისი მძლავრი სარწყავი სისტემა. მას შემდეგ, რაც ის დაამახინჯეს დამპყრობლებმა, მას შემდეგ, რაც მან დაკარგა მნიშვნელოვანი როლი კამბოჯის ისტორიაში.

...მცენარეების ტოტები და ფოთლები მწვანე საბურველივით ფარავენ მას და ქვის სახეებს გარე სამყაროს აშორებენ.

ასეთია ანგკორის დიდებისა და დაცემის ისტორია.

## 19.

ბევრი რამ გაკეთდა ანგკორისა და კამბოჯის სხვა ძველი ქალაქების შედევრების ტყის მარწუხებისაგან გასათავისუფლებლად. მაგრამ ქხმერის შესანიშნავი ანსამბლებისა და, პირველ ყოვლისა, მსოფლიოში ცნობილი ანგკორის ძეგლების აღდგენის საკითხი დღესაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

იმიტომ, რომ ძველ ძეგლებს ჰყაეს ტყეზე უფრო სერიოზული მტრები.

დრო და ჰავა. ეს მათ (ტყის დახმარებითაც) დაანგრიეს კედლები დერეფნები, საძირკველი.

და კიდევ ქვის დაავადება. ეს დაავადება ღრღნის და აქუცმაცებს ფასადებს, ფხვნის რელიეფებს და ამახინჯებს ქანდაკებებს ისე, რომ ვეღარც კი იცნობ. ქვის დაავადება ახალი არ არის. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მას ითვალისწინებდნენ არქიტექტორები: ათენში წმენდნენ (და რეგულარულად!) მარმარილოს ფილებსა და ქანდაკებებს თაფლის სანთლით, „კალავდნენ“ ქვებს.

დღეს კი კამბოჯის ქალაქებსა და სოფლებში შავდება, ბერდება, ლაქებით იფარება და ფუჭდება განუმეორებელი ნაგებობანი.

ერთ-ერთ თავის ინტერვიუში კამბოჯის არქეოლოგიური სამსახურის დირექტორმა ბერნარ გროლიემ (მორისის ვაჟმა) განაცხადა: „თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ანგკორვატის აღდგენასა და განკურნებას, ოცი წლის შემდეგ ეს ადგილი მოშიშვლებულ ვაკედ იქცევა“.

როგორ მოვიქცეთ? საჭიროა სპეციალისტების ჩარევა. საჭიროა ქიმიკოსები და ბაქტერიოლოგები, საჭიროა ჰიდროლოგები და კლიმატოლოგები, ორნიტოლოგები და მეტყევეები.

პრობლემა კომპლექსურია. და მათი გადაჭრა საჭიროა სხვადასახვა სპეციალობების მეცნიერთა დახმარებით.

აი მაგალითები. ვარდისფერი ქვიშაქვით აგებული შესანიშნავი ბანტეაი სრეის ტაძრის მნახველებს არ შეეძლოთ ყურადღება არ მიექციათ შავი ლაქებისათვის, რომლებიც ამახინჯებდნენ ამ ტაძრის ზოგიერთ რელიეფს. მოხერხდა დადგენა, რომ ეს შავი ლაქები მანგანუმის გამჟონავი მარილების დაჟანგვის შედეგია. საიდან ჩნდება მანგანუმი, — გაურკვეველია.

ქიმიკოსები ფიქრობენ, რომ ბარელიეფები უნდა მოიხსნას და რაც შეიძლება სიფრთხილით უნდა მოიწამლოს მათი ზედაპირი ლაბორატორიებში.

მაგრამ ეს „დაავადება“, საბედნიეროდ, თითქოს ქვის ხარისხზე არ მოქმედებს.

სხვაგვარადაა საქმე მეორე დაავადებასთან. გოგირდის ბაქტერიები, რომლებიც ქვის შიგნით ცხოვრობენ, გოგირდს აცლიან და ჟანგავენ მას. ვღებულობთ გოგირდმჟავას. ამის შედეგად ქვა ფენებად იშლება, იფხვნება. და ბოლოს და ბოლოს საფრთხე ელის მთელ შენობას.

ამ ბოროტებასთან ბრძოლის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა, როგორც ითვლება, ყოველ შემთხვევაში, დღემდე, შეძლებისდაგვარად მოვარიდოთ წყალი ქვას. პრაქტიკულად ეს ასე კეთდება. პირნაკეთობას ხსნიან, მათ ქვეშ აკეთებენ ღარებს, რომლებიც უერთდება ტყვიის მილებს — ევაკუატორებს, აკეთებენ ქვიშისა და თიხის ჩანაყარს, ყველაფერს ამას ამოავსებენ ბეტონით, მხოლოდ შემდეგ დგამენ თავის ადგილზე პირნაკეთობას.

მაგრამ ანგკორში არსებობს კიდევ მიწისქვეშა წყლები. ამა თუ იმ შენობის გაუვნებლება მათი შეღწევისაგან რთულია. შენობას ჯერ შლიან. სრულად, აგურ-აგურ — უფრო ზუსტად ქვის ფილებად. უნდა აღინიშნოს, რომ ქხმერების შენობები, როგორც წესი, აგებულია საძირკვლის გარეშე. ამიტომ პირველ ყოვლისა აგებენ საძირკველს. ამ ბეტონის ბალიშს ორმაგი დანიშნულება აქვს. დაიკავოს შენობა და იყოს შუასადები შენობასა და დედამიწას შორის.

შემდეგ აღადგენენ თვით შენობას, ხელმეორედ არგებენ ფილას ფილაზე. იქ, სადაც რაიმე არ ჰყოფნიდა, აკეთებენ საჭირო ნაწილს ხელახლა, მაგრამ მასზე გარკვეულ ნიშანს ადებენ, რომ არავინ შევიდეს შეცდომაში.

ასეთი წესით რეკონსტრუირებულია ყველაზე დიდი და ყველაზე ცნობილი ბაფუონის ტაძარი. ხუთი წელი დგამდნენ არქიტექტორები მას რკინაბეტონის საყრდენზე. დღეს შეიძლება შენობა გადარჩენილად ჩაითვალოს.

ძველი ანგკორი იცოცხლებს. იცოცხლებს ბაიონიც, და ანგკორ-ვატიც, ანგკორ-თხომის გალავანიც, და ქანდაკებებით შემკული ტა პროხმის ანსამბლი, ბანტეაი-კდეი და ბანტეაი-ჩმერიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ვატ-ნოკორიც და მრავალი სხვა. მათ შორის ისინიც, რომლებიც შესაძლოა, ჯერაც კამბოჯის ტყის უღრანებში არიან მიმალული.

დიდებულია შუა საუკუნეების კამბოჯის ხელოვნების ძეგლები, დიდებულია მისი ხალხის ისტორია.




# ᲖᲘᲛᲑᲐᲑᲕᲔ, ᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ვრცელი ვაკე, რომელიც აქა-იქ ბუჩქნარს დაუფარავს. მასზე ბორცვია აღმართული. სალი კლდეები რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე აკრილან ცაში. უმაღლეს მწვერვალზე ციხის ნანგრევებია.

ბორცვის კლდოვანი ფერდობები ქარსა და უამინდობას გაუხეხავს და ციცაბო გაუხდია. მათ ერწყმის მაგარი კედლები. ქვემოთ განიერია — სამნახევარი მეტრია, ზემოთ ნახევარჯერ ვიწროა. კლდის ნაპრალები გასასვლელებად გადაქცეულა. ქვის საფეხურები. დასავლეთ კუთხეში — კედელშემოვლებული რაღაც შენობის ნაშთი. იქნებ ეს ტაძარია; მოჩანს მიწისქვეშა შესასვლელები

დაახლოებით ხუთას მეტრზე, მცირე ველის იქით, კიდევ ნანგრევებია. ისინიც ბორცვზეა, ოღონდ უფრო მცირე ზომის ბორცვზე და მათაც კედელი აქვთ შემოვლებული. კედელი ელიფსურია. ელიფსის შიგნითაც კედელია. ქვის კონუსური კოშკი ათი მეტრის სიმაღლეზეა აღმართული.

ასწლოვანი მაღალი ხეები, ბუჩქები, ხეშეში, მაღალი, თითქმის ადამიანის სიმაღლის ბალახი...

ირგვლივ კი დახეთქილი გრანიტის ფილებია დახორავებული. სწორედ იმ გრანიტისა, რომლითაც აგებული იყო ეს ციხესიმაგრეები.

## I.

1488 წლის თებერვალი. პორტუგალიელი ზღვაოსნის ბართლომე დიაშის კარაველები 200 მილზე არიან კეთილი იმედის კონცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. თუმცა კონცხს ჯერ ასე არ უწოდებენ. მას საერთოდ სახელი არ ჰქვია. დიაშს თვითონაც ვერ გაუგია კარგად, თუ რა მოხდა. ამიტომაც მას კიდევ რამდენიმე დღე უჭირავს კურსი ჩრდილოეთისაკენ და მხოლოდ მაშინ რწმუნდება: სურვილი შეუსრულდა! მან შესძლო სამხრეთიდან შემოევლო აფრიკის მატერიკისათვის! გზა ხსნილია ინდოეთისაკენ სალაშქროდ.

მეამბოხე მატროსები აიძულებენ დიაშს მოაბრუნოს კარაველები უკან. მაგრამ მიზანი უკვე მიღწეულია.

...უსულგულოდ მიღოღავს დიაშის სამი კარაველა ქარის საწინააღმედგო მიმართულებით. და როდესაც ისინი კვლავ მიუახლოვდებიან აფრიკის სამხრეთ კონცხს, ამოვარდება ქარიშხალი.

დიაში ამ ადგილს „ქარიშხლების კონცხს“ უწოდებს. მაგრამ პორტუგალიის მეფეს არ მოსწონს ასეთი სახელწოდება. საჭიროა რაღაც უფრო კეთილად მჟღერი და არა ასეთი შესაშინებელი სახელი.

და მიწის ახლად აღმოჩენილ კუთხეს ნათლავენ. არქმევენ კეთილი იმედის კონცხს, რადგანაც ბოლოს და ბოლოს შეიძლება იმედოვნება, რომ საზღვაო გზით მიაღწევ ინდოეთს.

ამას აკეთებს, როგორც ცნობილია, ვასკო და გამა. მაგრამ ჯერ კიდევ მასზე ადრე ვინმე პედრო დე კოვილიაო, პორტუგალიელი მეფის მიერ ინდოეთში გაგზავნილი სახმელეთო ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი, ადენის გავლით ხვდება მალაბარის ნაპირზე. და უკან გაბრუნებისას დაზვერვას ახდენს აღმოსავლეთ აფრიკაში.

კოკილიაო ზამბეზს მიჰყვება და ნახულობს მიწებს, ნავსადგურ სოფალს.

ის კარგა ოცი წლით უსწრებს იმ თანამემამულეებს, რომლებიც სახლდებიან ამ რაიონში და სოფალს პორტუგალიის ნავსადგურად აქცევენ.

მაგრამ სოფალიდან რომელიღაც ქალაქ ზიმბაბვემდე სწორხაზოვნად 300-იოდე კილომეტრია.

## 2.

ჩვენამდე მოღწეული ზიმბაბვეს აღწერილობებიდან ყველაზე უძველესი ეკუთვნის პორტუგალიელ მექრონიკეს დი გოიშს, რომელიც დაიბადა XVI საუკუნის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ. იხილა თუ არა მან საკუთარი თვალით ეს ქალაქი? შესაძლოა, მაგრამ, უფრო სავარაუდოა, მან გაიგო მის შესახებ არაბი ვაჭრებისაგან.

„ქვეყნის შუაგულში დგას დიდი და მძიმე ქვებისაგან აშენებული ციხესიმაგრე. ეს გასაოცარი და თავისებური ნაგებობა შიგნიდან ისევე გამოიყურება, როგორც გარედან, რადგანაც მისი ქვები ერთმანეთთან დაკავშირებულია დუღაბის გარეშე და გაულესავია... შესასვლელის ზემოთ ქვაზე ამოკვეთილია წარწერა, რომელიც ისე ძველია, რომ ვერავინ ვერ შესძლო მისი ამოკითხვა. გარშემო, იმავე ვაკეზე, მიმობნეულია ასეთივე წესით აგებული სხვა ციხესიმაგრეებიც. რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ყველა ეს ციხე სიმაგრე აშენებულია იმისათვის, რომ დაიცვან ოქროს მაღაროები... მდიდარია მეფე ბანამატაპას კარი, მას ემსახურებიან მუხლმოყრილნი“.

წარწერის შესახებ დი გოიში შეცდა. ეს უბრალოდ ჩუქურთმაა. დანარჩენში, ძირითადად, მართალი იყო.

## 3.

1503 წელს პორტუგალიელები დამკვიდრდნენ ზანზიბარში. 1506 წლიდან — მოზამბიკის სანაპიროს ზოგიერთ ადგილებში.

მათ იზიდავს ოქრო. ზამბეზის შესართავი დასჭირდათ ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ყური ჰქონდათ მოკრული გადმოცემისათვის ოქროთი მდიდარი ქვეყნის შესახებ. ეს ქვეყანა თითქოს სადღაც აქვე იყო, მეზობლად.

და მართლაც, ოქრო არის აქ. პორტუგალიელი დიეგო დე ალკანოვა უკვე 1506 წელს აცნობებს „ოქროს“ სამეფოს შესახებ, რომელსაც ის მონომოტაპას უწოდებს. და დასძენს: ოქროს მოპოვება ბოლო დროს მკვეთრად შემცირდაო.

ძნელი სათქმელია, მართლა დაეცა თუ არა ოქროს მოპოვება. შესაძლებელია ადგილობრივ მთავრებს უბრალოდ არაბები — შეჩვეული, ძველი მყიდველები — ევროპელებს ერჩივნათ.

უეჭველია სხვა რამ. მრავალი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მონომოტაპის სახელმწიფოს დიდების მზე უკვე ჩადიოდა.

ამ სახელმწიფოს ცენტრში (თუმცა მისი ჭეშმარიტი ზომები არავინ იცოდა) მდებარეობდა ციხესიმაგრეები. მათ შესახებ წერდა დი გოიშის თანამედროვე, პორტუგალიელი დი ბარუში: „მათი დანახვისთანავე აშკარაა, რომ ისინი შავტუხებს არ აუშენებიათ. თუ ეს არ არის თვით სატანის ნამუშევარი, ყოველშემთხვევაში, არც ზანგებისაა“.

ლაპარაკი იყო იმავე ზიმბაბვეზე.

## 4.

თუ პორტუგალიელებისათვის აღმოსავლეთ აფრიკის ოლქები, სადაც ისინი დასახლდნენ, სიახლეს წარმოადგენდა, არაბები დიდი ხანია ამ სანაპიროზე სავაჭრო საქმეებს ეწეოდნენ.

ქვეყნის ოქროს, რომელიც სოფალიდან სამი-ოთხი კვირის სავალზე იყო, ხშირად მოიხსენიებდნენ არაბი ავტორები, მათ შორის XIV საუკუნის სახელგანთქმული მოგზაურიც მოჰამედ იბნ ბატუტა.

მაგრამ პორტუგალიელებმა ეს არ იცოდნენ. შემდეგ კი დავიწყებას მიეცა მათი მონათხრობიც, ხოლო მოხსენებები განწირული იყო მტვრის შესაჭმელად ლისაბონის არქივების თაროებზე.

## 5.

პორტუგალიელების მიზანი იყო არა იმდენად მიწების ხელში ჩაგდება, რამდენადაც სავაჭრო ფაქტორიების დაარსება სანაპირო რაიონებში. ამიტომაც ისინი ნაპირიდან შორს არ მიიწევდნენ.

XIX საუკუნეში აფრიკა და, კერძოდ, აღმოსავლეთი აფრიკა ევროპელებისათვის კვლავ „თეთრ ლაქად“ რჩებოდა.

და როდესაც 1867 წელს, ასი წლის შემდეგ, მოგზაურმა და მოხეტიალე მონადირემ ადამ რენდერსმა, აღმოსავლეთ აფრიკის ნაკლებად ცნობილ რაიონებში მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა და თანამოძმეებს უამბო, სადღაც ზამბეზისა და ლიმპოპოს შუამდინარეთში ძველი ქალაქის ნანგრევები ვნახეო, მის ნაამბობს ყველა უნდობლად შეხვდა.

რენდერსი მასხრად აიგდეს. გაგიგიათ! ქვის შენობების ნაშთები აღმოსავლეთ აფრიკაში! საიდან? ვინ ააშენა ისინი? ქვის ციხესიმაგრე 300—400 კილომეტრზე ოკეანის სანაპიროდან? შეუძლებელია! უბრალოდ მონადირის მორიგი ნაამბობია. დიდი ხანია ცნობილია, რომ ზან-

გები უიმედოდ ჩამორჩნენ განვითარებით, რომ ისინი ევროპელების მოსვლამდე, არსებითად, არ იცნობდნენ რკინას, რომ მათ არ შეუძლიათ ააშენონ ქვის ნაგებობანი...

## 6.

მაგრამ მალე გერმანელმა გეოლოგმა კარლ მაუხმა დაადასტურა რენდერსის ცნობები. ნანგრევები მართლაც არსებობდა.

სამ წელიწადზე მეტ ხანს ეძებდა მათ მაუხი. მოხდა ისე, რომ 1871 წლის სექტემბერში ის აღმოჩნდა მაშონის ქვეყანაში. აქ გაიგო, რომ იმ სოფლის შემოგარენში, სადაც ის შეჩერდა, სადნობი ღუმელების ბევრი ნაშთი იყო. მილები ღუმელებს ჰქონდა არა ისეთი, როგორითაც სარგებლობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ისიც უამბეს, რომ ამ ღუმელების გვერდით პოულობენ რკინის ნაკეთობებსაც.

მეორე დღეს მაუხი გზას გაუდგა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მალე დაინახა ბორცვი, მასზე კი სწორედ ის ციხესიმაგრე, რომლის შესახებაც უამბობდა რენდერსი.

ეს ნანგრევები მდინარე საბას ზემო წელში მდებარეობდა. ადგილობრივი მცხოვრებლები მას უწოდებდნენ ჟღერად სახელს: ზიმბაბვეს.

... აქ იყო თხუთმეტი მეტრის სიმაღლის გრანიტის კოშკები. გარშემოვლებული ათი მეტრის სიმაღლის კედლებით. აქ იყო „აკროპოლი", რომელიც ,როგორც ვარაუდობენ, მდებარეობდა ბორცვის წვერზე. აქვე იყო სხვა შენობების ნაშთებიც.

ქვეყანაში ცხოვრობდა მატაბელეს ტომი. როდესაც მათ ჰკითხეს, ვინ ააგო შენობები, ვის ეკუთვნოდა ყოფილი მაღაროები, ისინი გაოცებისაგან ხელებს შლიდნენ.

— ეს აქ დიდი ხანია ასეა. — ამბობდნენ ისინი.

## 7.

აი ბიბლიური ტექსტი: „და შექმნა მეფემან სოლომონ ნავი ღასონსა შინა ღავერისასა, რომელ იყო წიაღ ელათისა ნაპირსა ზღვისა, უკანასკნელისასა, ქუეყანასა შინა ედომისასა. და წარგზავნა ხირამ (ფინიკიელთა მეფემ. — ა. ვ.) ნავსა ზედა ყრმათაგან თვისთა, კაცნი მენავენი, მეცნიერნი, მმართველობად ზღვისა ყრმათათანა სოლომონისთა, და მივიდნენ სოფორას და მოიღეს მუნით ოქრო ასოცი ტალანტი და მოართ-

უეს მეფესა სოლომონს... აგრეთვე ნელსაცხებელი მრავალი ფრიად, და ქუანი ძვირფასნი... და ნავმან ხირამისმან მომღებელმან ოქროსამან სოფორისაგან მოიღო ხენიცა გაუთლელი მრავალი ფრიად... რამეთუ ნავნი თარშის მეფისანი იყუნენ. ზღვასა ზედა ნავთათანა ხირამისთა: ერთ გზის სამსა წელსა შინა მოუვიდოდეს მეფისა ნავნი თარშით, და მოიღებდეს ოქროსა და ვერცხლსა, და კბილთა სპილოთასა, ყაპუზუნთა და ფარშამაგთა...“

უბრალო ლეგენდაა და თანაც გაუგებარი, არა? სად არის ეს სოფორა? საიდან არის ასე ბევრი ოქრო. თუ სიმართლეს მოკლებული არაა ცნობა, მაგალითად, რომ ეგვიპტე XVI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე თავისი ოქროს ძიების ადგილებიდან წელიწადში იღებდა არაუმეტეს ორმოც ტონა ოქროს?

სრულიად შესაძლებელია, რომ ეს ლეგენდაა და მეტი არაფერი. მაგრამ მეფე სოლომონი მაინც რეალური პიროვნებაა. ხოლო ღაერი, თანამედროვე ახაბაა წითელი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

იქნებ მაინც არსებობდა ასეთი ერთობლივი იუდაისტურ-ფინიკიური ექსპედიცია? იქნებ კეთილხმოვან სოფორას სახელქვეშ მართლაც მეცნიერებისათვის უცნობი ოქროს ქვეყანა იმალება?

ჩვენ დღემდე არ ვიცით ეს. არსად. ბიბლიის გარდა, არ გვხვდება მისი ხსენება. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სოფორას სამეფოს შესახებ ნათქვამი მონაგონია და მეტი არაფერი?

ბევრი სერიოზული მეცნიერი სხვა აზრისაა. საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც გერმანელი გეოგრაფი რიჰარდ ჰენნინგი. თავის წიგნში „უცნობი მიწები“ (რუსული თარგმანი რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა) ის დაწვრილებით განიხილავს ყველაფერს „მომხრესა“ და „საწინააღმდეგოს“ და ასკვნის: ასეთი ქვეყანა არსებობდა. საკითხი ისაა, თუ სახელდობრ სად იყო.

მას ეძებდნენ დიდხანს და გულმოდგინედ. დღესაც ეძებენ. სხვადასხვა დროის განმმარტებლები მას თითქმის სამყაროს ყველა კონტინენტზე ათავსებდნენ, მათ შორის ოკეანიასა და ამერიკაში და, რაღა თქმა უნდა, აფრიკაშიც.

არაფერი არ იყო გასაკვირველი, როდესაც უკვე ჩვენთვის ცნობილმა მაუხმა საზეიმოდ განაცხადა, რომ ზიმბაბვეს ნანგრევები სოფორას სახელმწიფოს ნაშთიაო. და რომ ზიმბაბვე აღაშენეს ან იუდეველებმა, ან მოსულებმა მცირე აზიიდან.

მტკიცებანი? ინებეთ. „აკროპოლი“ მეფე სოლომონის სასახლის ასლია. ხოლო ელიფსური ნაგებობის ნანგრევები, ეს უეჭველად, იერუსალიმში შებას სასახლის ასლია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაუხისა და მისი მომხრეების „ავტორიტეტულ“ გამონათქვამებს უჯერებდნენ. თუმცა არავინ, მათ შორის მაუხმაც, არ იცოდა და არც შეეძლო ზუსტად სცოდნოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს სასახლეები.

ასეთი თეორია ძალზე ხელსაყრელი იყო ევროპელი კოლონიზატორებისათვის. დიახაც რომ! ის რამდენადმე ამართლებდა დამპყრობთა პოლიტიკას: რაც უნდა იყოს, გაშლილი ტერიტორიები თითქმის კოლონიები იყო ხმელთაშუა ზღვის მეუფეთათვის.

ლეგენდამ სოფორას ოქროს სამეფოზე, რომლის ნაშთი თითქოს აღმოაჩინა მაუხმა, მეცნიერებას დიდი ზიანი მოუტანა. ლიმპოპოსა და ზამბეზის შუამდინარეთს მოასკდა ოქროს ციებ-ცხელებით შეპყრობილი ავანტიურისტების ტალღები.

რადგანაც გამოირკვა, რომ აქ დიდ ტერიტორიაზე მარილაც არსებობდა ძველი მაღაროები, მაშინვე შეუდგნენ მათ „ათვისებას“. ოქრო მათში თითქმის არ აღმოჩნდა. მაგრამ მეცნიერებისათვის ასე ძვირფასი ძველი დროის მოწმობები განადგურებული და გაძარცული აღმოჩნდა.

## 8.

ამრიგად, შენობათა ნაშთები თითქმის სამი ათასი წლისაა. კულტურის ეს ნაშთი დაკავშირებულია აზიიდან თუ ევროპიდან მოსულ ხალხებთან. თავდაპირველად ასე მიიჩნიეს საიდუმლოებით მოცული მაღაროები. გაირკვა, რომ ზიმბაბვეს ნანგრევები ამ ადგილებში ერთადერთი ქვის ნაგებობა არ იყო, მაგრამ ამანაც ვერ შეცვალა დადგენილი შეხედულება.

ძალიან უნდოდათ ზიმბაბვეში დაენახათ უცხოქვეყნელთა, პირველ ყოვლისა, ხმელთაშუა ზღვის კულტურა. „როგორ გეკადრებათ, რა ცივილიზაცია უნდა ჰქონდეთ ზანგებს!“ და ქვის ორნამენტს, ხარის თავს რომ ჰგავდა, აკავშირებდნენ... კრეტას კულტურას. და იწყებდნენ მკითხაობას: კრეტადან მოსულებმა ხომ არ დაარსეს „სოფორას სამეფო?“.

თუმცა, თუ სიზუსტეს დავიცავთ, უნდა გავიხსენოთ თეორიაც,

რომლის თანახმადაც ქვის ციხესიმაგრეები და ტაძრები ზამბეზი-ლიმპოპოს ორმდინარეთს შორის ფინიკიელთა საქმიანობის შედეგია. მათი იმ შტოსი, რომელნიც უძველეს ხანაში ცხოვრობდნენ არაბეთის სამხრეთში. წერდნენ: „ზიმბაბვეს კულტურამ გაიზიარა აფრიკის კონტინენტზე შემოტანილი ყველა ცივილიზაციის, იყო ის კართაგენი თუ ეგვიპტე (?!), უცილობელი ხვედრი. რამდენადაც დიდხანს გრძელდებოდა კავშირი წინარე სამშობლოსთან, იმდენად დიდხანს არსებობდნენ ისინი, მაგრამ როდესაც კავშირი ირღვეოდა, ტვირთი მეტად მძიმე აღმოჩნდებოდა ხოლმე და შემდგომი დავიწყება მათი აუცილებელი ხვედრი იყო“.

ასე იყო 1906 წლამდე, როდესაც გამოვიდა ინგლისელი პროფესორის რენდელ მაკ-აივერის წიგნი. მთელი დასტა წიგნების შემდეგ, რომელთა ავტორები ამტკიცებდნენ ზიმბაბვეს არააფრიკულ წარმოშობას, ამ წიგნმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს ბომბი გასკდაო.

და არც არის გასაკვირი.

არ არსებობს არავითარი საფუძველი ვამტკიცოთ, განაცხადა მაკ-აივერმა, რომ ზიმბაბვეს ნანგრევები ათას წელზე მეტი ხნისაა. უფრო მეტიც. არამარტო დიდი ზიმბაბვეს ნანგრევები, არამედ სხვებიც ამ რაიონში უნდა მივაკუთვნოთ შუა საუკუნეების ხანას. შეიძლება უფრო ძველ ხანასაც კი.

და კიდევ: ზიმბაბვეს კულტურა შეიქმნა ბანტუს ზანგების ტომების დამოუკიდებელი განვითარების წყალობით. „ეს ტიპიური აფრიკული ნაგებობანია, — ამბობდა მაკ- აივერი. — მათი შემქმნელები — აფრიკული შტოს ნეგროიდული ან ზანგების რასაა“.

...იმ დროისათვის ბევრი ნანგრევი—მაღაროებისა და შენობების ნაშთები — დატანილ იქნა მაშონისა და მატაბელეს ქვეყნის რუკაზე. და როდესაც ამ ძველი ძეგლების რიცხვმა სამი ათასს მიაღწია, როდესაც უკვე ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში გამოირკვა, რომ ისინი საერთოდ ჰგვანან ერთმანეთს, მოხსნილ იქნა ფინიკიური თეორიის მიმდევრების ძირითადი არგუმენტიც. სამასი ნაგებობის ნანგრევი, მიმობნეული უზარმაზარ ტერიტორიაზე, არაფრით არ შეიძლება ყოფილიყო ფინიკიური კოლონიის ნაშთები.

და აი მაშინ გაიხსენეს პორტუგალიელი მექრონიკეების ცნობები.

მათში ლაპარაკი იყო რომელიღაც აფრიკულ სახელმწიფოზე, რო-

მელსაც ეჭირა მრავალი ათობით ათასი კვადრატული მილი — სადღაც ინდოეთის ოკეანის ახლოს, ზამბეზსა და ლიმპოპოს შორის.

ამ სახელმწოფოს მონომოტაპა ეწოდებოდა. გაიხსენეს ცნობა ბიზანტიელი ვაჭრისა და ბერის ინდიკოპლოვისა, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და რომელმაც ჯერ კიდევ VI საუკუნეში, მოგვითხრობდა რა ეთიოპიის შესახებ, მოიხსენია რომელიღაც „სასუს მიწა", საიდანაც ეთიოპიის მცხოვრებლები (ეთიოპიას იმ დროს აქსუმი ეწოდებოდა) ოქროს იღებდნენ და მას პირუტყვზე, მარილსა და რკინაზე ცვლიდნენ.

აქსუმიდან სასუმდე, გზას იქით-აქეთ სჭირდებოდა ექვსი თვე, დაახლოებით იმდენივე, რაც ეთიოპიიდან სამხრეთ როდეზიამდე.

ხომ არ წარმოადგენდა ზიმბაბვე მონომოტაპის მმართველის რეზიდენციას?

## 9.

...ხომალდი ძველი იყო, შესაძლოა ლივინგსტონის თანამედროვეც კი. ძლივს მოღოღავდა ნაპირების გასწვრივ, და მის კეტონ-ტომპსონმა და მისმა თანამგზავრებმა მატარებელს ვერ მიუსწრეს. სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, უნდა მოეთმინათ და ერთი კვირა ოტელში უქმად გაეტარებინათ. სხვა რა გზა იყო: მატარებლები ბეირიდან იშვიათად მოდიოდნენ.

მაგრამ მეორე დღეს დაიწყო ციკლონი, მის კეტონ-ტომპსონმა ჩაიწერა თავის დღიურში: „მთელი ღამე თეთრად გავათენეთ. ქარის ზუზუნი, გასაჭირში ჩავარდნილი ხომალდების სიგნალების ხმა, ჩამსხვრეული მინების ზრიალი, ახდილი თუნუქის სახურავების ღრჭიალი ეჭვს არ იწვევდა, რომ არც რკინიგზას ადგა კარგი დღე".

ეს ასეც იყო: ჩვეულებრივ მშვიდი მდინარე პუნგვე და სხვა პატარა მდინარეებიც ადიდნენ, კალაპოტიდან გადმოვიდნენ და რკინიგზის ლიანდაგები გადარეცხეს.

ცხრა დღის გულისგამაწყალებელი ლოდინის შემდეგ არქეოლოგებმა გადაწყვიტეს ზიმბაბვეში სხვა გზით—ბულავაიოზე მდებარე იოჰანესბურგის გავლით ჩასულიყვნენ. მაგრამ იქაც გაიჩხირნენ: დაიწყო რკინიგზელთა გაფიცვა — 1929 წელი იყო, დიდი კრიზისის წელი.

და მაინც ორი კვირის მერე ლონდონში დაწყებული მოგზაურობა კეთილად დამთავრდა.

ოთხი თვალი გამოიბეს და ისე უყურებდნენ ზიმბაბვეს ცნობილ ნანგრევებს მის კეტონ-ტომპსონი და მისი ორი თანამგზავრი ქალი.

## 10.

თითქმის ორი წელი გაატარა კეტონ-ტომპსონმა თავის თანაშემწეებთან ერთად როდეზიაში. შეისწავლა ზიმბაბვეს კომპლექსი, დანალექები „აკროპოლისა" და „ელიფსური ტაძრის" ტერასებზე, საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე დასაზვერ ტრანშეას. დაათვალიერა ზოგიერთი სხვა ნანგრევიც: დხლო-დხლო, საბის რეზერვატის ნანგრევები.

და გარკვეული დასკვნა გამოიტანა.

მისი მსჯელობა სრულიად მარტივი იყო. საჭიროა საიმედო მოწმობა. თორემ შეიძლება კიდევ ნახევარი საუკუნე იჭყლიტო ტვინი, თუ რომელ დროს მიეკუთვნება ეს ნანგრევები და ბოლოს და ბოლოს ვინ ააშენა ის. მხოლოდ არქეოლოგიურ გათხრებს შეეძლო პასუხი გაეცა ამ კითხვებზე. ანდა, დასაწყისისათვის, მოეცა თუნდაც ამოსავალი წერტილები.

ის, რომ ზიმბაბვეში, ელიფსურ ტაძარში ოდესღაც მარტო მმართველი არ ცხოვრობდა, კეტონ-ტომპსონამდე დაამტკიცა მაკ-აივერმა. მან ციხის კედლებს შიგნით, ძირითადად ცენტრში, აღმოაჩინა ქოხების ჩაცემენტებული საძირკვლები. მაკ-აივერს მიაჩნდა: სწორედ ეს 6-7 მეტრი დიამეტრის მქონე ქოხებია მთავარი. ხოლო კედლები მხოლოდ მათი გარეთა გალავანია. ქოხებს შეუძლიათ საბოლოოდ უფრო მეტი გვიამბონ, ვიდრე კედლებმა, — არა ხელმწიფეთა შესახებ, არამედ ხალხის ცხოვრებაზე.

მაკ-აივერი მართალი იყო. სწორედ მან თქვა პირველმა, რომ სახელწოდება „ელიფსური ტაძარი" არათუ ზუსტი არ არის, არამედ მცდარიცაა.

ყველაფერი ეს გონივრული და საინტერესო გახლდათ, მაგრამ გადასაწყვეტი იყო მთავარი საკითხი: როდის დაიწყეს აქ მშენებლობა? ზიმბაბვეს მთავარი შენობები იდგა კლდეებზე, რომლებიც დაფარული იყო მიწის თხელი ფენით. საჭირო იყო ამ მიწის ფენის გამოკვლევა. აქ იმალებოდა პირველი დასახლების დათარიღების საიდუმლო.

კედელი რომ არ გაეფუჭებინათ, არქეოლოგებმა მის გვერდით შახტები გაიყვანეს. ერთ ადგილას კი კეტონ-ტომპსონმა კედელქვეშ გათხარა გამჭოლი შტოლნი და გამონათხარი კოჭებით გაამაგრა.

... მიწას ცრიდნენ და ქექავდნენ გულმოდგინედ, ეძებდნენ საჭირო მასალას. სიამოვნებით შეინახეს სეიფში ქვის ორი საფხეკი, რომ-

ზიმბაბვეში „ელიფსური ტაძრის" შიდა და გარე კედლებს შორის გასასვლელი

ლებმაც ზუსტად განსაზღვრეს უძველესი ფენის ადგილმდებარეობა.

აღმოაჩინეს უფრო ახალგაზრდა საგნებიც: რკინის ბუნიკები, გულისპირები, ხელშუბები. ესენი მიეკუთვნებოდნენ, ასე ვთქვათ, მამაკაცის გასართობებს. ქალების თავშესაქცევარი კი წარმოდგენილი იყო ქოთნის ნატეხებით და უამრავი მძივითა და სხვა სამკაულებით.

ოჰ, ეს ქალის სამშვენისები! ფიქრობდხეხ თუ აოა ის ლამაზმანები, ყოველგვარ მინისა თუ ლითონის, მრგვალი თუ ელიფსური. ყვითელი, ცისფერი ,მწვანე თუ წითელი მძივები, ოდესღაც ასე სიამოვნებით რომ იკეთებდნენ, ეს მათი დაკარგული თუ გაბნეული მარტივი სამკაულები ასე დიდ სამსახურს გაუწევდნენ ადამიანებს, რომლებიც თავს სწირავდნენ წარსულის შესწავლას? ადამიანებს, რომლებიც მრავალი-მრავალი წლის შემდეგ, როცა ზიმბაბვეს ყოფილ მცხოვრებლებზე მოგონებაც კი გაქრა, მოვიდნენ აქ, რათა აღადგინონ მთელი ეპოქა აფრიკის კონტინენტის ისტორიაში!

აღმოჩენილ მძივებს გულმოდგინედ და ყურადღებით ათვალიერებდა, შეფასებას აძლევდა და სწავლობდა ჰორაციო ბეკი, ამ მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენის სპეციალისტი. თავისი გარეგნული მოყვანილობით, დამუშავების ხერხით, მასალით მას უნდა გაერკვია ის მთავარი, რაც აინტერესებდათ არქეოლოგებს: დრო. დრო, რომელსაც მიეკუთვნებოდა ეს ნაზი სამშვენისები; ახლა ისინი მნიშვნელოვანი მოწმენი იყვნენ იმ ძიებისა, რომელსაც ეწეოდნენ წარსულის მკვლევარები.

ბეკმა დაადასტურა ის, რაზეც ეჭვი ჰქონდა მაკ-აივერს: უძველესი ნანგრევები მიეკუთვნება IX საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ხოლო ყველაზე უძველესი მცხოვრებლები აქ მოსახლეობდნენ დაახლოებით 1700 წლის წინათ.

ვინ იყვნენ ისინი?

ამბავს ცოტათი წინ გავუსწროთ და ვთქვათ: ძველ მაღაროებსა და შტოლნებში აღმოჩენილი ადამიანთა ჩონჩხები მოწმობენ, რომ აქ ცხოვრობდნენ ნეგროიდული რასის ადამიანები, სწორედ ამ რასას მიეკუთვნებოდა ყველა რვა აღმოჩენილი ჩონჩხი. არც ერთი მათგანი ათ-თერთმეტ საუკუნეზე მეტ ხანს არ ყოფილა მიწაში.

მეცნიერებამ დაადასტურა: ზიმბაბვეს შემქმნელნი იყვნენ არა ხმელთაშუა ზღვიდან მოსული ხალხი, არამედ დღევანდელი აფრიკელი ხალხების წინაპარნი. და ეს ძირეული აფრიკული ცივილიზაცია იყო ჩვენი კიევის რუსეთის თანამედროვე.

„გამოკვლევები, — წერდა კეტონ-ტომპსონი,— არ ამტკიცებენ ისეთს, რაც უარყოფდა ბანტუსაგან წარმოშობას ან შუა საუკუნეების პერიოდით დათარიღებას“. და დასძენდა: „მე ვერა და ვერ დავეთანხმები ხშირად გამეორებულ კომპრომისულ მოსაზრებას, თითქოს

ზიმბაბვე და მისი მოძიჯნავე ნაგებობანი შეიქმნა ადგილობრივი მშენებლების მიერ „უცხო ქვეყნის უმაღლესი რასის თუ ზედამხედველთა“ ხელმძღვანელობით... ამ შენობებს აშენებდნენ აფრიკელები და, სახელმწიფოც, რომელშიც ისინი აშენდა, აფრიკული იყო“.

## II.

აი ახლა გამოდგა ის საბუთები, რომლებიც 1925 წელს ლისაბონის არქივებში აღმოაჩინა ავსტრიელმა მეცნიერმა შებესტამ. იმიტომ რომ— ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით ამის შესახებ,—სწორედ მათშია შემონახული ცნობები სახელმწიფოზე, რომელსაც ოდესღაც ზამბეზისა და ლიმპოპოს შუამდინარეთი ეჭირა.

ჩვენ ვიცით: მმართველი მეფის სახელის მიხედვით მას ეწოდებოდა მონომოტაპა.

ეს ნიშნავდა: „მაღაროების მფლობელს“

არა მარტო ოქროს, არამედ რკინის მაღაროებისასაც.

დიახ, იმ დროს ზანგების ტომებმა იცოდნენ რკინა!

...ეს ძველი მაღაროები ათასობით არის მიმობნეული კატანგის საზღვრიდან ნატალიმდე და ბეჩუანალენდამდე. რკინამ განდევნა აქ ხეც, ქვაცა და ძვალიც. ტყუილად კი არ იცნობდნენ ასე კარგად სოფალის რკინას ინდოეთში: ხარისხითა და ჭედადობით ის გაცილებით სჯობდა ინდურს! მართალი არის ინგლისელი ისტორიკოსი ბეზილ დევიდსონი, როდესაც თავის წიგნში „ძველი აფრიკის ახალი აღმოჩენა“ წერს: „რკინის წერაქვების კაკუნი და ხის ნახშირზე მომუშავე ღუმელების ანაბზინი შუა საუკუნეების როდეზიის ცხოვრების ისეთსავე აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდნენ, როგორც რკინიგზები XIX საუკუნის ევროპაში“.

ზიმბაბვეს, მონომოტაპის სახელმწიფოს კულტურის განვითარება და აყვავება პირველ რიგში დაკავშირებული იყო ამ მძლავრ წარმოებასთან.

მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული ოდენობით ვაჭრობასთანაც; აქ ნაპოვნი ინდური და ინდონეზიური მძივები საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობენ ამას.

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, მიუთითებს ზიმბაბვეს ისტორიის ჩვენი საბჭოთა სპეციალისტი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდა-

ტი ლ. ფადეევი, რომ რკინის კულტურას შუამდინარეთში ფესვები აფრიკის ნეოლითში აქვს გადგმული, რომლის ერთ-ერთი ადრეული ეპოქისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი ურთიერთობა ბუშმენების წინაპრებსა და ბანტუს შორის, რომლებიც განუწყვეტლივ იჭრებოდნენ შუამდინარეთის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, რკინის აღმოჩენა და კერამიკული წარმოების გამოგონება ორივე ამ ეთნიკური ჯგუფების ერთობლივი მიღწევა იყო...

მოკვდა ის დრო, რასისტები რომ ამტკიცებდნენ, ზამბეზისა და ლიმპოპოს შუამდინარეთის ხალხებს არ გააჩნიათ არავითარი ცნობები ქვის შენობების შექმნის შესახებ, არ იცოდნენ მათ ქვის შენობების აგებაო. დღეს დასაბუთებულად არის მიკვლეული უმჭიდროესი კავშირი ძველ ქვის შენობებსა და ტრადიციულ ხისა და თიხის ადგილობრივ ნაგებობებს შორის. ხოლო თანამედროვე ზანგების სოფლების გეგმა ახლოსაა იმ გეგმასთან, რომელიც არსებობდა ზიმბაბვეში.

ზიმბაბვეს, და არა მარტო ზიმბაბვეს, არამედ დხლო-დხლოს, კზანის, მაპუნგუბვეს და შუამდინარეთის ასობით სხვა ქალაქების დიდებული კედლები ადგილობრივი მცხოვრებლების ხელით იყო შექმნილი.

## 12.

თავდაპირველად აქ ცხოვრობდნენ ბუშმენები. შემდეგ ბანტუს ტომები.

დიდი ხნით ადრე, ვიდრე ევროპელების პირველი ხომალდები გამოჩნდებოდნენ აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროზე, მაკარანგასა და როზვის ტომებმა შექმნეს ძლიერი გაერთიანება. გვიან შუასაუკუნეების ხანაში ის ცნობილი გახდა „მონომოტაპის“ სამეფოს სახელწოდებით. მონომოტაპა იყო უმაღლესი ბელადი და დესპოტური ხელისუფალიც ამ ტომობრივი კავშირისა.

მონომოტაპის სახელმწიფოს ემორჩილებოდა შუამდინარეთის დიდი ნაწილიც.

XVI—XVII საუკუნეებში ამ სახელმწიფოში პირველყოფილი თემური წყობილება იშლება და საფუძველი ეყრება წინარეკლასობრივ ურთიერთობას.

ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად თავს ირჩენდა მიწათმოქმედებით: თესდა პურს, რგავდა ხეხილს, აქა-იქ შაქრის ლერწამიც კი მოჰყავდა. ბორცვების ფერდობები ტერასებით იყო დაფარული.

ძირითადად თემებად ცხოვრობდნენ. მშენებლობა, მადნეული სიმდიდრის დამუშავება, საოჯახო ჭურჭლის დამზადება—ყველაფერი ეს შეადგენდა სათემო გლეხების საქმიანობას. ხოლო რკინის გამოდნობა, სამჭედლო საქმე განსაკუთრებული სპეციალისტების ხელში იყო

გლეხების თიხისა და ქვის ჭოხებს თავზე დაჰყურებდა გვაროვნული მაღალი საზოგადოების — კხალის, რუზანას, დხლო-დხლოს და სხვ. კოშკები, რომელთა ნანგრევებსაც დღეს ჩვენ ვხედავთ.

ხოლო გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის სათავეში იდგა უმაღლესი მმართველი, რომლის ხელისუფლება აყვავების ხანაში ვრცელდებოდა უზარმაზარ ტერიტორიაზე, თანამედროვე საფრანგეთის ფართობს ერთნახევარ-ორჯერ რომ აღემატებოდა.

## 13.

ვერსიამ მოსულთა შესახებ აშკარად ვერ გაუძლო დროის გამოცდას! არ არსებობდა არავითარი „ვარიაგები", რაც არ უნდა ეწოდებინათ იქ მათთვის: ფინიკიელები თუ დღევანდელი რეაქციონერი ისტორიკოსების მოდური ქამიტები — ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის წარგზავნილები, რომლებმაც მიგრაციისა და კონტაქტების გზით თითქოს შავ აფრიკაში შემოიტანეს ლითონის დამუშავების წესი, ქვის მშენებლობის საქმე და... სახელმწიფოებრიობის ელემენტებიც კი. ამას ადგილი არ ჰქონია, რასაც აშკარად მოწმობენ არქეოლოგიური მასალა და ეთნოგრაფიული მონაცემები.

იყვნენ ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ ზამბეზის ქვემო წელსა და თანამედროვე ანგოლას შორის მდებარე ქვეყანაში. არსებობდა ძველი, თვითმყოფადი, როგორც მეცნიერები ამბობენ, ავტოქტონური ცივილიზაცია.

უკვე კეტონ-ტომპსონის შემდეგ 30-იან წლებში ჩატარდა დამატებითი ძიებანი. ქვეყნის მთელ სიგრძეზე, მთელ შუამდინარეთში აღმოაჩინეს ქვის ნაგებობანი. ამჟამად მათმა რიცხვმა უკვე ოთხასს მიაღწია! ახლა ათასობით ძველ მაღაროს აღარ იკითხავთ? რკინის სადნობ საწარმოს ნაშთებს? სამხრეთ როდეზიაში მარტო გარპერის ფერმის მახლობლად აღმოაჩინეს ოცზე მეტი ბრძმედი.

არქეოლოგებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ კვლევა. გათხრები გრძელდება ზიმბაბვეშიც და სხვა მრავალ ადგილას. ზუსტდება დათარიღებაც. ახლახან ზიმბაბვეს ტაძრის ხის ორი ძელის რადიონახშირბა-

დის ანალიზმა გვიჩვენა: ჩვენი წელთაღრიცხვის 591 წელი (120 წლის შესაძლო გადახრით აქეთ-იქით) და ჩვენი წელთაღრიცხვის 702 წელი (92 წლის შესაძლო გადახრით).

დღეს უკვე შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ზამბეზისა და ლიმპოპოს შუამდინარეთის ძირითადი ნაგებობანი შენდებოდა მთელი თორმეტი საუკუნის განმავლობაში — V საუკუნიდან XVIII-მდე.

შედარებით იმ ადრეულ წლებში მარტო აქ როდი იყო ქვის მშენებლობა.

ქვის მრავალი ნაგებობა აღმოჩენილ იქნა აფრიკის მთელ აღმოსავლეთში — დრაკონის მთებიდან სამხრეთით, ცისფერ ნილოსამდე ჩრდილოეთით. ზიმბაბვეს გარდა, არსებობდა ქვის კრაალების კულტურაც ტრანსვაალის ტერიტორიაზე; იყო ეგრეთწოდებული აზანიტის ცივილიზაცია, რომლის ძეგლები აღმოჩენილია მეტად ვრცელ ტერიტორიაზე — კენიაში, ტანგანიკაში, უგანდაში...

ზიმბაბვეს კულტურა იქმნება, როგორც ჩანს, VI საუკუნიდან იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა მონომოტაპის სახელმწიფოს შექმნას. და ეს პირველი პერიოდი გრძელდებოდა X—XI საუკუნემდე. სწორედ იმ დროს მოვიდა აქ გადმოსახლებულ ბანტუს, ბატონის ტომის ზანგების პირველი ტალღა. შემდეგ კი, უკვე დაახლოებით XII საუკუნეში, ზამბეზის გაღმიდან მოსულმა როზვის ტომმა ააშენა „აკროპოლი", განავითარა მადნის მოპოვება, გააჩაღა ვაჭრობა სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან. ელიფსური შენობა, როგორც ჩანს, აშენდა გვიან, უფრო 1700—1750 წლებში.

ზოგიერთი სპეციალისტი ამ თარიღს სადაოდ მიიჩნევს და ზიმბაბვესა და მონომოტაპის სახელმწიფოს შექმნას მიაკუთვნებს XV საუკუნის დასაწყისს. მაგრამ მათთვისაც ამოსავალია დღევანდელი მეცნიერებისათვის ის უცილობელი ფაქტი, რომ ზიმბაბვე აშენებულია აფრიკელების მიერ აფრიკელებისათვის.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ზიმბაბვესა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს, დასავლეთ და სამხრეთ აზიას შორის არ იყო კავშირურთიერთობანი? რა თქმა უნდა, არა! ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში მოცურავდნენ არაბი ზღვაოსნები და იემენელი ვაჭრები, ხოლო რამდენადმე გვიან—ბერძნები და ინდოელები. ეს კავშირი არ გაწყვეტილა მას შემდეგაც, რაც წარმოიშვა „მაღაროების მფლობელი" სახელმწიფო.

მოახერხა თუ არა უშუალოდ ზიმბაბვეში შეღწევა თუნდაც ერთმა ევროპელმა? ჯერჯერობით ასეთი ცნობები არ არის.

„...რამდენადაც შეიძლება მსჯელობა, — წერს ლ. ფადეევი,—1500 წლისათვის მაკარანგას სახელმწიფო უკვე რამდენიმე დამოუკიდებელ ოლქად დაიშალა... არ ჰქონდა რა არასოდეს ეკონომიური ერთიანობა, მონომოტაპი არ შეიძლება არ დაშლილიყო. გარშემორტყმული მტრული ოლქებით, მოსწყდა სანაპიროს ქვეყნებს, დაკარგა ოქროს ნაკადი და დასუსტდა. ხოლო XVII საუკუნის ბოლოს დიდი ზიმბაბვეს დასავლეთით შექმნილმა როზვის ტომების კავშირმა (რომელიც აქამდე ორი საუკუნით ადრე მაკარანგას კავშირში შედიოდა) მაკარანგას მწარე დამარცხება აგემა და შუამდინარეთის დიდი ნაწილი მიიტაცა“.

მონომოტაპის სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა. ...აფრიკაში მცხოვრები ხალხები ვითარდებოდნენ საყოველთაო საკაცობრიო პროგრესის გზით იმავე მიმართულებით, რომლითაც სხვა კონტინეტის ხალხები. უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა გვიჩვენა: აფრიკაში არსებობდა არა ერთი შესანიშნავი ცივილიზაცია.

რად ღირდა თუნდაც ბენინის სახელმწიფო, რომელიც დღევანდელი ნიგერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა და რომლის სახელოვან შუასაუკუნეების ისტორიას დღეს წარმატებით აღადგენენ აფრიკელი მეცნიერები!

განას სახელმწიფო, VII საუკუნიდან IX საუკუნემდე რომ ყვაოდა და რომელშიც შედიოდა დასავლეთი სუდანიც და სამხრეთი საჰარაც? ანდა კიევა, მომბასა და სხვა მსხვილი ცენტრები აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომლებიც სიდიდითა და მნიშვნელობით არ განსხვავდებოდნენ ევროპისა და ინდოეთის ზღვისპირა ქალაქების უმრავლესობისაგან და რომლებიც აღგავეს პირისაგან მიწისა ევროპელმა დამპყრობლებმა? კიდევ მალის იმპერია და იფეს სახელმწიფო? აშანტის სახელმწიფო?..

„შავი კონტინენტი“ ამსხვრევს კოლონიალიზმის ჯაჭვს. და სულ უფრო ნათელი ხდება მისი ხალხების დიდებული წარსული, ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც შეასრულა ცენტრალური და აღმოსავლეთ აფრიკის მოსახლეობამ კაცობრიობის ისტორიაში.

გამოკვლევები და ძიებანი გრძელდება.

უეჭველია: ისინი დაგვეხმარებიან აღვადგინოთ აფრიკის ხალხების ისტორიის ცოცხალი და ნათელი სურათი.




# ბაბოლნი ლიდი ნოვგოროდი

მოჰენჯო-დაროსა და ბოღაზყიოის, კნოსისა და ზიმბაბვეს, ტიაუანაკოსა და ანგკორისაგან განსხვავებით ნოვგოროდი მუდამ ახსოვდათ.

ნოვგოროდი, ბილინებსა და ლექსებში ხოტბაშესხმული, სადკოსა და ვასილი ბუსლაევის ქალაქი, XI—XIII საუკუნეებში — ერთ-ერთი უდიდესი რუსული ქალაქი, რომელმაც მოიგერია უცხოქვეყნელთა დამონების ყველა ცდა, იყო დედაქალაქი იმ უზარმაზარი მიწისა, რომლის საზღვრები ყინულოვან ოკეანესა და ურალის მთებს აღწევდა. აყვავების ხანაში მას ბადალი არ ჰყავდა მთელს რუსეთში არც ეკონომიური ძლიერებით და არც არაჩვეულებრივი პოლიტიკური წყობით.

ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ მის შესახებ ყველაფერი ცნობილი იყო? რა თქმა უნდა, არა! გაცხარებული კამათი ბევრ საკითხს ეხებოდა.

მათი გადაჭრა გათხრებს შეეძლო.

როცა არქეოლოგებმა ნიჩბებს მოჰკიდეს ხელი, დარწმუნდნენ, რომ ილმენისპირეთის ძველი მიწა უდიდეს განძს ინახავდა.

## 1.

1927 წელს ოცდახუთი წლის ასპირანტმა არტემ ვლადიმერის ძე არციხოვსკიმ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ავითარებდა იმ აზრს, რომ არ შეიძლება უგულვებელვყოთ არქეოლოგიური გამოკვლევების როლი წარსულის სოციალ-ეკონომიური ფორმაციის აღდგენის საქმეში. მათ შორის, რა თქმა უნდა, შუასაუკუნეებისაც.

ორი წლის შემდეგ მან დაიცვა დისერტაცია. ის ეძღვნებოდა აღმოსავლეთის სლავების ტომის, ვიატიჩების ყორღანებს.

ახლა მას შეეძლო დაეწყო არქელოგიური შესწავლა ქალაქისა, რომელიც მის წარმოდგენას უკვე დიდი ხანია აღელვებდა.

ამ ქალაქს შუა საუკუნეების რუსეთში ბატონ დიდ ნოვგოროდს უწოდებდნენ.

ფიქრობდა თუ არა არციხოვსკი, რომ მისი გატაცება მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგრძელდებოდა? რომ ამიერიდან მთელი მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იქნებოდა ვოლხოვზე მდებარე ოდესღაც ძლიერ ქალაქთან? რომ მას და მის ექსპედიციის მომავალ მონაწილეებს იქ მოელოდათ მეტად საინტერესო აღმოჩენები? რომ ნოვგოროდის გათხრები მთელ საბჭოეთში უდიდესი გახდებოდა და შევიდოდა მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი და მნიშვნელოვანი გათხრების რიცხვში?

## 2.

არციხოვსკი პირველი ადამიანი როდი იყო, რომელსაც აზრად მოუვიდა მყუდროება დაერღვია ნოვგოროდის მიწის უძველესი ფენებისათვის. რამდენადაც ცნობილია, ეს ადამიანი გახლდა არციხოვსკიზე ასი წლით უფროსი ე. ა. ბოლხოვიტინოვი, მაშინ ეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ მიტროპოლიტი.

როგორც ჩანს, ის იყო ძალიან თავისებური ეპისკოპოსი, გატაცებული მეცნიერებით სიძველეთა შესახებ და ესმოდა მისი მნიშვნელო-

ბა. და, შესაძლებელია, არ ცდება არციხოვსკი, როცა წერს, რომ „ამ ნიჭიერ ისტორიკოს-წყاროთმცოდნეს ეჭირა საეკლესიო-ადმინისტრაციული პოსტები, რათა ეკლესიის ხელისუფლებას არ შეექმნა რაიმე დაბრკოლება მისი გამოკვლევებისათვის.“

ნოვგოროდმა ბოლხოვიტინოვის ყურადღება მიიპყრო 1804 წელს, როდესაც ის პირველად ჩამოვიდა ამ ქალაქში. პირველად მან არქივების შესწავლა დაიწყო, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა არქეოლოგიურ გამოკვლევას.

მის წარმატებას მოწმობს შემდეგი ნაწყვეტი: „მე ვათვალიერებდი აქაურ შემოგარენს, ვსინჯავდი ნიადაგს და ვიცოდი, რომ ის, სადაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხალხი კომლებად ცხოვრობდა, ჩვეულებისამებრ არის მონალექი შავმიწა ნიადაგი. თვითონ ქალაქში ის თვალით შესამჩნევია და სავაჭრო მხარეს სანაპირო ადგილებში 8 ან 9 არშინით უნდა გაითხაროს მატერიკამდე“. ეს ციფრები არცთუ ისე შორს იყო ჭეშმარიტებისაგან.

მაგრამ საერთოდ გათხრებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ნოვგოროდში ის არ აწარმოებდა.

გათხრებზე თანხმობა ვერ მიიღო ვერც იმან, ვინც XIX საუკუნის შუა ხანებში გამოვიდა ქალაქის არქეოლოგიური შესწავლის დიდი პროექტით. ვინ იყო ის, არ ვიცით, მისი გვარიც უცნობია: პროექტს ჩვენამდე არ მოუღწევია, შემორჩენილია მხოლოდ მოგონება მის შესახებ.

გავიდა კიდევ ნახევარი საუკუნე, სანამ 1910 წელს შემდეგში ცნობილმა მხატვარმა ნ. კ. რერიხმა, სიძველის მცოდნემ და მოყვარულმა, პეტრემდელი ხელოვნების მუზეუმის (არსებობდა იმ დროს ასეთი!) სახსრებით მაინც ჩააწყო შურფები ნოვგოროდის კრემლში.

საფუძველი ჩაყრილი იყო. მაგრამ ამ გათხრებიდან არ შემონახულა არც ოფიციალური ანგარიში, არც ნახაზები, არც პუბლიკაციები.

სამაგიეროდ, — და ეს გამოქვეყნდა პრესაში — სწორედ მაშინ მოხერხდა დადგენა, რომ ნოვგოროდის მიწა მშვენივრად ინახავს ხეს.

ხის ქალაქისათვის, როგორიც გახლდათ ძველად ნოვგოროდი, თუ არ ჩავთვლით ქვის რამდენიმე ტაძარსა და კრემლს, დასაწყისი იმედის მომცემი იყო.

## 3.

არციხოვსკიმ პირველად 1929 წელს დაიწყო გათხრები ნოვგოროდში.

თუმცა, მკაცრად თუ მივუდგებით, ეს ჯერ კიდევ არ იყო გათხრები თვითონ ქალაქში. მეცნიერმა ვერ გაბედა წინასწარი მომზადების გარეშე დაეწყო ასეთი საპასუხისმგებლო საქმე და დაზვერვის ადგილად აირჩია ნაქალაქარი. სწორედ ის ნაქალაქარი, ნოვგოროდზე ორი კილომეტრით მაღლა ვოლხოვზე მდებარე სოფელი, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ ნოვგოროდელი მთავრები. აქ ჯერ კიდევ 1910 წელს აწარმოა უმნიშვნელო გათხრები ჩვენთვის უკვე ცნობილმა რერიხმა ნ. ს. მაკარენკოსთან ერთად.

მაშინ მათ განსაკუთრებული ვერაფერი იპოვეს. საქმე ისაა, რომ საუკუნის დასაწყისში იქ აღმოაჩინეს რამდენიმე ძველი რუსული ტყვიის ბეჭედი. რადგანაც ერთ-ერთი რუსი მეცნიერი, ნ. პ. ლიხაჩევი აგროვებდა ასეთ ბეჭდებს და კარგ საფასურსაც იხდიდა, ადგილობრივმა გლეხებმა გადათხარეს ნაქალაქარის თითქმის მთელი მიწა. ვერაფერი იპოვა არციხოვსკიმაც: კულტურული ფენა უიმედოდ იყო გაფუჭებული.

სამი წლის შემდეგ არციხოვსკიმ დღეს ცნობილ საბჭოთა არქეოლოგებთან, პროფესორ მ. ი. კარგერთან (რომელმაც გათხარა ძველი კიევი) და აკადემიკოს ბ. ა. რიბაკოვთან ერთად დაიწყო ნოვგოროდში სლავენსკის ბორცვის — ვოლხოვის მარჯვენა, სავაჭრო მხარის ე. წ. ქალაქის სლავენსკურ ნაწილში პატარა შემაღლების გამოკვლევა. აქვე იყო ბაზარი და ვეჩეს მოედანი, იაროსლავის სასახლე, ხოლო მარცხენა ნაპირზე ცნობილი სოფიის ტაძარი.

იმ დროს ჯერ კიდევ ბევრი სპეციალისტი, არა იმდენად არქეოლოგები, რამდენადაც ისტორიკოსები, სკეპტიკურად უყურებდა ნოვგოროდის არქეოლოგიური გამოკვლევისა და განსაკუთრებით შუა საუკუნეების ნოვგოროდის თვით ძიების იდეას.

— თუ გავთხრით, — ამბობდნენ ისინი, — მაშინ უნდა გაითხაროს მხოლოდ უძველესი ფენა: შესაძლებელი გახდება თუნდაც ნოვგოროდის დაარსების დროის დაზუსტება, დაკვირვება ილმენისპირა სლავების ცხოვრების თავდაპირველ ეტაპებზე.

დაწყებული გათხრები ნაწილობრივ ისახავდნენ ამ მიზანს: არსე-

ბული თეორიის თანახმად, სწორედ სლავნაში ჩაისახა ნოვგოროდის პირველი დასახლებები.

თუმცა, როგორც არციხოვსკი წერდა, გათხრების შესახებ ორ თვალსაზრისს შორის მკვეთრი წინააღმდეგობა არ არსებობდა. საჭირო იყო სხვადასხვა ადგილის „მოსინჯვა", ამიტომაც ახალგაზრდა მკვლევარები გაცხოველებით შეუდგნენ დაზვერვით სამუშაოებს სლავნაზე: მაშინ კარგად არ იცოდნენ ქალაქის ტოპოგრაფია და საჭირო იყო შეესწავლათ მისი უფრო საინტერესო კუთხეები.

და თუმცა არციხოვსკი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო გათხრებისა სლავნაზე, — მას ძალიან უნდოდა გათხრები დაეწყო შუა საუკუნეების ნოვგოროდის შესწავლისათვის უფრო პერსპექტიულ ადგილებში, — ის მაინც შეიძლებოდა კმაყოფილი დარჩენილიყო შედეგებით. ჯერ ერთი, როგორც ის ფიქრობდა, აქ არ აღმოჩნდა უძველესი მოსახლეობის არავითარი კვალი, რაც უკვე თავისთავად იყო მნიშვნელოვანი: ლაპარაკს იმაზე, რომ სწორედ აქ, მარჯვენა ნაპირზე, იყო ქალაქის უძველესი დასახლება, საფუძველი ეცლებოდა. ეს დასახლება სადღაც სხვა ადგილას უნდა ეძებნათ.

მეორეც, ამ რაიონის გამოკვლევა სულაც არ იყო ზედმეტი. თუნდაც იმიტომ, რომ მოხერხდა ქვის კედლის ნაწილის აღმოჩენა (როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს კედელი მოხსენიებული იყო მატიანეში 1335 წლის თარიღით).

და კიდევ, რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სხვადასხვა დროს აგებული შენობები, რომლებიც ერთმანეთს ფარავდნენ.

იმავე წელს ნოვგოროდის სხვა რაიონში ძველი ნარევსკის ბოლოში ნოვგოროდის მუზეუმის თანამშრომლებმა ს. მ. სმირნოვმა და ბ. კ. მანტეიფელმა გათხრების დროს აღმოაჩინეს ძველი ხეფენილების ერთმანეთზე მდებარე თვრამეტი წყება.

1910 წელს ნოვგოროდის ამ ხელისუფლების შესახებ მეტად კატეგორიული, მაგრამ მცდარი აზრი გამოთქვა იმ დროისათვის ცნობილმა არქეოლოგმა ა. ა. სტუპიცინმა: ეს ხეფენილები კი არა, შენობების იატაკის ნაშთებიაო.

უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, რომ XX საუკუნის ნოვგოროდის წყნარი ქუჩების ქვეშ გარდასული ეპოქების ქუჩების ნაშთები იყო.

## 4.

ამბობენ, დასაწყისი კეთილიაო. 1933 წელს კარმერი იურის მონასტრის გიორგის ტაძარში შემთხვევით ნახულობს მატიანეში მოხსენებული ნოვგოროდის შვიდი მთავრისა და მთავრის ნაცვლების სამარხებს.

1934 წელს სლავენსკის ბორცვზე არციხოვსკი და რიბაკოვი პოულობენ შუა საუკუნეების მეწაღეების სახელოსნოს ნაშთებს.

ხოლო ორი წლის შემდეგ სლავნაზე მიწის წიაღიდან კიდევ გამოჩნდა ორი ერბოკარაქისა და სათამაშოების სახელოსნო. და რაც მთავარია, ამ დროისათვის მტკიცედ დადგინდა კედლის მშენებლობის კვალის შემცველი მიწის ფენის ასაკი—როგორც უკვე აღნიშნეთ, ეს იყო 1335 წელი. ამის წყალობით მოხერხდა მთელი რიგი აღმოჩენილი ნაგებობებისა და საგნების ზუსტად დათარიღება. ნოვგოროდისათვის პირველად იქნა მოხაზული ქრონოლოგიური შკალა.

მაგრამ X საუკუნეზე უფრო ადრინდელი ფენის აღმოჩენა სლავნაზე კვლავ არ ხერხდება.

მაშასადამე, სლავენსკის ბორცვი არც ისე ძველია, როგორც გათხრების დაწყებამდე ფიქრობდნენ.

იქნებ ღირს ტერიტორიაზე იაროსლავის სასახლის ძებნა?

## 5.

გათხრებს შეუდგნენ ადგილობრივი მკვლევარები: ა. ა. სტროკოვი, ვ. ა. ბოგუსევიჩი და ბ. კ. მანტეიფელი. მათ აღმოაჩინეს წარმართული სამარხები ჩონჩხებისა, და სამწუხაროდ, საგნების გარეშე: ქრისტიანობის მიღებამდე რუსეთში გვამებს წვავდნენ.

მაინც ნახულობენ რამდენიმე პატარა თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ისინი საშუალებას იძლევიან დავადგინოთ: ჭურჭელი გაკეთებული იყო სამეთუნეო წრეებში და არც თუ ისე ძველ დროს მიეკუთვნებოდა. უფრო სარწმუნო იყო, რომ X საუკუნესთან ჰქონდათ საქმე.

ფაქტებს რომ წინ ვერ აღუდგა, ა. ა. სტროკოვმა დაადგინა: „ქალაქის სავაჭრო მხარეზე დასახლების დიდი სიძველის შესახებ არაერთხელ გამოთქმული ვარაუდის საწინააღმდეგოდ არც ა. ვ. არციხოვსკის კვლევა-ძიება სლავნაზე, არც 1937 წლის ჩვენი გამოკვლევები იაროს-

ლავის სასახლეზე არ ამტკიცებს ამ შეხედულებებს. პირიქით, სულ უფრო და უფრო დასაჯერებელი ხდება საკითხის გადაწყვეტის შესაძ-ლებლობა სოფიის მხარეზე არქეოლოგიური გამოკვლევებით.

...1938, 1939 და 1940 წლებში ა. ა. სტროკოვი გათხრებს აწარ-მოებდა ნოვგოროდის კრემლის სამხრეთ ნაწილში. მან აღმოაჩინა ქუ-ჩის ნაშთები და მასზე ერთმანეთზე დაწყობილი ყოფილი ხეფენილის თხუთმეტი ფენა. აქ აღმოჩენილი ნივთების უმეტესობა XVI—XVIII საუკუნეებს მიეკუთვნებოდა.

არავითარი ფენა X საუკუნისა აქაც არ აღმოჩენილა.

თუ ნოვგოროდში X საუკუნემდე არსებობდა რაღაც დასახლება, ის, როგორც ჩანს, ძალზე მცირე, ძალზე უმნიშვნელო იყო.

## 6.

ჩვენ უკვე ვამბობდით: არციხოვსკის, პირველ რიგში, აინტერესებ-და ნოვგოროდი აყვავების ხანაში. როგორც გათხრებმა გვიჩვენა, ნოვ-გოროდის მიწა შესანიშნავად ინახავს ხეს. არციხოვსკი ფიქრობდა, რომ ნოვგოროდში — შუა საუკუნეების უდიდეს რუსულ ქალაქში — ნამდვილად შეიძლება ძვირფასი ცნობების მიღება ნებისმიერი საზოგა-დოების ცხოვრების მთავარ სფეროს — წარმოების, აგრეთვე ნოვგოროდ-ის მკვიდრთა ცხოვრებისა და ყოფის შესახებ. და რომ ასეთი გზით შეიძლება აღვადგინოთ მისი ისტორიის ბევრი ბუნდოვანებით მოცუ-ლი ფურცელი.

მას სურდა აღმოეჩინა ნოვგოროდში ახალი წერილობითი საბუთე-ბი. არსებობდა რაღაც ბუნდოვანი ცნობები იმის შესახებ, თითქოს რუსეთში, ჩრდილოეთ და ჩრდ.-დასავლეთ მიწებზე, საწერი ქაღალ-დის ნაცვლად ხმარობდნენ არყის ხის ქერქს.

თუმცა მაშინ თვალით არავის ენახა არც ერთი ძველი „არყის ხის ქერქის სიგელი". მაგრამ იქნებ იმიტომ, რომ ვერ მოასწრეს მათი ნახ-ვა? მაგალითად, წმინდა სერგეი როდონეჟსკის ცხოვრებაში ნათქვამი იყო იმის შესახებ, რომ „ნეტარი სერგის სავანეში წიგნები ქარტიებზე (ე. ი. პერგამენტზე — ა. ვ.) კი არ სწერია, არამედ არყის ხის ქერქზე".

ამასთან, განა ჩვენამდე არ მოაღწია ციმბირიდან თუნდაც უფრო გვიანდელი XVII-XVIII საუკუნის არყის ხის სიგელებმა? რატომ არ უნდა არსებობდეს უფრო ადრეული ხანისა?

...გათხრები თითქმის არც იყო დაწყებული, არციხოვსკის კი უკვე აშკარად ჰქონდა წარმოდგენილი ნოვგოროდის ძველი მოედნები, მისი ქუჩები, საცხოვრებელი სახლები, დუქნები, სახელოსნოები.

ეს ქუჩები აღნიშნული იყო ჯერ კიდევ ეკატერინესდროინდელ გეგმებზე, როდესაც ქალაქის გადაკეთების დროს ასწორებდნენ მის ქუჩებსა და „პროშპექტებს".

საკითხი ის იყო, გეგმები რამდენად შეესაბამებოდა უფრო ძველ დაგეგმარებას, ქალაქის ადრინდელ ტოპოგრაფიას.

ამის დადგენა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი გზით: გათხრების გზით.

მაგრამ არტემ ვლადიმერის ძემ მხოლოდ სამამულო ომის შემდეგ — და ისიც არა მაშინვე — შეძლო ნოვგოროდში არქეოლოგიური გათხრების გაშლა.

## 7.

„როდესაც 1951 წელს გათხრები განახლდა, — წერდა ა. ვ. არციხოვსკი, — ეჭვს აღარ იწვევდა, თუ სად გაგვეთხარა. წყალგაყვანილობის სამუშაოებზე დაკვირვება და ნოვგოროდის მუზეუმის მიერ 1932, 1941 და 1948 წლებში ჩატარებული პატარ-პატარა გათხრების შედეგების შესწავლა—ყველაფერი ერთსა და იმავეზე მიგვითითებდა: მცენარეული საგნები ნარვის ბოლოში უფრო კარგად ინახება, ვიდრე ნოვგოროდის სხვა რაიონებში. ამასთან კულტურული ფენის სისქემ და ქუჩების ფენილების სიუხვემ აქ უკეთესი შესაძლებლობები შექმნა".

გათხრებისათვის შერჩეულ იქნა დიდი უშენი ადგილი ახლანდელი წყნარი და ხალხმცირე დიმიტრის ქუჩის გასწვრივ.

ახლა მისი დიდი უბანი ღობით იყო შემოვლებული.

## 8.

ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ არქეოლოგები ნოვგოროდში დაბრუნდნენ ომის დამთავრებიდან მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ. მათი დახმარება, მათი ცოდნა საჭირო გახდა ადრეც, ფაშისტების მიერ დანგრეული ქალაქის აღდგენის დროს.

პირველი ომისშემდგომი გათხრები ნოვგოროდში დაკავშირებული იყო სარესტავრაციო სამუშაოებთან. ა. ლ. მონგაიტმა სოფიის ტაძრის იატაკი რომ გათხარა, მაშინ აღმოაჩინა ნოვგოროდის მფლობელის ვასილის სამარხი და დარწმუნდა, რომ დეტინცას — ნოვგოროდის კრემ-

ლის ცენტრში, როგორც მოსალოდნელი იყო, არავითარი, თითქმის არავითარი ძველი ნაგებობა არ არსებობდა, ხოლო 1947 და 1948 წლებში არციხოვსკიმ და ბ. ა. კოლჩინმა გათხარეს იაროსლავის სასახლის დასავლეთი ნაწილი. და, თავისდა გასაოცრად ნახეს, ფენილები, ამჯერად ქვის ვიწრო „ტროტუარები" კი არა, როგორც ადრე, არამედ ხის მთლიანი ფენილის ნაწილი. ასეთი ფენილის სამი იარუსი შემოინახა აქ ნოვგოროდის მიწამ: მათზე ოდესღაც იდგა ნოვგოროდის ათასობით მოქალაქე, რომელსაც ვეჩეს ზარი უხმობდა.

აქვე იქნა აღმოჩენილი რომელიღაც დიდი ხის სახლის — შესაძლოა იაროსლავ ბრძენის სახლის ნაწილიც.

მაგრამ ეს რა იყო იმასთან შედარებით, რაც მრავალი საუკუნე ელოდა არქეოლოგებს ნარევსკის ბოლოში.

## 9.

უკვე ორი კვირის შემდეგ, რაც აქ გათხრები დაიწყო, ექსპედიციაში მოხდა განსაკუთრებული შემთხვევა.

თუმცა მას არავინ არ გაუნაწყენებია. პირიქით: ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი იქნა არყის ხის ქერქის სიგელი!

...როდესაც 1951 წლის 26 ივლისს იპოვეს ეს ნანატრი, დიდხანს რომ იმალავდა თავს, არყის ხის ქერქის ნაჭერი მასზე ამოკაწრული ნიშნებით, თვით შორსმჭვრეტელმა მოწმეებმა თავდაპირველად ვერც გაიგეს, თუ რა უდიდესი აღმოჩენა მოხდა. ეს ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ზედიზედ იქნა აღმოჩენილი ახალი არყის ხის ქერქის სიგელები. ახლა ისინი ასობითაა აღმოჩენილი, მათ მიუძღვნეს უამრავი სტატია და წიგნები, მათ შესახებ ლაპარაკია სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში. ხუმრობა ხომ არ არის, წერილობითი წყაროების ახალი სახეობა, უამრავი ფასდაუდებელი ცნობა ყოფასა და მეურნეობაზე, ნოვგოროდელების პირად ურთიერთდამოკიდებულებაზე, დამწერლობასა და ენაზე — მთელი განძია დოკუმენტური მონაცემებისა, რომლებიც ახლებურად აშუქებენ ნოვგოროდის ისტორიაში ბნელით მოცულ მრავალ ადგილს!

მაშინ კი, დასაწყისში, მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიგელი იყო — არყის ხის ქერქის პატარა ნაჭერი, გაშავებული, დაგრეხილი, არაფრით რომ არ განსხვავდებოდა ასობით სხვა ასეთივე „ცარიელი" ზოლებისაგან, რომლებიც დაუსრულებლად ხვდებოდათ არქეოლოგებს.

სიგელებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ და ბედნიერებისაგან თვალებს არ უჯერებდნენ. ყველამ ნახა: ასოებია ეს თუ უბრალოდ ბზარები? განა ხშირი არ იყო 1947-შიც და 1948-შიც ცრუ განგაში?

...აქ, უდავოდ, იყო ასოები — გადღაბნილი, შერწყმული, მაგრამ მაინც ასოები. ერთი შეხედვითაც კი შეგეძლოთ სიტყვებისა და ფრაზების ამოკითხვა.

«Рафанова села шло поземудару 30 бел без дво, а с важных села 30 бел.»

საუკუნოდ დარჩება საბჭოთა, და განა მარტო საბჭოთა არქეოლოგიის ისტორიაში ეს მარტივი ტექსტი! შემდეგ ნოვგოროდში უფრო ბევრი და უფრო მნიშვნელოვანი სიგელები აღმოაჩინეს. მაგრამ პირველ სიგელს—არყის ხის ქერქის პატარა ნაჭერს, მასზე ამოკაწრული სლავური ასოებით, მილისებურად დახვეულს, არყის ხის ქერქის ნაჭერს. რომელსაც ფაქიზად შლიდნენ, თბილ სოდიან წყალში ალბობდნენ, ორ მინას შორის ათავსებდნენ, იხატავდნენ, სურათს უღებდნენ და სწავლობდნენ არქეოლოგები, — არასოდეს დაივიწყებენ.

## 10.

შეახეს თუ არა მიწას ბარისპირი დიმიტრის ქუჩაზე, არქეოლოგები XX საუკუნიდან ძალიან მალე აღმოჩნდნენ შუა საუკუნეების ნოვგოროდში.

პირდაპირ ფეხებქვეშ აღმოჩნდა აქ ხოლოპების ქუჩა—ქალაქის გაფურჩქვნის პერიოდის ქუჩა.

ის დაფარული იყო ხის მორებით.

ხის ფენილების მსგავსი იარუსები არქეოლოგებმა უკვე ნახეს ნოვგოროდში. მაგრამ არა ასეთი რაოდენობით.

ერთმანეთზე დაწყობილი ხის ოცდარვა ფენილი დაითვალეს მეცნიერებმა! და ყოველი ფენა, ყოველი იარუსი ამავე დროს ცხოვრების ამსახველი ფენაც იყო. იმიტომ რომ ქუჩის მომიჯნავე კარმიდამოს სამეურნეო ნაგებობანი, ხშირად სახლებით, ისევე აცოცხლებდნენ ფენას, დაახლოებით 25 წლით, როგორც ხის ფენილები.

წარსულის სიღრმეში სულ მცირე 700 წლით მიდიოდა გათხრები.

ნოვგოროდელების მრავალი თაობის შრომა და სიცოცხლე იგრძნობოდა სახლების საძირკვლების ამ ნაშთებში, სამეურნეო ნაგებობებში, ხის ფენილებით დაფარულ ეზოებში, აღმოჩენილ საოჯახო ჭურჭელსა და შრომის იარაღებში, ქალის ღრუ სამაჯურებსა და ქსოვილის ნარჩე-

ნებში, მთელ, მართლაც რომ უამრავ აღმოჩენებში, რაც საუკუნეების მანძილზე შემოინახა ნოვგოროდის მადლიანმა მიწამ. ახლა ისინი, თითქოს მობეზრებულნი მიწის ტყვეობიდან, განთავისუფლებას ელიანო, რაც უფრო გაიზრდება გათხრები, სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით შეხვდებიან არქეოლოგებს.

ცხოვრების შვიდმეტრიანი ფენა!

თვრამეტი — ოცი თაობა!

X-XVI საუკუნეების ფენილების იარუსები, სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების ძელურები მარტო ხოლოპების ქუჩაზე როდი აღმოჩნდა. არქეოლოგებს ბედმა გაუღიმათ: მათ მიერ გათხრილ უბანზე, როგორც მუშაობის მსვლელობის დროს გამოირკვა, იყო არა ერთი, არამედ ორი ძველი ქუჩა: ხოლოპების გარდა, კიდევ დიდი ქუჩა. შემდეგში კი იქვე ნახეს კიდევ ერთი — კუზმოდემიანსკაიას ქუჩა.

რამდენიმე წლის შემდეგ არციხოვსკიმ დაწერა: „ახლა უცნაურია გახსენებაც კი, რომ აგერ ახლახან ნოვგოროდის გათხრების მთავარ ამოცანად ავტორიტეტული ისტორიკოსები და არქეოლოგები თვლიდნენ მატიანემდელი ფენების შესწავლას. ნოვგოროდის უძველესი ფენების შესწავლა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ამ ქალაქის აღმოცენების პრობლემასთან დაკავშირებით. მაგრამ VIII და IX საუკუნეების ფენები ნოვგოროდში არ გვხვდება, მთელი რიგი მეცნიერების მოლოდინის საწინააღმდეგოდ და ქალაქის სახელის სრულიად შესატყვისად. X საუკუნის ფენები მდიდარია და ბევრი ძვირფასი აღმოჩენაც მოგვცეს მათ. მაგრამ უფრო გვიანდელი ფენები, დაწყებული XII საუკუნიდან, უფრო საინტერესოა. ისტორიკოსები და არქეოლოგები, რომლებიც თავის დროზე მატიანემდელი ნოვგოროდის ძიებას გვთავაზობდნენ, ამბობდნენ, რომ ვეჩესდროინდელი ნოვგოროდი ისედაც ცნობილია მეცნიერებისათვისო. მაგრამ ცნობილია ის არასაკმაოდ, წყაროები მეტად ფრაგმენტულია. ახლა ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ მისი კულტურის ისეთი მხარეები, რომლებიც სრულიად მიუწვდომელი იყო მეცნიერებისათვის“.

## II.

სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვათ მატიანემდელ ნოვგოროდზე.

1951—1953 წლებში ვ. ვ. სედოვმა დიდი გათხრები ჩაატარა პერი-

ნიში, ნოვგოროდიდან ოთხ კილომეტრზე, იქ, სადაც ვოლხოვი გამოდის ილმენის ტბიდან. მის სახელთან არის დაკავშირებული უნიკალური აღმოჩენა — მატიანეში მოხსენებული ერუნის ტაძრის პოვნა. მას გეგმაში ჰქონდა რვაფურცლიანი ყვავილის ფორმა. მის ცენტრში მდებარეობდა ძელურის საძირკველი: აქ იდგა პერუნის ქანდაკება, რომელიც მემატიანის სიტყვებით, 988 წელს, რუსეთის მონათვლის დღეს, ჩააგდეს ვოლხოვის წყალში.

ეს ნაგებობა მიეკუთვნებოდა IX საუკუნეს, როდესაც ნოვგოროდი ჯერ კიდევ არ არსებობდა.

მაშ სადღა მდებარეობდა ძველი ქალაქი, რომელთან შედარებითაც ნოვგოროდი მართლა ნოვგოროდი იყო?

ეს ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული. მ. კ. კარგერი, ეყრდნობა რა თავის 1934 წლის გათხრებს, ამტკიცებს, რომ ძველი ქალაქი უნდა ვეძიოთ ორ კილომეტრზე ვოლხოვის აყოლებით, ნაქალაქარზე. არციხოვსკი კი თვლის, რომ ძველი ქალაქის სახელის ყველაზე სარწმუნო პრეტენდენტს წარმოადგენს ძველი ლადოგა, რომელიც მდებარეობს ვოლხოვის ქვემო დინებაში: გათხრებმა გვიჩვენა, რომ ის აღმოცენდა არაუგვიანეს VII საუკუნისა, ხოლო ორი საუკუნის შემდეგ უკვე ნამდვილ ქალაქს წარმოადგენდა. არსებობს სხვა კანდიდატურებიც — ვთქვათ, ძველი რუსა: გათხრები აქ ჩატარდა, მაგრამ უმნიშვნელო, ამიტომაც ძნელია თქმა, რამდენად სერიოზულია მისი შანსები წარმოადგენდეს ძველ ქალაქს.

თუმცა, ნოვგოროდი, სხვა ქალაქებთან „რუსული ქალაქების დედასთან“ — კიევთან შედარებითაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც „ახალი ქალაქი“. განა არ იყო დრო, როდესაც, როგორც აკადემიკოსი ბ. ა. რიბაკოვი წერს, „პატარა ქალაქი ვოლხოვზე კიევის მხოლოდ შორეული ფაქტორია იყო“. ცნობილია ისიც, რომ პერუნის კერპი დადგმულ იქნა კიევის მთავრის ბრძანებით.

...იმავე ნარევსკის გათხრებში, უძველესი ფენების ქვეშ, მატერიკში ამოთხრილ ორმოში არქეოლოგებმა იპოვეს სხვადასხვა ზომის ცხრა ხის ფიალა. შვიდი ფიალა ეწყო სწორ ნახევარწრეზე, ორი—ცენტრში. გვერდით თაფლის სანთლის ორი დიდი ნაჭერი იდო. X საუკუნის დასაწყისში აქ დასახლებული დიდი ოჯახების ცხრა უფროსმა მსხვერპლი შესწირა; ფიალები დააწყვეს გვერდზე ისეთი გაანგარიშებით, რომ ფიალების შიგთავსი გადმოღვრილიყო. შემდეგ ორმოს მიწა მიაყარეს.

ეს არის ნოვგოროდში ადგილობრივი მოსახლეობის ჯერჯერობით აღმოჩენილი უძველესი ნაკვალევი..

ყველა დანარჩენი უფრო გვიანდელ საუკუნეებს მიეკუთვნება.

## 12.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით ნოვგოროდის გათხრებზე. მაინც როგორ გამოიყურებოდა ისინი? აი რამდენიმე ციფრი. 1951 წელს გათხრები შედარებით პატარა იყო, მოიცავდა 324 კვადრატულ მეტრს. მომდევნო წელს მისი ფართობი გაიზარდა ათას ხუთასი კვადრატული მეტრით. შემდეგ კიდევ ათას ხუთასით, კიდევ და კიდევ. ხოლო 1951 წლიდან 1962 წლის ჩათვლით სულ 7 მეტრი სიღრმის 10 ათასი კვადრატული მეტრი გულდაგულ, ნამცეც-ნამცეც გადასინჯეს არქეოლოგებმა. ნამცეც-ნამცეც იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ აღმოჩნდებოდა ყველა ის რამდენიმე ასეული არყის ხის ქერქის სიგელი, რაც დღეს ჩვენი ისტორიული მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენს. კიდევ იმიტომ, რომ დიდნაგებობათა გარდა — შენობების საძირკვლები, ფენილები, წყალსარინი მილები, უამრავი მძივები, ლურსმნები თავის დროსა და ჟამს ელოდნენ და არ შეიძლებოდა მათი ხელიდან გაშვება.

ნიჩაბი აქ უმრავლეს შემთხვევაში მეტად უხეში იარაღი იყო. არქეოლოგები უფრო დანებით მოქმედებდნენ. თუ ამასთან იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაჩხრეკილი მიწა ბლომად ხვავდებოდა, იმიტომ რომ ყველა უბანი ახლოს იყო ერთმანეთთან, — ნათელი გახდება რა ძნელი იყო სამუშაოს ორგანიზება.

თუმცა, დამუშავებული მიწის გამოსატანად შესანიშნავ ხერხს მიაგნეს: მიწა (სხვათაშორის, პირველად საბჭოთა არქეოლოგიაში) გაჰქონდათ ტრანსპორტერებით. ა. ვ. არციხოვსკის თქმით, შრომის დანაკარგს ეს დაახლოებით 20-ჯერ ამცირებდა.

...წლითიწლობით, საუკუნიდან საუკუნემდე მაღლა იწევდა ნოვგოროდის ნიადაგის დონე. ახლა არქეოლოგები მოგზაურობდნენ ამ საუკუნეებში და უკან-უკან მიდიოდნენ.

ჯერ მუქი ნაცრისფერი ფაშარი ნიადაგის ფენაა, მასში კი დამტვრეული აგური, წყვილძარღვი და ნაცრის ჩანაწინწკლები, დანახშირებული ხეები, გამომწვარი ძვალი და ნახშირია. ეს შედარებით ახალი, XVII, XVIII საუკუნის ფენაა. აქ შეიძლება ნახოთ რკინის საგნე-

ბი და თიხის ჩიბუხი, სააფთიაქო ჭურჭელი და სპილენძის მონეტები. შემდეგ მკვრივი, ალაგ-ალაგ შავი, ალაგ-ალაგ მუქი ყავისფერი ფენაა. აქ უკვე ხეც გვხვდება. ის მიეკუთვნება XV—XVI საუკუნეებს.

ქვემოთ იწყება XIV საუკუნე. ზედა ფენილების იარუსები, კარმიდამოს, სახლების, ფარდულების ნაშთები, ათი ათასობით ნამტვრევები და დაუზიანებლად შემონახული ჯამები, ფიალები, ციცხვები, კოვზები, იარაღების ნაშთები — ნოვგოროდული წარმოების საგნები, ნოვგოროდელთა განუყრელი ნივთები.

...ალბათ გახსოვთ, ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ომამდელ წლებში სლავნაზე აღმოაჩინეს XII—XIV საუკუნეების მეწაღის ერბო-კარაქისა და სათამაშოების ოსტატის სახელოსნოები. ეს მხოლოდ პირველი მერცხლები იყო.

რასაკვირველია, გათხრებს რომ იწყებდა, არტემ ვლადიმერის ძე არციხოვსკიმ იცოდა, რომ ნარევსკის ბოლო მჭიდროდ იყო დასახლებული ხელოსნებით. მაგრამ სინამდვილემ ყველაზე გაბედულ მოლოდინს გადააჭარბა.

აღმოჩენილ იქნა XI—XV საუკუნეების სახელოსნოების ნაშთები (დაბაღების, მეწაღეების, ჯავაირჩების, ძვლის ოსტატების სახელოსნოები) და რაც უფრო მნიშვნელოვანია, — უამრავი ოდენობა იარაღებისა და ხელოსნების პროდუქციისა.

## 13.

რასაკვირველია, ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ისტორიკოსებს ეჭვი ეპარებოდათ ძველ ნოვგოროდში ხელოსნობის არსებობაში. მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც გაცხარებულად დაობდნენ, თუ მაინც როგორი ქალაქი იყო შუა საუკუნეების ნოვგოროდი: ხელოსნური, სავაჭრო თუ ადმინისტრაციული? და ბევრი პატივცემული მეცნიერი იმ აზრს ადგა, რომ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, იყო სავაჭრო და ადმინისტრაციული.

— განა ის ვარიაგებიდან ბერძნებისაკენ მიმავალ გზაზე არ მდებარეობდა? — კითხულობდნენ ისინი. — განა შედარებით გვიან საუკუნეებში ნოვგოროდი, ჩრდილო-დასავლეთი რუსეთის საშინაო ვაჭრობის მთავარი ცენტრი და ევროპის აღმოსავლეთში ჰანზის ვაჭრობის ბოლო პუნქტი არ იყო? განა ნოვგოროდიდან არ გაჰქონდათ რუსული საქონელი ევროპის ყველა დანარჩენ რაიონში და ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთი რუსეთი ნოვგოროდში შემოტანილი უცხოური საქონლით არ მარაგდებოდა?

და ისინი არ ცდებოდნენ: ნოვგოროდი მართლაც ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. სხვათა შორის, ეს დაამტკიცა არქეოლოგიურმა გათხრებმაც, რომლებმაც მოგვცა ახალი მასალა, კერძოდ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვერცხლის მონეტები, რომლებმაც გააფართოვა და დააზუსტა ჩვენი წარმოდგენა ნოვგოროდის საშინაო ვაჭრობაზე.

მაგრამ, როგორც ახლა გამოირკვა, ნოვგოროდი პირველ ყოვლისა იყო ხელოსნური ქალაქი, ხელოსნური წარმოების უმსხვილესი ცენტრი. ორასამდე ხელოსნური პროფესია ითვლებოდა XII—XIV საუკუნეების ნოვგოროდში!

აქ იყვნენ მჭედლები, ოქროსა და ვერცხლის ოსტატები, მეთუნეები, დურგლები, ქვისმთლელები და ბევრი სხვა.

მარტო ხუთი წლის მანძილზე (1951—1955) ნარევსკის გათხრებში ხის, ძვლის, ტყავის, თიხის, მინის, ქვის. ფერადი ლითონის, ტყავისა და სხვა მასალის უამრავ ნაკეთობათა შორის აღმოჩენილ იქნა შავი ლითონის ათი ათას საგანზე მეტი. მათ შედარებით კარგად შენახვას ხელს უწყობდა ნოვგოროდის ნიადაგის ჭარბი ტენიანობა. ნიადაგში მოხვედრილი რკინა იფარებოდა ჟანგის თხელი ფენით. საკმარისია ზედაპირი გაიწმინდოს რომ XI საუკუნის დანამ დაიწყოს გაჭრა, ნაჯახმა — ჩეხვა, ბურღმა — ბურღვა.

...ახლა შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს: ლითონს (ის კი ცოტა როდი სჭირდებოდა ნოვგოროდის რკინასაკეთებელ ხელოსნობას) აწარმოებდნენ ძირითადად გლეხი-მეტალურგები ნოვგოროდის ვრცელ მიწაზე.

რკინის ნაწილი რჩებოდა სოფელში ადგილობრივი მჭედლების საჭიროებისათვის. მათ იცოდნენ მისი ჭედვაც და შედუღებაც.

მაგრამ რკინის უმეტესი ნაწილი ქალაქში მიდიოდა. აქ უფრო რთული ხერხებით ხდებოდა მისი დამუშავება. და ისეთ ნაწარმს ამზადებდნენ, როგორის გაკეთებაც სოფლის ოსტატებს ყოველთვის არ შეეძლოთ.

ნოვგოროდის სახელოსნოებში იყენებდნენ მძიმე საგნებსაც და პატარა სამჭედლო ჩაქუჩებსაც, სხვადასხვა ზომის მარწუხებსა და სახვრეტებს, ლითონის საჭრელ ღოჯებსა და ლურსმნის თავების გამოსაჭედ ხელსაწყოებს, ქლიბებსა და საკვეთებს...

მარტო მჭედლების თხუთმეტ სპეციალობას ითვლიდნენ ნოვგოროდში: მედანეები, მენაჯახეები, მეიარაღეები, მეჯავშნეები, მეისრეები, მელურსმეები, მენემსეები, მექინძისთავეები...

და უნდა ითქვას, რომ შესანიშნავი ხარისხის იყო აღმოჩენილი ნამგლების, ცელების, ნაჯახების, საჭრელებისა და სხვადასხვა საუკუნის შრომის იარაღების უამრავი სახეობის უმეტესობა. ნოვგოროდელმა ხელმარჯვე ოსტატებმა შესანიშნავად აითვისეს ტიხრული მინანქრის დამზადების რთული ტექნიკა. არა, ტყუილად კი არ ეწოდებოდა ნოვგოროდის „ბოლოებს" — რაიონებს — მეთუნეობის, სადურგლო, ხოლო ქუჩებს — მჭედლების, სამკერვალოს, სადაბაღოს სახელი. სხვათა შორის ნოვგოროდში ქალამნებს არ ატარებდნენ. სამაგიეროდ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უამრავი ტყავის ფეხსაცმელი, რომელიც გამოირჩეოდა მოხდენილობით და ფაქიზი დამუშავებით.

დიახ, ნოვგოროდი არ წარმოადგენდა უცნაურ გამონაკლისს შუა საუკუნეების მსოფლიოს ქალაქებს შორის. ევროპისა და აზიის მრავალ სხვა დიდ ქალაქთა მსგავსად ის იყო ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ცენტრი.

ეს გახლავთ არქეოლოგების დასკვნა.

და კიდევ: სიგელებიდან ამოკრეფილმა ცნობებმა დაადასტურეს, რომ ნოვგოროდს მართავდნენ არა „მდიდარი სტუმრები", არა ვაჭრები, არამედ მიწათმფლობელი ბოიარები. მათ ეკუთვნოდა ნოვგოროდის ვრცელი მიწები, ესენი იყვნენ რაბათის, მხედართმთავრების, გამგებლების ნაცვლები. უბრალო ბოიარებს ეჭირათ სახელმწიფო თანამდებობები. ისინი იყვნენ ხელისუფლების სათავეში.

აი ერთი დამახასიათებელი დეტალი. არციხოვსკის ექსპედიციის მიერ გათხრილი ნოვგოროდელი იური ონციფოროვიჩის სახლის ქვის საძირკვლის ახლოს ნაპოვნი იქნა რვა სიგელი. ყველა ისინი ეხება მიწათმოქმედებას და ერთ-ერთ მათგანში გლეხები ბრალს დებენ მეკუჭნავეს, ანუ ბოიარის მამულების მოურავს, გამოძალვასა და დატაცებაში...

## 14.

ვოლხოვის მარცხენა ნაპირზე იდგა დეტინეცი — კედლებით გარშემორტყმული ნოვგოროდის კრემლი, რომელიც შორიდან ჩანდა ყოველის მხრიდან. მის ცენტრში აღმართული იყო ოქროს გუმბათით და-

გვირგვინებული მთავარი ტაძრის — ნოვგოროდის სოფიის თოვლივით ქათქათა შენობა და ექვთიმეს სამრეკლო — კოშკი, ქალაქის საათით. ზოგიერთი ქუჩა ვოლხოვს პარალელურად მიჰყვებოდა, ზოგი კი მდინარისაკენ ჩადიოდა. ორივე ნაპირი მჭიდროდ იყო დასახლებული, ხოლო მდინარეზე გადებული იყო ცნობილი დიდი ხიდი...

ქუჩები და მოედნები დაფარული იყო ხეფენილებით. რომელთა სიგანე X—XI საუკუნეებში 2—2,5 მეტრი იყო, ხოლო შემდგომ საუკუნეებში — 3, 5,4, და 6 მეტრიც კი, მაგარი გვერდულა ზღუდეებით. ხეფენილებს ყოველწლიურად შეაკეთებდნენ ხოლმე. ყოველ 20—25 წელიწადში ხეზე ახალს დააფენდნენ ხოლმე!

ქუჩებზე გამოდიოდა მხოლოდ სახლების, სახელოსნოების, საზოგადოებრივი შენობების ფასადები. მაღალ ტაძრებს გარს ეკრა საკარმიდამო ეზოები.

ნოვგოროდელები მტკიცე, გამძლე სახლებს იშენებდნენ, ამკობდნენ ბათ ჩუქურთმებით. მიწის ნაკვეთს ხალვათად იყენებდნენ. სახლები ჩვეულებრივ ორსართულიანი იყო: ზედა საცხოვრებელი, ქვედა პალატი, გრილი;. აქ ინახავდნენ საოჯახო მარაგს, ქონებას, სხვადასხვა ჭურჭელს. ღუმელების ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვედა სართულებიც ზოგჯერ თბებოდა.

ხუთკედლიანი სახლები, რომლებსაც ხის იატაკი, ხოლო საცხოვრებელ ოთახებში ფანჯრები ჰქონდა, მოხერხებული და მაგარი იყო. მათ მაღალ დამრეც სახურავს თევზის ქერეჭისნაირი მუხის ყავარი ფარავდა. ნოვგოროდელები ნაუშებით — უცნაური წნულებით რთავდნენ არა მარტო სახლებს, არამედ მოხმარების საგნებსაც. ფიალები, კოვზები, საკარცხლები, დანის ტარები, ფეხსაცმელი, ქამრები, ჩანთები, ქისები — ყველაფერი სახეებით იყო მოხატული. თითისტარებიცა და საბავშვო ციგებიც კი.

ექსპედიციამ ნოვგოროდში აღმოაჩინა მარცვლოვანთა სხვადასხვა ჯიშები. X საუკუნეში ნოვგოროდელებმა ძირითადად იცოდნენ ფეტვი. ჭვავი ერთი საუკუნით გვიან გაჩნდა, ხოლო გაბატონდა კიდევ ერთი საუკუნის შემდეგ. საინტერესოა, რომ ჭვავის გავრცელება მრავალმინდვრიანობაზე გადასვლასთან იყო დაკავშირებული.

ჭვავი იყო საშემოდგომო კულტურა. ხორბალი—საგაზაფხულო, მაგრამ ის შედარებით მცირე იყო. ყოველ შემთხვევაში, მისი მარცვლები მნიშვნელოვანი რაოდენობით ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ბოიარის ეზოში აღმოაჩინეს.

ადრე ფიქრობდნენ, სამყოფი პური ნოვგოროდის მიწაზე ცოტა მოდიოდა. ეს არ არის სწორი: სარეველები გათხრების დროს აღმოჩენილ მარცვლოვნებში — საკუთარია, ნოვგოროდული.

მაშასადამე თავს საკუთარი პურით იკმაყოფილებდნენ.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ ნოვგოროდში ნაპოვნი თერთმეტი სახნისიდან ცხრა სრულიად ახალი იყო, მოქალაქეები კი არა ხნავდნენ იმით, არამედ გასაყიდად ამზადებდნენ. პურს თესდნენ გლეხები. ამას მოწმობს ქალაქში გათხრების დროს მოპოვებული ნამგლების ნატეხების მცირე რაოდენობა. სამაგიეროდ ბევრი ცელი იქნა ნაპოვნი. მაშასადამე ნოვგოროდელი მოქალაქეები დაინტერესებული იყვნენ თიბვით.

კიტრს, ალუბალს ნოვგოროდში ჯერ კიდევ X საუკუნეში იცნობდნენ.

და, რა თქმა უნდა, ნოვგოროდელების სუფრას ამშვენებდა თევზი. მას ბადეებით იჭერდნენ.

...ლურჯი და განიერი მდინარე, ჩრდილოეთის გამჭვირვალე ცა, თოვლივით ქათქათა უზარმაზარი ქვის ტაძარი, წვეტიანი ხის სახლები, გარშემორტყმული მაღალი სიპი კედლებით, ხეხილის ბაღები, ხისა და ქვის ეკლესიების უამრავი გუმბათი... სამოცდაათზე მეტი იყო ისინი ნოვგოროდში. ზოგი, სულ პატარა, უბრალო — ხელოსნების გაერთიანებათა ცენტრს, გარკვეული წრისათვის, თანაბრი უფლებების მქონე აღამიანებისათვის განკუთვნილ ეკლესიას წარმოადგენდა. მათ რიცხვში იყო ვაჭართა გაერთიანებების ეკლესიებიც. არ უნდა დაგვავიწყდეს: ნოვგოროდელი ვაჭრები — სავაჭროდ ზღვისიქითა ქვეყნებშიც კი მიდიოდნენ. თავისი სწრაფმავალი ხომალდებით ისინი მიდიოდნენ ბალტიკაში, სერავდნენ ცივ თეთრ ზღვას. მათ იცნობდნენ ვოლგასა და პეჩორაზე, ლიუბეკსა და ჰამბურგში.

ხალხმრავლობა და ხმაური იყო ყოველთვის ნოვგოროდის დიდ სავაჭრო მოედანზე: მთელი დღე გაცხოველებული ვაჭრობა იყო საკუთარი და შემოტანილი საქონლით. გახსოვთ, როგორ იკვეხნიდა სადკო, შეესყიდა მთელი ნოვგოროდის საქონელი, მაგრამ ვერ შეძლო?

სავაჭრო მოედანზე ხელოსნებსაც გამოჰქონდათ თავისი ნაწარმი.

ბუნებრივია, რომ საქონლის გადატანის და თევზის რეწვისათვის ნოვგოროდში ბევრ ხომალდს აგებდნენ. სტუმარ-მეზღვაურებზე, მეწამულ ხომალდებზე, თხელი ტილოს აფრებით რომ დასრიალებდნენ ილმენის ტბაზე, მდინარე ნევასა და ლადოგის ტბაზე მღეროდნენ ნოვგოროდულ ბილინებში.

კარგად შენახული დიდი ხომალდები ექსპედიციამ ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინა. მაგრამ სათევზაო ნავი კი ნახა. იპოვეს აგრეთვე დიდი ხომალდის ნიჩაბი, უამრავი ჩვეულებრივი შპანჰოუტი და ნავის რკინის კავები.

არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დიდი ხომალდის ცხვირიც.

...რკინის ნაკეთობანი, შუშის ნაკეთობანი, ქსოვილი, უამრავი ხის ბლოკი, გორგოლაჭები, სხვადასხვა საკისრები, საქსოვი მაქოები; მრავალრიცხოვანი ბეჭდები, ზესადებები, ქამრები, სავარცხლები, ამოღებული ექვსი-შვიდი საუკუნის შემდეგ მას მერე, რაც მით სარგებლობდნენ ნოვგოროდის მცხოვრებლები; თევზის ფორმის სამართებლები, სახელოსნო სასწორები, ჩოგანბურთის სათმაშო ტყავის ბურთები, ჭადრაკის ფიგურები, რომლითაც შეიძლება თვით სადკოც კი თამაშობდა, ტყავის ნიღაბი თვალის ჭრილებით და, რაღა თქმა უნდა, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები — ყველაფერს ამას და ბევრ სხვას დღეს საფუძვლიანად სწავლობენ და განაზოგადებენ არქეოლოგები.

სწავლობენ ყველაფერს, რაც გაზრდის ჩვენს წარმოდგენას ნოვგოროდელთა მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

## 15.

რა თქმა უნდა, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მკვლევარებს ყველაფერი ადვილად მოსდიოდათ: იპოვა, შეხედა და მაშინვე იცნო. დავა ზოგჯერ არქეოლოგებთანაც გააფთრებულია, ისევე როგორც სხვა სპეციალობების მეცნიერებთან. აქაც, საბოლოო ჯამში, ყოველთვის ფაქტები წყვეტენ საკითხებს.

თუ ჰიპოთეზა ეწინააღმდეგება ფაქტებს, მას უკუაგდებენ.

ასე დაემართა ერთხელ არტემ ვლადიმერის ძე არციხოვსკის. მას ძალიან უნდოდა დაეჯერებინა, რომ ნოვგოროდში, მისი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ჭის გვიმი XI საუკუნის წყალგაყვანილობის სისტემის სამზერი ჭაა. აქვე იქნა აღმოჩენილი ხის მილები. მეცნიერმა დაასკვნა: წყალი შემოდიოდა რამდენიმე მილით, შემდეგ კი უფრო დიდი დიამეტრის თითო მილით გზას განაგრძობდა.

ბევრი მხარს უჭერდა არციხოვსკის, მაგრამ ის შეცდა. სისტემა სულაც არ იყო წყალგაყვანილობისა. ეს დამტკიცდა შემდგომი გათხრების დროს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნოვგოროდი ჭაობიან ადგილას მდებარეობს. ეს მეტად ხელსაყრელია არქეოლოგებისათვის. ტენიან ნიადაგში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, უკეთესად ინახება ხე და ლითო-

ნიც კი, მაგრამ ეს ნამდვილად მცხოვრებლების დიდ გარჯასა და შრომას მოითხოვდა. და, როგორც ჩანს, ტყუილად არ დაიწყეს ნოვგოროდელებმა თავისი ცნობილი ხეფენილების დაგება უკვე X საუკუნიდან. ფენილები ქუჩებზე, გასასვლელებზე, ეზოებში, ქვეითად სასიარულო გზებზე, ქალაქის ყველა ნაწილში — სოფიისა და სავაჭრო მხარეზეც — გავრცელდა პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ საჭირო იყო თავი დაეცვათ წყლისაგან. და, რა თქმა უნდა, ტალახისაგან.

წყალი ავსებდა სარდაფებს, აფუჭებდა საქონელს და სურსათის მარაგს ბეღლებსა და საწყობებში. ნოვგოროდის მიწა ღრუბელივით ისრუტავდა გრუნტის წყლებს და დიდხანს ინახავდა ტენს.

და არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ მოქალაქეები ეძებდნენ თავდაცვის საშუალებას წყლის გამუდმებული მოვარდნებისაგან.

ხეფენილები ნაწილობრივ იცავდნენ ტალახისაგან. მაგრამ ისინი ვერ დაიცავდნენ და არც შეეძლოთ დაეცვათ ბეღლები და სახლები წყლისაგან. საჭირო იყო რაღაცის გამოგონება. ასე გაჩნდა მახვილგონივრული და უბრალო სადრენაჟო სისტემა.

თუჯისა და თიხის მილები აქ მაშინ არ იცოდნენ, მაგრამ ხეს ნოვგოროდელები კარგად იცნობდნენ: სხვა რომ არაფერი, ირგვლივ ტყეები საკმაოდ იყო.

აკეთებდნენ ასე: მოჭრიდნენ ხეს, აცლიდნენ მას ტოტებს და ნუჟრებს, აპობდნენ ძელებს სიგრძეზე, შემდეგ ორივე ნახევარს ამოაცლიდნენ გულებს, აერთებდნენ მათ — და გამოდიოდა მილი.

მილს ადგამდნენ მეორე ასეთსავე მილს და ახვევდნენ ლაფანს, როგორც საიზოლაციო ლენტს, უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე ფენას. და აკეთებდნენ ამას არა იმიტომ, რომ დაეცვათ წყალი გაბინძურებისაგან, როგორც ადრე ვარაუდობდნენ „წყალგაყვანილობის“ თეორიის დამცველი მკვლევარები. ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: მილები არ უნდა გაჭუჭყიანებულიყო: ნოვგოროდში, მათ შორის იაროსლავის სასახლეში აღმოჩენილი მილების, ღარებისა და მათთან ერთიან სისტემაში დაკავშირებული ჭების ჭეშმარიტი დანიშნულება იყო წყლის არინება. ყველა ისინი— ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, — წერს ნოვგოროდის ექსპედიციის ამ სისტემების სპეციალურად შემსწავლელი ა. ფ. მედვედევი, — წარმოადგენენ სხვადასხვა წყალსარინი სისტემის შემადგენელ ნაწილებს... ცალკეულ შემთხვევებში ჭის წყალი შეიძლებოდა გამოყენებულიყო ხანძრის ჩასაქრობად (სიტყვამ მოიტანა და ხანძრის შესახებ ხშირად იხსენიებენ მატიანეებში. — ა. ვ.) და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის. მაგრამ არამც და

არამც სასმელად და საჭმლის მოსამზადებლად. ჭების აბსოლუტური უმრავლესობა წყალსარინ სისტემაში ზემოდან მჭიდროდ დახურული იყო მორებით და არყის ხის ქერქებით, ზემოდან მიწა ჰქონდა მოყრილი".

ფაქტებმა მკვლევარები აიძულეს გადაეხედათ ჰიპოთეზისათვის. ამაზე, რა თქმა უნდა, არავის არ სწყდებოდა გული, ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია! ანდა, მაგალითისათვის ავიღოთ საკითხი ამა თუ იმ არყის ხის ქერქის სიგელების განმარტების შესახებ. სიმართლე რომ ვთქვათ, ზოგჯერ ამ სიგელების არა მარტო გაგებაა ძნელი, არამედ წაკითხვაც. ძნელია იმიტომ, რომ დაწერილია ისინი ძველ რუსულ ენაზე, და დაწერილი კი არა, ამოკაწრულია ყოველგვარი სასვენი ნიშნების გარეშე, ხშირად ნება-უნებლიეთ გამოტოვებულია ასოები ან სიტყვები. ძნელია იმიტომაც, რომ ყოველთვის არ არის ნათელი ცალკეული სიტყვებისა და მთელი ჩანაწერის აზრიც კი. ძნელია იმიტომ, რომ ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტები ხშირად ამოგლეჯილია უფრო ვრცელი ტექსტიდან.

ამის გამოა ზოგჯერ სხვადასხვაგვარი წაკითხვა და დავაც!

რადგანაც ჩვენ კვლავ დავუბრუნდით არყის ხის ქერქის სიგელებს — ნოვგოროდის ექსპედიციის სიამაყეს, — მინდა რამდენადმე დაწვრილებით გიამბოთ ამ „ნოვგოროდულ პაპირუსებზე".

...მათგან უფრო გვიანდელი, როგორც წესი, ზემოთ აწყვია, უფრო ადრინდელი — ქვემოთ. ისინი გაბნეულია დიდ მოედანზე, გვხვდება სულ სხვადასხვა იარუსებში.

თუ ეს არქივია, ის იქმნებოდა თავისთავად საუკუნეთა განმავლობაში. მისი ექსპონატები—მრავალ თაობათა საქმიანობის შედეგია.

დაკარგული. გადაყრილი, დახეული ქაღალდები... რა ბედნიერებაა, რომ რუსეთში გამოგონებული იყო ასეთი „ქაღალდი!" და რა ბედნიერებაა, რომ წერა-კითხვის მცოდნენი რუსეთში—ყოველ შემთხვევაში ნოვგოროდში — გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ რაღაც ოცდახუთიოდე წლის წინათ!

## 16.

მართლაც, განა დიდი ხანია, რაც წერილობით და ზეპირად ამტკიცებდნენ, რომ ძველ რუსეთში წერა-კითხვა, უკეთეს შემთხვევაში, მღვდლებმა და თავადებმა იცოდნენო?

მაგრამ ნოვგოროდში აღმოჩნდა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა წრე უფრო დიდი იყო. წერა-კითხვის მცოდნე იყო დურგალი, რომელმაც XIV საუკუნეში ციფრით აღნიშვნა გაუკეთა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ძელურ მორს. წერა-კითხვის მცოდნე იყო ძელაკის მფლობელი, რომელმაც დაწერა: „ძელაკი სიმონ ალექსანდრეს ძისა". ისინიც, ვინც კასრის სახურავს დააწერეს: „იურიშჩინა", ე. ი. ეკუთვნის იურის და „ლინი".

მაგრამ ყველაფერი ეს უფერული ხდება არყის ხის ქერქის სიგელებთან ძვლის წვერწამახული ღეროთი (რომელსაც ჰქონდა როგორც აღმოჩნდა, ქამარზე შესაბმელად სპეციალური ნახვრეტი) რბილ ქერქზე ამოკაწრული ჩანაწერებით.

ეს იმას მოწმობს, რომ ბევრმა იცოდა წერა-კითხვა ნოვგოროდში უკვე X საუკუნიდან! იცოდნენ არა მარტო ბოიარებმა, არამედ ვაჭრებმაც, სმერდებმაც, ხოლოპებმაც, მეომრებმაც და ხელოსნებმაც. და მართლაც, ძნელია აუღელვებლად წაიკითხო ოცი წლის წინათ XIII საუკუნის ფენაში აღმოჩენილი არყის ხის ქერქის ზოლები — ნოვგოროდელი მცირეწლოვანი მოსწავლის ანთიმოზის სასკოლო (იქნებ საშინაო) დავალებები, რომლებსაც არტემ ვლადიმერის ძე ორეხოვსკიმ „სასწავლო რვეული" უწოდა.

მას გულმოდგინედ, ზუსტი თანმიმდევრობით, ზოგან ეშლებოდა კიდეც, ამოკაწვრით გამოჰყავდა ანბანის ასოები. როდესაც მობეზრდებოდა „ანი" და „ბანის" წერა, — ხატავდა. ისევე, როგორც ამას აკეთებენ და აკეთებდნენ ყველა დროის მოსწავლეები.

ერთ-ერთ სურათზე ის გამოხატავს კუდაპრეხილ რაღაც ოთხფეხა ზღაპრულ ცხოველს. რომ ეპვი არ შეპარვოდათ. თუ რა დახატა, იმდენად კარგად იცოდა წერა-კითხვა, რომ ზემოთ კუთხეში მიაწერა: „ეს არის ცხოველი". აი მეორე ნახატიც: ბრძოლა. სამი მხედარი მთელი სიჩქარით მიაჭენებს ცხენებს. მიქრიან ისრები. ცხენების ფლოქვებში ყრია გართხმული დახოცილები.

კიდევ ერთი ნახატი: ორი მეომარი ძველი რუსული წვეტიანი მუზარადით.

აღმოჩენილია ასეთი ნახატიც: მხედარი შუბით გმირავს დაცემულ მტერს. ცხენი ოდნავ ჩამჯდარა უკანა ფეხებზე, წინა ფეხები ოდნავ მუცელთან აუკეცია.

რა თქმა უნდა, ნახატები პირობითია, რასაკვირველია, არყის ხის

ქერქის ნაჭრები არ არის კარგი მასალა ხატვისათვის. მაგრამ დეტალები დაჭერილია ბავშვებისათვის დამახასიათებელი დაკვირვებით და მიუხედავად არასრულყოფისა, გადმოცემულია ზუსტად. ამის მაგალითია არქეოლოგების გულის გამხარებელი მუზარადები: ისინი აბსოლუტუ-



მარცხნივ — არყის ხის ქერქის კოლოფის ფსკერი მასზე დაწერილი ანბანის ასოებითა და მარცვლებით (შიდა მხარე); მარჯვნივ — იმავე ფსკერის გარეთა მხარე „მხეცის“ გამოსახულებით.

700 წლის წინათ ნოგორტელი ბიჭის, ანთიმოზის მიერ დაწერილი „რვეულის“ ფურცელი.

რად სწორადაა დახატული. და კვლავ ვარჯიში: „ან, ბან, გან, დონ...“, XX საუკუნემდე მოღწეული წერა-კითხვის სწავლების დამარცვლით ხერხს ფესვები დროთა სიღრმეში აქვს გადგმული.

რამდენი წლისაა ანთიმოზი? ალბათ ექვსი-შვიდის, მეტის არა, თუ ვიმსჯელებთ იმ ბატიფეხურით, რომლითაც მას არყის ხის ფურცლები აუჭრელებია.

რა გამოვიდა ის, რომ გაიზარდა: მხატვარი, ქვისმთლელი ოსტატი, მჭედელი თუ მეომარი? სიბერემდე იცოცხლა, თუ ახალგაზრდობაშივე თავი დასდო ნოვგოროდელი მეკობრეების გმირულ ლაშქრობებში ზღვასა და ოკეანეზე, პოლარული წრის იქით? ვინ იცის! ჩვენთვის ის დარჩა ანთიმოზ ბიჭად, მცირეწლოვან წერა-კითხვის მცოდნედ, რომელიც აგრერიგად ჰგავდა სწავლასა და ცელქობაში ჩვენს თანამედროვე ბიჭუნებს.

...ხუთი საუკუნის შემდეგ, XVI საუკუნეში მოსკოვში კრებაზე ასთავის მამები, წერა-კითხვის მცოდნეთა ნაკლებობაზე რომ წუწუნებდნენ, — წერდნენ: „პირველად სასწავლებლები იყო რუსეთის სამეფოს მოსკოვშიც და დიდ ნოვგოროდშიც და სხვა ქალაქებშიც, ბევრმა იცოდა წერა და სიმღერა და ანგარიში, იმიტომაც მაშინ ბევრი წერა- კითხვის მცოდნე იყო“.

## 17.

ეს, მართლაც, გასაოცარია: გავიდა საუკუნეები და არყის ხის ქერქის პატარა ნაჭერი როდი დალპა, ფერფლად როდი იქცა. წაკითხული და დაუდევრად გადაგდებული, — ჩვენც ხომ ზოგჯერ აგრე ვიქცევით, — გადარჩა მიწაში, ჩაფლული ტალახში, თიხაში. თითქმის ექვსასი წელი გავიდა, სანამ მიწის ტყვეობიდან გაანთავისუფლებდნენ ჰას სულ სხვა ეპოქის ადამიანები. მათ გაშალეს წერილი და წაიკითხეს: „კარგი საკითხავი გამომიგზავნე“.

მეთოთხმეტე საუკუნე!

აი რომელიღაც მსხვილი მემამულის მოურავი პატრონს თხოვს გაუძღვეს მეურნეობას: „სალამი მიხეილისაგან თავის ბატონ ტიმოთეს. მიწა მზად გახლავთ, საჭიროა თესლი. გამოგზავნე, ბატონო, ორმოცდაათი კაცი, შენი ბრძანების გარეშე ჩვენ ჭვავს ვერ ავიღებთ“.

ვინმე გრიშკას ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ მოხარშავს ლუდს,

რადგან იმან, ვინც მას უბრძანა, უკვე გასცა განკარგულება, ლუდი მოეხარშა ფედოსიას (XIV საუკუნე). საჩივარი ოჯახურ უსიამოვნებაზე (XI საუკუნე). თხოვნა პროტექციის შესახებ: „დაიცავი ჩვენი ობოლი“ (XIV საუკუნე).

სამეურნეო ჩანაწერები: განკარგულება მელიის ორმოცი ტყავის გადახდევინების შესახებ. ანდერძები. გლეხების თხოვნა თავის მემამულისადმი „მისცეს თავისუფლად სიარულის უფლება“. წერილი ვიღაც ბორისისა თავის ცოლ ნასტიასადმი, რომელშიც თხოვს გამგზავრების დროს სახლში დარჩენილი პერანგი გაუგზავნოს. და იქვე მწუხარების მაუწყებელი წარწერა „ბორისი ცოცხალი აღარა მყავს“. მოკვდა ბორისი.

არა, როგორც ჩანს, ტყუილად არ არის ლაპარაკი ბილინაში ვასილი ბუსლაევზე, რომ ის „წერდა გაკრული ხელით იარლიყებს“ და გზავნიდა მათ „იმ განიერ ქუჩებსა და ხშირ შესახვევებში“. „დიდებული იყო ნოვგოროდი. — მღერიან ბილინაში, — წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები მოდიოდნენ, კითხულობდნენ იმ გაკრული ხელით დაწერილ იარლიყებს“.

და არა მარტო სიგელები, არა მარტო იარლიყები. ახლახან ნოვგოროდში აღმოაჩინეს არყის ხის ქერქის წიგნიც კი! მართალია, პატარა, უბის წიგნაკის მსგავსი, ხუთი ხუთ სანტიმეტრზე სამი ორმაგი ფურცელია, მაგრამ მაინც წიგნია! მასში ჩაწერილია ნაწყვეტ-ნაწყვეტ მწუხრის ლოცვა. როგორც ჩანს, მის მფლობელს მაინცა და მაინც არ ჰქონდა თავისი მეხსიერების იმედი — შპარგალკა როგორღაც ამშვიდებდა!

თვით ცხოვრება წარმოგიდგებათ ამ არყის ხის ქერქის პატარა გრაგნილებიდან, თვით ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, თავისი ყოველდღიური სიხარულითა და ვარამით, რომლებსაც სხვა ნოვგოროდულ საბუთებში ვერ ნახავთ.

მართალი არის ნოვგოროდის ექსპედიციის ძველი მონაწილე, დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ლ. იანინი, როდესაც წერს, რომ არყის ხის ქერქის სიგელების წყალობით პირველად შეერწყა ერთმანეთს ორი სამყარო, რომლებიც აქამდე მხოლოდ ეხებოდნენ ერთმანეთს: რუსეთის შუა საუკუნეების ისტორიის მატიანური სამყარო და ნივთიერი, არქეოლოგიური წყაროების სამყარო.

და ხაზს უსვამს: წერილები არყის ხის ქერქზე გახდა ძველი ნოვგოროდის მეგზური. ისინი დაეხმარნენ მათ მფლობელებს ათასობით ძველი ნივთების მონახვაში.

აი მხოლოდ ერთი მაგალითი.

1962 წელს არციხოვსკის ექსპედიციამ მისამართი შეიცვალა. ძველი განათხარი ადგილიდან მთელი შესაძლებლობების ამოწურვის შემდეგ არქეოლოგები გადავიდნენ ვოლხოვის მეორე ნაპირზე, ჩვენთვის უკვე ცნობილ სლავენსკის ბორცვის რაიონში, პირველი მაისის ქუჩაზე. მათ ქვეშ აღმოჩნდა ილიას ქუჩის — ნოვგოროდის ერთ-ერთი უძველესი ქუჩის ხეფენილები.

სწორედ აქ, XIV საუკუნის ფენაში, აღმოაჩინეს სიგელი, რომლის ავტორი იყო ფელიქსი. ფელიქსი თხოვდა ვინმე სიმონსა და იურის შეეტანათ ეკლესიაში რაღაც „წონაში ნამატი", ფელიქსის სახელი მეორდებოდა სხვა სიგელშიც, სადაც მას მიმართავდნენ თხოვნით. ბუნებრივია, რომ ამ ორი სიგელის პოვნის შემდეგ შეიძლებოდა ვარაუდი: კარ-მიდამოს ნაშთები, სადაც ისინი იქნა აღმოჩენილი, თვით ფელიქსს ეკუთვნოდა.

მაგრამ ვინ იყო ის?

სანამ არქეოლოგები ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ ეპასუხათ ამ კითხვაზე, მოულოდნელად მათ ბედმა გაუღიმა: XIV საუკუნის პირველი ნახევრის იმავე ფენებში მათ აღმოაჩინეს ტყვიის ბეჭედი. მის ერთ მხარეზე გამოსახული იყო კენტავრი, მეორეზე წარწერა გვამცნობდა: „ფელიქსის ბეჭედი".

ახლა კი სიტყვა მივცეთ ვალენტინ იანინს.

„ფელიქსის ტყვიის ბეჭედმა მაშინვე მოგვცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობები. საქმე ისაა, რომ ნოვგოროდში ტყვიის ბეჭდით ყველა კაცს როდი შეეძლო ესარგებლა... ბეჭდის პოვნა ფელიქსის სახელით იმას ამბობდა, რომ მისი მფლობელი მიეკუთვნებოდა ნოვგოროდის მაღალ სახელმწიფო ადმინისტრაციას. არქიეპისკოპოსების კლიმენტისა და თეოკტისტეს, ალექსანდრე ნეველის შვილის, თავად ანდრიას, ტყვიის ბეჭედმა, ორმა შესანიშნავი ძვლის ზესადებმა ალისა და ფანტასტიკური ნადირის გამოსახულებით, რომლებიც აქ იქნა აღმოჩენილი, დაამტკიცეს აზრი ამ კარმიდამოს მფლობელის სიმდიდრისა და მაღალი წოდების შესახებ. ასეთი კაცის სახელის პოვნა შეიძლებოდა წერილობით წყაროებში".

ნოვგოროდის ერთ-ერთ ხელშეკრულებაში, რომელიც XVI საუკუნეს მიეკუთვნება, მართლაც ნაპოვნი იქნა ნაცვალ ფელიქსის სახელი.

ნაცვლის? მაგრამ რომლის? დიდი მთავრის წარმომადგენლის თუ ე. წ. მთავრის ნაცვლისა? თუ უკანასკნელისა, სახელდობრ რომლისა? ნოვგოროდში რამდენიმე მთავრის ნაცვალი იყო, თითოეული მათგანი დაკავშირებული იყო ნოვგოროდის მიწის გარკვეულ რაიონთან — ლადოგის ნაცვალი, ნოვოტორგის, ფსკოვის, დვინის ნაცვალი.

წარმოიდგინეთ არქეოლოგების გაოცება და სიხარული, როდესაც მეორე წელიწადს მათ იმავე ფენებში, ფელიქსის კარმიდამოში, რომელიც XIV საუკუნეს მიეკუთნებოდა, იპოვეს კიდევ ერთი არყის ხის ქერქის სიგელი. თუმცა, ერთი შეხედვით მას თითქოს არც ჰქონდა უშუალო კავშირი ფელიქსთან: „ზავოლოცეადან რომ ჩამოვიდა, კლიმეცს მიუტანა ვერცხლი პეტრეს დღეს. ჰიჰქონდა თევდორე სლეპეტროვისთვისა და მისი ძმისთვის. ვერცხლისთვის და (დიოდნენ) გრიგორი ფლარიოვი, დავით ოპოვი, მათე კენიშჩე, ლუკა ონიშკოვი, სოფრომ მ (ა) შკანი“.

მაგრამ ვ. ლ. იანინს ამ ბუნდოვანმა ტექსტმა ბევრი რამ უთხრა. რადგანაც მკვლევარმა იცოდა, რომ ნოვგოროდში ზავოლოჩიეს ხშირად უწოდებდნენ დვინის მიწას. და მან იცოდა, რომ „ვოლოკს გაღმა“, „ნოვგოროდის ვოლოსტში“ ხარკს აგროვებდა არა მთავრის ხალხი, არამედ თვით ნოვგოროდელები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ შემოსავალს თავიანთი სამფლობელოებიდან. ამ ხარკს აგროვებდნენ პეტრეს დღის ახლო პერიოდში.

ძალიან ჰგავდა იმას, რომ ნაპოვნი სიგელი ერთგვარი სამახსოვრო ჩანაწერი იყო დვინის ხარკის სათანადო თანხის გადახდის შესახებ.

ასე ერთად იყრიდა თავს მონაცემები ნაცვალ ფელიქსზე და იმაზე, რომ იმ კარმიდამოს მფლობელს, სადაც აღმოჩენილ იქნა ჩანაწერი, კავშირი ჰქონდა დვინის მიწაზე ხარკის აკრეფასთან.

არსებობს განა დღეს ეჭვი, რომ ფელიქსი დვინის ნაცვალი იყო?

## 18.

არყის ხეს სიგელებისათვის ქერქს აძრობდნენ მთლიანად, მთელი სისქით. ასოები დაწერილია მის შიდა ზედაპირზე. ქერქს სპეციალურად ხომ არ ამუშავებდნენ? ძნელი სათქმელია: დამუშავების კვალი არ ჩანს. თუმცა შემორჩენილია არაპირდაპირი წყაროები. რუსი ეთნოგ-

რაფი ა. ა. დუნინ-გორკავიჩი, აკვირდებოდა რა, თუ როგორ ამუშავებდნენ ციმბირში არყის ქერქს წერისათვის, აღნიშნავდა: „არყის ხის ქერქს გრაგნიან და დებენ ქვაბში, სადაც ის იხარშება ჩვეულებრივ წყალში, ამის შედეგად ის რბილდება და მოქნილი ხდება“. მაგრამ ეს იყო უკვე XIX საუკუნეში. იქნებ ძველი ნოვგოროდელებიც ასე იქცეოდნენ?

თუმცა რატომ მარტო ნოვგოროდელები? ჩვენამდე ხომ—ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი—XVI—XVII საუკუნეების ბევრმა რუსულმა არყის ხის სიგელმა მოაღწია! თუმცა დაწერილია ისინი მელნით. მელნით არის დაწერილი და შენახული 1570 წლის არყის ხის ქერქის სიგელი გერმანული ტექსტით, აგრეთვე XIV საუკუნის ზოლოტოორდინსკის არყის ხის ქერქის სიგელი. ხოლო შვედმა მეცნიერმა ო. ოდენიუსმა ახლახან უპსალის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა პირველი შვედური არყის ხის ქერქის სიგელი.

საჭიროა ძებნა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი არტემ ვლადიმერის ძე არციხოვსკი დარწმუნებულია: არყის ხის ქერქზე უნდა ეწერათ შუა საუკუნეებში ყველა იმ ქვეყნის მცხოვრებლებს, სადაც ხარობს არყი. საჭიროა მათი ძებნა პოლონეთსა და გერმანიაში, ინგლისსა და დანიაში, ნორვეგიასა და შვეციაში და, რა თქმა უნდა, ჩვენთან.

საძირკველი ჩაყრილია. უკვე აღმოჩენილია ორი სიგელი ფსკოვში, ერთი — სმოლენსკში. ხოლო ერთი — ვიტებსკში.

## 19.

სინჯეთ ასეთი ფრაზის წაკითხვა:

«Ожеспро далопортыякоупимпцентаза
в гривеноалицеголспнепро
далоапослимплицемаалпеси
продазая оброс твор ту коупимпжита»

ძნელია არა? უდავოდ. არასპეციალისტი ადვილად ვერ მიხვდება, როგორ უნდა დაჰყოს ეს ერთიანი, შერწყმული ტექსტი, რომ აზრი გამოიტანოს. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ის დაწერილია ძველ რუსულ ენაზე. მაგრამ მკვლევარები ამაზე უარეს თავსატეხებს არიან მიჩვეული. ისინი ძალიან არც შეწუხებულან, რომ ტექსტი დაწერილია არყის ხის ქერქის ნაჭერზე და ზოგიერთი ასო ძლივს

ჩანს. მათ გაშიფრეს წარწერა და გადმოთარგმნეს ის თანამედროვე რუსულ ენაზე. „თუ ტანსაცმელი გაყიდე. მაშინ მიყიდე 6 გრივნად ქერი. ხოლო თუ რაიმე (ტანსაცმლიდან) ვერ გაყიდე, მაშინ ფულად გამომიგზავნე. თუ გაყიდე, მიყიდე, გეთაყვა, ქერი“.

ასეთია ვიტებსკის სიგელის შინაარსი. ის იპოვეს მიწაში სამი მეტრის სიღრმეში. და საერთოდ კარგად არი შენახული. მეცნიერთა გაანგარიშებით ის უნდა დათარიღდეს XIII-XIV საუკუნეებით. ეს არ არის ყველაზე ძველი არყის ხის ქერქის სიგელი. ჩვენ ვიცით, რომ ნოვგოროდში იპოვეს ისეთებიც, რომლებიც XI საუკუნეს მიეკუთვნებიან. ასაკი მაინც სოლიდურია. და ეს აღმოჩენა იმას მოწმობს, რომ არყის ხის ქერქების სიგელების გეოგრაფია იზრდება.

წერილი დაწერილია, ეტყობა, განსაცდელში ჩავარდნილი კაცის მიერ. შეიძლება უმოსავლო წელიწადი იყო და ის თხოვს ტანსაცმელი გაუყიდონ. ადვილად შესაძლებელია ხელოსანი იყო, დაავალა თავისი საქონლის გაყიდვა და ნავაჭრი ფულით პურის ყიდვა.

გათხრები გრძელდება.

სხვათა შორის, ისინი დაეხმარა მეცნიერებს შეეტანათ გარკვეული სიცხადე საკითხში, რომელიც დიდ დავას იწვევდა: ყოველთვის იყო ნოვგოროდში თავადი?

არც ისე დიდი ხნის წინ ისტორიკოსები ამას უპასუხებდნენ: დიახ, თუმცა შეკვეცილი, მაგრამ ნოვგოროდში ყოველთვის არსებობდა მთავრის ხელისუფლება, აყვავების პერიოდშიც, XIV—XV საუკუნეებშიც კი.

— არა, — ამტკიცებს ა. ვ. არციხოვსკი, — არა, იმიტომ, რომ არ შეგვხვედრია არც ერთი ნოვგოროდის მთავრის ბეჭედი, რომელიც ეკუთვნოდა XIV—XV საუკუნეებს. სამაგიეროდ XIV—XV საუკუნეებიდან ჩვენამდე მოაღწია ნოვგოროდის მოურავების, ათასისთავების, არქიეპისკოპოსების, ტიუნების მრავალმა ბეჭედმა. XV საუკუნეს მიეკუთვნება აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო ბეჭდებიც. მათზე ასეთი წარწერაა: „ნოვგოროდის ბეჭედი“ ან „დიდი ნოვგოროდის ბეჭედი“. „ბეჭდები. — დაასკვნის არციხოვსკი, — მატიანეების, სიგელებისა და მონეტების მსგავსად ამტკიცებენ, რომ XIV საუკუნესა და XV საუკუნის პირველ ნახევარში ნოვგოროდის პოლიტიკური წყობა წმინდა რესპუბლიკური იყო“.

ნოვგოროდში კვლევა-ძიება გრძელდება.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გათხრების ამოცანა ძირითადად ის იყო, რომ მიწიდან ამოეღოთ ცალკეული საგნები. დღეს ნოვგოროდში ლაპარაკია პირველ ყოვლისა იმაზე, რომ გათხრების პროცესში აღდგენილ იქნა წარსული.

თუმცა, რა თქმა უნდა, არა მარტო ნოვგოროდში.

წარსულის აღდგენით დაკავებულია დღეს ათობით არქეოლოგიური ექსპედიცია. ისინი აწარმოებენ ძიებას ციმბირსა და მოლდავეთში, შორეულ აღმოსავლეთსა და ყირიმში, ლიტვის ძველ მიწებსა და პენჯიკენტში. ვოლგისპირეთსა და კავკასიაში, მოსკოვსა და ბელორუსიაში, კარელიის ყელზე და უკრაინაში — ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა რაიონში.

გათხრებს აწარმოებენ სხვა ქვეყნებშიც და სხვა კონტინენტებზეც.

ბევრი რამ უკვე გაკეთებულია. მაგრამ კიდევ უფრო ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ წარმოსახვისა და ვარაუდების სფეროდან მეცნიერების სფეროში გადავიდა გასული საუკუნეების რაც შეიძლება მეტი და ძვირფასი მოწმობა.

მათ იპოვნიან და წაიკითხავენ — კაცობრიობის საერთო მატიანის ჩვენთვის ჯერ კიდევ ამ უცნობ ფურცლებს!

# სარჩევი


ინდის უძველეს მიწაზე . 3
ხეთების საიდუმლოებანი . 27
დიდებული კუნძული კრეტა . 57
რომაელთა წინამორბედნი . 93
ოდესღაც აქ ცივილიზაცია ყვაოდა . 117
კამბოჯის მარგალიტი . 145
ზიმბაბვე, ბანტუს ქალაქი . 175
ბატონი დიდი ნოვგოროდი . 193


---


რედაქტორი დ. იუკურიძე, მხატვარი რ. მახარაძე, მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია, ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე, კორექტორი მ. ჯაველიძე, გამომშვები მ. წივწივაძე.

გადაეცა წარმოებას 10/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-76 წ. საბ. ქაღ. № 1. ზომა 60×84 1/16. პირობ. ნაბ. თაბახი. 13.02. სააღრ.-საგამომც თაბახი 11.12.
ტირაჟი 20 000. № 288

ფასი 87 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 1. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.